

# ამბები
# საქართველოს გარეთ

ემიგრანტის დღიური

# ამბები საქართველოს გარეთ...

ბათუმი
2017 წელი

კრებულის რედაქტორ- შემდგენელი-ინგა გოგიბერიძე
წინასიტყვაობა-მაყვალა დავლაძე
ანა გელაშვილი
ბოლოთქმა-გიორგი აღნიაშვილი
მხატვრები: ეკა ტყემალაძე
ოლგა ტამელო

© ISBN 978-9941-0-9965-6
ტირაჟი-150 ცალი
დაიბეჭდა: შპს „World Print"
ბათუმი, პუშკინის ქ.65

....ფეხებზე ქაღამნები მოირგო. გულში სევდა ჩაიწერა, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ცხოვრება ტომარად მოიგდო მხარზე... მხარზე, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ეყრდობოდნენ... მხარზე, რომელსაც სატკივარი და სიხარული ერთად მოჰქონდა და ახლა კი სადღაც შორს მიდიოდა... სხვა ქვეყანაში... უცხო მხარეში, სადაც ზეცა ცისფერი აღარ იქნებოდა, მთები მწვანით შემოსილი და ზღვა შავი.. უთქმელი და უტყვი... მიდიოდა გზაზე..... ფიქრებით სავსე ტომარა კი მხარს არ უმძიმებდა....

თქვენი ინგა გოგიბერიძე-კრებულის რედაქტორ-შემდგენელი



## წინასიტყვაობა

დღეს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში შეხვდებით ქართულ დიასპორებს. უცხოეთში მყოფი ქართველები პოულობენ ერთმანეთს და ქმნიან ქართულ სათვისტომოებს. მათ ერთი საერთო სულიერი ტკივილი აერთიანებს, რასაც ემიგრანტობა ჰქვია. ვისაც არასდროს უტარებია ემიგრანტის ტვირთი, მისთვის ძნელია გულთან ახლოს მიიტანოს ეს დიდი ტკივილი. ასე რომ ქართველობო! ჩვენი ენერგია და ცოდნა ჩვენი საქართველოს აღორძინებას მოვახმაროთ, რათა ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნიდან წასვლის სურვილი აღარავის გაუჩნდეს. ღვთის რწმენით ყველაფერი შესაძლებელია! (მამა გაბრიელი)

ქალებს, რომლებმაც თავის დროზე ოჯახები მიატოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარელი ადამიანების კეთილდღეობა სურდათ, ახლა შორიდან ბევრი უგზავნის მესიჯს: თუ ნამდვილი პატრიოტები ხართ, სამშობლოს დაუბრუნდითო. დაბრუნდებიან, მაგრამ აქ დახვდებათ სამუშაო ადგილი? მიიღებენ ოჯახის წევრები გულთბილად? მარჩენლის დაკარგვას შეეგუებიან შვილები? - ათასგვარი კითხვა უტრიალებთ გონებაში სამშობლოდან შორს მყოფ ადამიანებს და ალბათ, საფუძვლიანია მათი ეჭვი...წიგნის რედაქტორმა მწერალმა და პუბლიცისტმა ინგა გოგიბერიძემ, როცა შემომთავაზა დამეწერა წინასიტყვაობა ემიგრანტული ჩანაწერებისა, მადლობელი დავრჩი, მოვეფერო მინდა თითოეულ ემიგრანტს, მისი ტკივილი და დარდი გავიზიარო... წაიკითხავთ ამ სტრიქონებს და უმალ იგრძნობთ ჩვენს მხარდაჭერას, ჩვენს სითბოს თქვენდამი ძვირფასო ემიგრანტებო. აქვე ორ ჩანახატს დავტოვებ შენთვის ჩემო მკითხველო!.. ეს წერილები ჩემი მეგობარი ემიგრანტების ცხოვრებაზეა აგებული, გულში და სულში გამიჯდა მათი სევდიანი საუბრები...

**მაყვალა დავლაძე-პოეტი**

# გულის წუხილის გაზიარება

ფეხაკრეფით მივუყვები ზღვის სანაპიროს. ალიონია. ბუმბერაზ, დაბურულ ხის ტოტებიდან მზის ათინათი მამხნევებს. ახალ გზატკეცილს ფაფუკად დასდებია მტვერი. ჰაერი ჩაიხუთა. ზღვის სანაპიროდან ყრუდ ისმის ლივლივა ტალღების შხაფუნის ხმა.საქართველო... უკიდეგანო, დაჟვარდივით, წარმტაცი გაზაფხულის ფერებით მორთული, მრავალჯერ ჭირნახული და მრავალჯერ აღორძინებული. სად გადახვეწილან ჩემო ლამაზო ქვეყანავ შენი შვილები? რად ტირის ქართველი უცხო მიწაზე? რად ჩამუქებულან მათთვის ხეთა ფოთლები ამ ზღაპრული გაზაფხულის პერიოდში? მშობელთა საზრუნავი რად გამხდარა შორეული ქვეყნიდან მოპოვებული ლუკმა-საბადებელი? რად?... ასე მგონია თავად ვირთულებთ ცხოვრებას და თავჩაღუნულნი, დაობლებულნი დავდივართ უცხო მიწაზე საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. როგორც ტალახი ისე აიზილა სათნოება, სიყვარული, სიწმინდე.... საათი კი თითქოსდა დადუმდა, გაიყინა წამები და წუთები.... ღიმილი ჩაკვდა. დაფიქრებული ვაგრძელებ გზას... ათრთოლებული ხელებით მოვიფშნეტ შუბლს... ზღვის სურნელი ნესტოებში იბლანდება... ძნელია, იცხოვრო სხვისი სისხლითა და ოფლით გაპოხილ მიწაზე, შეხვდე დილის ალიონს, მოეფერო მზის სხივებს. ძნელია, გული არ გაგითბოს შენი მხარის თვალჟუჟუნა მაისმა.... ფიქრები ისევ თქვენთან მოდის... გვიყვარხართ... გიგზავნით უამრავ სითბოს და ნუგეშს.... ჭირსა შიგან უნდა გამაგრებაო.... ქართული სიტყვითა და ქართული სულით მოგეფერებით... ასე დაფარფატებს ათასი ფიქრი და გონებაში მუდმივი ქაოსია. ეს ხომ გულის წუხილის გაზიარებაა.... მშობლიურ სახლამდე კი ნაბიჯებს დაითვლი... ნაბიჯები კი ათასობით კილომეტრს აღიქვამს... საბოლოოდ რწმუნდები გადაწყვეტილების შეცვლაში... ლამაზი ფიქრებით გახალისებული, გაამაყებული, შორიდან ელოლიავები შენს ულამაზეს საქართველოს.... ისევ თქვენთან ვარ ჩემი ფიქრებით.... მზე მიიმალა ღრუბლებში ჩუმი ვედრებით....

# სევდიანი მზერა

ახალგაზრდა ქალს სარკის აჩრდილმა სევდიანი მზერით უპასუხა. ფიქრების ქაოსით დაკნინებული გონება წუხდა. უიმედოდ იღიმებოდნენ ტუჩები, დრომ შეგრძნება დაკარგა.

ყურებში ექოსავითით ჩაესმის მშობლიური ხმები.... მძაფრი, მტკივნეული მღელვარებით ეხება ყოველი ფიქრი მამულისა მის გულსა და სულს. სამშობლო-შენი განუყოფელი ნაწილია.... ჩურჩულებს გული. ტირილი უნდოდა, ვერ ტიროდა, თითქოს გამომშრალიყო, გამოფიტულიყო, როგორც მზისაგან გახრუკული უდაბნო. ფიქრების ქარავანს კი აეკიდა უზარმაზარი ტვირთი და ტკივილისაგან იკლაკნებოდა, იკრუნჩხებოდა.... დაქანცულა... არავის ესმის ის, რაც მან გამოიარა, რაზედაც უფალმა აუხილა თვალი!

ფიქრები კი ხან კვდებოდნენ, ხან ცოცხლდებოდნენ, ხანაც მიწისქვეშ იმალებოდნენ... ვეღარ ამჩნევდა დღისა და ღამის მონაცვლეობას აუტანელი შრომისა და ჯაფის გამო. შვილებზე საზრუნავით დაღლილა მისი დედობრივი მზერა, შვილები თითქოს საუკუნეა არ ენახა, სუნთქვა უჭირდა, გული ისე ელეოდა, როგორც სანთლის ალი, როგორც ზარის ხმა ყურში ისე ჩაესმოდა შვილების ბაგედან წარმოთქმული უღამაზესი სიტყვის აკორდი... დედა! თითქოს შორეული ფიქრებით უნდა გაათბოს მათი მონატრებული მზერა, ცრემლიანი თვალები დაუკოცნოს, დედის მოლოდინში შემოთენებული ღამეები, უნუგეშო და მიმქრალი ბავშვური განცდები დაუამოს და გაათბოს მშობლიური ალერსით. მუხლები მოეკვეთა, პირბაგე მოეკუმა, თითქოს გაუნელებელ ცეცხლში ჩავარდნილიყოს მისი სხეული.... გული უტიროდა... შვილები, მოხუცი მშობლები, ყველანი მისი საზრუნავია.

სამშობლო ოჯახიდან იწყება. ცის ქვეშეთში კი რაც მიწა და წყალია, ცის სამყაროში მზე და ვარსკვლავებია, სადაც ღამის მთვარეული აჩრდილებია, ყველგან არ გვეცხოვრება, ყველგან არ გვემღერება. ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო, მარად ჩვენზე მლოცველი, ყოველთვის ხელებგაშლილი გველოდება, რათა გულში ჩაგვიკრას მისი სისხლი და ხორცი, საქართველო გეძახით..... გიხმობთ!

კედელზე საათი წიკწიკებს. დრო მოვიდა... დაყოვნება აღარ შეიძლება. მადლობა ღმერთს! არავის არ ესმისის, რაც მან გამოიარა, რაზედაც უფალმა აუხილა თვალი.

სარკის ანრდილმა სევდიანი მზერით უპასუხა. მოგონებებში ჩაფლულა ფიქრები... გზა კი ერთია, სანუკვარი და სასურველი, გზა საქართველოსკენ მომავალი.

***

გზას მივყავართ და თითქოს გზა ჩვენ მიგვყავს. ცათამბჯენები ხან გვზაფრავენ, ხან ბუმბერაზ აჩრდილებად მოსჩანან, ვდგავართ ცხოვრების გზაჯვარედინზე, როგორც სცენაზე და მაყურებელი, ჩვენი მფარველი უფალია... დარდების ასხმა წამწამებზე წვეთწვეთად მადევს, სიტყვის და ფერის სიდიადე ელვარებს კრებულის თითოეული ბწკარიდან, ვამხილოთ მუზა, ფიქრებში რომ ჩანაღვერდლდება და მოვეფინოთ მთელ სამყაროს ჩვენდა ნუგეშად. ლოცვით დაღლილნი კვლავ ვეშვებით დედამიწაზე, აუხდენელი ოცნებები კვლავ აგვიხდება, მთავარია ჩვენი ნათელი გონი და წრფელი გული. ჩვენი ღირსება... სხვა ფერებით მოვრთოთ დიდა, გზა ჩვენამდე გაცვეთილი შევკრათ, როგორც მსხვილი ჯაჭვი აწყობილი სტრიქონებით.

ხშირად ტკივილის კოშმარს ვერ ვუსვამთ წერტილს, რადგან სიავე მძლავრობს და გვებრძვის. არ შევეპუოთ ქარების ქროლვას, ჩვენ, ჩვენი როლი გავითავისოთ ჩემო ძვირფასებო. მწერალმა ინგა გოგიბერიძემ სიყვარულით შექმნა ეს კრებული თქვენი გულისა და სულის ამოძახილის თანაფარდობით. გულით სათნო ქალბატონმა, პოეზიის და პროზის დიდმა მოქამაგემ, ვით ჩონგური საქართველოსი, ისე აამღერა თქვენი ნაფიქრალი თეთრ ქათქათა ფურცლებზე. გაზაფხულის პეპლებივით მოფარფატე ჩვენი მუზები თავშეფარს მოარგო და თითოეულ ბწკარს ტკივილიანს, სევდიანს თუ სიხარულის აღმაფრენისას დღის ნათელი არგუნა.

მაყვალა დავლაძე-პოეტი

სხეული-სულის, მზერა-ჩინის, სიყვარული-ერთგულების გარეშე... რომელს, ერთმანეთისაგან განუყოფელს შეიძლება შევადაროთ სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი ემიგრანტების ყოფა? ჩვენ თუ არა, მათი კუთხე-კუნჭულის მოზიარენი, უკეთესად ვინ გაიგებს მათ გულის ტკივილს? ისინი ხომ ჩვენსავით ვერ უმზერენ თავიანთ შვილებს, მშობლებსა და ახლობლებს?! ეს კრებული კი სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ჩვენმა ემიგრანტებმა სათქმელი ამოთქვან, დარდი გაგვიზიარონ და ცოტათი შევუვსოთ სამშობლოდან და ოჯახის წევრებისაგან შორის ყოფნით გამოწვეული სიცარიელე... ქალბატონი ინგა და მთელი შემოქმედებითი ჯგუფი, ხომ სწორედ იქაა, სადაც საქართველოსა და ქართველ ხალხს სტკივა და უხარია?! ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ემიგრანტები უსათუოდ იგრძნობენ ამ უმშვენიერესი კრებულის წყალობით საქართველოსა და ქართველი ხალხის უზომო თანადგომასა და მონატრებას!

ანნა გელაშვილი-პოეტი



# ნატალი (გალიანო) პაპიაშვილი



ნატალი პაპიაშვილი-შარინგერ გალიანო, დაიბადა ქალაქ რუსთავში, 1986 წლის 19 იანვარს, ლალი პაპიაშვილისა და გივი პაპიაშვილის ოჯახში. დაამთავრა რუსთავის 25-ე საშუალო სკოლის 11 კლასი, წარჩინებით. წერა ბავშობის ასაკიდანვე დაიწყო, პირველი სერიოზული ნაწარმოები იყო რომანი, 18 წლის ასაკში, რომელიც, ჟურნალ „რეიტინგის“ შვილობილ ჟურნალში იბეჭდებოდა, თუმცა ბოლომდე არ დაბეჭდილა, რადგან უსახსრობის გამო ის გამომცემლობა დაიხურა. 19 წლის ასაკში წავიდა გერმანიაში, სადაც დაამთავრა, ფრანკფურტში, გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი, ამავდროულად მუშაობდა ქალაქ Aschafenburg-ში, რათა თავისი სწავლა დაეფინანსებინა. იმ პერიოდშიც წერდა ჩანახატებს და ლექსებს, თუმცა არსად არ დაბეჭდილა, თუ არ ჩავთვლით მის ბლოგს facebook-ზე, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი შემოქმედება. სწავლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, სამშობლოში დიდი ხანი არ გაჩერებულა და გაემგზავრა ავსტრიაში, სადაც 2010 წლიდან დღემდე ცხოვრობს და მოღვაწეობს, ავსტრიაში ასევე დაამთავრა ibc ინტერნაციონალური ბიზნეს კოლეჯი და ამჟამად აგრძელებს სწავლას ვიენის უნივერსიტეტში, მისი პირველი სერიოზული ნამუშევარი, რომელიც სავარაუდოდ წიგნად უნდა გამოსულიყო, ქალაქ ბერლინში, როგორც სცენარი, ისე გაიყიდა.... ამჟამად მუშაობს თავის პირველ წიგნზე, რომელიც ქართველი ემიგრანტი „აუ პაიერების“ ცხოვრებას ასახავს გერმანიაში, ასევე არის ვიენის ცნობილი ინსტაგრამ ბლოგერი, მისი გამომწერთა რიცხვი 140 000 ათასის გამომწერს აღემატება და აქტივობა დღითიდღე იზრდება.

ვუსურვოთ წარმატება ნატალის!

***

ცხოვრებამ  მასწავლა, რომ რამდენადაც დააფასებ საკუთარ თავს, იმდენად დაგაფასებენ სხვები....!

ცხოვრებამ მასწავლა, რომ საკუთარ თავს თუ დასჭირდა, ყველას შეუძლია, ყველას ფეხებზე დაკიდება!!!

ცხოვრებამ მასწავლა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უკეთესია მეტი კეთილსინდისიერება და ნაკლები წარმატება ვიდრე პირიქით..

ცხოვრებამ მასწავლა, რომ ეს ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, მარტო საკუთარ თავზე ზრუნვა არ ღირს, ყოველ ღამე დაძინებისას, კითხვაზე -„აბა მე დღეს ვის რა ვარგე?“ ერთი ადამიანიც თუ გაგვახსენდება, ესე იგი იმ დღეს ფუჭად არ ჩაუვლია!!!

ცხოვრებამ მასწავლა, რომ თუ მოინდომებ ყველაფერს შეძლებ, იმ ეგრეთ-წოდებულ  შეუძლებელსაც, უბრალოდ დროზე ადრე არ უნდა დანებდე, სხვას თუ გამოსვლია, შენც გამოგივა.

ცხოვრებამ მასწავლა,რომ ადამიანების შეცვლა, თუნდაც სასიკეთოდ, შეუძლებელია, თუ ეს მისი სურვილით არ მოხდა, მივხვდი, არ ღირს უანგაროდ ადამიანებს, თუნდაც ერთი წამი დავახარჯოთ, მერე ისინი ვალდებულად გთვლიან და როგორც  ზემოთ ავღნიშნე, არ დასჭირდეთ, თორემ დაუფიქრებლად გადაგივლიან ზედ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამას მივხვდი, არასოდეს გამიკეთებია ანგარებით რამე, ვერც გავაკეთებ, მე ხომ ჯერ კიდევ წინ მაქვს უამრავი ღამე, როცა ჩემს თავს უნდა „ვკითხო აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

ცხოვრებამ მასწავლა, რომ ბედისწერა სუსტების მოგონილი სიტყვაა, ძლიერები, თავის ცხოვრებას თვითონ ქმნიან!!!

ცხოვრებამ მასწავლა, რომ ყველა გულში ფიქრობს რას იტყვიან სხვები, თუმცა იმ ყველას ოთხმოცი პროცენტი ამბობს, რომ სხვისი აზრი არ აინტერესებს.

ცხოვრებამ მასწავლა რომ, ცუდი, ბოროტი, ბოღმა, დაუნახავი ადამიანები ბევრად მეტია, ვიდრე კარგები და კეთილები, მაგრამ ეს უკანასკნელები ნამდვილად არსებობენ და არც ისე ცოტა როგორც ხშირად არ წარმოგვიდგენია.

ცხოვრებამ მასწავლა, რომ მიტევება ყველაზე ნათელი გამოსავალია საკუთარი თავის სიმშვიდისთვის, ოღონდ ბოლომდე მიტევება და არა

ყოველ არასასურველ სიტუაციაში იმის გახსენება, როგორ მიუტევე ვიღაცას რაღაც........

და ბოლოს ცხოვრებამ მასწავლა, რომ საკუთარი თავის იმედი და ღვთის სიყვარული საუკეთესო გზაა წარმატებისკენ, ეკლიანი, გაუვალი, მიხვეულ-მოხვეული ლაბირინთი, ბევრი დარაბებით და ამოუცნობი ცხრაკლიტულიანი კარით, უბრალოდ უნდა მახსოვდეს, სადაც ერთ კარი იკეტება, იქ ყოველთვის იღება მეორე და გვირაბის ბოლოს მე სულ ვხედავ სინათლეს !!!

****

ვაგროვებ სიკეთეს....

ვაგროვებ სიკეთეს და ასე მგონია, თითოეული სიკეთე შენთან მაახლოებს, ადრეც ვაკეთებდი სიკეთეს, ახლა უკვე ვაგროვებ!

თითოეული დღე შიშით იწყება, მეშინია, რამემ არ შემიშალოს ხელი, ვინმესი არა, რამესი მეშინია, ცხოვრების კანონზომიერების მეშინია, დაძინების და არ გაღვიძების მეშინია, ავადმყოფობის მეშინია..... მეშინია, რომ იმდღემდე გაკეთებული სიკეთით შენამდე ვერ მოვალ, ყოველდღიური გამოცდების მეშინია, მეშინია შუა გზაზე მოსული საქმე არ გავიჭედო და ძალიან ბევრი სიკეთე მჭირდება, რომ ეს შიში დავძლიო. ვიცი, იქ სადაც შენ ხარ, არსებობა სხვანაირად რეალური და ექსპანსიურია, ისე, რომ ჩემი დედამიწაზე ცხოვრებისეული გამოცდილება თითქოს ხელოვნური ოცნებაა.

არ მკითხო საიდან ვიცი, რომ იქ ხარ, სინათლეში, სამოთხის ბაღში, ღრუბლებს მაღლა სამეფოში, უფალთან ახლოს, უბრალოდ ვიცი, ჩვენ ხომ ისე უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, რომ სხვა კანონზომიერებაში შენი გადასვლაც ვერ შეცვლის ამ ქვეშეუცნობელ გრძნობას, მამა-შვილური სიყვარულით გაჟღენთილ, ორი მონათესავე სულის არსებობას.

ხო მართლა, იცი კიდევ რისი მეშინია, ამბობენ, საიქიოში მამა-შვილობა, ნათესაობა არ არსებობსო, იქ ყველას, ყველა უყვარსო, იმასაც ამბობენ, იქ კომუნიკაციაც ტელეპატიურიაო, არ არის სიტყვების თქმის საჭიროება, ყველა კითხვას, რაც ადამიანის გონებაში იბადება,

უსწრაფესად ეცემა პასუხი ასევე ტელეპატიურადო.... ამის ყველაზე ძალიან მეშინია მამი... სამყაროს შეცნობა, ხომ სიყვარულის სწავლით იწყება, ჩემი სული, გული და გონება, რომელიც ასე გაჟღენთილია, შენი სიყვარულით და მონატრებით სად წავა ყველა ეს გრძნობა მამი? მაპატიე ღმერთო, ჩემი უვიცობით, მაპატიე თუ სისულელებს ვწერ, მაგრამ თუ შევძელი და შევაგროვე იმდენი სიკეთე, რომ ღირსი ვიქენ სასუფეველში დამკვიდრდეს ჩემი ცოდვილი სული, იქაც მჭირდება ჩემი მამა, მამა-შვილობას უბრალოდ სიყვარულში ვერ გადავიყვან, იმიტომ რომ ჩემი სული, მთლიანადაა გაჟღენთილი. ამ გრძნობით და სული ხომ უკვდავია? სული ხომ თან მიმყვება, ესე იგი ის ჩემში იცოცხლებს, ესე-იგი ოდესმე კიდევ შევძლებ, ჭაღარაშერეულ მამაჩემს საფეთქლები დავუკოცნო და გულიანად ჩავეხუტო, ასეთი სამოთხის მჯერავს მე, სა-დაც შევძლებ, ჩემი გრძნობების შეხებით გამოხატვას, სადაც ჩემი გულ-მოდგინედ დამუშავებული მოგონებები, გადატვირთულ ფენომენად არ ჩაითვლება!!!

იქამდე კი, კიდევ ერთი დღე მაქვს, სიკეთის მოსაგროვებლად, უკვე ქუჩებიც ვიცი, სადაც, ადვილად ვპოულობ სიკეთეს, ადამიანებსაც ვიც-ნობ, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ამ საქმეში, კიდევ ბევრს გავიცნობ ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან ბევრი სიკეთე მჭირდება მიზნისთ-ვის. ოდესღაც შევხვდებით! გპირდები!

## ემიგრანტის გზა.....
## „ცრემლები გაცილებს გზად“

-ყველაფერი ჩაალაგე, მეკითხება დედაჩემი, ალბათ მეათასჯერ.

-კარგი რა დედა, გერმანიაში მივდივარ, ანტარქტიდაზე კი არა, ხშირად ჩამოვალ ხოლმე.

-სანამ წახვალთ, ყველა მასე დაპარაკობო, წახვალთ და გავიწყდებათ აქაურობა.

-მე ყველა არ ვარ, ხმაში სიმტკიცე მერევა და სახე მეცვლება.

დედამ გაკვირვებით შემომხედა, ისედაც იცის, რომ ყველა არ ვარ,არ ვარ ჩვეულებრივი გოგონა, ჩვეულებრივი სამსახურით, ჩვეულებრივ, ოჯახზე და შვილებზე მეოცნებე. არა, მე რაღაც სხვანაირი ვარ, თავგა-დასავლების მაძიებელი, საკუთარი უცნაური სამყაროს მქონე, იდუმალი და ძნელად ამოუხსნელი ნატალი.

-დედა!

მიუახლოვდი და თვალებში ჩავხედე, სევდიანი მზერა ჰქონდა, არ იმჩნევდა, მაგრამ დაღლილი სახე და ჩაშავებული თვალის უპეები, აშკა-რად გასცემდა, რომ მთელი ღამე თეთრად ჰქონდა გატარებული.

- დედა მომისმინე, მე წავალ, მაგრამ გპირდები, წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვალ, გპირდები, რომ არ ვიქნები ყველა, გპირდები, რომ დრო მოვა და იამაყებ ჩემით, ვიცი ბევრად მეტის გაკეთება შემიძლია, ვიდრე უბრალოდ ჟურნალში რომანების ბეჭდვაა, სადაც მიზერულ თანხას მიხ-დიან, რომელიც გზის ფულადაც არ მყოფნის. მე ჩემი თავი ამოვწურე აქ, არ მყავს მდიდარი მამა და არც შთამომავლობით დატოვებული ქონების ტესტამენტი არ მელოდება, მაგრამ მყავს უფალი და მაქვს საკუთარი თავის რწმენა, ეს კი საკმარისია იმისთვის რომ, თუნდაც უცხო ქვეყა-ნაში, სრულიად მარტომ, ახალი ცხოვრება დავიწყო. დანარჩენს კი უბრა-ლოდ დრო გვიჩვენებს....

სევდიანი სახეები დღეს არ იქნება........ ღიღინით, ოთახში სოფო შემოვიდა, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჩემი , „და“, ჩემი მეორე მე.

რომ წავალ იტირებ? - ვეკითხები და ჩემს ბავშვურ კითხვაზე მე თვი-თონ მეცინება.

- მე უკვე ვტირივარ, ხან ვმღერივარ, ხან ვტირივარ-მეტი დამაჯერებლობისთვის, ცხვირის ნესტოები სასაცილოდ მოკუმშა და დიდ ცისფერ თვალებზე ხელი აიფარა.

-ჰა ჰა ჰა, კაი რა, ეგლა უნდა დედაჩემს, ცრემლი არ დამანახო იცოდე, სერიოზულ სახეს ვიღებ მე და საჩვენებელ თითს ვუქნევ .

- თვალებიდან ხელი მოიშორა და გაეღიმა...

ვხვდები, ამ ღიმილში, რამდენი პროცენტი, ნამდვილი ღიმილია და რამდენი წინასწარი მონატრებით გამოწვეული ტკივილი...!

ნელ-ნელა ნათესავებით ივსება სახლი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, დეიდები, ბიძები,მეგობრები.

18:00-ზე ფრენა მაქვს, 15:20 წუთზე ვტოვებ სახლს, სახლს სადაც ბავშვობა გავატარე, ჩემებს სათითაოდ ვეხვევი და ვემშვიდობები, აეროპორტში დედა, მამა, სოფო და ჩემი ერთი დეიდაშვილი მომყვება. როგორც ხდება ხოლმე რეგისტრაცია,კიდევ ერთხელ დამშვიდობება, ბევრი ცრემლი, ცოტა ტკივილი, უამრავი დაპირება, რომელსაც იმ წუთში ვერც კი ვიაზრებ ბოლომდე და დროთა განმავლობაში ვხვდები, რა მარტივად გვეჩვენება, საქართველოდან ლუკმა პურის საშოვნელად გადახვეწილი ემიგრანტის ცხოვრება სხვა ქვეყანაში და რა რთულია სინამდვილეში ეს გზა თავისი მიხვეულ-მოხვეული ბარიკადებით და უძილო ღამეებით.

სიყვარულით სავსე მზერა ნელ-ნელა უკან რჩება, ბარგის კონტროლი, ორი მსუქანა ძიას შორის მიღებული ადგილი. თითქმის ჩემს თეძოებზე ჩამომსხდარი ბატონების არა თანაბარი ქშინვა ფონად ედება ბორტგამცილებლის ჩახლეწილ ხმას და ნანასავით ჩამესმის ემოციებისგან დაცლილ, გამოუძინებელ გონებაში, ნელ-ნელა იშლება თვალიდან სახეებიც და ღრმა ძილს ვაძლევ თავს.

არ ვიცი რამდენი ხანი ვიფრინეთ, სავარაუდოდ სამი საათი და ალბათ ერთ სამ საათსაც სიამოვნებით ვიძინებდი, რომ არა გვერდზე მჯდომი სქელუა ძიას მოულოდნელი მუჯლუგუნი...

-ადექი შვილო, ჩამოვფრინდით, ან მე გამატარე და შენ ისევ გააგრძელე ძილი!

ისეთი სახით გავხედე, იმ წამსვე შეაშრა პირზე მომდგარი შემდეგი სიტყვა...

წამოვდექი, ნახევრად ძილ-ბურანში მყოფმა, ჯერ ეს, „ვეშაპი“ გავატარე და მერე მეც ჩავდექი გასასვლელისაკენ დამდგარ უშველებელ რიგში.

მე გერმანიაში ვარ, გავალ აეროპორტიდან და დაიწყება. ახალი ცხოვრება, ახალი თავგადასავლები ახალ ხალხთან ერთად...

მეშინია???

არა, არ მეშინია, მე ვგრძნობ უფალს და მყავს საკუთარი თავი, ესე იგი არ უნდა მეშინოდეს.

წელში გავიმართე, ჩანთას ხელი მოვკიდე და საკუთარ თავში უაზროდ დარწმუნებულმა, ამაყად შევაბიჯე ხალხის მომლოდინე დიდ გასასვლელში...

## მეორე “მე“

დღეს კვირაა, სამუშაოს დაწყების წინა დღე. სამის ნახევარზე გამეღვიძა, კვირას ეპატიება ადამიანს, გვიან გაღვიძება, მითუმეტეს, როცა მარტოხელა ხარ, არც შვილები გახტებიან თავზე და არც ქმარი გთხოვს საუზმის მომზადებას. თუმცა, კვირასაც აქვს თავისი დატვირთვა, დღეს რეცხვის დღეა, უკვე 2 თვეა, რაც სარეცხის მანქანა გამიფუჭდა, ფული ახალის შესაძენად მაქვს, მაგრამ დრო არა. მარტო ყიდვა ხომ არაა, იმას მოტანაც უნდა, მოტანას დამონტაჟება მოჰყვება, რისთვისაც მუშა მჭირდება, მუშას მოძებნა... ამ ყველაფერს კი ისევ იმ ძვირფას დრომდე მივყავართ, რომელიც ამ ბოლო ხანებში, სამწუხაროდ საერთოდ არ მაქვს.

“ა...დე...ქიიი....... “ – სადღაც შორიდან ჩამესმის ხმა, რომელიც ჩემი მეორე მეა, ვგიჟდები??? არა, ზუსტად ვიცი, რომ არ გავგიჟებულვარ, ყველას ჰყავს თავის თავში ჩაკეტილი მეორე მე, რამდენად გამოუშვებ გარეთ, რამდენად გაანთავისუფლებ პირადი ეგოიზმისგან, რამდენად გახდი თავისუფლად მოზროვნეს, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული, რაც შეეხება ჩემს მეორე მეს, მე მას სრული თავისუფლება მივეცი, ვაღიარებ რომ, ძალიან ხშირად ვუჯერებ კიდეც, ის უფრო მოაზროვნეა და კრიზისულ სიტუაციებში უფრო ინტელექტუალი.

ვდგებიიიიიი... ვპასუხობ ცალთვალმოჭუტული და ძილის გაგრძელების იდეაც არ მცილდება გონებიდან. კარგია კვირას ძილი განსაკუთრებით

მაშინ, როცა დილის ექვს საათზე ძილვს წყვიტავ თვალს სერიალს, რომელიც ალბათ ხუთჯერ ჯერ მაინც მაქვს ნანახი თავიდან ბოლომდე.

„ა..დე..ქიიიი… საქმეები გაქვს, ეკლესიაშიც ვერ წახვედი, ცხოვრება ზედმეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ მთელი შუადღე ძილში გაატარო… ადგები თუ…?“

არ ვიცი, რას გულისხმობდა “თუ“ ს მერე, ერთი კი ვიცი, რომ ჩემი მეორე მე, მაშინ ჩნდება, როცა რაღაცას არასწორად ვაკეთებ, ბევრი რამ ვისწავლე მისგან, გაგეცინებათ და მართლაც ბევრი რამ ვისწავლე.

ხშირად, როცა, ხალხის გაბოროტება უკიდეგანოა, როცა დაუნახაობის პიკია, როცა ყოველი სიკეთის შემდეგ ჰგონიათ, რომ გამომიყენეს, როცა ადამიანთა ბოროტ ენებს და ურცხვ ფანტაზიებს საზღვარი არ ააქვს, მე უბრალოდ ვამბობ, რომ გადით ჩემი ცხოვრებიდან უსუსური დაუნახავებოოო და ვცდილობ შევწყვიტო ასეთი ხალხის დახმარება, რომელიც მხოლოდ გამორჩენაზეა ორიენტირებული და აი ამ დროს ჩნდება ისიც, სითბოთი გარემოცული, უბოროტო, საოცრად ჭკვიანი მეორე მე, მახსოვს მისი სიტყვები, როდესაც ერთი ამგვარი სიტუაციის გამო, საოცრად გაბრაზებულმა ლამის ხელი ავიღე დაუნახავი „ბრბოსთვის“ სიკეთის კეთებაზე…ის კი თითქოს სერიოზული არაფერი მომხდარაო ისე მარიგებდა:

„- ვიცი რასაც გრძნობ, ცხოვრება სავსეა იმედგაცრუებებით, მაგრამ შენ ამ ყველაფერზე მაღლა დგახარ, სიკეთეს იმიტომ ხომ არ აკეთებ, რომ ვიღაცამ ტაში დაგიკრას, ვიღაცამ მოგიწონოს, ვიღაცამ სამაგიერო სიკეთითვე გადაგიხადოს, შენ ხომ არ ელოდები ქვაზე დადებულ მადლს, რომელიც აუცილებლად წინ უნდა დაგხვდეს ყოველ გავლაზე, იცი სიკეთის საიდუმლო რაშია? რასაც აკეთებ, შენ უფრო უნდა გსიამოვნებდეს, ვიდრე იმ სხვას, ვისაც უკეთებ, ჩვენ ხომ ზუსტად ამიტომ მოვედით ამ ქვეყნად, რომ ერთმანეთის გატანაში, ერთმანეთის სიკეთით გავისუფთაოთ ცოდვებისაგან დამძიმებული სულები, ეს თუ ვიღაცას არ ესმის, მისი საქმეა, მაგრამ თუ შენი სიკეთით, საკუთარი სულისთვის ბედნიერება მოგაქვს, დაე არ შეწყვიტო საკუთარი სულის ხსნა …. ჰეი ჰეიი, ჩემსავით არავინ არ გიცნობს შენ“ - მეგობრულად მიტყაპუნებს მხარზე ხელს და ვხვდები, როგორც ყოველთვის, ისევ მართალია..!!!

ხოდა მართალიაზე გამახსენდა, რომ ადგომის დროა, ორივე ფეხი სწრაფად გადმოვწიე დივანიდან, რომელიც ხშირად საწოლის ფუნქციასაც ითავსებდა და არეული მზერა მოვავლე ოთახს, დანახული ნათელი მაგალითი იყო, იმისა მართლაც ბევრი საქმე მქონდა და პირველ რიგში დალაგებიდან უნდა დამეწყო.

დღეს კვირაა, კვირა, რომელიც საერთოდ არ გაქვს დასვენების დღეს, მერე რა რომ მარტო ვცხოვრობ, საქმე მაინც ბევრია და ერთი ვიცი, როცა რაღაცისგან თუ ვიღაცისგან დაღლილს, თავში ბოროტი იდეა გამიელვებს, ყოველთვის არსებობს მეორე მე, რომელიც მზადაა , ყველა ჩემს ბოროტ იდეას შეებრძოლოს და თუნდაც კვირა დღეს, ნახევრად ძილ ბურანში მყოფს, მითხრას, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია!!!

## სიკეთე გადამდებია !!!

მეტროს გვერდით იდგა....აქა-იქ შემოგლეჯილი ძველი ქურთუკით კასტილზე დაყრდნობილი, ცალი ხელით და ფეხით, ფაქტიურად ნახევარი კაცი იყო, პატარა მუყაოს ყუთი ედგა წინ და მოწყალებას ითხოვდა. ვინმე კეთილიის მყოფელს, ერთ და ორ ცენტიანებთან ერთად რამდენიმე შოკოლადიც გაემეტებინა.... მეტროს წინ ბარიდან კარგად ვხედავდი მის მუყაოს ყუთს, ხალხი გულგრილად უვლიდა გვერდს. ორი საათი მაინც ვაკვირდებოდი. სულ სამმა ადამიანმა ჩაუყარა ყუთში ფული, იქიდან მხოლოდ ერთმა ჩაუგდო 1€ მეტი, კაცის რეაქციამაც არ დააყოვნა, ინვალიდისთვის შეუფერებელი სისწრაფით ამოიღო ოქროსფერი მონეტა და შარვლის მაგვარ ძონძის ნაგლეჯში საგულდაგულოდ გაახვია.

– არავინ არ ეხმარება, ამ საცოდავს, სინანულით გადავულაპარაკე, ჩემს ავსტრიელ მეგობარს.

-ახალი წლებია. შობა იყო, ხალხს ფული აღარ აქვს, მითუმეტეს ახლა, როცა ამდენი ლტოლვილია-რაღაცნაირად ცივად მპასუხობს. ოკკკეიიიი... შეიძლება მასეცაა, ფიქრებში წასული ვპასუხობ და თვალს არ ვაცილებ ძონძებში გახვეულ მათხოვარს. რამდენიმე წუთის შემდეგ

მათხოვართან ქალმა და პატარა გოგონამ ჩაიარა, ბავშვი მოულოდნელად შეჩერდა, გოგონამ მოურიდებლად ჩაყო მუყაოს ყუთში ხელი და მთელი შოკოლადები ამოიღო.

ქალი, რომელიც სავარაუდოდ დედა უნდა ყოფილიყო, შეცბა და თავის ენაზე დაუწყო გოგონას საუბარი... ჩემი ყურადღება პატარა გოგონამ მიიპყრო, ფეხზე გახუნებული ფეხსაცმელი ეცვა, მარჯვენა ტერფთან გამოხეული ეტყობოდა, სეზონისთვის შეუფერებლი, სამი ზომით დიდი, თხელი ჟაკეტი კოჭებამდე დასთრევდა, გოგონას პატარა მუშტებში მოექცია შოკოლადები, და „დედის" დაჟინებული საუბრის მიუხედავად არაფრით არ აპირებდა დათმობას.

საუბარი არ მესმოდა, ვარაუდით, სირიელები უნდა ყოფილიყვნენ, მოულოდნელად, აქამდე ჩუმად მდგომი მათხოვარი დაიხარა და რამდენიმე წამიანი ქექვის მერე, საიდანღაც 20€ ამოაძვრინა, ქექვა განაგრძო, მუჭით ხურდებიც დაუმატა ქაღალდის ფულს და გაოგნებულ ქალს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა ხელში ჩაუდო... ქალმა თავიდან იუარა და უნებურად რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, ცალ კასტილზე ჩამოკიდებული მათხოვარი, უცნაურად დაიმანჭა, თავი მაღლა ასწია, ქალს რაღაცას ეუბნებოდა და დრო და დრო მაღლა, ცისკენ უთითებდა... არ ვიცი, რა უთხრა მან ქალს, არც ის ვიცი,დაპარაკობდნენ, თუ არა საერთოდ ერთ ენაზე. მახსოვს ამ ქალის ბედნიერი აცრემლებული სახე, ბედნიერება, რომელიც იმ "20"€ **მიღმა** ნამდვილად არ იმალებოდა. მახსოვს ჩემი მეგობრის გაოცებული თვალები....უეცარი წამოხტომა, საფულიდან 50€ ამოღება და გარეთ გავარდნა. კიდევ ერთხელ დავინახე, რომ სიკეთე გადამდებია და საზღვარი არა აქვს......ძონძებში გახვეული სულიერება, რომელსაც ვერანაირი ფულით ვერ იყიდი... აი ისეთი მომინდა, რომ ვიყო, მეუბნება, ქრისტიანი, მას შემდეგ რაც თავისი paul & shark 900€ ქურთუკიც იმ მათხოვარს დაუტოვა....

– ზედმეტი ხომ არ მოგივიდა? - სიცილით ვეკითხები და მეამაყება.

-სიკეთე არასდროსაა ზედმეტი - ძალიან სერიოზულად მპასუხობს და აკანკალებული ხელით აჩერებს უახლოეს ტაქსს....

... არასდროს მინახავს, ასეთი, აკანკალებული, ტუჩებგალურჯებული, მაგრამ ასეთი ბედნიერი ჩემი მეგობარი.... სიკეთე უსასრულოა, სიკეთე

გადამდებია, ვიბადებით იმიტომ რომ, გავიტანოთ ერთმანეთი, წამოვაყენოთ წაქცეული, ხშირად ამ ძალის აღმოჩენას საკუთარ თავში, ძალიან დიდი დრო სჭირდება და მე ვიცნობ ერთ ჩემ მეგობრს, რომელმაც ოცდაცამეტი წლის ასაკში აღმოაჩინა ეს ძალა საკუთარ თავში...

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ სიკეთის კეთების ძალა მეგობრებო!!!

## მამი

არჩევანის უფლება რომ მქონდეს, ერთი ადამიანის სიცოცხლეში გავცლიდი, სხვა, ბევრი ცხოვრებისთვის არასასურველი, არაფრის მომტან და თუნდაც ბევრის მომტან სიცოცხლეს... ძალიან, რომ მოგინდება ვიღაცის უკან დაბრუნება, წარსულიდან მომავალში, თავში ათასგვარი სისულელე, რომ მოგდის, რას გააკეთებდი უბრალოდ უფლება, რომ გქონდეს ვიღაცის უკან დაბრუნების, დაუფიქრებლად რომ მიიღებდი სარისკო გადაწყვეტილებებს, ათობით სიცოცხლეს რომ დადებდი სასწორზე და თუ სასწაულს ღმერთი მოითხოვდა, საკუთარ სიცოცხლესაც ზედ მიაწებებდი, მხოლოდ ერთ კვირას დაიტოვებდი, რომ მასთან ერთად გაგეტარებინა, აი იმასთან, დაუკითხავად რომ წავიდა შენი ცხოვრებიდან. ქუჩის კუთხეში, მჯდომი მათხოვარიც, რომ მის სახეში გერევა, მაღაზიაში, თვალი რომ გიშეშდება, მოსახვევში, კისერი რომ გეღრიცება, სულ რომ გგონია, რომ სადღაც დგას, შენ რომ გრძნობ, ისიც რომ გგრძნობს და მაინც რაღაც სხვა განზომილება და მანძილი გაშორებს ჩახუტებამდე...

...ეხლა აქ რომ იყო, დაფიქრებული, წარბებშეჭმუხნული, მთიური მედიდურობით მეტყოდი, რომ ვინ მომცა უფლება, განვსაჯო, რამდენად ვარგისიანია სხვისი ცხოვრება, რამდენად სასურველია ცხოვრებისთვის ის, აი ის ადამიანები, მე რომ ასე დაუფიქრებლად ვიმეტებ ერთი ადამიანის უკან დასაბრუნებლად...

მე კი გეტყოდი... იცი, ახლა ათი წუთი მაინცაა, წერა შევწყვიტე და ვფიქრობ, რას გეტყოდი მე, შენ ხომ იცი არასოდეს ვყოფილვარ ბოროტი, ხანდახან მგონია, რომ უკვე ცხოვრებისეულ სინაკლეში გადამდის სიკეთე...თავს ვიქებ???

არა, არ ვიქებ, ბევრი ნაკლი მაქვს მე, მაგრამ სიბოროტე არ შემიძლია, ვერ მერევა სიბოროტე, ათასი სხვა ოხერი ცოდვა მერევა, მეჯაჯგურება, მითრევს, სიბოროტე კი ადამიანებისადმი ვერ ვისწავლე ჯერ კიდევ, მაგრამ დღეს სხვა დღეა, აი ისეთი, რაღაცნაირი მარტოსული, ჩლატუნა დღე... მარტოობა ჩემი სტიქიაა, მარტოობის არ მეშინია, შენ ხომ იცი, ისედაც მთელი ცხოვრება მარტო ვარ, მაგრამ აი დღეს, სულის სიმარტოვემ შემაშინა... შენი ბრალია ყველაფერი... აქამდე, სად მე და სად შიში.

...და დღეს? დღეს უბრალოდ სხვა დღეა, აი ისეთი, მთელი, ცხოვრების მანძილზე გაკეთებულ ავკარგიანობას, ერთ ქვაბში რომ ხარშავ, ყველა მიზანი, რომ ერთი მიზნის ქვეშ ერთიანდება, ერთი ჩახუტება, რომ მთელი სიცოცხლის სითბოს უდრის... იცი, კარგია რომ არ მაქვს არჩევანის უფლება..., დღეს ყველა სულელურ იდეაზე თანახმა ვარ, დღეს სიბოროტე ჩემში კი არაა, არამედ მე ვარ თავად სიბოროტე... დღეს, მე უბრალოდ ყველაფერს გავაკეთებდი, იმისთვის რომ, შენ დაბრუნდე წარსულიდან...

...და დღეს, მე ჩვეულებისამებრ გავალ ნაწვიმარ ქუჩებში, ჩვეულებისამებრ გამოველაპარაკები სახლის კუთხეში მჯდომ მათხოვარს, რომელიც თავს თითქმის არასოდეს წევს მაღლა, ჩვეულებისამებრ ვილაპარაკებ ხმამაღლა, ჩვეულებისამებრ, შემომხედავენ გამვლელები, როგორც გიჟს, ჩვეულებისამებრ დავიჯერებ, რომ ყველაგან და ყველაფერში შენ ხარ და საერთოდაც ყველაფერი ისეა, როგორც უკან წარსულში, უბრალოდ განზომილებები შეიცვალა, მე ამას, ისედაც ყოველდღე ვაჯერებ თავს......

..... და ხვალ, ალბათ ხვალაც არ მექნება ნატვრისთვალი.....

# ქეთი გეგუჩაძე

## შტრიხები მეგობრის პორტრეტისათვის




ქეთი /ქეთევან/ გეგუჩაძე, ბათუმელი, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორი, პროფესორი, პოლიტოლოგთა საერთაშორისო ასოცია-ციის წევრი, ლექტორი

სამუშაო ოთახში შემოვიდა ატმის ყვავილივით ვარდისფერი, სიფ-რიფანა, ალისფერთმიანი, სამსახურის მაძიებელი ახალგაზრდა ქალი, მტკიცედ მოითხოვა დასაქმება, დაწერა განცხადება და უხმოდ წავიდა. მეორე დღეს აჭარის კულტურის მინისტრის ბრძანებით სამინისტროს აპარატში დაიწყო მუშაობა. ასეთი იყო მისი სამ წინადადებიანი განც-ხადებით მიღებული შთაბეჭდილება. შემდეგ დადგა ნანატრი თავი-სუფლება და სკვარამში ჩაფლული მოსახლეობა ვერაფრით ხვდებოდა თუ რა უნდა ეკეთებინა. ქეთინო მაინც პოულობდა სიბნელეში შუქს, სრულ-ყოფდა ინგლისურს, ეუფლებოდა კომპიუტერს, მონაწილეობდა საერთა-შორისო საგანმანათლებლო პროექტებში, მოგზაურობდა თავისი გამარჯვებული თემების კვალდაკვალ, კითხულობდა ლექციებს უნივერ-სიტეტში და საბოლოოდ ამერიკაში მიიწვიეს ერთწლიანი პროგრამით. მუშაობდა კონგრესში, ეუფლებოდა სხვადასხვა პროფესიებს; ახლაც სწავლობს, კითხულობს, იბრძვის. იცის, თუ რამდენი შრომაა საჭირო, რათა უცხო ქვეყანაში ღირსეულად დაიმკვიდრო თავი. ახლა, როდესაც ეს კრებული იბეჭდებოდა ქეთიმ უკვე ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

მიზანმიმართული, ასკეტური, შრომისმოყვარე, მტკიცე და საქმიანი ქალბატონის უკან მეორე პიროვნება იმალება-ცრემლიანი, სევდიანი, რომანტიკული, პოეტური, სიყვარულით და დადებითი გრძნობებით დახუნძლული, გულჩვილი, კეთილი, ალალ-მართალი, სათუთი, გულწრფელი და ნაკადულივით სუფთა. ახლობლებისა და მეგობრებისათვის თავდადებული, სხვისი სიხარულის და სევდის გამზიარებელი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, გადარეული დედა და მაინც 16 წლის გოგონასავით გაცისკროვნებული და მეოცნებე. ერთგან წერს „ასე მგონია დედა მომეფერება სახლში დაბრუნებულს, დედა შემეგებება სახლში დაბრუნებულს"......მაგრამ სამწუხაროდ დედის „სიცოცხლე თოვლის მოფარფატე ფიფქივით გაქრა" და დაუტირებელი დედა სიზმრებში ეფერება და ეძახის..."ქეთი, შვილო".

უსაშველოდ ტკივილიანია ემიგრანტის ცხოვრება, მაგრამ ჩვენ, მისი მეგობრები მოუთმენლად ველოდებით მის დაბრუნებას, რათა გული გავუთბოთ, მოვეფეროთ დაშემდგომი შეხვედრების სიხარულის ხელახალი განცდის იმედით ვიცხოვროთ.

მადონა მჟავანაძე, ბათუმი,
2017 წელი, აპრილი

## შუაგულ ამერიკაში გაბნეულები

„გამოადგი ფეხი ბიჭო... ბაბუაშენ ნიკოლოზას სტრასბურგის კოფე არ დაულევია, მარა ასი წლის იყო მიქელას რომ ჩავაბარეთ. დაგვაგვიანდება და შენს კუბოს დავდგამ ილოდე...

რა გაღრიალებს ამ შუაგულ ამერიკაში თუ კაცი ხარ...მაცალე სულის ამოთქმა...

სულის ამოთქმა თუ არა მამაშენის დაწურულ ღვინოს არ სვამდე ახლა"...

ასე შემხვდა ნიუ-იორკის ცენტრალური სადგური მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე.

გამეღიმა... ფეხს ავუჩქარე... გამარჯობათ ქართველებო... გულში ვესალმებოდი... ისინი, კი, ისე უცებ გაუჩინარდნენ ამ „შუაგულ ამე-

რიკაში“, რომ თვალი ვერ მოვკარი... ზუზუნებს და ბობოქრობს ცენტრალური სადგური... გეგონება მთელი დუნიაა აქ თავშეყრილიო... მიდი ახლა და ეძებე ამ ზღვა ხალხში ეს ორი ქართველი...

ტიტუ, ეს რა მითხარი... რას ქვია არ მოდიხარ.... რავა ახლა მოუნდა ბებიაშენს ავად გახდომა... ბონდოიეს ცოლმაც მასე მითხრა... ბაბუაა შეუძლოდ... რავა, ეს დამოუკიდებლობის დღე მარტო ჩემთვისაა თუ ყველაზე მიცლილი მე მნახეთ...

ბოულინ გრინისკენ მიმავალ მატარებელში შევადგი თუ არა ფეხი, მომესმა ქართული ვიშვიში....

ახლა კი გულიანად გამეცინა და კუთხეში მიკუჭულ ქალბატონს კაი გამარჯობა ვუთხარი.... ისე გაუხარდა, თითქოს ათი წლის უნახავი ბიძაშვილი ვიყავი მისი... მერე ის რომ ვუთხარი ერთი გზა გვქონდა და სულ მალე უნდა ჩავსულიყავით, იმდენი მლოცა კაი ხანი მეყოფა ყველა სურვილის შესასრულებლად....სულ დალოცვილი იარე და მალე წასულიყავი სახლშიო...

სახლი....

სახლისკენ არა, მაგრამ იმ ადგილისკენ კი მივიჩქაროდით, სადაც ქართულ დროშებს მოვკარით თვალი....

სულ ასიოდე ქართველი შეკრებილიყო დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად.

ქართული დროშა აღიმართა ნიუ-იორკის ცათამბჯენებს შორის. საქართველოს ჰიმნიც შესრულდა...ლამაზად ...გულით...სიყვარულით შესრულებული საქართველოს ჰიმნი....

აქციას არაპოლიტიკური და არაპარტიული ხასიათი აქვსო-გვამცნო შეკრების ორგანიზატორმა. ისე მტერი...ისეთი ლოზუნგები და გამოსვლები იყო, პუტინი კაი კაცი რომ იყოს .....შერცხვებოდა და გადადგებოდა. ქართველებს არც უკრაინელები ჩამორჩნენ; მერე საიდანღაც პოლონელი გამოჩნდა და იმანაც კარგა გვარიანად „შეამკო“ რუსეთის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა.

ნოე ჟორდანიას შვილი, ბატონი რეჯებ ჟორდანია დამტვრეული ქართულით მიესალმა აქციის მონაწილეებს და ინგლისურად გააგრძელა მოკლე სიტყვა...საქართველოს აყვავება და გაბრწყინება უსურვა....

წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვკარი თვალი. თუმცა ვინ გაიგებს ამათ ამბავს... წინა ხელიხუფლება.... ახალი ხელისუფ-ლება....სულ ერთი არაა ...?! ხელისუფლება ხელისუფლებაა. სამ მილიონს რომ ვერ მოუვლი, რაღა ხელისუფლება ხარ მაშინ...არა მგონია მეტი იყოს დარჩენილი საქართველოში....სამი მილიონი.... სამიც უცხოეთში... თუ იმ ოთხ თუ ხუთს მივუმატებთ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო სხვადასხვა ქვეყნებში რომ ცხოვრობს?!...ბევრნი ვყოფილვართ... ჯერ კიდევ ბევრნი ვართ ჩვენი პატარა საქართველოსთვის... თუმცა.... „ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს, ჩემი სამშობლო დიდების ღირსი“...

სიტყვა გამიგრძელდა.ყოფილი ჩინოვნიკების შესახებ მოგახსე-ნებდით ... მოკრძალებულად იდგნენ დროშებით ხელში... არც დრო იყო და არც შესაფერისი ადგილი თორემ ... ერთ ერთ ყოფილ მინისტრს ნაღვილად მოუწევდა პასუხის გაცემა კითხვაზე თუ რატომ გააუბედურ- გააუცხოეს განათლების სისტემა....თავს შევატყვე სიბრაზე როგორ მერეოდა და ...

„ასა“ ... შემომესმა პატარების ხმა... „განდაგანა“ ... ვის ახსოვს მინისტრი....

ჩემი კუთხის „განდაგანა“... ჩემი ქართული „განდაგანა“....პატარები ერთმანეთს ენაცვლებიან... „კინტაური“... ....ლამაზი სანახაობაა...გული ლამისაა ამოვარდეს ბუდიდან... ცრემლები....ჩემს უკან სლუკუნი შემომეს-მა.... აგაშენა ღმერთმა.... მარტო მე არ ვარ ...ცრემლებს ბევრი ველარ მალავს....

ორსართულიანი ტურისტული ავტობუსები სვლას ანელებენ....ფეხზე წამომდგარი უცხოელები ტაშს უკრავენ და ცერის აწევით თავიანთ მოწონებას გამოხატავენ.... აქცია დასასრულს უახლოვდებოდა...ეგრეთ წოდებული „ჩაკბეჩილი ვაშლის“ ტელეფონს ისე უხერხულად ვატრიალებდი ხელში აღბათ სახეზე მეწერა სურათის გადაღება რომ მინდოდა... ერთმა ტელეფონი გამომართვა...მეორემ ხელი მომხვია და... რავა კაი შეყვა-რებულებივით სურათი გამოგვივაო...შეყვარებულის რა მოგახსენოთ და ქართველები ხომ ვართ და ვართ... შევცინე ახოვან ქართველს... არც სახელი ვიცი მათი და არც სადაურობა... ქართველები ვიყავით ირგვლივ ყველანი... საქართველოს დროშა კი ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ამაყად ფრიალებდა ნიუ-იორკის ცათამბჯენებს შორის... უკან ვბრუნდებოდი...
..პატარა ქუჩა გადავჭერი და მატარებლის სადგურისკენ მივიჩქაროდი... ნოე ჟორდანიას ვაჟი ჩამომჯდარიყო სკვერში... სივრცეს გაჰყურებდა...

გასაცოდავებულ-გაუბედურებული გამომეტყველება ... არ მომჩვენებია... ასეთი იყო.... გული დამეთუთქა...ისეთივე გასაცოდავებული და გაუბედურებული... ასაკოვანი და მოტეხილი როგორც ჩვენი საქართველო...

## 90 იანი წლები, ბათუმი

„თუ ქარი იყო, თოვლი იყო და ქვეყანა ინგრეოდა, შენ რა გიხაროდა შე უპატრონოო.... ყველაფერი იყო....ქვეყანაც ინგრეოდა და მე მიხაროდა“....

გვიხაროდა და ზურიკელასავით ვიყავით შეყვარებული.... ერთმანეთი გვიყვარდა....შუქი დავინახეთ იქ, სადაც პატარა სანთლის უსუსური ნათელიც კი არსად ჩანდა....ანა დავინახეთ.... ანას მოვუსმინეთ... მოვეფერეთ.... გულში ჩავიხუტეთ ...ფეხქვეშ ფიანდაზად დავუგეთ შემოდგომის ფოთლები....ზღვა ყვავილები....ზღვა სიყვარული....

„ღამის სახლში შემოიჭრას თუთა“...
„მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების ტრფობა გაგვყოლია“....
„ქარი გიმღერის ნანასა“...
ქვეყანა კი ღამის იყო ინგრეოდა....

## ახლახან ამერიკაში

“ქარი გიმღერის ნანასა“.... სამშობლოდან გადახვეწილი ოთხი ქართველი გულის კვნესით მღეროდა ბრაიტონზე „შუაგულ ამერიკაში“ ერთ ერთ ქართულ მაღაზიაში, სადაც ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ შევდივარ, რომ ქართული სული დავინახო....

დავინახე ... მოვუსმინე.... კარგა გვარიანი სლუკუნ-სლუკუნით გამოვვარდი ქუჩაში....

„სხვა საქართველო სად არის“...კარგა ხანი ჩამესმოდა სიმღერა კი არა...კვნესა... „შუაგული ამერიკა“ კი ზუზუნებდა.... თუმცა... არა მგონია ქართველების კვნესა აქაც და მაქაც ვინმეს ესმოდეს....

არადა, ჩვენ კიდევ სულ ვღიღინებთ ...ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ო ლ ა მ ა ზ ო ო.... აქაც და მაქაც....

და ისევ ღამისაა დაინგრეს ქვეყანა....

## შენ უნდა იფრინო....

გინახავთ, როგორ აგროვებს ჭიაღუებს ჩიტი თავისი პატარა ნისკარტით?...საოცრებაა...დავინახე და თვალებს არ დავუჯერე... ნისკარტგამოტენილი თითქოს ერთი წამით დაფიქრდა კიდევ ერთი ჭიაღუას ადგილი ხომ არა მაქვსო.... არ გაფრინდა, სანამ მთლად არ გაივსო პირი... ასე მეგონა ახლა კი დაუცვივდება ყველა მეთქი, მაგრამ არა... გაფრინდა.... აღბათ ბევრი ბარტყი ელოდებოდა ... შვილებს მშიერს ხომ არ დატოვებდა?!

ბარტყებს მშობლები უკვე ფრენას ასწავლიან... ხან ერთი დავარდება მიწაზე და ხან მეორე...საცოდაობაა ამათი ყურება... მშობლები მანამ არ სცილდებიან, სანამ პატარა თავს ძალას არ დაატანს და არ აფრინდება.... ეს კიდევ არაფერი.... უკვე ორი მანქანა დავინახედროშასავით აღმართული დიდი ტილოთი საოცარი წარწერით: ფრთხილად იარეთ, ბარტყები ფრენას სწავლობენ.... გიჟური ტარება... ჩემეული ფრენა... აღარც მე მიცდია უკვე სამი დღეა მას შემდეგ, რაც ერთი ბარტყი ღამის იყო ჩემს წინ დავარდა... დედა ჩიტი ჭყივილით დაეშვა საიდანღაც და უცებ ფრთებქვეშ შეუცურდა შვილს...

აქა ვარ ნუ გეშინია დედა... შენ ოღონდ ფრთები არ დაუშვა... არა-სოდეს... გესმის.... არასოდეს.... შენ უნდა იფრინო....

დედა–შვილი ხისკენ გაფრინდა... მათი ჟღურტული საოცრება იყო... ერთმანეთს ამშვიდებდნენ აღბათ...

ნუ გეშინია დე... მე ცოცხალი ვარ....

ნუ შემაშინებ დე... მაღლა-მაღლა იფრინე დეეეეეეეეეეეეეეე.. კიდევ ცოტაც და ბარტყები უკვე თავისუფლად ინავარდებენ მაღლა ცაში... დედის გარეშე....მაგრამ შორს არსად წავლენ... თავიანთ ბუდესთან ახლოს ყოფნა ყველაფერს ურჩევნიათ....შორსაც რომ მოუწიოთ გაფრენა იციან ...აღბათ იციან.... დედა სადღაც ახლოსაა... დედის ხმა სულ ჩაესმით...

ნუ გეშინია დედა... იფრინე... მე სულ შენს გვერდით ვარ....

## მეზღვაურს სალამი...

მენატრები მა.. ეს რა ღიმილია ჰა მა? აააა... იცი რომ მენატ-რები?...რას მეუბნები მამი? ... რა ვქნა, მე შენ სულ მენატრები!...

იცი მა...

აუ, ის თუ გაიგე მა...

ხო მამა, სამწუხაროდ ეს ასეა…

არა მა... არც გვშია და არც გვწყურია... ...

როგორ მომნატრებია შენთან საუბარი...

გახსოვს ფერიაში რომ ამოვიდოდი… დავჯდებოდი შენთან და შენს ჭაღარა და ზღვის ჰაერისაგან შეყვითლებულ თმებს მოვეფერებოდი... ჩუმად გეტყოდი... მენატრები მამა....

რამდენს ვლაპარაკობდით... არა, შენ როგორც ყოველთვის მის-მენდი... მე კი მოგიყვებოდი ცის და მიწის ამბებს...ხო კაი ახლა, ნუ იღი-მები შენი ლამაზი ღიმილით… ცის და მიწის ამბები რა ჩვენი საქმეაო არა მა?... მართალი ხარ, ჩვენ ყოველთვის ერთმანეთის სიხარულით და ტკივილით ვიყავით დაკავებული. სიხარულს ვაფრქვევდით ირგვლივ...

ტკივილი კი... ტკივილიც უსაშველო ვიცოდით...გულამომჯდარი ტკივი-ლი ვიცოდით ყოველთვის პაპა...უსაშველო ნუ იცით ყველაფერი მამა–

შვილმაო... დედა სულ გვებუზღუნებოდა... რა გვექნა... ასეთი ვიყავით და ასეთი ვართ... ტკივილის უსაშველო განცდა გვაქვს....

ის თუ გახსოვს შენი მოსიყვარულე და-ძმანი

რომ დაჯდებოდით და სიმღერას დაიწყებდით. შენ არასოდეს ა იცოდი სიტყვები, მაგრამ ისეთ ბანს დააგუგუნებდი... სიტყვები... რა საჭიროა სიტყვები თუ გული მღერისო.... გული კი ყოველთვის მღეროდა... უხმოდ... უსიტყვოდ... სული მღეროდა... შენ სახლში იყავი შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებული და ყველაფერი სხვანაირ ელფერს იძენდა... შენი გული მღეროდა მამა და ჩვენც ბედნიერები ვიყავით....სული მღეროდა...

ის თუ გახსოვს ყოველი გამოცდის შემდეგ დეპეშას რომ გიგზავნიდი... აუუუ... რა დროა გასულიიიიი.... ფრიადი, გკოცნი, მიყვარხარ, მენატრები... და ასე, ყოველი გამოცდის შემდეგ... ეკიპაჟის წევრები ხშირად მეუბნებოდნენ: მამაშენი შენი გამოცდების დღეებში ისეთი ბედნიერი სახით დადის, ვნატრულობთ ყოველთვის გამოცდები გქონდეთო... დეპეშით ხელში გემბანიდან გემბანზე დადიოდი ამაყად თურმე.... ფრიადი... ფრიადი... როგორ მიხაროდა შენი გახარება მა...

მა გახსოვს?...

აი ის თუ გახსოვს მა...

ის როგორ იყო მამა....

როგორ უსაშველოდ მომნატრებია შენთან საუბარი....

...ჩვენ ყველას რაღაც ძალას გვაძლევდი...უხმოდ... უსიტყვოდ... უბრალოდ შენი ლამაზი ღიმილით...ჭიანჭველას ფეხი არ დაადგათ, ცოდოაო... ეს იყო შენი დარიგება... არა... გამახსენდა... ერთხელ ისე, თითქოს სხვათაშორის თქვი... ეცადეთ საკუთარ თავთან იყოთ ყოველთვის მართალიო... ვცდილობთ ... ვცდილობთ... მაგრამ...

...მაინც რა ძალა აქვს შენს სიყვარულს, საოცარია.. მშობლიური სიყვარულის უბერებელი ძალა... ჩვენ ყველანი დავბერდით... შენი სიყვარული კი ისევ ისეთი უბერებელია როგორიც 24 წლის წინ იყო....როგორ გემუდარებოდი 24 წლის წინათ....არ დამტოვო.. არ მიღალატო...კაი მა...აღარ გავიხსენებ იმ დღეს... აღარ ვიტირებ... შენ ხომ ცრემლები არ გიყვარს...არადა რა გვაქვს სატირალი არა მა? ...შვილები... შვილიშვილები....შვილთაშვილები...აი როგორი დიდი ოჯახია უკვე ...სიყვარული ისევ ტრიალებს შენს ოჯახში...სითბო... ღიმილი...და მაინც.. ...რა საოცარი იყო შენი მონატრება... ყოველთვის მონატრება... სულ

მონატრება.... მუდამ მონატრება.... როგორ გიჭირდა სახლიდან შორს ყოფნა....30 წელი ხმელეთი გენატრებოდა...მერე .... ცოტას დაისვენებდი და... ზღვა გენატრებოდა....და ასე 30 წელი...

... მაშინაც ვიცოდი... არა... ვგრძნობდი როგორ გიჭირდა... ახლა კი მე ვარ გადახვეწილი და სული მეწვის... სული ტირის... თურმე როგორ გენატრებოდა შენი კუთხე...სახლი...კერა...

...მეც მენატრება ...ძალიან მენატრება... ჩემი კუთხე... სახლი... კერა...შვილის ჩახუტება... დედის მოფერება...ზღვაც მენატრება... ჰაერიც... შენთან მოსვლა მენატრება...შენთან მომავალ გზაზე მამიდას დავხედავდი...ბიძებს მივეალერსებოდი...ესეც კი სანატრელი გახდა ... არა.. არ ვწუწუნებ... რა გვაქვს სატირალ-საწუწუნო... რაც მთავარია ყველანი კარგად არიან... მონატრება კი... ადამიანები ვართ და უნდა გვენატრებოდეს... უნდა გვიყვარდეს... უნდა გვიხაროდეს... უნდა ვიღიმოდეთ... ასე გაატარე შენ ცხოვრება და მე ხომ შენი შვილი ვარ...

შეიძლება გაგიკვირდეს მაგრამ უნდა გითხრა ....ასე მგონია დედა მომეფერება სახლში დაბრუნებულს....დედა შემეგებება სახლში დაბრუნებულს....

როგორ უსაშველოდ მომნატრებია .....

# გამობჟუტურულები

ერთი ყუდაბა გვქონდა... ვინც რუსულ სიტყვას გადმოქართულებულად იტყოდა.. აი ისე „მე რომ მამამ პარიზში წამიღო" ...ქართულს დაამახინჯებდა.... რუსული კი ოლღა ბებიას ზურიკელასავით ეცოდინებოდა... ყუდაბაში გარკვეული თანხა უნდა ჩაედო....საკმაო თანხა გროვდებოდა...

ცნობისმოყვარეობის გამო, თორემ .... გლობალიზაციამ რომ კარგა ხანია უფსკრულში ჩაგვითრია ამას ყველა ვხვდებით....ხოდა ცნობისმოყვარეობის გამო... შესაძლებლობა რატომ იქცა შანსად... შემოქმედებითობა კრეატიულობად ...კიდევ? ...პრომო ...პერფორმანსი ...დეტექცია ...რელევანტურობა... რავაა საქმე თუ იცით... ისე გადავგვარდით რომ საქართველოში ქართულად ველარ ვლაპარაკობთ? ...

პრომოუშენიო.... კრეატივიო.... ჯანდაბაო და ოხრობაო.... ბატონი ოტია რომ იტყოდა - „რას ბჟუტურობს ნეტავი ეს ხალხიო"...

გადაგვარებულ- გაგლობალიზებულ სიტყვებს რომ თავი მოვუყაროთ და ყუდაბაში მოვათავსოთ ამერიკული დოლარი ან ევროკავშირის ევრო.... ყოველ სიტყვაზე.... ყოველ დამახინჯებულ, გადაგვარებულ ქართულ სიტყვაზე თანხა თუ ჩაიდება ყუდაბაში....ის ბავშვი თუ გადარჩებოდა მშიერი რომ ჩააკვდა დედას ხელში რომელიღაც სოფელში....ის პატარა ბიჭი, რომელიც ზამთარ ზაფხულ ლიმონს ყიდის ოჯახის გამოსაკვებად ერთ წყვილ ფეხსაცმელს თუ იყიდდა....ის მოხუცი რომელიც ცხელ კერძს ნატრულობს თუ დაპურდებოდა ერთხელ მაინც?! ...ან კიდევ.... ან კიდევ.... ან კიდევ...

....რას ბჟუტურობს ეს ხალხი?

.....გლობალიზაცია მაინც სულ მალე გაგვაქრობს... მაგრამ მაინც

....რატომ ვაჩქარებთ ამ პროცესს ხელოვნურად...

***

ვფიქრობ.... რა ბედნიერებაა იჯდე საკუთარ მაგიდასთან, საკუთარ ოჯახში, შვილის მოდუღებულ ყავას ნეტარებით მიირთმევდე და .... ქაღალდზე გადაგქონდეს ის, რისი გაზიარება სხვისთვის გინდა... ან კიდევ... საკუთარი თავისთვის... იმიტომ, რომ თუ ქაღალდზე არ გადაიტანე, შეიძლება ძალიან შეგაწუხოს....გულმა ვერ დაიტიოს იქნებ და მერე გულის გარეშე როგორ იცხოვრებ?!... გული კი იძახის.... მიშველეთ...

ვაი რომ მე არასოდეს მექნება დრო რომ....გულს ვუშველო....

მე არასოდეს მქონდა დრო.... და სიცოცხლე თოვლის მოფარფატე ფიფქივით გაქრა....

## ბურუნდუკი

ქალბატონი ხათუნა შავგულიძის ლექსი „მონატრება"....არა მხოლოდ ჩემი თვალების დაწითლებ-დასიების მიზეზი გახდა არამედ.... ღამის იყო პოლიციაში ამომაყოფინა თავი...

"მონატრება" ....

იმდენი ვიტირე რომ ღამის იყო გული შემიღონდა...მერე ვიფიქრე ახლა თუ არ „ვიფრინე" კაი დღე არ დამადგება მეთქი...ფრენა კი... 85 მილი საათში....კაი ხანი ასე „ ვიფრენდი" ერთი პატარა ცხოველი რომ არა....

ციყვის დეიდაშვილია მგონი... ან მამიდაშვილი... ბურუნდუკი... მოკლედ, ეს ციყვის რომელიღაცა ნათესავი ისეთი პატარა და მკვირცხლია, რომ თვალს ვერ მოკრავ ისე გადმოგიხტება წინ და გაუჩინარდება...

ხოდა მივქრივარ..... მივფრინავ დღეს და ....ღრუბლებში დავფრინავ ღამისაა... თვალის მოკვრა ვერ მოვასწარი რა იყო... მაგრამ ასეთი პატარა და სწრაფი მხოლოდ ჩიპმანკი, ჩვენებურად ბურუნდუკი იქნებოდა...მანქანა არ გამიჩერებია... ვერ ვიგრძენი რომ გადავუარე და ვიფიქრე აღბათ მოასწრო გაქცევა თქო... 5 წუთი ვაიმედე თავი... არ მომიკლავს მეთქი.... მერე ვერც მივხვდი რატომ ვტიროდი....

მანქანა შემოვაბრუნე.... ძებნა დავუწყე.... თუ საბურავის ქვეშ მოყვა გზაზე იქნება ნაკვალევი მეთქი....

საყვირის ხმა რომ მომესმა, მივხვდი უკან რამდენიმე მანქანა მომყვებოდა...ავარიული შუქები ჩავრთე... რამდენჯერ ავუყევი და ჩავუყევი გზას აღარ მახსოვს..

მძღოლები ხელით მანიშნებდნენ რაიმე დახმარება ხომ არ გინდაო....

ცრემლებიანი .... უაზრო ღიმილით მადლობას ვუხდიდი ყველას ვინც კი გზას ამიქცევდა ...დიდი მადლობა... არ მინდა თქვენი დახმარება მეთქი.... აბა იმას ხომ არ ვეტყოდა ამ უცხო ხალხს... ჩიპმანკი შემომაკვდა მგონია და ვეძებ, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება შველა მეთქი....

შვებით ამოვისუნთქე.... არსად იყო „უბედური შემთხვევის" ნაკვალევი....არადა, რომ არ მენახა და გზა გამეგრძელებია.... ვერ მოვისვენებდი.... ხათუნა შავგულიძის ლექსის გამო წინა ღამის უძინარი ვიყავი და მეორე ღამეც რომ ტირილში გამეტარებინა, არ ივარგებდა.... ნამეტარი იქნებოდა....

ბურუნდუკის დატირებას როგორმე გადავიტანდი მაგრამ ........ ჩემს უკან ჩამწკრივებული მანქანის რომელიმე მძღოლს, რომ პოლიციაში დაერეკა, საგზაო წესების დარღვევას არ მაკმარებდნენ....ციყვის მამიდაშვილ თუ დეიდაშვილის გამო ღამის იყო მოძრაობა გადავკეტე... პოლიციასთან კი .... ხუმრობა არ შეიძლება... ან.... შეიძლება.... ვინ იცის...

მაინც რა კარგია იმის განცდა რომ....ბურუნდუკი ცოცხალია...ან...ვინ იცის..

## ბატები ბატონო, ბატები...

მეხსიერებაში ჩამრჩა ბავშვობიდან.... ბიძაჩემი, თუ დრო ჰქონდა, ჩაგვსვამდა მანქანაში და ჰერიო.... ციხისძირის და ჩაქვის მიდამოები ზეპირად ვიცოდით.... თუ გზაზე მილიციის მანქანას დაინახავდა" ჩასაფრებულს", შემხვედრ მანქანებს შუქს აუციმციმებდა... გააფრთხილებდა... სიჩქარეს დაუკლეითო....

ამ სამიოდე კვირის წინ დავქრივარ თუ დავფრინავ ჩემებურად და... თვალი მოვკარი გარეული ბატები ჩამწკრივებულიყვნენ... გზას ნელი ფართხუნით მიუყვებოდნენ....ერთი ტბიდან მეორეში გადაფრენა შეეზარათ ალბათ და ნელი ყიყინით გზის გადაკვეთა სურდათ.... სურდათ და კიდევაც გადადიოდნენ.... აუჩქარებლად.... აბა, ფრთებს ხომ არ აუჩქარებდნენ... არიქა მანქანამ არ გაგვიტანოსო..... მერე შუა გზაში დასვენება გადაწყვიტეს და... აუუუუ... ახლა კი ნამეტანია მეთქი ვიფიქრე....როგორც იყო შემოვუარე შიშით და თვალებცეცებით, რომელიმე საბურავის ქვეშ არ მოყვეს მეთქი.... ის იყო სამშვიდობოს გავედი და ....შემხვედრი მანქანა დავინახე... საკმაოდ სწრაფად მოჰქროდა... ავუციმციმე შუქი... როგორც ბიძაჩემისგან მახსოვდა..... ასე გავიარე კარგა მანძილი.... ყველა შემხვედრს შუქით ვანიშნებდი რომ გზაზე რაღაც საფრთხე იყო..... ცალი თვალით სარკეში ვამოწმებდი თუ უკლებდნენ სიჩქარეს.... ის იყო ვიფიქრე ამ ბოლო მანქანასაც გავაფრთხილებ მეთქი და ... ავუციმციმე შუქი.... ასე არ უნდაო და ჩართო ყველა შუქი... წითელი და ლურჯი...თან... გადააყენეთ მანქანაო.... მტერი ისე მოგექცეთ როგორც მე მაშინ.... პოლიციის მანქანა ვერ შემიმჩნევიაბატების გადარჩენის ცდაში.... ხოდა....თქვენი საბუთებიო... გადავაწოდე.... ხომ არ გინდათ რომ მანქანიდან გადმოვიდე მეთქი... არაო.... იფიქრა გული არ შეუწუხდეს ამ გაფითრებულ ქალსო.... ქალბატონო, შუქის არაკანონიერი გამოყენებისთვის ჯარიმას გადაიხდითო.... შეტყობინება რომ მოგივათ, შეგიძლიათ გაასაჩივროთო .... მერე თავის მანქანასთან მივიდა და განყოფილებას ჩემი მონაცემები გადასცა.... დაბრუნდა და.... პოლიციას არასოდეს გაუჩერებიხართო?... არა, ბატონო

...კანონმორჩილი ვარ მეთქი.... აბა იმას ხომ არ ვეტყოდი ფრენის სურვილი რომ მაქვს... 90 მილი საათში მეცოტავება მეთქი....ფრენის სურვილი კი.... ნუ იკითხავ და სულ მაქვს....

ატრიალა ეს ჩემი საბუთები ხელში პოლიციელმა.... საიდან ხარო.... ჯეორჯია...ღიმილი ვცადე... ახლა მართლა გაკვირვებით შემომხედა.... გავიცინე.... არა, ბატონო ჯორჯია შტატი არა... ქვეყანაა მეთქი.... გაგონილი კი ქონია...ახლა მე გამიკვირდა.... მარა ხომ არ ვკითხავდი საიდან მოხვდი იმ ალბათ ერთი პროცენტი ამერიკელების რიცხვში, რომლებმაც ჯორჯია იციან თქო....

რატომ აციმციმებდი შუქსო..... ბატები ბატონო... ბატებია გზაზე და ვაფრთხილებდი შემხვედრ მძღოლებს მეთქი.... ხოოოოოოოო..... კარგიო.... მაგრამ იცოდე.... ეს უკანასკნელი იყოს... შუქის არაკანონიერი გამოყენება კანონით ისჯებაო....ფრთხილად იარეთო და ბედნიერი დღე მისურვა....

შეხვედრა პოლიციელთან მშვიდობიანად დამთავრდა.... გზის პირას გადაყენებული მანქანა მაშინვე შემოვაბრუნე და თითქმის უკან გავყევი.... ისე მოვახერხე, რომ მხოლოდ რამოდენიმე მანქანა იყო ჩვენს შორის მხოლოდ....რომ გამაჩეროს უკან რატომ მომყვებიო? ... ბატები.... ისევ ბატები.... აბა მეტი რა უნდა მეთქვა.... პოლიციელმა ტბასთან ისევ ააციმციმა წითელი და ლურჯი შუქი.... მანქანიდან გადმოვიდა.... ნელი სვლით ჩავუარე.... ტბას გასცქეროდა.... ნეტავი ჩემი სიტყვების სიმართლეს ამოწმებდა თუ.... ბატების ბედი აწუხებდა.....მშვიდობით თუ გადაკვეთეს გზაო....ვინ იცის.....შეიძლება მასაც უნდოდა ფრთები ჰქონოდა რომ.... ვინ იცის....

# სიხარულის ფოსტალიონი

ვიცოდით ფოსტალიონი როდის შემოუხვევდა ჩვენი ქუჩისკენ...

ჭიშკართან ველოდებოდი ყოველთვის...

დამინახავდა... გაიღიმებდა...

ეს იმის ნიშანი იყო რომ... მამას ტელეგრამა ჰქონდა გაცრეცილ ჩანთაში ჩვენს ფოსტალიონს, რომელიც დამტვრეული ქართულით, მაგრამ აუცილებლად ქართულად მოგვესალმებოდა ...

მიყვარხართ, მენატრებით, გკოცნით, თავს მიხედეთ...

სულ ეს იყო.... მაგრამ ეს ჩვენთვის სიყვარული იყო ...მონატრება იყო... და დიდი იმედი იყო.... იმედი რომ მამა სადღაც შორს... შოორს ...ოკეანში იყო და ჩვენზე ფიქრობდა.... სულით ჩვენთან იყო....

ჩვენი ფოსტალიონი ჭიშკართან სკამზე ჩამომჯდარი იცდიდა... ყველაფერი კარგად არი? ...კი ოლია... კი პაპა კარგად არის... მერე დედა მისთვის შენახულ ნუგბარს ჩაუდებდა გაცრეცილ დაკემსილ ჩანთაში...

...და მიდიოდა ჩვენი ფოსტალიონი ... ზურგზე მოგდებული ფოსტალიონის ძველი ჩანთით.... მიდიოდა და მიჰქონდა სიხარული.... სიყვარული.... იმედი.... ქორწილი...ტირილი... და კიდევ... ღიმილი...

... სიყვარულის ფოსტალიონო...დაიარე ძველებურად ყველა ქუჩა ....

# ინგა გოგიბერიძე-პროზაიკოსი



2002-2006 წლებში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში

## ამერიკაში შემწვარი მწვადი

შეგეშინდათ? გეგონა,ამერიკაში ყოფნის შემდეგ, მემუარების წერას შეუდექი? არა და არა!! მხოლოდ ერთ ქართველ კაცზე მინდა გესაუბროთ, ჩვეულებრივ ქართველ ადამიანზე–ბადრი ნუცუბიძეზე.

ბადრი ნუცუბიძე ის ადამიანია, ვისი დახმარების გარეშეც არც ერთი სადილ–ვახშამიარ მზადდება დასავლეთ საქართველოში. (ბადრის დიდ ჭადოსნურ ტომარაში ქართული სუნელები დააქვს გასაყიდად) ბადრი ნუცუბიძე ის ადამიანია, რომელსაც სვანური მარილის სურნელება დაჰყვება თან, რომელსაც ამ სურნელთან ერთად საქართველოს დიდი ტკივილი და დარდი დააქვს ხურჯინით. (რაღაცით ჩემს თავსაც მაგონებს) და სწორედ მაშინ, როცა ბადრის დავინახავ მახსენდება ამერიკაში შემწვარი მწვადი, რომელსაც ქაღალდის გემო დაჰყვებოდა..... ვფიქრობ, თურმე რა

ბედნიერი კაცია ბადრი ნუცუბიძე, ასე დამაზად რომ შეუძლია ლექსის წერა და მიუხედავად ყველაფრისა, არსადაც რომ არ აპირებს წასვლას:

„წუხელ სიზმრად გნახე...მწვანე სამოსელით,
ალმური ასდიოდა კაბას,
თვალნი მარგალიტის ისე კიაფობდნენ,
ვერც კი ვინატრებდი ამას...“

......დიახ, რა ბედნიერი კაცია ბადრი ნუცუბიძე, იმიტომ, რომ მას ხომ არასოდეს არ უცხოვრია ამერიკაში და არ იცის რა სურნელი დაჰყვება თან -ამ სურნელს, ჩემი საყვარელი დედიკო და დაიკო, ნიგვზიანი სუნელის სახით გვიგზავნიდნენ ამერიკაში მე და ჩემს მეუღლეს, ამ სურნელს მოჰყვებოდა ჩემი მულის, ინგულას გამომცხვარი ქადა, რომელიც რუდუნებით იყო გახვეული ტილოში საყვარელი ძმისათვის... ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ჩემი მეგობრის გამოგზავნილი წერილები იყო, რომელსაც ჩემი მადონა წერდა და სხვები კი სიყვარულით აწერდნენ ხელს.

ბოდიში, გადავუხვიე, დამავიწყდა ბადრი ნუცუბიძეზე, რომ გესაუბრებოდით, სწორედ მისი დანახვა ასეთ გრძნობებს აღმიძრავს და ამიტომაც მოვინდომე თბილი სიტყვა მეთქვა ადამიანისათვის, რომელიც დამაზ წარსულს მახსენებს ....თბილი სიტყვა მეთქვა ადამიანისათვის, რომელსაც კალამი უჭირს და დიდი სიყვარულით წერს:

„-ვფლობ ენას, ერის საგანძურს,
ანბანს-სანუკვარ სიმდიდრეს...
შენ რითი უნდა მჯობნიდე,
შენი რა უნდა მიკვირდეს.“

მოკლედ, მთელი, მთელი საქართველოა ბადრი ნუცუბიძე, მე კი ჩემს ქვეყანაში დაბრუნებული ერთი ქართველი.

# ამერიკის ვიზა

ნინო თოთხმეტი წლის გახლდათ. თითქოს არაფრით გამოირჩეოდა თანატოლებისაგან. ერთადერთი საიდუმლო ჰქონდა მხოლოდ: როცა ძალიან, ძალიან მოუნდებოდა თავისუფლების ხიბლის შეგრძნება, სწორედ მაშინ, სხვების და მისი თავის გასაკვირადაც, სოლოლაკის გორისაკენ შეუდგებოდა გზას და დიდხანს, დიდხანს იჯდა „ქართლის დედის" ქანდაკების ძირში. აქ ყოველთვის ცივი ნიავი ქროდა... როცა, შავ, გრძელ და უდამაზეს ნაწნავებს ქარი აუწეწავდა, არ ახსოვს საიდან, მაგრამ ძალიან შორი გზიდან მოსულ წინაპართა აჩრდილებს ხედავდა... ის დღეც ახსენდებოდა, სკოლაში სპექტაკლი, რომ ითამაშეს „ქართლის დედა" და ილია ჭავჭავაძის ლექსი „ქართლის დედა" წაიკითხა... ეს ლექსი ხომ მან აქ ისწავლა-გუგუნებდა ხეობდა, ბანს აძლევდა ქართლის დედა, რომელსაც ერთ ხელში ღვინის თასი უჭირავს მოკეთისათვის, მეორეში კი, ხმალი-მტერთათვის. განა სად ხედავდა მტერს... აქ არაფერი ჩანდა საომარი და დასაცავი... ქალაქი ილვიძებდა და იძინებდა ჩვეულებრისამებრ... ის კი დაჟინებით იმეორებდა და იმეორებდა - „დედავ! ისმინე ქართლის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული." ნინო თოთხმეტი წლის გახლდათ. ამიტომაც ვერ გაეგო - ქართლის დედის გვერდით ყოფნაზე უფრო მეტად, რატომ უნდოდა ამერიკაში, თავისუფლების კუნძულზე, ნიუ-იორკის უბეში მდებარე თავისუფლების ქანდაკებასთან ახლოს ყოფნა... ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა მისთვის თავისუფლება-ეს ქართლის დედის ქანდაკება იყო თუ იქ, შორეულ ამერიკაში ნანატრი ძეგლი. ამიტომაც მოუხშირა სოლოლაკის გორისაკენ მიმავალ გზაზე სიარულს. ადრე, კვირაში ერთხელ თუ გამოივლიდა. ახლა ყველა საღამოს აქ უნდოდა ყოფნა... ზოგჯერ მკაცრად ჩაესმოდა ყურში სიტყვები - „აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალი!" განა ამ ვალს ამერიკაში ვერ შეასრულებდა? სწორედ იქ ეჩვენებოდა ის თავისუფლება და ვალი აღსასრულებელი, რომელზეც ოცნებობდა, ჩუმ-ჩუმად...

ნინო თოთხმეტი წლის გახლდათ. ჰოდა, მალე გაცხადდებოდა მისი საიდუმლო, რადგანაც ყველასგან დამალულად, ამერიკულ პროექტში-

„თავისუფლება“ მიიღო მონაწილეობა და როგორც ყველაზე წარჩინე-ბულმა მოსწავლემ თავისუფლების ქვეყნის ვიზაც დაიმსახურა... განა ვინ იფიქრებდა, რომ ეს პატარა გოგო, გულში საიდუმლოს ინახავდა

ამ საიდუმლოს ამერიკის ვიზა ერქვა...

გზა მშვიდობისას ვერ გეტყვი ქართულო გულო, არასოდეს მიატოვო შენი მიწა-წყალი.

## კინოსცენარი ჰოლივუდის რეჟისორებისათვის

....ქარიანი, მაგრამ თბილი ამინდი დგას ამერიკის ერთ-ერთ უდამაზეს ქალაქ ფილადელფიაში. ქუჩაში არვინ დადის და არც არავინ ერთმანეთს ესალმება...მხოლოდ ფოთლები დაჰქრიან ქალაქში „რონ სტრიტიდან“ "დუნგან როუდის" გადაკვეთამდე..... 2003 წელია.... ემიგრანტების ერთი პატარა ოჯახი, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმრისაგან შედგება, საბანკო ანგარიშების გასახსნელად ემზადება... ქალბატონი გახარებულია, რად-გან, მხოლოდ მას ააქვს ისეთი საბუთი, რომელიც ამერიკელის პასპორტ-საც კი ეჭიბრება და მას „სოუშელ სექიურიტი“ ჰქვია. ამით ხომ მისი "უპირატესობაც" მტკიცდება.......

....ჰოდა, არც ქარი და არც ფოთლების შრიალი აწუხებთ, რადგან იციან რომ ეზოში პატარა წითელი „მიცუბიში“ ელოდებათ.... აიღებენ საბუ-თებს, ქალბატონი ამ საოცარ დოკუმენტსაც მიაყოლებს სიამაყით და ჩვენი „უცნობის“ სიმღერების თანხლებით მიდიან ლამაზ, მაგრამ უც-ნობ ქუჩებში, გრძელ და ფართო გამზირებზე... მალე ბანკსაც მიუკაკუ-ნებენ.

...აკაკუნეს და გაუღეს კარები, ანგარიშები გახსნილია და ყველაფერი რიგზეა....

...ისევ უკან მოდიან უკვე ნაცნობი ქუჩებით, როცა ლამაზი ქალ-ბატონი აღმოაჩენს, რომ მის საფულეს საამაყო „სოუშელ სექიურიტი“ აკლია.....

...დამაბრუნეთ უკან...აღბათ ბანკში დამრჩა, გაჰყვირის შეწუხებული....

გარეთ კი ქარი ქრის და ქრის.

....ფოთლები შრიალებენ და უცნობ სიტყვებს გადასცემენ ერთმანეთს ერთი ქვეყნიდან მეორეში....

...როგორი ფუჭი აღმოჩნდა სიხარული... საბუთი არ ინახა..... ბანკის თანამშრომლები აცხადებენ, რომ პირადად გადასცეს ხელში იგი ლამაზ ქალბატონს. გარეთ კი ქარი ქრის და ქრის.

.....ისედაც გულდათუთქული ემიგრანტების ოჯახი, სამშობლოს და შვილის სიყვარულს მონატრებული ორი არსება უფრო და უფრო მწუხრდება.......

ისევ ქარიანი ქუჩა.. ფოთლები მიიკვლევენ გზას და უეცრად ლამაზი ქალბატონი მანქანათა რიგის მეორე მხარეს დაინახავს მის საბუთს..... არაფერს დაგიდევთ იგი არც მეუღლის თხოვნას, რომ ეს არაა მისი საბუთი,რომ ეს უბრალო ფურცელია და მეტი არაფერი სხვა, გადმოხტება მანქანიდან და მირბის ქარის შესახვედრად..... გარეთ კი ქარი ქრის და ქრის. იპოვის... იპოვის მის „სოუშელ სექიურიტს“ ...ამერიკაში ყოფნის დამადასტურებლ საბუთს,სიხარულით მოფრინავს მისი მანქანისაკენ და ცრემლები ღაპაღუპით ცვივა-სამშობლოდან მოტანილ სიოს, საბუთის მეორე მხარეს წარწერა გაეკეთებინა - „მალე, მალე დაბრუნდით სამშობლოში... იქ სხვანაირი ქარია...... ქუჩაშიც ხალხი ერთმანეთს ესალმება და სიყვარულით დადის...აქ.. კი აქ.. მხოლოდ ეს საბუთი არსებობს და შენ კი არა!“

# ნინო გოგუაძე-კოპლატაძე



ნინო  მუშაობს ინგლისში ბავშვებისა და ახალგაზრდების ფსიქოთერაპევტად. ჰყავს ორი ქალიშვილი და ძალიან უყვარს მისი ბათუმი!!!!

***

არ ვიცი, თუ იცით თუ არა, რომ ინგლისში, სახლების წინ არასდროს სხდებიან. ამისთვის უკანა ეზოებია განკუთვნილი. წინა ეზოში, ინგლისელი, მცენარეების მოსავლელად თუ გაჩერდება მხოლოდ. ერთადერთი ოჯახი, რომელიც ამ წესს არღვევს, საბედნიეროდ ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. ჩვენს ბინას სამხრეთით ხეირიანი დასაჯდომი არ აქვს და თუ დარია და სახლში ვართ, მათთან გადავდივართ მზეზე მისაფიცხებლად. თუ ხაჭაპური ან რამე სასუსნავი მაქვს, მივუკაკუნებ კარებზე. თვითონ ჩაის ან ყავას გამოიტანენ. დავსხდებით სახლის წინ მაგიდასთან ბოსტნეულის კვლებს შორის, ვჭორაობთ და ვტკბებით მშვენიერი ხედით. ხედი მართლა დიდებული გვაქვს. ქუჩის მოპირდაპირე ქუჩაზე ერთ მხარეს ნაკვეთია და მის უკან, რახან მერე დაღმართია, ჰორიზონტი იხსნება და გაღმა ბორცვებზე შეფენილი ქალაქი ჩანს. ლიანდაგსაც ვხედავთ, რომელზეც ქალაქის ორვაგონიანი მატარებელი დაჩუქჩუქებს თხუთმეტ-ოცწუთში ერთხელ. მათი დანახვა მიყვარს. ეს ლიანდაგი ჩემი აბაზანის ფანჯრიდანაც ჩანს, მაგრამ იქედან ხომ ვერ დავუდარაჯდები ვაგონებს. გასულ კვირას კარტოფილის ღვეზლებით გადაველი მზიან ტერასაზე. დათვლილად მედო თეფშზე-ჩემთვის, ჯინასა და პეტერისთვის, მათი ორი ქალიშვილისთვის და ერთიც პეტერის დედისთვის, რომელიც შაბათ-კვირაობით სტუმრობს ოჯახს. მე და ჯინა ყავას ვწრუპავდით და პეტერი ბოსტანს ბარავდა. ძაღლიც ჩვენთან იყო. აქეთურიქეთური ამბების მერე ვკითხე, რამე ახალი ხომ არ გაეგოთ ნაკვეთის მშენებლობაზე. საქმე ისაა, რომ იმ ნაკვეთზე, მშვენიერი ხედით რომ გვანებივრებს, ნაკვეთის მფლობელი, ვინმე ბ-ნიაბლული, სახლის აშენებას აპირებს. ადრე რამდენჯერმე უშედეგოდ უთხოვია მერიისთვის მშენებლობის ნებართვა, მაგრამ ახლა, შედარებით მომცრო მშენებლობას ითხოვს და ალბათ, ამჯერად ნებართვას აიღებს. მეზობლებს აზრის გამოთქმის საშუალება გვეძლევა. უმეტესობა გაპროტესტებას აპირებს. ჯინამ თქვა, რომ გული წყდება, საძინებლის ფანჯრიდან ლიანდაგს რომ ვეღარ დაინახავს, მაგრამ მე პატრონისთვის ხედის შეშლა არ მიაჩნია სამართლიანად, მიუხედავად იმისა, რომ იცის, მეპატრონე „ცუდი კაცია“. პეტერმა დაამატა, რომ ადრე, თვითონაც გამოუცდია მსგავსი, როცა მის პროექტს, მოწინააღმდეგეები ყავდათ. არ ვიცი, რამდენად

ხეღის შემშღეღი იყო სხვებისთვის ჯინას ღა პეტერის პროექტი, მაგრამ ეს მშენებღობა ნამღვიღაღ ღაგვიკარგავს ამ უბნის მცხოვრებღებს მნიშვნეღოვან რაღაცას......

ირგვღივ ოცღამეერთე საუკუნეა......

არაფერი შეცვღიღა.........

ეს სახღები საუკუნეა უცვღეღაღ ღგას ღა საუკუნეა ახაღი არაფერი შემატებიათ ირგვღივ ................

მაინცღამაინც ახღა მიემატება.......... თუმცა, მე, ისეღაც არ ვაპირებ აქ ღიღხანს ღარჩენას. შეიძღება არც ჯინა ღა პეტერი აპირებენ. სამუღამოღ არც არავინ რჩება. საუბარი, რომ კარგ ნოტაზე ღამემთავრებინა, განვაცხაღე, სანამ აშენღება, მანამ ღავტკბეთ ჩვენი მშვენიერი ხეღით თქო. ჯინამ ღა პეტერმა კვერი ღამიკრეს, მასე ვქნათო, ღა გაღავწექით სავარძღებზე მზეზე მოჭუტუღი თვაღებით ღა ჩვენ-ჩვენი ფიქრებით.



# თამთა დემეტრაშვილი



მიყვარს ის დღე, როცა დავიბადე. (ამასთან მძულს კიდეც, გასაგები მიზეზების გამო, 9 აგვისტოა.) მიყვარს პირველი სიტყვა ჩემი – დედა... დედა მიყვარს ძალიან (თუმცა ხშირად ვაწყენინებ ხოლმე) ჩემი სახელი მიყვარს... ჩემი სკოლაც მიყვარს.. ჩემი უნივერსიტეტიც მიყვარს (თსუ)... ჩემი მეგობრები მიყვარს... ჩემი ოჯახი მიყვარს... ჩემი პატარა შვილები მიყვარს, ყველაზე და ყველაფერზე. ჩემი ქმარი მიყვარს... ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი, ჩემი სიყვარული და ჩემი მესაიდუმლე. ჩემი ოთახიც მიყვარს, არეულ–დარეული... ჩემი წიგნები. ის ზედა თაროც მიყვარს, ვერასდროს რომ ვერ ვწვდები. წერა მიყვარს, რასაც ვგრძნობ, რაც მაწუხებს, ან რაც მაინტერესებს იმაზე. ამ დროს ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს, ყველაზე თავისუფალი და უცნაური ვარ. ქუჩაში გამოსულს მომღიმარი სახეების დანახვა მიყვარს... შეყვარებული წყვილების არეული გამოხედვები მიყვარს... პარკის კუთხეში, განცალკევებით მდგარ სკამზე მოხუცი წყვილის ნაოჭიანი ხელებიც მიყვარს, ერთმანეთზე ჩაჭიდებული... ბებიები მიყვარს ძალიან... მათთან სოფელში გატარებული დღეები მიყვარს... Coldplay მიყვარს რომან-ტიკული ფილმების ყურება მიყვარს... მარტო სახლში დარჩენა და წიგნის კითხვა მიყვარს... ჯიბეში დარჩენილი, ბოლო თეთრებით ნაყიდი საყვარელი ავტორის წიგნის ყიდვა მიყვარს... მეგობრებთან ერთად გატარებული, მხიარული საღამოები მიყვარს... მათთან ერთად ქვეყნის

დასაღიერში წასვლა მიყვარს... ფეხით სიარული მიყვარს, ბევრი ლაპარაკიც მიყვარს... გრძნობების გამოხატვაც მიყვარს... ტირილიც მიყვარს, უმეტესად უმიზეზოდ, ხშირად ბედნიერებისგან... მუქი კაფე, წყნარი მუსიკა და ბეილისი მიყვარს... კიდევ ბრაუნი მიყვარს ძალიან, ნაყინით... სიცილი მიყვარს .. სითბოს გამოხატვა და ასევე მიღებაც მიყვარს... ეს ქვეყანა მიყვარს, ეს ქალაქიც მიყვარს, ჩემი ხალხიც მიყვარს... ...თვით სიყვარული მიყვარს...

ძვირფასო მკითხველო, ეს მცირე რომანი თამთას დებიუტია და წარმატება ვუსურვოთ მას!

# თბილისი-სტამბული
# რომანი

***

„რაც არ უნდა საწყენი იყოს, წარსულში ვერ დავბრუნდებით, როგორ ძლიერადაც არ უნდა გვინდოდეს ეს. რიდესაც საქმე ურთიერთობებს ეხება, ყველაზე კარგი განლაგების დროსაც კი არ იქნება „როგორც მაშინ”. ყველაფერი დროს მიაქვს. ყველაფერი მთავრდება. ამიტომ ვიცხოვროთ მომავლით და იშვიათად მივიხედოთ უკან, წარსულში, სადაც ვერაფერს შევცვლით. აი, მომავალი კი ჩვენს ხელშია და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. გვახსოვდეს ეს!“

## პროლოგი

ადამიანი ისეა მოწყობილი, როცა ბედნიერია, იმაზე არ ფიქრობს, რომ ერთ დღეს დაკარგავს ბედნიერებას, როცა ყველაფერი დაგეგმილი აქვს, ვერ წარმოუდგენია გეგმის შეცვლა. როცა მისი ცხოვრება რუტინის მდორე კალაპოტში მიედინება, ფიქრობს რომ მუდამ ასე იქნება.

ყველაფერი მქონდა, რაც კი ჩემს ასაკში შეიძლება ვინმეს ენატრა. კარგი სამსახური, კარგი მეგობრები, გარეგნობა, სიმპატიური და ყურადღებიანი შეყვარებული. დაკავებული და აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი, საოცრად თვითკმაყოფილურადაც კი. ვფიქრობდი, რომ ეს, ასეც უნდა ყოფილიყო, სხვანაირად ვერც კი წარმომედგინა. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ერთ დღესაც ეს ყველაფერი ისე არ მომხიბლავდა, როგორც მაშინ. ვერ წარმომედგინა ცხოვრების ასე შეცვლა.

***

თბილისის აეროპორტიდან, რომ ავფრინდით და თვითმფრინავი ჰაერში გასწორდა, მაშინვე წიგნი ამოვიღე და კითხვას შევუდექი. გული არ მიდგებოდა ერთ ადგილას, მოუსვენრობას შევეპყარი, ამიტომ ვერც წიგნს დავუდე გული. გადაშლილი წიგნი ისევ დავხურე და ილუმინატორში გავიხედე, ჯერ კიდევ საქართველოს ტერიტორიაზე ვიყავით.

ფიქრებში გადავეშვი, ოცნება მისრულდებოდა.

რომი მელოდა.

ჩემი საოცნებო რომი. მე ხომ საერთოდ იტალიაზე ვგიჟდებოდი. არა მხოლოდ იტალიაზე, სამხრეთის ქვეყნებზე.

მზე, სითბო, ზღვა, ზეთისხილის ხეებით, ულამაზესი არქიტექტურით, სიმწვანეში ჩაფლული შატოებით, ტემპერამენტიანი იტალიელებით.

ფიქრებში გართულს სახეზე ღიმილი დამთამაშებდა და ერთი სული მქონდა იმ სამყაროში ამომეყო თავი, რომელზეც ამდენ ხანს ვოცნებობდი.

სამსახურში, რომ მითხრეს რომში, კონფერენციას უნდა დაესწროო, ერთ წუთსაც არ დავფიქრებულვარ, ისე ჩავალაგე ბარგი ერთი კვირით ადრე და გაფრენის დღემდე სრულ ეიფორიაში ვიყავი. ისე მეჩქარებოდა წასვლა, ბილეთები რამდენიმე დღით ადრინდელ რეისზე ავიღე. ჯერ სტამბოლში უნდა ჩავფრენილიყავი და ორ დღეში სტამბოლი - რომის რეისით, მარადიულ ქალაქში ამოვყოფდი თავს.

სტიუარდესამ, რომ გამოაცხადა ნახევარ საათში სტამბულის, ათათურქის სახელობის, საერთაშორისო აეროპორტში დავეშვებითო, მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ ორი დღე მომიწევდა სტამბულში გაჩერება,

ჩემს თავზე გავბრაზდი, აზრზე არ ვიყავი სტამბულის და რა უნდა გამეკეთებინა, სად გავჩერდებოდი ღამით? სასტუმროში ნომერი მაინც დამეჯავშნა. როგორც კი ტრაპზე ჩამოვდგი ფეხი და სტამბოლური ჟინჟღლიანი წვიმა მომეგება, მაშინვე რაღაცნაირად გადამიარა სიბრაზემ ამ ქალაქზე, თუმცა რატომ ვბრაზობდი მანამდე ისიც ვერ გამეგო, რა სტამბულის ბრალი იყო, თუ მე ამ აღტაცებულობის დროს, რაღაცეები ვერ გავთვალე.

ტერმინალზე სავიზო რეჟიმის გავლის შემდეგ, მე და ჩემმა წითელმა ჩემოდანმა, ჟურნალ-გაზეთების სტენდთან გადავინაცვლეთ და სავარაუდოდ თურქ გამყიდველს ინგლისურად ვთხოვე ქალაქის გზამკვლევი მოეცა. გამყიდველს სიტყვა არ უთქვამს, ისე გამომიწოდა გზამკვლევი და თითებით ათი მანახა, ანუ ათი ლირა უნდა გადამეხადა. საფულეში ფული მოვძიე, ლირა არა მაგრამ რამდენიმე ასევროიანი და ერთიც ათ ლარიანი მედო. ხელები გაკვირვების ნიშნად გავასავსავე, ათლარიანი გავუწოდე, ღიმილით ჩამომართვა და თავის საქმეს მიუბრუნდა.

ცალ ხელში გზამკვლევი მეჭირა და ცალი ხელით ჩემოდანს მოვაგორებდი. გარეთ უკვე გადაეღო წვიმას, ნაწვიმარზე საოცრად გამოიყურებოდა გარემო. ერთი ღრმად ჩავისუნთქე და გადავწყვიტე აეროპორტიდან ავტობუსით გავულიყავი სტამბულში.

გაჩერებაზე დიდხანს არ მომიწია ლოდინმა. ავტობუსში ჩავჯექი და თავი მინას მივადე, დაღლილი კი ვიყავი მაგრამ მაინც ინტერესით ვათვალიერებდი სტამბულის ვიწრო და ფერად ქუჩებს. რამდენიმე წუთის წინანდელი წყენა და უარყოფითი განწყობა ამ ქალაქისადმი ერთ წამში შემეცვალა. ტაქსიმის მოედანზე ჩამოვედი, ერთი სული მქონდა რაიმე სასტუმრო მეპოვა და ცოტა დამესვენა. მიჭირდა უცხო ქალაქში ორიენტაცია, ვიდექი შუა მოედანზე გზამკვლევით ხელში და აღარ ვიცოდი რა გამეკეთებინა. ისტაკლალს ავუყევი. ამ ხმაურიანმა ქუჩამ ძალიან მომხიბლა, თავისი კაფეებით, მაღაზიებით და ქუჩის მუსიკოსებით, მაგრამ მასზე მდებარე ვერც ერთ სასტუმროში ნომერი ვერ ვიპოვე. ყველა დაჯავშნული იყო. კიდევ ერთხელ მომეშალა ნერვები ჩემს თავზე, ასე სასტუმროს ძებნაში ერთი საათი ვიბოდიალე ქუჩებში და მერე პირდაპირ ვიწრო ტროტუარზე ჩამოვჯექი, ფეხები გავშალე და ისევ გზამკვლევს ჩავაჩერდი. მასზე კარგად იყო აღნიშნული სტამბულის იაფფასიანი ჰოსტელები და მათი მდებარეობა, მაგრამ იმდენად არეული მქონდა

თავგზა, აღარ ვიცოდი საით უნდა წავსულიყავი. ბოლოს გზამკვლევი გვერდზე გადავდე, თავი ჩემოდანს ჩამოვადე და თვალები დავხუჭე.

ახლა რას იზამ ჭკუისკოლოფო? შენი ფინანსებით სასტუმრო რიჩმონდს ვერ შესწვდები, არა, კი შესწვდები, მაგრამ მერე რომში მთელი კვირა ქუჩაში ხომ არ გაატარებ? დადექი ეხლა და ეძებე რომელიმე ჩაბინძურებულ ქუჩაზე, ნახევრად სარდაფის ტიპის, აქოთებული ჰოსტელი, ნესტიანი და ჩაბნელებული ოთახით.

- დაგეხმაროთ, მადამ? - დამტვრეულზე უფრო დამტვრეული ინგლისურით მომიახლოვდა დაახლოებით თხუთმეტი წლის ბიჭი და გზამკვლევზე მიმითითა.

- დარეკვა მინდა, - სიტყვითა და ხელების ქნევით ძლივს მივახვედრე სათქმელი. ბიჭს გაეცინა, ერთი ამათვალიერა და ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო. გამიკვირდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამეხარდა, კიდევ ერთი პლიუსი დაეწერა ჩემს თვალში სტამბულს. საჩქაროდ ავკრიბე თბილისის კოდი და ჩემი დის პასუხს დაველოდე.

- ალო, - ნაცნობი ხმის გაგონებამ ძალა შემმატა.

- ნინა, მე ვარ, სტამბულში ვარ, მისმინე, ჩემს ოთახში შედი, უჯრაში, სულ ქვევით, ლურჯი ბლოკნოტი დევს, მიდი მონახე და უკანა ფურცელზე ნომრები მიწერია, გთხოვ ჯანაი ენდერ კაია და ელსა გონემი მოძებნე, ნომერი და მისამართი უნდა ეწეროს. - მივაყარე ისე რომ ერთხელ არ ამომისუნთქია. რა სუნთქვაზე იყო საუბარი თავი ხელში ძლივს ამყავდა, რომ არ მეტირა. ამხელა ქალაქში სულ მარტო ვიყავი და სასტუმროს ნომერს ვერ ვშოულობდი. ჯანაი და ელსა კი ჩემი ჯგუფელები იყვნენ უნივერსიტეტში, პირველ კურსზე საფაკულტეტო სავალდებულო საგნებს ჩვენთან ერთად გადიოდნენ ისინი და კიდევ რამდენიმე თურქი სტუდენტი. მათ გახსენებაზე ცოტა გულზე მომეშვა, მთავარი ახლა მათთან დაკავშირება იყო.

- რა ბლოკნოტი, ქეთი?

- ლურჯი ბლოკნოტია, პირველ კურსზე მქონდა და ჩემი ჯგუფელების ნომრები მიწერია, მანდ ჩემი თურქი მეგობრების ნომრებიც იქნება. - დავაკმაყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა და ჩემი თავი კიდევ ერთხელ გავკიცხე იმის გამო, რომ ის ბლოკნოტი წამოვიღე, კიდევ იმის გამო, რომ აქამდე ფეისბუქზე არ მოვძებნე.

სანამ ნინა ბლოკნოტს ეძებდა, მე უხერხულობის ნიშნად ვუღიმოდი ჩემს მშველელს, რომელიც მოთმინებით ელოდა საუბრის დამთავრებას.

- ქეთ, ჩაიწერე, - სასწრაფოდ კალამი მოვიძიე და პირდაპირ გზამკვლევზე მივაწერე ნინას ნაკარნახევი ნომრები. - აქ კიდევ რაღაც მისამართია, თუ არ ვცდები და სწორად ვკითხულობ, ჰოკა ალი სოკაკი - ის 6 ნომერი?

- რა? ჰოკა ალი სოკაკი?- ჩავეკითხე ნინას და ჩაწერას ვაპირებდი, როცა ჩემმა მშველელმა გამაჩერა.

- Hoca Ali Sokak?

- ევეთ, ევეთ. -დავეთანხმე რადგან გამახსენდა რომ ჰოკა კი არა, ჰოჩა იკითხებოდა. - კარგი, ნინ. წავედი და დაგირეკავ მერე. - ბიჭმა ხელით მანიშნა საით უნდა წავსულიყავი. ჩემს მშველელს მადლობა გადავუხადე და ტელეფონი დავუბრუნე, მანაც თავი დამიკრა, „მადამ“- ო გამიღიმა და წავიდა.

თვალი ღიმილით გავაყოლე და ჩემი ჩემოდანი მძიმედ გავაგორე. იქ რა იქნებოდა? ალბათ რომელიმეს სახლია-თქო გავიფიქრე და გზამკვლევს ჩავხედე, საკმაოდ დიდი გზა მქონდა გასავლელი, მაგრამ მაინც ფეხით ვარჩიე წასვლა. მივდიოდი და ქუჩებს ვათვალიერებდი, კარგი ამინდი იყო, ხალხით გადატენილ ისტაკლალის გამზირზე (თავისუფლების გამზირი) ტელეფონის კაბინას მოვკარი თვალი, იქვე ბარათიც ვიყიდე და ჯერ ერთ ნომერზე დავრეკე, შემდეგ მეორეზე. როგორც ველოდი ჩემი ინგლისურით, ყურმილის მეორე მხარეს მყოფს, ვერაფერი გავაგებინე, ვერც სახელის ხსენებით გავხდი რამეს და ნერვებმოშლილმა დავკიდე ყურმილი.

ვიდექი ნაწვიმარ ქუჩაში, შუა სტამბოლში და თავზე ხელებშემოწყობილი გავყურებდი ქუჩას. ბოსფორიდან ცივი ნიავი ჰქროდა, ირგვლივ ზღვის სურნელი ტრიალებდა და ერთ წამს თავი ბათუმში წარმოვიდგინე. გზამკვლევზე ჩაწერილი მისამართისკენ გავემართე, ვიმედოვნებდი, რომ რომელიმეს სახლის მისამართი იქნებოდა და თან ღია კაფეებისა და ყვავილების მაღაზიების ცქერით ვირთობდი თავს.

მისამართზე, სადაც მივედი ჩემდა გასაკვირად ჰოსტელი დამხვდა, დაბალი, ცისფერი, ხის ღობით შემოვლებული ეზოთი და იასამნის ბუჩქებით. შენობა თეთრად იყო შეღებილი, ვარდისფერი და ცისფერი გაფორმებით და სულაც არ გახლდათ ჩემი წარმოდგენის ჩაბინძურებული

ჰოსტელი. კართან ღიმილით შევდექი და გარემოს თვალიერება დავიწყე, ფოიეში დაბალი, ჩაპუტკუნებული, თავწაკრული ქალი შემომეგება.

- მეარჰაბა, - მივესალმე ჩემი დამტვრეული თურქულით და სანაცვლოდ გულმოწყალე, კეთილი ღიმილიც დავიმსახურე. - ნომერი მინდა.

ქალმა ისევ გამიღიმა და გამომყევიო თვალით მანიშნა, მივხვდი რომ ინგლისური არ იცოდა. შენობა ექვს სართულიანი იყო, ჩემი გამყოლიც ბოლო სართულზე შეჩერდა, წითლად შეღებილ კართან და განზე გადგა, რომ შევსულიყავი. შესვლამდე ბუკლეტი გამომიწოდა, მივხვდი ჰოსტელის შინაგანაწესი იყო. რაღაცას მელაპარაკებოდა თურქულად, მაგრამ არ მესმოდა, მერე ხელებით როგორც იქნა მანიშნა, რომ სავახშმოდ უნდა ჩავსულიყავი. - İyi hisset.

-თეშე ქიურედირუმ, - მადლობა გადავუხადე და როგორც კი კარი გაიხურა ოთახს მოვავლე თვალი. ვიწრო, მაგრამ ნათელი ოთახი იყო. ნარინჯისფრად შეღებილი კედლებით და დაბალი ფანჯრებით. ოთახში ერთი ერთადგილიანი საწოლი და ვიწრო კარადა იდგა, გვერდით ლამაზჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული სარკე ეკიდა და მარცხნივ, პატარა კარით კოხტა სააბაზანოში გადიოდი. ოთახში არსებულმა სისუფთავემ და განსაკუთრებით მისმა ხედმა ქალაქზე, ძალიან მომხიბლა. როგორც კი წყალი გადავივლე და გამოვედი, ფანჯარა გამოვაღე და სტამბულური მძიმე, ნესტიანი ჰაერი შემოვუშვი ფილტვებში. ვიდექი ღიმილიანი სახით და ჰორიზონტზე ნაგლეჯად მომზირალ ბოსფორს გავყურებდი. პეიზაჟის ცქერით გართულს სულ გადამავიწყდა, რომ დაბლა უნდა ჩავსულიყავი.

- ჰანიმ, - კარზე მსუბუქი კაკუნი გაისმა. – Bağlantılar gelmesi, senin için akşam yemeğinde bekliyor (ვახშამზე გელოდებით). - მაშინ რა თქმა უნდა ვერ გავიგე, კარი გამოვაღე და მომღიმარმა ჰანიმმა ჟესტიკულაციით ძლივს მიმახვედრა რა იგულისხმა.

- ევეთ, ევეთ - თავი დავუქნიე და სასწრაფოდ ჩავიცვი ტანსაცმელი. მაინც თურქეთში ვიყავი, თან საოჯახო ტიპის სასტუმროში, მხრების გარეშე და ვარჩიე გრძელი სარაფანი და ნაცრისფერი ჟაკეტი ჩამეცვა. პირველ სართულზე ფოიეში, ჩემ მსგავსად ბევრ ტურისტს მოეყარა თავი, უმეტესობა ფრანგი იყო. განაპირას, მაღალზურგიან სკამზე ჩამოვჯექი და მაგიდიდან ჟურნალი ავიღე. რომელიღაცა თურქული, ელიტარული ჟურნალი იყო. უინტერესოდ ვშლიდი ფურცლებს და ტელეფონით, ფეისბუქზე

ჩემს შეყვარებულს ჩამოსვლის ამბებს ვუყვებოდი. მესიჯობაში და თვალიერებაში გართულმა ვერ გავიგე, როგორ გაჩუმდა ყველა, დარბაზში მხოლოდ ერთი მამაკაცის, აქცენტიანი ინგლისური ისმოდა და ჰოსტელის პირობებს და დღევანდელ მენიუს გვაცნობდა. ჟურნალი ისევ მაგიდაზე დავაბრუნე და წამოვდექი. ჩემ წინ რამდენიმე გოგო იდგა და მოსაუბრეს ეფარებოდა, თუმცა კარგად მესმოდა მისი აქცენტიანი ინგლისური და ჩემთვის მეღიმებოდა. როგორც აღმოჩნდა ჰოსტელის მფლობელის შვილი იყო და მენეჯერ-ადმინისტრატორობას ითავსებდა.

მამაკაცმა სავახშმოდ მიგვიწვია, ყველა სასადილო ოთახისკენ დაიძრა, მე კი ცოტა ხნით შევრჩი დიმასთან მესიჯობას და თავი, რომ ავწიე ფოიეში მხოლოდ მე ვიდექი, დაბნეულმა მოვავლე თვალი გარემოს და მეც სასადილოსკენ გავწიე.

- ქეთი? - ჩემი სახელის გაგონებამ, თანაც ქართულად, წამით გამაშეშა. მკვეთრად შემოვბრუნდი და გაოგნებული მივაშტერდი, ჩემ წინ მდგარ, ახოვან მამაკაცს, შავი წვერებით, მოზრდილ შავ თმაში და შავი დიდი თვალებით მომზირალს. მოზრდილი ნერწყვი ძლივს გადავუშვი, მოულოდნელობისგან შეცბუნებულმა, გამშრალ ყელში და კითხვის ნიშნის სახით გავუღიმე. - ქეთი, ვერ მიცანი?

ტანში გამცრა, გული საგულედან ამომიხტა, თავბრუ დამეხვა, შევკრთი და შევცბუნდი.

ის იყო...

მთელი რვა წლის უნახავი...

უფრო სიმპატიური, უფრო მიმზიდველი და მომნუსხველი.

ვიგრძენი, როგორ დამასხა ცივმა ოფლმა და ხელებიც გამიცივდა. ვერ ვიჯერებდი, არ მესმოდა.

- ომერ?

***

ერთ კურსზე ვიყავით, მე ფილოლოგიურზე, ის აღმოსავლურ ენებზე, არაბულს ეუფლებოდა. სავალდებულო, საფაკულტეტო საგნები გვქონდა ერთად. ისტორიის ლექციაზე თითქმის ასი ბავშვი ვიყავით, უმეტესობას ვიცნობდი სხვა საგნებიდან, რამდენიმე უცნობიც იყო, მათ შორის ერთი განსხვავებულად საინტერესოდ მეჩვენა. სიმპატიური იყო, რაღაცნაირი განსხვავებული, არ ჰგავდა სხვა უნივერსიტეტელ სიმპატიურ ბიჭებს, „პონტში“ მყოფებს. აუდიტორიაში შესვლისთანავე შევამჩნიე,

ნაპირზე იჯდა, ფანჯარასთან, რაღაცას კითხულობდა, თან კალამს ათამაშებდა ორი თითით. თავი დავადე და პირდაპირ მასთან მივედი. მის გვერდით ორი ადგილი იყო თავისუფალი და მეც ნაპირზე ჩამოვჯექი. გადმომხედა.

გავუღიმე.

არაფერი შეუმჩნევია, კითხვა განაგრძო. მეც წიგნი ამოვიღე.

ასე ყოველ ლექციაზე მის გვერდით ვჯდებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობრები სხვაგან ისხდნენ. არც სახელი ვიცოდი, არც გვარი. არც ის იღებდა ხმას, არც მე.

მანამდე, სანამ...

***

უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლში ახალი აყვანილი ვიყავი. ქართულში სოლოს ვცეკვავდით და უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესთვის ვემზადებოდით. ყოველ დღე ლექციების შემდეგ ვრჩებოდით და გვიანობამდე ვმეცადინეობდით. ერთ საღამოს, ცეკვისგან დაღლილს, საშინლად მომინდა წყალი, რადგან დარბაზში არ გვქონდა წყლის აპარატი, ნულოვან სართულზე მომიწია ჩასვლა. იქ არაქართულენოვან სტუდენტებს დამატებითი ლექციები უტარდებოდათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აპარატიც ზუსტად იმ აუდიტორიის წინ იდგა, სადაც ლექცია ტარდებოდა. მე ჩიხტიკოპსა და ქართულის კაბაში გამოწყობილმა მივირბინე აპარატთან და ორი ჭიქა წყალი სულმოუთქმელად დავლიე, მესამე კი წასაღებად მოვამზადე. უკან მობრუნებას ვაპირებდი, ჩემკენ მომზირალ თვალებს, რომ გადავაწყდი. ეგოისტურად მესიამოვნა მის მზერაში ამოკითხული აღფრთოვანება. ხელოვნური ნაწნავები დემონსტრაციულად გადავიყარე ზურგს უკან და ტანის ნაზი რხევით დავტოვე დერეფანი. იმ დღის შემდეგ ყოველ რეპეტიციაზე ვგრძნობდი, რომ ვიღაც დაჟინებით მიმზერდა, მაგრამ გაწბილებული ვრჩებოდი, როცა ცარიელ დარბაზს მოვავლებდი თვალს.

კონცერტის წინა დღეს, ყველაზე ბოლოს მე დავტოვე გამოსაცვლელი ოთახი და ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში, სკამებს შორის ძლივს ვიყავი დარბაზიდან ხმა რომ მომესმა, შევდექი მაგრამ უკან მიხედვა ვერ გავბედე. ვხვდებოდი ვიღაც მიყურებდა, მეშინოდა კიდეც, თუმცა ვიცოდი საშიში არაფერი იყო. ქვეცნობიერად ვხვდებოდი, რომ საფრთხე არ მემუქრებოდა.

კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა, ბევრი აპლოდისმენტი, თაიგული და საქებარი სიტყვა მივიღეთ. ცეკვის დროს ვგრძნობდი ისევ იმ მზერას, ვცდილობდი ამ მზერის პატრონი მომეძებნა პარტერში, რა თქმა უნდა, ვერავინ ვიპოვე. როგორც კი ფარდა დაეშვა და აღელვებულებმა სირბილით დავტოვეთ დარბაზი. ცოტა ხანში საგრიმიოროს კარი, ქალბატონმა ნელიმ, დარბაზის დამლაგებელმა შემოაღო წითელი ვარდების თაიგულითა და პატარა ყუთით ხელში. თვალმოჭუტულმა შემოგვავლო გამომცდელი მზერა და პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, უნებურად წამოვდექი ფეხზე და დაძაბულობისგან ყელი ამტკივდა.

- ბედი გქონია, საყვარელო. - არც ისე კეთილისმსურველი სახით მითხრა და საჩუქრები მომაჩეჩა. გაოცებისგან მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე, გარშემო გოგოები შემომეხვივნენ და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ჩემი საჩუქრების გამო. მე კი მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს და საჩუქრის გახსნა გავბედე, როცა ყველა გაიკრიფა საგრიმიოროდან და მარტო დავრჩი. ხელის კანკალით შემოვხსენი ყუთს ლამაზი ცელოფანი და ვერ წარმოიდგენთ რა დამემართა, როცა იქ, ოქროს სამაჯური დავინახე, მუსლიმური მთვარის ფორმებით გაწყობილი. საჩუქრის სიძვირფასემ მეტყველების უნარი დამიკარგა, ვერ წარმომედგინა ვინ შეიძლება ყოფილიყო გამომგზავნი, ჩემს თაყვანისმცემლებს შორის იყვნენ, რა თქმა უნდა, ისეთი ბიჭები, ვისაც ასეთი ძვირადღირებული სამკაულის ჩუქება არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ რატომღაც არც ერთი არ მიმაჩნდა გამომგზავნად. მაყურებლისგან საჩუქრებისა და თაიგულების გამოგზავნას მიჩვეული ვიყავი, მაგრამ ასეთი ძვირადღირებული არც ერთი ყოფილა. საჩქაროდ გამოვიცვალე კაბა და სირბილით დავტოვე უნივერსიტეტი. მხოლოდ მაშინ გავჩერდი, როცა ვარაზისხევს ფეხით დავუყევი და გრილმა ნიავმა საღად აზროვნების უნარი დამიბრუნა. მივხვდი, რომ ეს არ იყო უბრალო მაყურებლის სიყვარულისა და აღფრთოვანების გამოხატულება. სიამაყისა და ბედნიერების განცდით გაბრუებული მხოლოდ საჩუქრის ავტორზე ვფიქრობდი.

მთელი კვირა ჩანთით დავატარებდი სამაჯურს, დროდადრო დავხედავდი, მაგრამ გაკეთებას ვერ ვბედავდი, თითქოს რაღაც მაკლდა, არ ვიცი ეს რა იყო, მაგრამ ვიცოდი, ეს საჩუქარი ბევრ რამეს შეცვლიდა.

საჭირო მომენტს ველოდი...

იმ დღეს ისტორიის ლექციაზე შესულმა, ისევ ჩემი ჩვეული ადგილისკენ გავწიე. ისიც ისევ იქ დამხვდა. არც ამჯერად არაფერი შეუმჩნევია, მხოლოდ წამით გადმომხედა და ოდნავ გაეღიმა. მე ეს მისალმებად ჩავთვალე და საპასუხოდ მთელი გულით გავუღიმე. მას შემდეგ კიდევ ორ ლექციაზე ასე უსიტყვოდ ვუღიმოდით ერთმანეთს, მესამე ლექციაზე კი მოხდა ის, რასაც ბევრი გარდამავალ წამს, მე კი ცხოვრების ნიშანს ვუწოდებ.

იმ დღეს პირველად გავიგე ჩემი ასე ახლობელ- შორეული ჯგუფელის სახელი. იმ დღეს სემესტრის განმავლობაში პირველად ამოიკითხა ლექტორმა სია. ქართველი და რამდენიმე თურქი სტუდენტის შემდგომ, „ომერ სენთურქის" ამოკითხვისას, ჩემი მეზობელი დინჯად წამოდგა ფეხზე დავარო წარმოთქვა. ხავერდოვანმა, რაღაცნაირად დაძაბულმა, აქცენტით წარმოთქმულმა სიტყვამ და მისმა სახელმა უფრო მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება.

ლექცია დასრულდა და სტუდენტები წამოიშალნენ, მეც ჩემს ნივთებს ვალაგებდი ჩანთაში, რომ მისმა ხმამ შემაჩერა:

- ქეთი, ხო?

- დიახ. - ცოტა დავიბენი, თუმცა გამეხარდა კიდეც, როგორც იქნა გაბედა გამოლაპარაკება.

- ომერი. - ხელი გამომიწოდა. გავწითლდი, ხან მის გამოწვდილ ხელს დავყურებდი, ხან მის შავ თვალებს მივჩერებოდი. გაეცინა, ისე მომხიბვლელად და ისე ლაღად, სუნთქვა შემეკრა. მერე კი გაუბედავად შევაგებე მის ხელს ჩემი ხელი. ბანალურია ალბათ, მაგრამ ამ წამმა ყველაფერი შეცვალა. მტევნის ზემოთ მაჯაზე, სწორედ ისეთი სამაჯური დავუნახე, როგორიც მე გამომიგზავნეს. აღმოჩენისგან აღელვებულმა, პირი დავაღე, ღრმად რომ მესუნთქა. ახლა ცნობილი იყო საჩუქრის გამომგზავნი, მაგრამ არ ვიცოდი, უნდა შემემჩნია ეს ყოველივე, თუ არა. მერე ქალურმა სიამაყემ მძლია, მხრებში გავსწორდი, თავი მაღლა ავწიე და ვითომც არაფერი ისე გავუღიმე.

- სასიამოვნოა, ომერ.

გაეცინა, არა უფრო ჩაეცინა. რა თქმა უნდა, მიხვდა ჩემს ოინს, იმასაც მიხვდა, რომ მეც მივხვდი, თუ ვინ იყო. ჩემი საქციელის გამოცნობაც არ გასჭირვებია, თუმცა არაფერი შეუმჩნევია, ის ხომ ასეთი იყო.

ფროიდი ამბობდა, შემთხვევით არაფერი ხდებაო. ბედისწერაც ეს არ არის?

აღბათ ეს ყოველივე, ჩემი სტამბულში მოხვედრაც ამას მიანიშნებდა, მაგრამ ამაზე მაშინ არ მიფიქრია. ახლა კი, როცა მის წინ ვიდექი და მისი თვალები ისევ ისე მიფორიაქებდნენ ფიქრებსა და გრძნობებს, მე ვიწამე ფროიდისა.

ის ისევ ისე გამოიყურებოდა, მხოლოდ უფრო მამაკაცურად, ვათვალიერებდი მის სახის ნაკვთებს და მინდოდა აღმომეჩინა ისეთი რამ, რაც დამარწმუნებდა, რომ ის ძველი ომერი არ იყო, ვერაფერი ვიპოვე გარდა იმისა, რომ წვერი ჰქონდა მოზრდილი. ერთმანეთზე დაკვირვებამ აღბათ ხუთ წუთს გასტანა. მერე ნელ-ნელა შეგვეპარა სახეზე ღიმილი, ბოლოს კი ორივემ გულიანად გავიცინეთ. ვიდექით ფოიეში, ერთმანეთს ვუყურებდით და ვიცინოდით, მე პირზე ხელს ვიფარებდი, ის თმაზე ისვამდა ხელს, სიცილს კი არ ვწყვეტდით.

გიჟური მომენტი იყო.

სიცილმა რომ გადაგვიარა და ომერმა ისევ წარბები შეკრა, ჩვენს შორის თითქოს უხილავი ინტიმური ძაბვა გაჩნდა. ნერვიულობამ ამიტანა, ყელზე ხელი მოვიჭირე, როგორც ნერვიულობისას მჩვევია და გაშლილი თმა ერთი ხელით უკან გადავიყარე.

სტამბული რაღაცას მიპირებდა...

ის ჩემს წინ დაჯდა, ზურგით სკამს მიეყრდნო და თვალებში ჩამხედა.

- აბა? - იდუმალი ხმით მკითხა.

- რაა? - ხელები გაკვირვების ნიშნად გავშალე.

- საიდან სტამბულში? - მის ნათქვამ წინადადებაზე გამეღიმა, ისევ ამახინჯებდა ქართულს.

- რომში მივფრინავდი, მაგრამ ჩარტერული რეისი სტამბულის გავლით იყო, დროები ვერ გავთვალე და... ახლა ორი დღე მომიწევს აქ ყოფნა. - მხრები ავიჩეჩე.

- რომში?

- მარადიულ ქალაქში...

- რომში? - ისევ ჩამეკითხა, ნაწყენი ხმა ჰქონდა.

- ყველა გზა რომში მიდისო, ხომ გაგიგია. - რატომღაც თავის მართლება გამომდიოდა.

- სისულელეა. - გაეცინა, ისე გაეცინა, მეგონა თავსხმა წვიმამ ერთი ხელის მოსმით გადაიღო-მეთქი.

-სულაც არა. - ვიწყინე.

- ნახავ, თავადაც მიხვდები. - გამიღიმა.

არაფერი მითქვამს, იმ წუთას მოტანილ აირანს დავწვდი და ერთი მოყუდებით დავცალე. რაღაცნაირი გემო დამიტოვა, მაშინ ვერ მივხვდი, ახლა კი ვიცი, მაგრამ მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა იყო ეს გემო.

- ანუ, საქმიანი ქალი ხარ?

- გახლავარ. - ახლა მე გამეცინა. - შენ?

- მე? მე აი ეს ვარ, რასაც აქ ხედავ. - ირგვლივ მიმოიხედა. დარბაზი სავსე იყო ტურისტებით, მაგიდები კი თურქული ტკბილეულით.

- მერე შენი ოცნებები?

- კარგი რა, ქეთი. შენ თავს შეხედე, - ხელი ჩემსკენ გამოიშვირა. სუნთქვა შემეკრა, მის მზერაში ირონია ამოვიკითხე. - განა შენ ამაზე ოცნებობდი?

ნირწამხდარმა თვალი ვეღარ გავუსწორე, მზერა მოზაიკის იატაკზე გამიშტერდა.

- საქმე გექნება, არ მოგაცდენ. - ესღა მოვიფიქრე და სკამიდან წამოვდექი, მაგრამ წასვლა არც მიფიქრია, მაგიდის უბრალო, ტილოს ყვავილებიან გადასაფარებელს ვუჭერდი ხელს და სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი. - მე სტამბულს დავათვალიერებ.

- არ გირჩევ. - მისმა ნათქვამმა ნაბიჯი ვეღარ გადამადგმევინა. - სტამბულს ასეთი თვისება აქვს, ერთხელ თუ შეიგრძნობ ვეღარ მოშორდები, ვეღარ დაივიწყებ, აღარ გაგიშვებს. - უკან მედგა, მის არსებობას ვგრძნობდი თმის ძირებში.

- ნუთუ? - გამომწვევად შევბრუნდი და იდუმალი ღიმილიც არ დამიშურებია. - რით დამაკავებს?

- სურნელით, სევდით... სიყვარულით... - ხმა დაუბოხა, დაბნეულიც კი მეჩვენა.

- ვნახოთ, ორი დღე მაქვს.

- საკმარისია. - ისევ გამიღიმა. - მაგრამ ამ ორ დღეს სულ ჩემს გვერდით მოგიწევს ყოფნა.

- რაღას უცდი, დრო გადის. - მარცხენა მხარეს, წითელ კედელზე ჩამოკიდებულ, დიდ საათზე მივანიშნე. თორმეტი სრულდებოდა.

ომერმა უკან გაიხედა, გრძელ, გაშლილ მაგიდასთან მდგარ, ხანშიშესულ მამაკაცს რაღაც ანიშნა. მამაკაცს უხეში ნაკვთები და დიდი ულვაშები ჰქონდა, თურქული ეროვნული სამოსი ეცვა და მიუხედავად ამისა, მაინც საოცრად ჰგავდა ომერს.

გრძელ, მაგრამ ვიწრო ქუჩას დავუყევით, სივიწროვის მიუხედავათ ქუჩაში უამრავი ადამიანი მოძრაობდა, აქეთ-იქით კი მაღაზიები ჩამწკრივებულიყო, მაღაზიებს სწრაფი კვების ობიექტები და თურქული ეროვნული სამოსის ღია ბაზრობა ჩაენაცვლა.

- სტამბულის გაცნობა, აქედან, ამ ვიწრო ქუჩებიდან და უბრალო ხალხიდან უნდა დაიწყო. - ომერი სახეგაბადრული მომყვებოდა გვერდით და ყოველი ახალი ადგილის დანახვაზე მაცნობდა აქაურობას. ხალხმრავლობა შეწყდა, ახლა ქუჩაში მხოლოდ ჩვენ მივაბიჯებდით და კატები ირეოდნენ.

ომერი უეცრად დაიხარა, ხელში პატარა, ფუმფულა, თაფლისფერი კნუტი აიყვანა და გულზე მიიკრა.

- აი, სტამბულის საპატიო მოქალაქეებიც, გაიცანი. - სასაცილო სანახავი იყო.

- საპატიო მოქალაქეს ჩემი ტურისტული სალამი. - თათზე გავეთამაშე კნუტს. - იშვიათი კადრია, ფირზე აღბეჭდვას იმსახურებს. - ომერმა პოზა დაიკავა, კნუტი ზემოთ ასწია და დაელოდა, როდის გადავიღებდი ფოტოს.

კატების უბნის გავლის შემდეგ, შედარებით პრესტიჟულ ქუჩაზე გავედით.

- ხელი მომეცი, აქ იმდენი ხალხი მოძრაობს, შეიძლება დამეკარო, - პასუხს არ დაელოდებია, ისე ამიწია მოსაცმელის მაჯა და ხელზე ხელი ჩამავლო. ღმერთს მადლობა გადავუხადე, რომ ეს ხელი მარჯვენა არ იყო. წარმოუდგენელია, როგორ შეცვლილა მისი დამოკიდებულება ასეთი ფამილარული რამეების მიმართ. დაბნეულობა არ შევიმჩნიე და მორჩილად გავყევი უკან.

- ეს ბიძია აბდულას მაღაზიაა. - მანიშნა ოქროსფრად შეღებილ ვიტრინებზე. - სტამბული დარიჩინისა და ზეითუნის ზეთის საპნით განთქმულია. აქედან, ამის გარეშე რომ წახვიდე, საცოდაობა იქნება.

მაღაზია საოცრად ლამაზი და მყუდრო იყო, არაფრით არ ჰგავდა ჩემთვის ასე ცნობილ პარფიუმერულ მაღაზიებს, კონდიციონერის

სიგრილით და პარიზული დახვეწილობით, რომ იწონებენ თავს თბილისში. მაღაზია სავსე იყო ვიტრინებითა და მასზე ჩამწკრივებული ნელსაცხებ-ლებით, საპნებითა და სხვა სააბაზანო კოსმეტიკით. ოთახის ბოლოს, ღია კარზე, მძივებ ასხმული ფარდა ფრიალებდა.

- ბიძია, - ომერმა თავი ფარდის იქით შეყო და ვიღაცას რაღაც უთხ-რა თურქულად. მძივებიანი ფარდა გადაიწია და იქიდან მეტად ჩაპუტკუ-ნებული, ულვაშიანი კაცი გამოვიდა. სანდომიანი სახე ჰქონდა. ბიძია აბდულას ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა და ომერს რაღაც გადაულაპა-რაკა. ომერმაც ღიმილით დაუბრუნა პასუხი. მომეჩვენა, რომ აბდულა მიცნობდა.

- რა გითხრა?

- ბოსფორზე ამოსული მზესავით ლამაზიაო. - ხმადაბლა მითხრა და ვიტრინას მიუბრუნდა. გულში რაღაც ჩამწყდა. კეთილ მოხუცს უბრალოდ გავუღიმე და მაღაზიის თვალიერება განვაგრძე. სამი სხვადასხვა ფე-რისა და ფორმის საპონი გადმოიღო ომერმა, მერე ბიძამისს მიაწოდა და რაღაც უთხრა.

- წავიდეთ.

- მერე ჩემი საპონი? - მიამიტურად გამომივიდა.

- გამოგზავნის. - მაღაზია უხმოდ დავტოვეთ. წელანდელმა სიტყვებ-მა თითქოს უხერხულობა ჩამოაგდო. - ბიძია აბდულა დედაჩემის ძმაა, რაც დედა გარდაიცვალა, ის გახდა ჩემი მეგობარი და მესაიდუმლე. - თითქოს გულს მიშლიდა.

ხმა ვერ ამოვიღე, არ ვიცოდი დედა თუ გარდაეცვალა.

***

ომერის გაცნობის შემდეგ ჩემში რაღაც შეიცვალა, უფრო ამაყი და თავდაჯერებული გავხდი. ქალურმა თავმოყვარეობამ იჩინა თავი. ბიჭე-ბის ყურადღებას ისედაც მიჩვეული ვიყავი, მაგრამ ომერის ყურადღება და მისი საჩუქარი სულ სხვა რაღაც იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ საჩუქრებზე დახამებული გოგო ვიყავი, არა. აი, როგორ აგიხსნათ, აქ ომერის ჩემდამი დამოკიდებულება გამოიკვეთა. მივხვდი, რომ ისიც ისევე იყო ჩემით დაინტერესებული, როგორც მე მისით. ვაღიარებ რელი-გიური და ეროვნული განსხვავებულობაც დიდ როლს თამაშობდა ამ ამბავ-ში, მეამაყებოდა და მომწონდა ეს ყოველივე.

ყოველ დღე ვხვდებოდით ერთმანეთს უნივერსიტეტის ბაღში და ათას რამეზე ვსაუბრობდით, თუმცა ეს საუბარი არასდროს წასულა სხვა მხარეს. ის ყოველთვის ღიმილით მისმენდა, როდესაც მე ცეკვაზე და ჩემს მომავალ პროფესიაზე ვსაუბრობდი. ვოცნებობდი, რომ კარგი მასწავლებელი გავმხდარიყავი და ქართული იმ ბავშვებისთვის მესწავლებინა, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაინც არ იცოდნენ ქართული, ისინი რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. უნივერსიტეტს კი კურსდამთავრებულთათვის ჰქონდა ასეთი პროექტი; ის ვინც არაქართულენოვან სოფლებში წავიდოდა მასწავლებლად და ერთი წელი იცხოვრებდა მათ გვერდით, გააცნობდა ქართულ ტრადიციებს, ასწავლიდა ენას, მაგისტრატურის გადასახადს სრულად აუნაზღაურებდა. მე კი ძალიან მინდოდა ამ პროექტში ჩაბმა, რაღაც აზარტი მოჰქონდა ამ ყოველივეს.

ომერი კი დიპლომატობაზე ოცნებობდა, უნდოდა მომავალში სირიაში, ან რომელიმე არაბულ ქვეყანაში ელჩი თუ არა, კონსული მაინც ყოფილიყო.

***

- გამოცდების შემდეგ თურქეთში წახვალ, არა? - ვკითხე ერთხელ, როდესაც ქუჩაში უმისამართოდ დავეხეტებოდით. ოდნავ გაეღიმა.

- ხო, იქაა ჩემი სახლი. - თვალები აუციმციმდა. - სტამბულის გარეშე ვერ ვიცოცხლებ.

- მე კი თბილისის გარეშე არ შემიძლია ცხოვრება, - ახლა მე მომაწვა ჩემი ქალაქის სიყვარული. - იცი, სოფელში, რომ მივდივარ, ან სადმე დასასვენებლად, პირველ ღამეს ვერაფრით ვიძინებ, მერე კი ყოველ ღამე მესიზმრება თბილისი.

- ლამაზია თბილისი. - სევდიანად დამიდასტურა.

- იცი, რას ამბობდა ცნობილი არაბი პოეტი რიზკალაჰპასუნი:

“დამასკოს აქებს, ვით სამოთხეს, ყურანის სურა,

აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიან,

ჰოი აშუღნო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად

– “თბილისი ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია".

- თავხედი ყოფილა ეგ შენი ჰასუნი.- უკმაყოფილოდ შეკრა წარბი ომერმა. - ეტყობა მას სტამბული არ უნახავს.

- ნუ ხარ ეგოისტი, ნახე მართლაც რა ლამაზია თბილისი. - უკვე ნარიყალაზე ვიდექით და ზემოდან გადმოვყურებდით თბილისს.

- თბილისი რაღაცით ჰგავს სტამბულს, - იქვე გალავანზე ჩამოჯდა და საუბარი დაიწყო. - თბილისიც მასავით ორ სამყაროს შუაა გაჩხერილი, აქედან ევროპა ექაჩება თავისი გამაბრუებელი თავისუფლების ბალადებით და იქით აზია, წარსულის ნოსტალგიით. - ომერი გატაცებით საუბრობდა, საუბრის დროს ხანდახან წარბს შეჰკრავდა, ხან კი თვალებში სხივები უციმციმებდა. ომერი არავის ჰგავდა, სრულებით არავის და მე სწორედ ეს მიზიდავდა მასში.

****

- ქეთი, - მონაბერმა ქარმა მოიტანა მისი ნათქვამი ჩემი სახელი. მთაწმინდაზე ვიყავით. - ყველაზე ლამაზი ქალი ხარ დედამიწაზე.

ყველაზე გულწრფელი იყო იმ დღეს ომერი.

ჩემ წინ იდგა, ძალიან ახლოს, თვალებში მიყურებდა და ქარისგან აფრიალებული ჩემი თმები სახეზე ელამუნებოდა. მისმა თვალებმა მეტყველების უნარი წამართვა.

***

- გეძებდი, წამოდი ცოტახანს დარბაზში, რა... - უნივერსიტეტის დერეფანში, თურქ მეგობრებთან ერთად მდგარ ომერს, სირბილით მივეჭერი, ლოყაზე ვაკოცე და ხელი ჩავკიდე.

- სირცხვილია, ქეთი. - ხელი გამაშვებინა და მეგობრებს გადახედა. ჯანაი და ელსა ჩუმად ფხუკუნებდნენ, სხვები კი გაკვირვებული მიყურებდნენ. ხო, ისინი თავშლებითა და გრძელი კაბებით დადიოდნენ, მათ განსხვავებული წესები და ტრადიციები ჰქონდათ, ქალი არ შეიძლებოდა ასეთი თამამი ყოფილიყო. მე კი ჯინსის დახეული შარვალი და ზედმეტად გულამოღებული მაისური მეცვა, არც თმას ვმალავდი და არც ფეხებს.

- კარგი, როგორც გინდა. - ნირწამხდარი გავეცალე და სიბრაზისგან მთლიანად ავწითლდი.

- ქეთი, - უკან გამომედევნენ ჯანაი და ელსა. - დაიცადე.

ახლა მათთან საუბარი ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ უარს ვერ ვეტყოდი.

- ომერი უბრალოდ ცდილობს დაგიცვას. - საუბარი წამოიწყო ელსამ, როდესაც გარეთ გამოვედით.

- რისგან? - გაკვირვებისგან ხვედა ამიტყდა.

- ხომ იცი, ჩვენი რელიგია, წესები...

- კარგით რა, რომელი საუკუნეა? ან ასეთი რა გავაკეთე?

- საუკუნე არაფერ შუაშია, ჩვენი რელიგია... - სიტყვა ვეღარ გააგრძელა ჯანაიმ.

- ჯანაი. - არ ვიცი როდის წამოგვადგა თავს ომერი, მაგრამ რომ შევხედე, შემეშინდა, მკაცრი მზერა ჰქონდა.

- ჩვენ წავალთ. - ელსამ ჯანაის რაღაც ანიშნა, და ორივე ფეხზე წამოდგა. როგორც კი გოგოები გაგვეცალნენ, ომერი ჩემს გვერდით სკამზე ჩამოჯდა და მზერა ეზოს ბოლოს, წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიას გაუსწორა.

- გრძნობების სახალხო გამოხატვა არ მეხერხება, ქეთი. უფრო მეტიც, არ მომწონს. - ისევ არ მოუცილებია ეკლესიისთვის თვალი. - ასე გავიზარდე, ასე ვცხოვრობ, ეს მასწავლა გარემომ, სადაც ჩამოვყალიბდი.

- და რელიგიამ...

- ხო, რელიგიამ...

- მეგონა გრძნობებთან რელიგია კავშირში არ იყო. - იმედგაცრუებული ვიყავი. მაშინ უკვე გვქონდა გრძნობები ერთმანეთის მიმართ, მართალია ის ყოველთვის თავშეკავებული იყო და ამაზე ასე ღიად არ გვისაუბრია, მაგრამ მისი ყურადღება და მისი ქცევა ჩემს ეჭვს ადასტურებდა.

- შენც ხომ იცი, რომ ეს ჩვენს შემთხვევაში უფრო რთულადაა? - მხოლოდ ახლა მობრუნდა ჩემკენ.

- მე ამას ვერ შევეგუები, ეს არაა სამარცხვინო, ეს არაა ცოდვა, მე არაფერს ისეთს არ ვაკეთებ რაც არასწორია. - აღშფოთებული წამოვხტი ფეხზე.

- აი, აქ ჩანს ჩვენი მენტალური განსხვავება. სოციალური განსხვავებულობა. - უჩვეულოდ წყნარი ხმით მითხრა. კამათის სურვილიც კი დამეკარგა.

- რას ითხოვ ჩემგან? - სასოწარკვეთამ მომიცვა. მობუზული მივუჯექი. - რა გინდა?

ომერს ხმა არ ამოუღია, ამაოდ ველოდი პასუხს, მეშინოდა მისი პასუხის, თუმცა უთქმელადაც ვხვდებოდი რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ,

რა თქმა უნდა, აღიარების და სიმართლისთვის თვალის გასწორების მეშინოდა.

იმ დღეს უნივერსიტეტს პრაღის უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორები ეწვივნენ, ოფიციალური მიღების შემდეგ, სტუმრებს ქართული ნაციონალური ცეკვა გავაცანით. მე და ჩემი მეწყვილე ისევ ქართულს ვცეკვავდით. განსაკუთრებით თავგამოდებით, მთელი გრძნობით შევასრულე ჩემი პარტია. ბოლო წრეს ვათავებდი, როდესაც დარბაზში ომერს მოვკარი თვალი. მომეჩვენა, რომ არ სუნთქავდა, თვალთ დამიბნელდა, ძალიან ვეცადე, რომ სცენიდან ინციდენტის გარეშე გავსულიყავი. როგორც კი კულისებში გავედი, კედელს ავეკარი და თვალებდახუჭულმა ვცადე დაწყნარება.

- ამიტომ გიჟდებოდნენ ჩემი წინაპრები ქართველ ქალებზე. - სიბრაზისგან ცხვირის ნესტოები დამებერა.

- ახლა აღარ გიჟდებით? - ირონია არ დამიკლია, ზურგი ვაქციე და ხელოვნური ნაწნავების მოხსნა დავაპირე. თავისკენ წაღებული ხელი გამიკავა და მისკენ მიმაბრუნა. მკაცრი მზერა ჰქონდა, რომ მოენდომებინა, ალბათ ამ მზერით დამწვავდა.

- სხვისი არ ვიცი, მე მხოლოდ საკუთარ თავზე შემიძლია საუბარი.

- მაინც რა გაქვს სათქმელი? - ხელის გათავისუფლება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

- გეტყვი, ათ წუთში თუ გასასვლელთან იქნები. - ხელი ფრთხილად შემიშვა და წავიდა. მიდიოდა ამაყად, მხრებში გაშლილი, სიარულის მანერაც კი განსხვავებული ჰქონდა, ხომ ვამბობდი არაფრით არ ჰგავდა უნივერსიტეტელ ბიჭებს.

კაბა სასწრაფოდ გამოვიცვალე და მაკიაჟის მოუცილებლად გავიქეცი გასასვლელისაკენ. უკვე კართან ვიყავი, ჩემი მეწყვილე, ვახო, რომ დამეწია.

- ქეთი, სად დაიკარგე? ანიმ ფეხი იტკინა და ხელმძღვანელმა ქეთიმ იცეკვოს ხევსურულიო. - სირბილისგან გულამოვარდნილი, ქოშინით ამბობდა სიტყვებს.

- არ მცალია, ვახო. მელოდებიან... - არც შემიხედავს ისე ვათვალიერებდი გასასვლელს, რომელთანაც ზუსტად მაშინ ომერი დავლანდე. - უთხარი, რომ ცუდად გავხდი და ნინი ან ეკუნა აცეკვოს. - ხელი მხარზე დავკარი, ერთი გაუღიმე და ომერისკენ წავედი.

- კი მაგრამ, ქეთი... - უკან დამეწია ვახოს სიტყვები, თუმცა მე მეტი არაფერი გამიგია. ომერი ცალი მხარით კედელს ეყრდნობოდა, ორივე ხელი ჯიბეში ჩაეწყო და თვალებს აბრიალებდა. კარგად შევამჩნიე შარვ-ლის შიგნითაც მისი მომუშტული თითები.

ბრაზობდა...

- კიდევ დიდხანს უნდა გიყუროს?

- ვინ უნდა მიყუროს? - ვერ მივხვდი რას ამბობდა.

- ისიც საკმარისია მისთვის შენთან ცეკვა, რომ შეუძლია. - თვალების ბრიალს არ წყვეტდა. გამეცინა, ეჭვიანობდა.

- შენ ვინ წაგართვა ჩემთან ცეკვის უფლება?- გამომწვევად ვკითხე.

- მე შენთან მხოლოდ Zeybek Harmandalı ს ვიცეკვებ.- ვერ მივხვდი რას ამბობდა, მაგრამ იმას მივხვდი, რომ თურქულ ცეკვას გულისხმობდა.

- მეგონა რელიგია ჩემთან ცეკვასაც დაგიშლიდა.

- არ გიხდება სარკაზმი, ქეთი. - შუბლი შეკრა. - მე არაფერს მიკრ-ძალავს რელიგია.

- რა თქმა უნდა, მხოლოდ ქალს უკრძალავს. საინტერესოა სხვა რელიგიის ადამიანთან ურთიერთობასაც არ გიკრძალავს? - არ ვცხრებო-დი ისევ.

- არა, თუ ის ისლამს მიიღებს. - თვალებში ჩამაშტერდა.

- იმედია ამას სერიოზულად არ მთხოვ. - ერთიანად გავფითრდი, ფეხებში სისუსტე ვიგრძენი. - ომერ, ხმა გამეცი!

ის ხმას არ იღებდა.

- შენი სარწმუნოება ჩემზე გათხოვების უფლებას გაძლევს? - თვა-ლებგაშტერებული იდგა, სადღაც სივრცეში იყურებოდა.

- მეხუმრები არა, თქვი, ომერ... - ბოლო იმედს ვებღაუჭებოდი.

- არა, ქეთი. მიპასუხე, გაძლევს?

- არა, ეკლესია ასეთ ქორწინებას არ ცნობს.

- რწმენას შეიცვლი?

- რას ამბობ, ომერ... - თვალებზე ხელი ავიფარე, არ მჯეროდა, რომ ამას ომერი მეუბნებოდა.

- ქეთი, გთხოვ, მიპასუხე, გამაგებინე რამდენად ახლოს შემიძლია შენთან მოსვლა. შეგიძლია ჩემ გამო რწმენა შეიცვალო? - თავს არ მანებებდა ომერი.

- შენ შეგიძლია? - ახლა მე შევუბრუნე კითხვა, გაფითრდა, ხელები მომუშტა. - არ მიპასუხებ?

- არა, არ შემიძლია, ეს ჩემი სამყაროა, ჩემი ოჯახია, ტრადიცია, მაშინ ყველაფერს ზურგი უნდა ვაქციო. - მის ხმაში შიში იგრძნობოდა, მივხვდი მე იმას მთხოვდა, რაც მან მხოლოდ ახლა გაიაზრა.

- შენს კითხვას პასუხი თავად გაეცი... - არაფერი უთქვამს.

მე მოვბრუნდი და წამოვედი. მაინც არ მჯეროდა, რომ ეს მან მითხრა, არ მჯეროდა, რომ ასეთი არჩევანის წინაშე დამაყენა. სიბრაზისგან გული შემეკუმშა.

***

იმ დღის შემდეგ ომერი არ მინახავს, ყველგან ვეძებე, თუმცა ჩუმად, არავისთვის მიკითხავს მისი ამბავი. თითქოს ჯიბრით არც მისი მეგობრები იღებდნენ ხმას. ჯანაი და ელსა კი ჩემს დანახვაზე თავს ჩაღუნავდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ვერაფერს ვხვდებოდი, თუმცა იმდენად ამაყი ვიყავი, არც კი მიფიქრია მათთან მისვლა. ომერთან ბოლო საუბრის შემდგომ უნივერსიტეტიდან პრაღაში წავედით. ქართული დღეები მიმდინარეობდა ჩეხეთში და ჩვენი ანსამბლი ფოლკლორს წარმოადგენდა. პრაღადან ორი კვირის შემდეგ ჩამოვედი. სემესტრი მთავრდებოდა და გამოცდების ციებ-ცხელება გვიახლოვდებოდა. იმედი მქონდა ახლა მაინც მოვკრავდი თვალს ომერს. ისტორიის გამოცდაზე საგანგებოდ გამოპრანჭული მივედი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა, გამოცდა ისე დამთავრდა ომერი არ გამოჩენილა. იმ დღეს ყველაზე მეტად მეტკინა გული, მივხვდი, რომ მენატრებოდა. მარტო დარჩენილმა მისი ნომერი ავკრიბე და ზუმერის გასვლას დაველოდე. ნომერი გამორთული იყო. არც ამჯერად მიცდია ელსასა და ჯანაისთვის მეკითხა რამე. ვბრაზობდი მასზე, ვბრაზობდი ჩემს თავზე და პირობა დავდე მასზე აღარ ვიფიქრებდი. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ მერე შევეგუე. ჩემს თავს ვარწმუნებდი, რომ ასე უკეთესი იყო. ის რწმენას არ შეიცვლიდა, არც მე. ასე, რომ ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა.

***

ისევ ხელჩაკიდებულები ვაგრძელებდით გზას, ომერი ქუჩებს მაცნობდა, დროდადრო კი გამვლელებს ესალმებოდა, ზოგს თავის დაკვრით, ზოგს სიტყვით. ვიწრო ქუჩიდან ღია მოედანზე გავედით, ისევ

ათასი ჯურისა და რწმენის ხალხი ირეოდა, ზოგი ჩადრით, ზოგი შორტითა და ტურისტული ჩანთით ზურგზე. სადღაც შორიდან მეგრული ნანა მომესმა, ვიგრძენი როგორ დამიარა ჟრუანტელმა ტანში და გავჩერდი.

- ეს კაზიმ კოიუნჯია, ცნობილი ლაზი მომღერალი, თურქულ, ლაზურ, მეგრულ და ქართულ ენებზე მღერის. - იღიმოდა ომერი. - წამოდი, ვიყიდოთ. - ომერი წინ წავიდა, მე კი უკან მივყევი, ხალხის ნაკადს ვაპობდით, მერე ომერი დახლზე გამართულ ფირფიტების წყებასთან მივიდა და გამყიდველს ათი ლირა მიაწოდა.

- ეს ჩემგან და სტამბულისგან, - ფირფიტა გამომიწოდა და ჩაეღიმა.

- მადლობა. - მეც უბრალოდ გავუღიმე.

მივაბიჯებდით ხალხმრავალ გამზირზე და შენობების თვალიერებაში გართულმა ვერც შევამჩნიე ისე ამოვყავი თავი ტრამვაიში. ტრამვაი სტამბულის ერთგვარი სიმბოლოა.

- შეხედე, ეს ისტაკლალია, თავისუფლების გამზირი, - მე ვიჯექი, ომერი კი ჩემ წინ იდგა და ქუჩაზე მიმითითებდა. - აი, დაახლოებით რუსთაველის მსგავსი, - ღიმილით გადმომხედა და ისევ საუბარი განაგრძო. - ეს სტამბულის პატარა ევროპაა.

- ლამაზია - მართლაც საოცრად ლამაზი იყო ეს ქუჩა. გამზირი ნამდვილად ამსხვრევდა ჩემ  წარმოდგენას სტამბულზე, ქუჩის ორივე მხარეს და ჩიხებშიც ღია კაფეები და ევროპული რესტორნები ჩამწკრივებულიყვნენ. ამ ქუჩაზე მშვიდობიანად ცხოვრობდა მუსლიმური და ქრისტიანული სამყარო. - და საინტერესო.

- ჩავიდეთ. - ომერმა ისევ ხელი ჩამკიდა. - ეს რესპუბლიკის მონუმენტია, რომელიც მუსტაფა ქემალ ათათურქის პატივსაცემად აიგო. ისტორიული ღირებულების გარდა, მას რომანტიული დატვირთვაც აქვს. - თავზე ხელი გადაისვა, ისე როგორც მხოლოდ მას სჩვევია. - ეს პაემნების ადგილია.

- ანუ ჩვენც პაემანზე ვართ? - ძნელი იყო ასეთ სიტუაციაში ფლირტისგან თავის შეკავება. ომერმა ჰაერი ღრმად შეისუნთქა და ჩაიცინა.

- შენ გინდა რომ ეს პაემანი იყოს? - პასუხი იმდენად დამაბნეველი იყო არ მინდოდა, მაგრამ მაინც გავწითლდი. - კარგი, არ ვართ პაემანზე, ნუ წითლდები. - ომერის სიცილმა ირგვლივ ყოველგვარი ხმაური გააქრო, წარსულში დამაბრუნა და მოგონებებისგან მეც გამეცინა.

- შეცვლილხარ. - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

- შეიძლება, მაგრამ ხასიათი არ შემცვლია. - მოედანზე მივდიოდით.

მხოლოდ ახლა შევამჩნიე, წყვილებად მდგარი, ან პირდაპირ ასფალტზე მსხდომი ახალგაზრდები. სტამბულმა ისევ თბილისი გამახსენა. ვიდექით მოედანზე და ღიმილით ვათვალიერებდით, სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენის ახლაგაზრდებს, ტურისტებსა თუ ადგილობრივებს.

- რა კონტრასტულია სტამბული, - ომერის გვერდით რესპუბლიკის მონუმენტთან ჩამოვჯექი და მოედანზე მიმოფანტულ ახალგაზრდებს გადავავლე თვალი. - აქეთ ჩადრითა და გრძელი კაბით ჩაგიცლის დარბაისელი, მუსლიმი ქალი, იქით კი მწვანე თმითა და ცხვირზე პირსინგით, გოგონები სიგარეტს ეწევიან.

- ხო, სტამბული კონტრასტების ქალაქია.

მერე ისევ ვისხედით ჩუმად და მე ქალაქის ხმაურს ვაყურადებდი, ომერი კი მე. ვხვდებოდი, ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი.

- ქეთი, - ფიქრებიდან მისმა ხმამ გამომიყვანა.

- ხოო...

- დარჩები სტამბულში? - არ ველოდი, გული ამიჩქარდა, შემეშინდა, გამიხარდა...

- ეს თხოვნაა? - თვალი ავარიდე. - თუ...

- კარგი, დაივიწყე, წამო ვჭამოთ რამე, არ მოგშივდა? - ნირწამხდარი იყო, ეტყობოდა, როგორ უჭირდა პასუხის მოსმენა.

ბოსფორზე წავედით, ფინდიკლიში, ზღვის პირას, სახელდახელოდ მოწყობილ ღია ბარში დავსხედით და უკვე შებინდებულ სტამბულის ცასა და ხიდს გავხედე. ზღიდან ისევ ნიავი ჰქროდა, ისევ კიოდნენ თოლიები და ისევ ჩურჩულებდა სტამბული.

- უსმინე... თვალები დახუჭე და გულით უსმინე. სტამბული უნდა შეიგრძნო, უნდა ნახო, მაგრამ არასდროს გაპატიებს ქალაქი, რომ არ მოუსმინო. - თვალები მართლაც დამეხუჭა, ომერის სიტყვები ჰიპნოზივით მოქმედებდა ჩემზე. ვიჯექი თვალებდახუჭული და მთელი სხეულით ვცდილობდი მეგრძნო და მომესმინა სტამბულის ჩურჩული. - რას გრძნობ? - ომერი ჩემს ყურთან ჩურჩულებდა. კანკალმა ამიტანა. მის გვერდით თავს საოცრად მშვიდად და ამავდროულად დაძაბულად ვგრძნობდი, მომწონდა მისი ქცევა და ამავდროულად მაფორიაქებდა.

- მგონია, რომ მეძახის. - ძლივს ამოვთქვი, მის სუნთქვას ყელთან ვგრძნობდი.  - კარგი, კარგი, მოდი ვჭამოთ. - თავი გავაქნიე და უკან დავიწიე, შემეშინდა იმის გაკეთების რაც ომერის დანახვის წუთიდან მინდოდა და ვიცოდი მასაც უნდოდა. - ეს რა არის?

- გეშინია? - ომერი სკამს მიეყრდნო, ხელი საზურგეს გადაადო და თვალი ამარიდა, ზღვას გახედა.

- რა? რის? - საჭმლისკენ გაწვდენილი ხელები ისევ კალთაზე დავილაგე და ნერვიულობისგან დაწყებული კანკალის შეკავება ვცადე.

- გეშინია, რომ ვერ გაუძლებ, ამ ყველაფერს, ამ გარემოს, სტამბულს და ჩემს სიახლოვეს. - მთელი ტანით გადმოიხარა მაგიდაზე და კალთაში დაწყობილ ჩემს ხელებს დასწვდა. - ხო, გეშინია.

- რა სისულელეა. - ვცადე ხელები გამომერთმია, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. ომერი უფრო მაგრად ჩამეჭიდა, წარბები შეკრა და მივხვდი, ამაო იყო მისგან თავის დახსნის მცდელობა.

- ასეა. გეშინია ჩემი, მაგრამ რატომ დამთანხმდი იმ გამოწვევაზე? ხომ იცი, რომ... - როგორც ხდება ხოლმე რომანტიულ ფილმებში, აქაც სიტყვა ჩემი ტელეფონის ზარმა გააწყვეტინა. გონს მოვეგე, ხელები გავითავისუფლე და ტელეფონს დავწვდი. ლიმას ზარი იყო საქართველოდან. არა, ქეთი ოღონდ ეს არა, ვფიქრობდი და არ ვიცოდი რა მექნა. ომერი თითქოს გამორკვა, ისევ შუბლი შეკრა და ელოდა როდის ვუპასუხებდი ტელეფონს. მე კი ეკრანზე გამოსახულ წარწერას დავყურებდი და პასუხის გაცემას ვერ ვბედავდი.

- უპასუხე, ქეთი.

- ხო, რა თქმა უნდა. - თავი გავაქნიე და სენსორს ხელი გადავუსვი. რა თქმა უნდა, ლიმასთან საუბარი დიდხანს გამიგრძელდა, პირველად ვიგრძენი, რომ მის საუბარზე და ყურადღებაზე ნერვები მეშლებოდა, ვცდილობდი, მოკლე პასუხები გამეცა. ომერი პირველივე სიტყვაზე მიხვდა ვინ შეიძლება ყოფილიყო. სახეზე ეტყობოდა, რომ არ მოსწონდა, მე კი არ ვიცი რატომ, მაგრამ ლიმას ნათქვამ მიყვარხარს დუმილით ვუპასუხე.

- ბოდიში. - ტელეფონი ჩანთაში დავაბრუნე და ომერს მივუბრუნდი.

- დიდი ხანია ერთად ხართ? -  აირანით სავსე ჭიქას დასწვდა და ვითომც არაფერი ისე მოსვა სითხე.

- სამი წელია. ის პირველია, ვინც...

- ვინც ჩემ შემდეგ შეგიყვარდა? - საოცრად დამცინავი ტონით წარმოსთქვა.

- არა... კი... მოიცა ეს რა... ომერ, რა გინდა?

- მე? - გაკვირვებისგან წარბები მაღლა აზიდა და გულზე ხელი მიიბჯინა. - არაფერი.

- კარგი, მაშინ ვჭამოთ, თორემ მართლაც არაფერი მიჭამია მთელი დღეა. - მე ვჭამდი, ომერი კი აირანის ჭიქას ხელში აწვალებდა და ვხვდებოდი, რომ რაღაცის თქმა სურდა.

- ეს გალათას კოშკია, იგივე ქრისტეს კოშკი და ჯერ კიდევ ძველ კონსტანტინოპოლში იყო მნიშვნელოვანი ნაგებობა. - გალათას ხიდიდანვე დაიწყო ომერმა საუბარი. უკვე ღამის სტამბულის, ამ ლამაზ უბანში, ყველაფერი საოცრად ლამაზი იყო. ქუჩაზე რომელსაც კოშკთან მივყავდით, უამრავი ადამიანი ირეოდა, ძირითადად ახალგაზრდები. ბარებიდან თურქული მუსიკის ჰანგები ისმოდა. სტამბული დუღდა...

- შესვლა შეიძლება?

- რა თქმა უნდა, შიგნით კლუბები და რესტორანია, ულამაზესია კოშკიდან დანახული სტამბული. - ხმაურის გადასაფარად ყურთან მომიტანა ტუჩები და ხმამაღლა მითხრა. - გინდა ავიდეთ და გათენებას იქ შევხვდეთ?

- რა თქმა უნდა, მინდა.

- მაშინ ჩემს გვერდით იყავი და ზედმეტად არავის გაუღიმო. - ჩემი გაკვირვებული სახე, რომ დაინახა, უცებ დაამატა. - ნუ, თუ არ გინდა ვინმე აიკიდო.

- ასე მიცნობ? - მის საქციელზე გამეღიმა. ძალიან ცდილობდა ჩემს მიმართ გულგრილი ყოფილიყო. გალათას კოშკში ლიფტით ავედით. ლიფტი მეათე სართულზე კლუბში გაჩერდა და სიმშვიდიდან უეცრად გიჟურ სამყაროში ამოვყავით თავი. ომერმა ღიმილით გადმომხედა.

- დალევ?- ისევ ყურში ჩამძახა.

- დავლევ. - ორი ჭიქა ვისკის შემდეგ მე სიგიჟეების ჩადენის ხასიათზე მოვედი, ომერი კი ჩემი დამშვიდების ხასიათზე. ირონიულია მაგრამ საერთოდ არ ვფიქრობდი რას ვაკეთებდი, ვცეკვავდი დაღლამდე და ომერსაც ვაიძულებდი ამ სიგიჟეში მიეღო მონაწილეობა.

- გეყოფა. - შუა ცეკვისას ხელი ჩამჭიდა და გასასვლელისკენ წამიყვანა.

- ისევ ის კომპლექსებიანი ბიჭი ხარ, რაც რვა წლის წინ იყავი, ომერ. - სიცილს ძლივს ვიკავებდი.

- ამაზე უკეთესი ადგილებიც არსებობს სტამბულში. - ლიფტში შემიყვანა და ბოლო სართულის ღილაკს მიაჭირა თითი. მე ლიფტის კედელს ავეკარი, თავი მივადე და ვცადე ლიფტის დაძვრით გამოწვეული თავბრუსხვევა შემეჩერებინა.

- ახლა ცუდად გავხდები. - თვალები დავხუჭე და ტუჩებს კბილები დავაჭირე.

- არც გაბედო იცოდე! - ომერმა ხელი დამავლო და ლიფტის გაღებული კარში გამატარა. - არ ვაპირებ ჯარიმების გადახდას.

ღია სივრცემ და ცივმა ნიავმა აზრზე მომიყვანა. კოშკის სახურავზე ვიდექით, სტამბული კი ხელის გულზე გადაშლილივით მოჩანდა. მარმარილოს ზღვიდან მარილიანი ქარი ჰქროდა.

- რა ლამაზია. - მოაჯირს ხელები ჩავჭიდე და ომერს ავხედე, ჩემს გვერდით იდგა და ქალაქს გაჰყურებდა.

- ეს ლურჯი მეჩეთია. - ომერმა ხელი მარჯვნივ გაიშვირა და მისი აწეული სახელოდან ჩემნაირ სამაჯურს მოვკარი თვალი. „ომერს ისევ უკეთია ის სამაჯური. ღმერთო! და მეც ხომ მიკეთია. არა, არა! ომერი ამას ვერ შეამჩნევდა.“ ვფიქრობდი შეშინებული და სახელოებს დაბლა ვიწევდი, ომერმა სამაჯური არ უნდა ნახოს. - ეს კი აია სოფია, იქით თოფქაფის სასახლე, ხვალ წაგიყვან და დაგათვალიერებინებ.

მერე ორივე გავჩუმდით, მე ქალაქს ვსწავლობდი. ომერი მე. მისი მზერა სახეს მიწვავდა, თუმცა მაინც მომწონდა და მაღელვებდა.

ცოტა ხანს ასე ჩუმად ვიდექი, მე სტამბულის ცქერით ვერთობოდი, ის ჩემით. აუტანელი იყო სიმშვიდე, მით უფრო ახლა, როცა ამდენი წლის მერე ყველაფერი ბრუნდებოდა, არ შემეძლო ისევ მშვიდად შემომეშვა ომერი ჩემს ცხოვრებაში და წარსულზე არ მეკითხა.

- რა მოხდა მაშინ? სად წახვედი, ომერ? რატომ?

- დარჩენას აზრი ჰქონდა? - ომერი ჩემკენ შემობრუნდა ქარისგან აფრიალებული თმა ყურს უკან გადამიწია და მივხვდი, რომ არაფერიც არ იყო კარგად, რომ მთელი ეს წლები მე ისევ მას ველოდი. - განა შენ დარჩებოდი ჩემს ადგილას?

- არ ვიცი.

- გიყვარდი? - ომერი თვალებში მიყურებდა.

- მიყვარდი. - არც მე ამირიდებია მზერა. არ ვიცი ეს სასმლის ბრალი იყო, თუ შექმნილი სიტუაციის მაგრამ ვხვდებოდი, რომ ამ წუთას ყველაფერი სულერთი იყო, დიმაც, ოჯახიც და რწმენაც. ახლა რომ ეთხოვა დარჩენა მე ყველაფერს ხაზს გადავუსვამდი და დავრჩებოდი. ომერი კი უბრალოდ იდგა და თვალს არ მაშორებდა. ჯანდაბას, ქეთი. გააკეთე ის რაც გინდა, ასეთი რამ არასდროს აღარ მოხდება. მიდი ქეთი, მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრე.

- გიყვარდი, მაგრამ არა იმდენად რომ ჩემ გამო ყველაფერხე უარი გეთქვა. - ორივე ხელი მკლავებზე მომკიდა და თავისკენ მიმიზიდა. ჩვენს შორის მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრიღა იყო დარჩენილი. - ეს მხოლოდ შენი ბრალი არ არის, მე შემეძლო შენი აზრის შეცვლა, მაგრამ არ მოვინდომე. თითები მკლავებიდან მაჯებისკენ ჩამოაცურა და სამაჯურს თითები გადაუსვა. ჩაეცინა. - ვიცოდი, რომ მელოდი, მე მიყურებდი, რას გავაკეთებდი ამ სიყვარულისთვის, მე კი არაფერი გავაკეთე.

- რატომ? - ძლივს ამოვიჩურჩულე და თვალის გასწორება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა. მისი თვალები მაბნევდა. მომინდა მეტირა, მეტირა იმდენი და ისე, რომ მის გარეშე გატარებული წლები ჩამოერეცხა.

- არ ვიყავით მზად იმისთვის, რომ ამ ყველაფერს დავპირისპირებოდით. ჩვენი მაშინდელი შეხედულებები სამყაროზე და რელიგიაზე სულ სხვაგვარი იყო. - სამაჯურს თითებით ეთამაშებოდა და საუბარს აგრძელებდა. - გულის სიღრმეში მჯეროდა, რომ დათმობდი ყველაფერს. მინდოდა ისე გყვარებოდი, რომ ჩემ გამო რწმენაც შეგეცვალა. გეფიცები მაშინ, რომ გეთქვა მზად ვარ ისლამი მივიღოვო, ჩემს სიტყვას უკან წავიღებდი, არ მოგცემდი უფლებას მხოლოდ ჩემ გამო გეწამა ის, რისიც არ გწამს. - ხმაში ტკივილი შეეპარა და თვალებიც აუწყლიანდა.

თავბრუ დამეხვა, ერთიანად ავკანკალდი.

- ქეთი, ნანობდი, რომ გამიშვი? გენატრებოდი? - ზემოდან დამყურებდა.

ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან, ერთი ფეხის წვერებზე აწევა და მის ტუჩებთან აღმოვჩნდებოდი. მაგრამ...

მაგრამ...

მიუხედავად იმისა, რომ მაბნევდა, მომწონდა, მინდოდა და სასმელისგან მიღებული სითამამეც ომერის მხარეს იყო, მაინც ვერ შევძელი.

ჩემ უკან დიმა იდგა, ადამიანი რომელიც მენდობოდა, რომელსაც ვუყვარდი, მიყვარდა, ან უბრალოდ მის მიმართ პასუხისმგებლობას ვგრძნობი...

ღრმად ამოვისუნთქე, ხელები გავშალე და უკან დავიხიე.

- სენტიმენტალური არასდროს ყოფილხარ, ნუთუ ასაკი მოქმედებს?

- კითხვებზე თავის არიდება გისწავლია. - ომერმა თავი გვერდზე გადახარა და წარბი აწია.

- ხო, ბევრი რამ ვისწავლე შენს მერე.

- ჩემს მერე... თუ რაც მე დავმთავრდი შენს ცხოვრებაში, აღბათ ასე უნდა გეთქვა, ხო?

- ასეთ კითხვებს არ ვიმსახურებ შენგან. - მეწყინა, მართლაც მეწყინა მისგან ეს სიტყვები. საერთოდ ვატყობდი, რომ ომერის საქციელებს და სიტყვებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი და მწყინდა.

- არ იმსახურებ? კარგი, მაშინ ასე გკითხავ; რას ნიშნავს შენთვის ეგ სამაჯური? - მკაცრი ხმით მკითხა და ერთი ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ.

- უბრალოდ მომწონს...

- ტყუი, ქეთი... თავს იტყუებ... მითხარი რას ნიშნავს? - არ მეშვებოდა, ვატყობდი მალე გავტყდებოდი, არ მინდოდა. არ მინდოდა სისუსტე გამომეჩინა. არ ღირდა უკან დაბრუნება, რაც ერთხელ არ გამოვიდა იმას ვერ მივუბრუნდებოდი. მეშინოდა, რომ ისე არ იქნებოდა როგორც იყო. - რატომ გიკეთია ამდენი წლის შემდეგაც?

- თქვი, ქეთი.

- ეს სამაჯური კონცერტის შემდეგ მივიღე საჩუქრად უცნობი თაყვანისმცემლისგან.

- მაინც არ ტყდები. - ომერს ხმა დაუთბა, ხელები ხელებზე ჩამკიდა და თავისკენ მიმიზიდა. - ისევ ისეთი ჯიუტი ხარ.

- ომერ...

- გეყოფა, ქეთი. მაცადე...

- არ შეიძლება... არ შემიძლია... - მის სხეულზე ვიყავი მიხუტებული და საპირისპიროს ვამბობდი. შემეძლო მოვშორებოდი, რადგან ის არ მიჭერდა, უბრალოდ ჩვენი მკერდი ეხებოდა ერთმანეთს, მე მის გულის ფეთქვას ვუსმენდი, მის სუნთქვას ვგრძნობდი თმის ძირებში, შემეძლო მოვშორებოდი, მაგრამ ვერ მოვშორდი. - გამიშვი, ომერ. ასე არ შეიძლება. ახალა გვიანია... - სულელი ვიყავი, მას ვეუბნებოდი გამიშვი-მეთქი, როცა მე ორივე ხელი მისი წელისთვის შემომეხვია და თავი მის

მკერდზე მედო. ომერი თმაზე მისვამდა ხელს და ნაზად მკოცნიდა ლოყაზე.

- თავიდან დავიწყოთ...

თანახმა ვიყავი, იმ საღამოს ყველაფერზე ვიყავი თანახმა. მიყვარდა, რა თქმა უნდა, მიყვარდა. სხვა შემთხვევაში მართლაც არ ვატარებდი იმ სამაჯურს. სასმელმა, მისმა სიახლოვემ და იმ გარემომ, სტამბულმა, მისმა მომხიბვლელობამ და ქარიზმამ მე უკან დამახევინა.

მთელი ღამე ვიდექით კოშკზე, ერთმანეთს ჩახუტებული და ჩუმად ვადევნებდით თვალს ბოსფორზე მზის ამოსვლას.

მზე კარგად ამოსულიყო უკან, რომ დავბრუნდით. საშინლად მეძინებოდა, არც ომერი იყო უკეთეს დღეში. სანაპიროზე გამოსულებმა, იქვე ქვიშაში ადუღებული, თურქული ყავა ვიყიდეთ და ხის ძელსკამზე ჩამოვჯექით. ჩვენთვის ჩუმად ვისხედით ყავას ვსვამდით და ზღვას გავყურებდით. ომერმა ხელი ჩემი მხრისკენ წამოიღო და თავისკენ მიმიზიდა, არ გამიპროტესტებია. ქაფქაფა ყავის არომატმა და უფრო კი ომერის თავბრუდამხვევმა სურნელმა სულ გადამავიწყა ჩემი ქართული ცხოვრება, დიმა, სამსახური და კონფერენცია რომში.

კონფერენცია...

ღმერთო...

- უნდა წავიდე, ასე არ შეიძლება. - ომერის პასუხს არ დავლოდებივარ ისე ჩავაგდე ყავის ერთჯერადი ჭიქა ურნაში და წამოვედი. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ გამახსენდა, რომ გზა არ ვიცოდი, გამახსენდა, რომ ომერს უხეშად მოვექეცი და უკან მივბრუნდი. ის ისევ სკამზე იჯდა, მოღუშული და თვალს არ აშორებდა ზღვას.

- ომერ. - ხმადაბლა დავუძახე. ის ისევ ჩუმად იჯდა. - ომერ, გესმის.

- რა თქმა უნდა, მესმის, ქეთი. - ჩემკენ მობრუნდა და უემოციოდ ჩაილაპარაკა. - ყველაფერი მესმის. მე ჩემი ცხოვრება მაქვს, შენ შენი. თბილისში ქრისტიანი შეყვარებული გელოდება, რომი გელოდება.

- ომერ, მისმინე...

- ნუ ამიხსნი, გთხოვ. ვიცი, რომ ეს ყველაფერი თვითფრინავის ტრაპთან დასრულდება, არაფერს გთხოვ, არ გაძალებ. - ჩემ წინ იდგა, ორივე ხელი ჩემს მხრებზე ეწყო და აღელვებისგან ქართული სიტყვებიც კი ავიწყდებოდა. - ვიცი, რომ დასრულდება, მაგრამ მაინც...

- მე პასუხისმგებლობა მაქვს, ომერ. არ შემიძლია ჩემს მოვალეობას გავექცე, არ შემიძლია, ყველაფერი მივატოვო, დიმას ასე ვერ მოვექცევი.

- მე არაფერს გთხოვ, გესმის, არ გთხოვ! - თითქმის ყვიროდა. - არასდროს არაფერს გთხოვ, ისე როგორც ადრე. ეს შენ უნდა გინდოდეს, უნდა გსურდეს, სიცოცხლეზე მეტად უნდა გინდოდეს, მხოლოდ მაშინ გამიგებ, მხოლოდ მაშინ გააკეთებ, იმას რისი შიშიც გაქვს. შენ იმის გეშინია, რისიც რვა წლის წინ, გეშინია რწმენის შეცვლის. მე ამას არ გთხოვ, აღარ გთხოვ.

გაჩუმდა, მერე გვერდი ამიარა და ქუჩას გაუყვა, უკან ავედევნე, ვიწრო ქუჩების გავლის შემდეგ ისევ მოედანზე გავედით, მერე ისევ ვიწრო ქუჩებს გავუყევით და მხოლოდ იასამნის ბუჩქების გამოჩენის მერე მივხვდი, რომ ჰოსტელთან ვიყავით. ფოიეში შესვლის შემდეგ ომერმა გზა სამზარეულოსკენ გააგრძელა, მე კი კიბეებს ავუყევი და ჩემს ოთახში შევედი. თვითმფრინავის გაფრენამდე კიდევ ცხრა საათი მქონდა, მხოლოდ ცხრა საათი და ყველაფერი ისევ ძველებურად იქნებოდა. საწოლზე გაუხდელად მივწექი და თეთრად შეღებილ ჭერს გავუშტერე თვალი.

„იქნებ არასწორად ვიქცევი?

იქნებ უნდა მივენდო მოვლენებს, ერთხელ მაინც მივენდო გრძნობებს. - ფიქრების მოსაშორებლად თავი გავაქნიე და წამოვდექი, ახლა აბაზანა მჭირდებოდა, ემოციებისგან მხოლოდ წყალი თუ გამათავისუფლებდა. ვიდექი წყლის ქვეშ და ფიქრები ისევ არ მასვენებდა. - რას აკეთებ, ქეთი? ასე როგორ შეიძლება, როგორ უნდა დაანგრიო ყველაფერი წარსულის გამო? მაგრამ იქნებ ეს წარსული არაა? იქნებ აწმყოცაა და მომავალიც? იქნებ ის გრძნობები სასმლისგან არ იყო გამოწვეული? მიყვარს? ქეთი, ომერი გიყვარს? არა, არა ეს უბრალოდ მოგონებების ბრალია. დიმა?

დიმა...

მე და დიმა ერთად კარგად ვართ, ის მე მენდობა, ჩვენ საერთო სოციალური წრე გვყავს, საერთო ინტერესები, გარემო, მეგობრები, მასთან თავს კარგად ვგრძნობ და ის ქრისტიანია, ქეთი...

მე და დიმა ჯვარს სამებაში დავიწერთ, ჩვენ ღმერთის წინაშე ვიქნებით ცოლ-ქმარი, თეთრი კაბით მივალ საკურთხეველთან და...“

და ეს არის ის რაზეც ვოცნებობ?

ეს არის სიყვარული?

აბაზანიდან გამოვედი და ხალათში გამოწყობილმა თმის ვარცხნით გამოვაღე სარკმელი. ნელმა სიომ სტამბულის ხმაური და ბაქლავას სურნელი შემოიტანა. ჰაერი ღრმად შევისუნთქე, თვალები დავხუჭე და საწოლზე გულაღმა დავწექი. მთელი ღამის უძინარს და სტამბოლშემოვლილს ძილმა უცბად წამართვა თავი. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა, მაგრამ სასიამოვნო სიზმრიდან რაღაც გემრიელის სუნმა გამომაღვიძა. თვალებს არ ვუჯერებდი, როცა გვერდით გადმობრუნებულმა პატარა ტუმბოზე ლურჯ მოზაიკურ სინზე ბურექი, ბაქლავა და ფორთოხლის წვენი დავინახე, რომელშიც ერთი ტოტი იასამანი ჩაედო ვიღაცას. ომერი, რა თქმა უნდა, აბა სხვა ვინ გააკეთებდა ამ სიგიჟეს. საწოლში წამოვჯექი და სინი მუხლებზე დავიდე. ბურექის ბოლო ლუკმის გადაყლაპვის შემდეგ თეფშის ძირში შედებულ წერილსაც მოვკარი თვალი.

„გემრიელ საუზმობას გისურვებ, მადლობა არაა საჭირო, უბრალოდ დაბლა ჩამოდი და უკანა კარით გამოდი გარეთ." ომერის ნაჯღაბნმა ქართულმა ღიმილი მომგვარა. ფორთოხლის წვენი სულმოთქმელად გამოვცალე და ფეხზე წამოვდექი. რა ჩავიცვა, რა ჩავიცვა, საწოლზე გაშლილ ტანსაცმელს ვუყურებდი და ვერ გადამეწყვიტა კაბა ჩამეცვა, თუ შარვალი. რას აკეთებ, ქეთი, შენ რა ომერს ეპრანჭები? კარგი ერთი, მერე რა, ხელს ვუქნევდი ჩემს ქვეცნობიერს, ეს მხოლოდ გართობაა, მხოლოდ დღეს, სულ მალე დავტოვებ სტამბულს და ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება.

საბოლოოდ ჩემში მაინც ქალურმა სიკეკლუცემ გაიმარჯვა, თხელ, მუხლამდე კაბაში გამოვეწყე და კიბეებზე დავეშვი. ქვეცნობიერად ალბათ მინდოდა ომერის აღტაცებაში მოყვანა. ფოიეში გამოსულს უყურადღებოდ არ დამრჩენია სტუმართა და მომსახურე პერსონალის აღტაცებული მზერა, თავდაჯერებულმა ღიმილით მოვავლე ხალხს თვალი და უკანა კარისკენ გავწიე. ომერი დიდი კაკლის ძირში მაგიდასთან იჯდა და ტელეფონს ჩასჩერებოდა.

- დილა მშვიდობისა.

- შუადღე მშვიდობისა, ქეთი. - ღიმილით ამომხედა. მივხვდი დილანდელის გამო აღარ ბრაზობდა. - აბა, მივიყვანოთ დაწყებული ბოლომდე?

- აბა რაა...

ომერს თხელი, ნაცრისფერი მაისური და ლურჯი ჯინსი ეცვა, უსაზღვროდ სიმპატიური
იყო.

- ძალიან ლამაზი ხარ. - გვერდულად გამომხედა და ხელით მანიშნა, კარში გავსულიყავი. გული საშინლად ამიჩქარდა.

ნახევარი სტამბული გავიარეთ ფეხით მე და ომერმა, ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. ვგრძნობდი, როგორ მომწონდა მასთან ერთად ყოფნა, თავს მშვიდად, დაცულად და კომფორტულად ვგრძნობდი. ომერი ჩემგან ოდნავ მოშორებით მოაბიჯებდა, დაფიქრებული და წარბშეკრული. მან ხომ იცოდა, რომ სულ რამდენიმე საათი გვქონდა დარჩენილი.

- ეს გულჰანეს პარკია, ადრე თოფქაფის სასახლის ბაღი იყო, ახლა კი ბაღი, ისევე როგორც სასახლე დამთვალიერებლისთვის ღიაა. - პარკში ათასგვარი ყვავილი, ხე და არხი იწონებდა თავს.

- ლამაზია, ძალიან ლამაზია აქაურობა.

ბაღში გამავალ ბილიკებს გავდიოდით და ირგვლივ დეკორატიულად მოწყობილ სამოთხეს თვალს ვერ ვწყვეტდი. გამაბრუებლად ლამაზი იყო გულჰანეს პარკი. ომერმა მწვანე მოლი გადაჭრა და არხის პირას, პირდაპირ ბალახზე ჩამოჯდა. ჩემგან ზურგშექცევით იჯდა, ბალახებს წიწკნიდა და თურქულად რაღაცას ღიღინებდა.

- რას მღერი? - გვერდით მივუჯექი და მეც მასავით მოვირთხი ფეხი, პირველად მაშინ ვინანე რომ შარვალი არ მეცვა, ომერმა ჩემს შიშველ მუხლისთავებს გაუსწორა მზერა, მერე გაეღიმა და სიმღერა განაგრძო. სირცხვილისგან მთლიანად ავხურდი, თუმცა გულის სიღრმეში მესიამოვნა კიდეც მისი ანთებული თვალების დანახვა. ჩემი ქალური სიკეკლუცე დამღუპავდა ვიცოდი, მაგრამ მაინც არ მიფიქრია პოზის შეცვლა. ომერი კვლავ განაგრძობდა ღიღინს, გაბმულად, გულამოსკვნით მღეროდა.

- გადამითარგმნი?

- ქართულად არ გამოვა ისე ლამაზი, როგორც თურქულად.

- რა გინდა თქვა, რომ ჩვენ არ გვაქვს შესაბამისად ლამაზი სიტყვები და მდიდარი ენა? - რატომღაც ძალიან მეწყინა.

- მე ეგ არ მითქვამს, ქეთი. რა უცებ გწყინს ყველაფერი, ვერ გაიზარდე, კიდევ ის პატარა გოგო ხარ... - გაბრაზებულ გულზე მოწყვეტილი ბალა-

ხის ღერო, პირისკენ გავიქანე და წიწკვნა დავუწყე. ომერმა ძალიან ნელა წამოიღო ხელი ჩემი ტუჩებისკენ, გაშეშებული ხელიდან და ტუჩებიდან ბადახის ღერო გამომაცალა, ერთხანს ხელში ეჭირა, მერე გადააგდო და ჩემი ხელები ხელებში მოიქცია. - ერთი ასეთი ლეგენდა არსებობს, სულთნების პერიოდში ერთ დიდგვაროვან ბიჭს, სულთნის ქალიშვილი შეჰყვარებია, ქალიც სიყვარულით პასუხობდა, მაგრამ სულთანი ყოფილა წინააღმდეგი. წყვილი ერთმანეთისთვის დაუშორებია და ბიჭი, ისევე როგორც ბევრი დასჯილი დიდგვაროვანი და პრინცი, „პრინცის კუნძულებზე" გადაუსახლებია. თურმე ყოველ ღამით, ლოცვის დამთავრების შემდეგ, ის ბიჭი კუნძულზე, ქალი კი სასახლეში ფანჯარასთან იწყებდნენ სიმღერას.

„ჩემო გაუშლელო ვარდო, ჩემო მთვარეო...
ბოსფორის მზეო, სამუდამოდ შენად მიგულე.
შენია ჩემი სული, გული და შენია ჩემი თვალები,
რომლებსაც შენს გარდა ყველა სულიერი
საშინელ ურჩხულად ეჩვენება.
ამ თვალებს მხოლოდ შენი სახე ახსოვთ,
ამ ყურებს შენი ხმა, გულს კი შენი სიყვარული."

- მერე რა მოხდა? - მოსმენილმა ამბავმა და ომერის ხელების სითბომ საშინლად ამაფორიაქა.

- მერე, არაფერი...

თითქოს სასიამოვნო სიზმრიდან გამოიღვიძაო, თვალები რამდენჯერმე დავახამხამე და მეც ომერს მივბაძე, ფეხზე წამოვდექი. ვიცოდი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ არ უნდოდა რამე დაეძალებინა, არ უნდოდა ჩემს გადაწყვეტილებაზე ემოქმედა. ვხვდებოდი, როგორ უჭირდა თავის შეკავება, მეც მიჭირდა, მისი ქცევების, მისი შემოხედვის, სიყვარულით ანთებული მზერის შეუმჩნევლობა. არც ის შემეძლო ჩვენი „ორდღიანი თავგადასავლის", „სიზმრის" შეწყვეტა იმაზე ფიქრით, მერე რა იქნებოდა.

პარკიდან გამოსვლის შემდეგ პირდაპირ სულთან აჰმედის მოედნისკენ ავიღეთ გეზი. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ორ გიგანტს, ორ საოცრებას, „ლურჯ მეჩეთსა" და „აია სოფიას",  მით მეტად მეუფლებოდა სიმშვიდე.

ზღვიდან წამოსულ ნიავს ისევ მარილის სუნი და თოლიების კივილი მოჰქონდა. მოედანზე ჩადგმულ ფუნდუკებსა და მოძრავ დახლებზე იწვებოდა წაბლი და მისი სურნელი სასიამოვნოდ მოსდებოდა არე-მარეს. სადღაც შორიდან, მეიძუნის აზანი-ლოცვისკენ მოწოდება ისმოდა, სტამბული ლოცვისთვის ემზადებოდა. მორწმუნე თურქები, პირით მექისკენ დგებოდნენ და ლოცვას იწყებდნენ.

მოედანზე ჩამწკრივებულ სკამებიდან ერთ-ერთზე ჩამოვჯექი, ომერმა ფუნდუკიდან ორი ქაღალდის შეკვრა, შემწვარი წაბლი მოიტანა და ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

- თავი ფილმში მგონია, ომერ...

- ფილმში, რომელსაც ტიტრები მალე დაეწერება... - წაბლს ორი თითით შემოაცალა კანი და ჩემი ტუჩებისკენ წამოიღო. - გასინჯე, მოგე-წონება. - უარი არ მითქვამს, ტუჩები ოდნავ დავაშორე ერთმანეთს და ცხელი წაბლის ბურთულა თითებიდან ავაცალე.

ომერმა წაბლის კანი ურნაში ჩააგდო, თითები ერთმანეთს გაუსვა და ღრმად ამოისუნთქა.

- გუშინ დაგპირდი, რომ აია სოფიას და „ლურჯ მეჩეთს“ გაჩვენებდი, მაგრამ ეს იმიტომ არ მინდოდა, რომ შენ ტურისტი ხარ. მე ამისთვის ჩემი მიზეზი მაქვს. აი, ჩვენ ახლა მათ შორის ვართ, ჩვენ ორ სამყაროს შუა ვართ, ორი რელიგიის გზაგასაყარზე. მეჩეთის აია სოფიას პირის-პირ აგება თავიდანვე იყო დაგეგმილი, ეს სულთნის სურვილი იყო, ეჩვენებინა სამყაროსთვის, რომ ისლამურ სამყაროსაც შეეძლო შეექმნა დიდებული ძეგლი. მის აშენებასაც უამრავი ადამიანი ეწირებოდა, ისევე როგორ სხვა დიდებულ არქიტექტურულ ძეგლებს. რატომღაც ყველა ასეთი დიდებული ნაგებობის ამშენებელს ავიწყდებოდა მთავარი, რწმენა. ავიწყდებოდათ, რომ გარეგნული მშვენიერება არაფერია შინაგან მშვე-ნიერებასთან - რწმენასთან, რომ არ აქვს მნიშვნელობა სად ილოცებ; ეკლესიაში, თუ მეჩეთში, არ აქვს მნიშვნლობა ღმერთს ალაჰს უწოდებ, თუ იესოს, მთავარია სიყვარული. ყველაფერ დიდებულს ეკარგება ელ-ფერი, როცა სიყვარული არ ტრიალებს მის ირგვლივ. მნიშვნელობა არ აქვს რელიგიას, მნიშვნელობა არ აქვს სად ილოცებ, ყველა ადამიანი თანას-წორია ღმერთის წინაშე, თანასწორია სიყვარულის წინაშე. მე ვიცი, რომ ჩვენსავით კიდევ ბევრი ადამიანი იტანჯება რელიგიური განსხვავე-ბულობის გამო. როგორც აია სოფია და „ლურჯი მეჩეთი“ ეჯიბრებოდნენ

ოდითგანვე დიდებულების გამო ერთმანეთს, ისე ეჯიბრებიან ერთმანეთს ადამიანები რწმენაში, ბრმად მისდევენ წესებსა და ტრადიციებს, ჩარჩოში აქცევენ მთავარს-სიყვარულს, ამას კი რწმენით ამართლებენ. რწმენა არ განისაზღვრება რელიგიით, ეს ჩვენ გვგონია ასე, ჩვენს თავს თავად ვუწესებთ საზღვრებს, თავად ვბოჭავთ, ვართმევთ მთავარს, არჩევანის უფლებას. მე ეს საზღვარი რვა წლის წინ დავულე ჩემს თავს და მთელი ეს დრო დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ყველაზე დიდი შეცდომა იყო რელიგიის გამო სიყვარულზე უარის თქმა. - თითქოს ჰაერი გათბა, სტამბულურმა ნესტიანმა ჰაერმა სიყვარულის გემო მიიღო, გარემო ცისფერ ნისლში გაეხვა.

ჩემი გონება სხეულს გამოეყო, ავფარფატდი, ელვის უსწრაფესად მოვშორდი ჩემს სხეულსა და მის წინ მჯდომ ომერს. ახლა შორიდან მხოლოდ ორ რამეს ვხედავდი, აია სოფიასა და „ლურჯი მეჩეთის“ შუა, ზღვის ჰორიზონტის ფონზე, სკამზე მჯდომ წყვილს, რომელსაც ერთმანეთისთვის ხელი ჩაეჭიდათ.

სტამბული გუგუნებდა, ხმაურობდა, მღეროდა, ისმოდა ლოცვა, ისმოდა თოლიების კივილი, კატები კნაოდნენ, მტრედები პირდაპირ მხრებზე ასხდებოდნენ ადამიანებს. ქუჩები სავსე იყო ადგილობრივი მოქალაქეებითა და ტურისტებით. ბოსფორზე იალქნები გაეშალათ ნავებს, მეთევზეებს ანკესი ჩაეშვათ წყალში და გამართლების მოლოდინში, სახეზე ქუდჩამოფხატებულებს ჩასძინებოდათ, სადღაც ქუჩის კუთხეში, მოხუცი თურქი ქალი სულ რაღაც ხუთ ლირად რამდენიმე ცალი ვაშლითა და ბროწეულით ფრეშს უწურავდა პატარა ხუჭუჭთმიან გოგონას.

მე და ჩემმა წითელმა ჩემოდანმა ჰოსტელის ეზო დავტოვეთ, მივდიოდი და სუნთქვა მეკვროდა, ფეხები უკან მრჩებოდა, რამდენჯერაც უკან მიხედვა დავაპირე იმდენჯერ გონებამ იმარჯვა. მივდიოდი ვიწრო ქუჩაზე, გვერდს ვუვლიდი ადამიანებს და ვხვდებოდი, რომ ომერი მართალი იყო. არც ისე ადვილი აღმოჩნდა სტამბულთან შელევა. ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ვაქცევდი ზურგს.

ომერზე ფიქრებში გართულმა გავიარე გზა ისტაკლალიდან აეროპორტამდე. ამჯერად უჩვეულოდ მზიანი და ნათელი იყო ცა, ბოსფორსაც ოქროსფერი სხივები დასთამაშებდა.

„ამ თვალებს მხოლოდ შენი სახე ახსოვთ,

ამ ყურებს შენი ხმა, გულს კი შენი სიყვარული.“- გონებიდან არ ამომ-დიოდა ომერის სიტყვები.

ტერმინალზე ისე გავიარე ჯერ კიდევ არ მჯეროდა, რომ ეს გავაკეთე, არ მჯეროდა, რომ სტამბული დავტოვე, ომერს ხელი ვკარი. თვითფრინავ-ში ასვლამდე ბოლოჯერ მოვიხედე უკან. უზარმაზარ, მინის შენობაში ლურჯ ჯინსსა და ნაცრისფერ მაისურში გამოწყობილ მამაკაცს მოვკარი თვალი. „ომერი“, გონებამ ჩურჩული დაიწყო, გული ამიჩქარდა. ერთ ხანს ვიფიქრე ტრაპიდან უკან გავბრუნებულიყავი, რომ ბორტგამცილებლის ინგლისურად ნათქვამმა - „იჩქარეთ, მის. აფრენის დროა.“- გამომაფ-ხიზლა.

ისევ ილუმინატორს მივუჯექი, მანამდე არ მომიცილებია თვალი, სანამდეც სტამბული ჩანდა. ვუყურებდი, როგორ ვშორდებოდი ჩემს ოც-ნებას და არ მჯეროდა, რომ ეს გავაკეთე. თავი საზურგეზე გადავწიე, თვალები დავხუჭე და ვცადე დავმშვიდებულიყავი.

„ასე აჯობებს, ქეთი. აი, ნახავ ყველაფერი დალაგდება, ხვალ ყველა-ფერი ისევ ისე იქნება, როგორც სტამბულში ჩამოსვლამდე იყო“.

რომ გეკითხათ ასე რატომ მინდოდა ამ ორი დღის დავიწყება, ვერც გიპასუხებდით, მაგრამ ის ზუსტად ვიცოდი, რომ ამას დიმას სიყვარული არ მაკეთებინებდა.

„ხვალაც“ გათენდა, მე საოცნებო რომში, ულამაზესი სასტუმროს ნომერში გამეღვიძა და მისი სარკმლიდან ჯერ ისევ საწოლში მყოფმა კოლიზეუმსაც მოვკარი თვალი, მაგრამ არც კმაყოფილება მიგვრძნია და არც ბედნიერება. არ მოხდა ისე, როგორც ვფიქრობდი, არაფერი დაბრუ-ნებია თავის ადგილს. მთელი კვირა გავატარე საკონფერენციო დარბაზ-სა და სასტუმროს ნომერში. სურვილი არ გამჩენია აქამდე ასე საოც-ნებო რომის დათვალიერების.

„გაივლის...“

„გაივლის...“ „ყველაფერი გაივლის...“ - თავზე ხელებმოჭერილი ვცემდი ბოლთას ნომერში და თავს ვაიძულებდი ომერი არ გაეხსენებინა.

როგორც იქნა კონფერენცია დასრულდა, როგორც იქნა რომი დავტო-ვე, რომი, რომელიც ახლა სულს მიხუთავდა.

თბილისის ჰაერი, რომ ჩავისუნთქე, უკვე ღამის პირველი საათი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ შვებით ამოვისუნთქე, მეგონა იმ გრძნობისგან თბილისი დამიცავდა. აეროპორტის შენობას თავჩაღუნული ვტოვებდი, როცა ზურგს უკან დიმას ხმა მომესმა.

- დაბრუნებას გილოცავ, ქეთი. - ჩემოდანს მომენტალურად გავუშვი ხელი. ძალიან არ მინდოდა დიმას ნახვა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. დიმა ზურგიდან მომეხვია, თავი ჩემს კისერში ჩარგო და ნაზად მაკოცა. პირველად მაშინ მივხვდი, რომ დავილუპე. საშინლად არ მესიამოვნა მისი შეხება, მთელ სხეულზე ეკალმა დამაყარა. რა თქმა უნდა, მოვალეობის მოხდის გამო, მეც მოვეხვიე, მაგრამ მაინც მოვახერხე კოცნის არიდება.

აეროპორტიდან სახლამდე ხმა არ ამომიღია, თავი მინაზე მედო, ქალაქს ვუყურებდი და მინდოდა დიმა ერთ წუთს მაინც გაჩერებულიყო. ჩემი ფიქრები ომერს დასტრიალებდა, ყურებში მისი სიტყვები მედგა, თვალწინ მისი სახე მიტრიალებდა.

- რა გჭირს, ცუდად ხარ? - როგორც იქნა დიმაც მიხვდა, რომ გაჩუმებულიყო.

- უბრალოდ, ძალიან დავიღალე. - გაჩერებული მანქანიდან გადმოსვლას ვაპირებდი, როცა დიმამ მკლავზე მომკიდა ხელი, თავისკენ შემაბრუნა და დიდხან მიყურა დაჟინებით.

- ქეთი, რა მოხდა?

- დასვენება მინდა.

მის პასუხს არ დაველოდებივარ, ხელი გავაშვებინე და მანქანიდან გადავედი.

სიზმრად სტამბული ვნახე...

არამარტო ვნახე, არამედ ვიგრძენი, თითქოს სანაპიროზე ვისხედით ისევ, მე და ომერი, ქაფქაფა, თურქულ ყავას ვსვამდით და ზღვას გავყურებდით.

- დარჩი, რაა. - ისვე ყურებში მედგა ომერის ნათქვამი სიტყვები.

დაფეთებული წამოვჯექი საწოლში. თავი ხელებში ჩავრგე, ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, რომ მენატრებოდა.

მთელი კვირა გარეთ არ გავსულვარ, გრძელ ნაქსოვ ზედატანში და მაღალყელიან წინდებში ვატარებდი დღეებს და ტელეფონში გადაღებულ ომერისა და კნუტების სურათს დავყურებდი. რატომღაც ვერ გავბედე

წითელ ჩემოდანს მივკარებოდი. არც სურნელოვანი საპნები ამომი-ღაგებია, არც ომერის ნაჩუქარი მუსიკალური დისკი ამომიღია. დროდად-რო დიმა მირეკავდა და მეც იძულებულივიყავი დაველაპარაკებოდი. ერთ საღამოსაც, როცა გულზე წიგნმიხუტებულს ჩამძინებოდა, კარზე ზარის ხმამ გამომაღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე და წიგნი გვერდით გადავდე. კარს იქით დიმა იდგა. ოდნავ უკან დავიხიე, ღრმად ჩავისუნთ-ქე, თითქოს ჩასაყვინთად ვემზადებოდი და კარი გამოვაღე.

- შემოდი. -მის სევდიან თვალებს, რომ შევხდე თავი დამნაშავედ ვიგრძენი და ვცადე გამეღიმა. ჩემკენ გადმოიხარა, ლოყაზე ოდნავ შემეხო და ოთახში შევიდა. ნაკოცნი ადგილი ხელით მოვისინჯე, თვალები დავხუჭე და მეც უკან მივყევი.

- მგონი სალაპარაკო გვაქვს. - ისევ ზურგით იდგა ფანჯარასთან. გა-რეთ ქარი ჰქროდა, მაგრამ ის ქარი ჩემს გულში ამოვარდნილ ქარიშხალ-თან ახლოსაც ვერ მოვიდოდა.

- რაზე? - ჩემი ხმა თავად ძლივს გავიგე, ხელები ამიკანკალდა. დიმა დუმდა, ჩემგან ელოდა საუბრის დაწყებას. განიერი მხრები თითქოს დაუპატარავდა, ყელთან მფეთქავი ძარღვიც შევამჩნიე. ის ღელავდა.

- ქეთი, გისმენ. - გაუსაძლისი სიჩუმე ისევ მისმა გამჭოლმა ხმამ დაარღვია.

- დიმა, ახლა არაფრის თქმა არ შემიძლია. ცოტა ხანს მაცადე...

- რამდენ ხანს, ქეთი... კიდევ რამდენ ხანს გაცადო? - მისმა ხმამ ჰაერი გაჰკვეთა, შევხტი. - ჯერ კიდევ სტამბულიდან არ მელაპარაკები, სიტყვებს ძალით გგლეჯ. მთელი კვირაა ჩამოხვედი და ერთხელაც არ მნახე. არც აეროპორტში გამოგიხატავს სიხარული ჩემს დანახვაზე და არც ახლა. რა ხდება? - ჩემკენ შემობრუნებული თითქმის ყვირილით მელაპარაკებოდა. ასეთი დიმა არასდროს მენახა.

- დიმა, გთხოვ... დრო მჭირდება... ძალიან დავიბენი. - ორივე ხელი ერთმანეთზე შემეტყუპებინა, ვცდილობდი კანკალი დამემალა. - ცოტა დრო მომეცი.

- რისთვის? დრო რისთვის გჭირდება?

- გთხოვ, ახლა ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. სულ ცოტა დრო და ყველაფერი დალაგდება.

- არაფერი დალაგდება, თუ არ მეტყვი რა ხდება, აღარ გიყვარვარ? - ხმა გაბზარვოდა, ჩვეული სიმტკიცეც დაჰკარგვოდა. გული შემეკუმშა. დიმა

მართალი იყო. არაფერი აღარ დალაგდებოდა. ტყუილად ვცდილობდი ომერის ხატება წამეშალა ჩემი ცხოვრებიდან, ისე როგორც რვა წლის წინ.

- დიმა, მომისმინე... ჩვენ უკვე სამი წელია ერთად ვართ... ცოტა ხნით შესვენება გვჭირდება, ერთმანეთისგან დასვენება.

- ქეთი, გიყვარვარ? მითხარი კი, ან არა! - წარმოუდგენლად მშვიდი იყო. - ახლა და ახლავე, მიპასუხე.

- ღმერთო ჩემო, არ ვიცი, აღარაფერი ვიცი, გესმის? დავიბენი. - ოღონდ ახლა არ იტირო, ქეთი. არ იტირო! ვუმეორებდი გულში ჩემს თავს და საშინლად ვბრაზობდი დიმას ასე რომ ვტკენდი, თუმცა, ეს გაუგებრობაში ყოფნა უარესი იყო.

- სხვა გამოჩნდა?

- ხო... მაპატიე, დიმა. - ერთიანად გაფითრდა, თვალები დახუჭა, მერე გაახილა და ისე შემომხედა, ჯობდა მოვმკვდარიყავი.

- დიდი ხანია?

- არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

- აქვს, ამის დედაც... აქვს. უნდა ვიცოდე რამდენ ხანს მაბოლებდი. - ჟურნალების დაბალ მაგიდას ფეხი ამოარტყა. არ გავნძრეულვარ. არაფერი მითქვამს. - ნუ ხარ ჩუმად! გიყვარს?

- არ ვიცი...

- არ იცის! - დამცინავად ჩაილაპარაკა. მის თვალებში სიძულვილს ვხედავდი და ვერაფერს ვაკეთებდი. ამოყირავებულ მაგიდას გვერდი აუარა და გავიდა. მინდოდა მეყვირა, მინდოდა უკან დამებრუნებინა, მაგრამ არ დავაბრუნე. ამას გული არ მთხოვდა, ეს უბრალოდ სინდისის ხმა იყო.

საღამოს ფეისბუქზე ომერი მოვძებნე. ხელები მიკანკალებდა, ერთიანად ვცახცახებდი. მის პროფილს ჩამოვყევი და თვალთ დამიბნელდა. ომერს ორი საათით ადრე სურათი დაემატებინა, გოგონა კოშკზე, გაშლილი თმით, წინ კი სტამბულის ხედი გადაშლილიყო. ეს მე ვიყავი. კი მაგრამ, როდის მოასწრო სურათის გადაღება? სიხარულისგან აღარ ვიცოდი რა მექნა. სახეზე ხელები ავიფარე და სიცილის შეკავება ვცადე.

- ქეთი, - ოთახში ჩემმა დამ შემოყო თავი. - ყავა გავაკეთე, გამოდი. - კარგი მეთქი, თანხმობის ნიშნად გავუღიმე და ღრმად ამოვისუნთქე.

- რა გემრიელი სუნია.

- მართალია სტამბოლურ ყავას არ ჰგავს, თუმცა ვეცადე. - გული ამიჩქარდა. რა იცოდა ნინამ მე და სტამბულს, ყავის გარდა კიდევ რამდენი მოგონება გვაკავშირებდა.

- აბა, როგორ იყავი აქ უჩემოდ. - სამზარეულოს მაგიდას მივუჯექი, ფეხები სკამზე შემოვაწყე და ცხელ ფინჯანს ორივე ხელი შემოვხვიე.

- უჰ, ძალიან კარგად. ნერვებს არავინ მიშლიდა. - სიცილით ჩამიკრა თვალი და ყავა მოსვა. ნინას ბავშვურობაზე მეც გამეღიმა. სიჩუმე ჩამოწვა, გარეთ ჟინჟღლიანად წვიმდა. ისევ სტამბული გამახსენდა.

- ნინა, თუ იცი თბილისიდან სტამბულამდე რამდენი კილომეტრია?

- რაა? მეღადავები?

- არა, მართლა. - სარკმელს თვალი ავარიდე და ნინას კოპებშეყრილ სახეზე გამეღიმა.

- ქეთი, რა მოხდა, იქ? - ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და შეთქმულივით დაიჩურჩულა. ერთხანს მის შავ თვალებს თვალს არ ვაშორებდი, არ ვიცოდი უნდა მეთქვა, თუ არა. რა მოხდა სტამბულში? რა მოხდა?

- ომერი... ომერი ვნახე.

- რაა? არა? - ნინას რეაქციამ მეც კი შემაშინა, სკამიდან წამოხტა და ბოლთის ცემა დაიწყო. - არ არსებობს! კი მაგრამ, როგორ?

- შემთხვევით.

- შემთხვევით? შემთხვევით არაფერი ხდება, ქეთი! საერთოდ არაფერი! - ნინას სიტყვებმა თითქოს გონება გამინათა, თითქოს პასუხი მივიღე, ახლა ყველაფერი თავის ადგილას დადგა. გადაწყვეტილების მიღება გაადვილდა.

- უნდა წავიდე! ახლავე უნდა წავიდე! - ფეხზე წამოვხტი და ოთახში შევვარდი, ნინაც უკან მომყვა.

- რა? სად მიდიხარ?

- სტამბულში უნდა დავბრუნდე, ნინა. ომერი მელოდება. მომისმინე, ნინა, ერთ დღესაც, როცა სიყვარულს იპოვი, ხელი მაგრად ჩასჭიდე და არასოდეს გაუშვა. - ორივე ხელი მხრებში ჩავავლე და თვალებში ჩავხედე. - არაფერს მისცე უფლება ხელი შეგიშალოს მის გვერდით ყოფნაში.

- გაგიჟდი? - ნინამ ცოტა შეშინებულმა უკან დაიხია.

- შეიძლება...

- ქეთი, მომისმინე, ასე ნაჩქარევად ნუ მიიღებ გადაწყვეტილებას, დაფიქრდი მერე რა მოხდება, დიმას რას უპირებ? რომ მიდიხარ, სად მიდიხარ? როგორ უნდა იცხოვრო, რა სტატუსით?

- ჩემსა და დიმას შორის ჯერ კიდევ მაშინ დამთავრდა ყველაფერი სანამ წავიდოდი, ასე რომ არ იყოს, ომერის დანახვა არ იმოქმედებდა ჩემზე. - ნინას ხელები ჩავკიდე ჩემს საწოლზე ჩამოვსვი და მეც მის წინ მოვირთხი ფეხი. - მგონი არც არასდროს მყვარებია, ახლა ვხვდები, რომ ომერი არასდროს გამქრალა ჩემი ცხოვრებიდან.

- ასე არ შეიძლება, ის მუსლიმანია, შენ ქრისტიანი, ერთად ვერ იქნებით, ან შენ უნდა დათმო რელიგია, ან მან.

- ნეტავ შენ მოგესმინა ომერის სიტყვები, ნინა. მიყვარს, ყოველთვის მიყვარდა და როცა გიყვარს, როცა გიყვარს... მაშინ ყველაფერი სულერთია. აი, მთელი რვა წელია უარვყოფ და ახლა პირველად შენ გიმხელ; მიყვარს, სულ მიყვარდა. მის გარეშე არაფერი მინდა. - პირველად მომეშვა გულზე, ამდენი წელი საკუთარ თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ ომერი მიყვარდა, ახლა ვაღიარე და თითქოს გულზე მომეშვა. ნინა ერთხანს ჩუმად იჯდა, თვალებში მიყურებდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე ნელა წამოდგა, ჩემს ნოუთბუქს მიუჯდა და კლავიატურა აახმაურა. გაოცებული ვუყურებდი, თუმცა ხმა არ ამომიღია. რამდენიმე წუთის შემდეგ გაბრწყინებული სახით ამომხედა.

- 1320.12

- რააა?

- თბილისიდან სტამბულამდე 1320.12 კილომეტრია.

ჩემს ბედად, არცერთ ავიაკომპანიას, სტამბულის რეისზე უახლოესი ორი დღე ბილეთები აღარ ჰქონდა დარჩენილი. ბოლო უარის მერე, ტელეფონი გავთიშე, თავი მუხლებს ჩამოვადე და დავფიქრდი. იქნება ეს მინიშნებაა? ორი დღე...

ამ ბოლო დროს ზუსტად ეს ორი დღე განსაზღვრავს ჩემს ცხოვრებას...

დავიცადო? რას ვუცადო? - ვფიქრობდი და უკვე მესამე ფინჯან ყავას ვსვამდი. ნინა მოშორებით იჯდა და ნოუთბუქს ჩასჩერებოდა.

- რა სულელი ვარ. - უკვე მეათასედ ვიმეორებდი და ფანჯრიდან თბილისს გავყურებდი.

- დამშვიდდი, რა. - უკვე მერამდენედ მეუბნებოდა ნინა. - ქეთი, თურქულ ცეკვებს ცეკვავ?

- რატომ მეკითხები?

- ისე... რა ვიცი... მსოფლიო ხალხთა ცეკვებს ცეკვავ და... - მხრები აიჩეჩა.

ვიცოდი, თუ არა თურქული ცეკვა? რა თქმა უნდა, ვიცოდი. ჯერ კიდევ მაშინ ვისწავლე, როცა მე და ომერი ერთად ვიყავით. საჭირო მომენტს ველოდი, რომ გამეოცებინა, თუმცა ეს მომენტი ვერასდროს დადგა.

იმ ღამით არ მეძინა. არც მეორე დღეს და მესამე ღამესაც გავათენებდი, თუმცა დაღლილობამ, ემოციებმა და უძილობამ მძლია და მისალებშივე ჩამეძინა.

- Happy Birthday to You

Happy Birthday to You

Happy Birthday Dear ქეთი

Happy Birthday to You. - ნინას ხმამ ძილშივე გამაღვიძა. საშინლად მესიამოვნა, როცა თვალები გავახილე და შოკოლადის ტორტით ხელში მოღიმარი ნინა დავინახე. სანთლები ჩავაქრე, თან სურვილად ომერის ნახვა ჩავუთქვი და დივანზე მოვირთხი ფეხი.

- დროა! - როგორც კი ტორტის ბოლო ლუკმა გადავყლაპე, ნინა ფეხზე წამოდგა. - მიდი, გაემზადე.

- რისთვის?

- უნდა ავღნიშნოთ, შენი დაბადების დღე და შენი გამგზავრება. - თვალი ჩამიკრა და ოთახში შემაგდო. ნინას სურვილს ვერასდროს ვეწინააღმდეგებოდი, თანაც საკმაოდ რთული იყო, ასეთ მიმზიდველ წინადადებას არ მოეხიბლე.

რესტორანში გამზადებულ მაგიდას ყველა ჩემი მეგობარი შემოსხდომოდა. საშინლად გამიხარდა მათი დანახვა, საკმაო ხანი იყო ისინი არ მენახა და ბოლომდე გავიხსენი სამხიარულოდ. არც ერთი ცეკვა და სიმღერა არ გამომიტოვია, თან სულ საათზე ვიყურებდი, ერთი სული მქონდა ჩემი გაფრენის დრო მალე მოსულიყო. შინაგანად ვდუღდი. დაღლილი სკამზე ჩამოვჯექი, წითელი ღვინის ჭიქას ხელი შემოვხვიე და ფიქრებში გადავეშვი, დიდით უკვე სტამბულში ვიქნებოდი. სტამბულზე და ომერზე ფიქრი, ვახომ გამაწყვეტინა, საცეკვაოდ მიწვევდა. ამდენი წლის შემდეგ, მე და ვახო ისევ ვიცეკვებდით, ამაყად წამოვდექი ფეხზე და გავყევი.

თურმე ძალიან მომნატრებოდა ცეკვა...

მეგონა მთელი სამყარო მე ვიყავი, არავინ და არაფერი მახსოვდა, ვერავის ვერ ვხედავდი, ბოლო წრე ჩავათავეთ და მაყურებელსაც თავი დავუკარით, როცა აპლოდისმენტებისა და შეძახილების ხმა, საოცრად ნაცნობმა, მონატრებულმა ჰანგებმა დაარღვია. Zeybek ის მელოდიამ დარბაზი დაფარა, სუნთქვა შემეკრა, მთელს სხეულში ჟრუანტელმა დამიარა. თურქული ცეკვა, ჩემს დაბადების დღეზე, ზუსტად იმ დროს, როცა მე სცენაზე ვიდექი, ნუთუ ეს მხოლოდ დამთხვევა იყო. მერე თვალები დავხუჭე და ცეკვა დავიწყე, ამ ცეკვას ხომ პირველად ქალი იწყებს.

შემთხვევით არაფერი ხდებაო, ნინას გავხედე, ბედნიერებისგან ბრწყინავდა. იმ წუთას ვიგრძენი, რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც დიდი და გრანდიოზული ხდებოდა. დარბაზი ჩამობნელდა, მხოლოდ სცენაზე ანათებდა შუქი, მე ვცეკვავდი, გულისა და სხეულის კანკალით, ისევ თვალებდახუჭული და მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ის აქ იყო.

ღმერთო, ეს სიზმარია? - დასარწმუნებლად ნელ-ნელა გავახილე თვალი. ეს სიზმარი არ ყოფილა. მე და ომერი ვცეკვავდით, ის ჩემს წინ მოძრაობდა, მიღიმოდა და ბედნიერებისგან თვალები უბრწყინავდა.

მუხტი, რომელიც ჩვენს შორის გაჩნდა, გაძლიერდა, აფეთქდა და მთელი დარბაზი აიყოლია.

ერთმანეთს თვალს არ ვაშორებდით.

ის ჩემთან ჩამოვიდა.

ის ორი დღე...

ყველაფერს აქვს თავისი ახსნა, ყველაფერს აქვს თავისი დრო, შემთხვევით არაფერი ხდება.

- „მე შენთან მხოლოდ Zeybek Harmandalı ს ვიცეკვებ." - რვა წლის წინ ნათქვამი სიტყვა შეასრულა.

მერე ყველაფერი გაჩერდა, ჩვენ უბრალოდ ვიდექით და ერთმანეთს ვუყურებდით.

- მე ჩამოსვლას ვაპირებდი. - ცეკვისგან დაღლილმა და ემოციებს ატანილმა სიტყვები ძლივს ამოვთქვი.

- ვიცი. - ხელები ხელებზე მომიჭირა. - მაშინაც ვიცოდი, ტრაპზე რომ ადიოდი და უკან მოიხედე.

- იქ იყავი?!

- მე ყოველთვის იქ ვიყავი, სადაც საჭირო იყო, აი, ხომ ხედავ?

- მე სტამბული მელოდა...

# მელი თურმანიძე



-ჩემი ბიოგრაფია? - აბა რა გითხრა.
მხოლოდ სამი სიტყვაა: დავიბადე, გავიზარდე, დავიკარგე...
ნუ გადასცურავ ზღვას...
იქით არაფერია...
მელი თურმანიძე.
იტალია.
საქართველო.
მე მიყვარს მელი!
ამ ნაწერებში მისი გულის წიკწიკი მესმის!!

# ემიგრანტის ჩანაწერები:

3 აგვისტო, ღამის 11 საათი.    მერისი.

მაგიდაზე დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური დევს, ჯერ კიდევ ოხშივარი ასდის. ამ დროს ალბათ, მხოლოდ საქართველოში ჭამენ, ფიქრის გარეშე და მეც აღარ ველოდები ხაჭაპურის დაჭრას, გლეხურად ვახევ ყუას და შევექცევი მადიანად, უგემრიელესია! დედაჩემი მსოფლიოში საუკეთესო ხაჭაპურს აცხობს.

რატომღაც ჩემს გარდა არავინ ჭამს, მე კი ვერ ვჩერდები. რაღაც მომენტში ჩემი მეუღლე ჯდება ჩემს გვერდით და მეუბნება:

ხომ არ გეყოფა?

კი.  ვპასუხობ  და ჭამას ვაგრძელებ.

67 კილოს, როგორც კი გადაცდები, აქ დაგტოვებ და მარტოდ გავემგზავრები. მეუბნება ღიმილით...

31 აგვისტო, დილის 8 საათი. მერისი.

სამზარეულოს ისევ დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპურის სურნელი ავსებს. რაც თავი მახსოვს, არასდროს მისაუზმია, დღეს კი რატომღაც ჭამა მინდა, დანას არ ვეძებ, ისევ გლეხურად ვახევ ყუას ხაჭაპურს და ვჭამ.  მაგიდაზე ვხედავ არაჟნიან ქილას, დაუფიქრებლად ვხსნი, ცხელ ხაჭაპურს კოვზით ვუსვამ არაჟანს და მადიანად შევექცევი. სულ რაღაც ნახევარ საათში მივემგზავრები, საღამოს 12 საათზე დავტოვებ ქალაქს, ოჯახთან ერთად, მინიმუმ თერთმეტი თვით.

- ჭამ? მეკითხება დედა.

-ხო.

დანაყრებულს გიჭირდა მგზავრობა, შეცვლილხარ შვილო.

-არა დედა, არ შევცვლილვარ, ისევ მიჭირს დანაყრებულს მგზავრობა, ვპასუხობ და ყელში ჩაყლაპული ცრემლის სიმლაშეს ვგრძნობ...

ოთახში სარკესთან სასწორს ვხედავ და ვფიქრობ აშკარად მოვიმატე. სასწორი 67.100 კილოგრამს აჩვენებს, უცებ მახსენდება ჩემი ქმრის შენაპირები და ეშმაკური ღიმილით ვახსენებ, რაზეც მშვიდი და სიყვარულიანი მზერით მპასუხობს -100 გრამი და კიდევ უფრო მეტი, ტანსაცმელის წონაა...

დღეს უკვე მიიღანურად ვითვლი კალორიებს. არავითარი ტანსაცმლის წონა, აშკარად მოვიმატე, თუმცა ერთი წამითაც არ ვნანობ, დედაჩემის ხელის სურნელით გაჯერებული ხაჭაპურების გიჟურად ჭამას....

***

ძველი და ახალი ფერმები სამანქანე გზით იყო დაკავშირებული. ძველი და ახალიო იტყვი, თორემ ორივე განადგურებულ-გაოხრებულიყო. სახურავ ჩაქცეული დაღვრემილი კედლების ბედი, არც მას ადარდებდა სხვებივით. ფერმებს, მხოლოდ და მხოლოდ, მათი დამაკავშირებელი გზა ახსენებდა. სამანქანე გზა, რომელზეც საუკუნეა მანქანას აღარ გაევლო. გზას ორივე მხრიდან ტყე გადმოფარებოდა, გიგანტური ხეების ტოტები ჩამოფენილიყვნენ მიწამდე და გამვლელ გამომვლელს, რომელიც ასე იშვიათობა იყო იმ არემარეში, გულიანად ეფერებოდნენ. სადღაც გზის ახლომახლოს, თითქმის მთელ სიგრძეზე მდინარე ჩამოდიოდა, მდინარეზე კი საკმაო სიხშირით კეკლუცობდნენ წყლის წისქვილები.

გზის დასაწყისთანც იყო ერთი წისქვილი, რომელიც გამუდმებით ფქვავდა და ფქვავდა, ხან რას და ხან კიდევ რას. ხშირად სიმინდს ახრამუნებდა, ხან საღერღილელ დაროხროხობდა ჩეტდასხმულივით, მოვარდნილი წყლის ჭავლზე მობზრიალე წისქვილის ქვა და ხან კიდევ დადინჯდებოდა,რომ სამჭადე ფქვილის კორიანტელი დაეყენებინა. იშვიათობა იყო, მაგრამ წისქვილის ქვა ხანდახან ხორბალსაც კი აკნაწუნებდა გემრიელად....

იმ დღესაც, თავგამოდებით ხმაურობდა წისქვილი, ტრიალებდა და ტრიალებდა.... ვერავინ ამჩნევდა, გიჟურად ჩეტდასხმული საუკუნო წისქვილის ქვის სიყვარულით შეშლილ დავლურს... სწორედ იმ დღეს, ბედისწერასავით ჩაიარა მანაც წისქვილის ახლო მახლოს, უნდოდა ტყით დაბურულ გზას წვეოდა, ვერც მან იცნო წისქვილის დავლური და ფქვილი, სიმინდის სურნელი ეგონა.... სიყვარული, რომელიც უხვად მოედინებოდა ღიად დარჩენილი წისქვილის კარიდან და სამუდამო იარად რჩებოდა არემარეს...

08.09.2014

... ხანდახან, ყალბი ცხოვრების დამყაყებულ ჭაობებში ამოსულ კესანეს გავს სიყვარული, ის თავბრუდამხვევად ლამაზი და თვალწარმტაცია, მაგრამ ჭაობით იკვებება...!

09.09.2014

***

ქარი ჩურჩულებდა ჩემს ფანჯარასთან ახლოს, მთხოვდა შემოშვებას... არ წყვეტდა ჩურჩულს... მესიზმრა ჩემი ეზო. დავინახე წარსულს ჩაეცვა პაპაჩემის ქალამნები, ხელში დაეჭირა ცული და დადიოდა აქეთ იქით. საღამოს პირი იყო, სულ ცოტა ხანი გასულიყო დაისიდან. ჩემი სახლის ღია ფანჯარაზე კანკალებდა დროში დაკარგული მზერა. ხურმის ტოტებს შორის კიოდა აკანკალებული ქარი, წარსულის ტყვე. სიბრაზისგანუიმედობაში ჩავარდნილმა, არ იცოდა რა ექნა. ხანდახან წაავლებდა თმებში ხელს ხურმას და ატირებდა. წარსული შეჰყურებდა ქარისა და ხურმის უიმედო მდგომარეობას გულგრილად და არც კი ფიქრობდა მათი წამების დასრულებას.

ეზოს სიღრმეში იდგა ტირიფის ხე და უსაზღვრო მოთმნებით ეფერებოდა ნაკადულს, ხანდახან წევდა თავს და გახედავდა ძველი ხის ჭიშკარს, რომელიც მთლიანად ხავსით იყო დაფარული და თავისმხრივ ხახადაღრენილი, გასაოცარი დაჟინებით გაჰყურებდა გზას...

მე ვიცოდი, რომ ვიყავი ძალიან შორს ამ ყველაფრიდან და ვგრძნობდი ჩემს უცნაურ არსებობას ეზოში... მისი ჩურჩული ხდებოდა აუტანელი, არ წყვეტდა, არ იღლებოდა... თითქოს დავტოვე ხურმისხეზედ ატყვევებული, არა და აქ იყო, ჩემს ფანჯარასთან ახლოს და მევეკითხებოდი საკუთარ თავს მეძინა პირველად თუ ახლა? ვეღარ ვხვდებოდი ვერაფერს და დახუჭული თვალებით გავყურებდი დაბნეულ მსოფლიოს, მაგრამ ის შეუწყვეტლად მიჩურჩულებდა ყურში:- გაიღვიძე, კესანები მოგიტანე იმ მინდვრიდან, რომელზეც, ოცი წლის წინ თამაშობდი!...

***

ჩაიცვა და წავიდა, შეკითხვაზე, თუ სად მიდიოდა, არ ვიციო უპასუხა, წავალ და მოვალო. ისე გაიხურა კარი, რეაქციას აღარ დალოდებია. საბავშვო ბაღს ჩაუარა, იქ ერთ-ერთ კლასში იყო ერთი ბავშვი, ვისი მოფერებაც წამალივით შველიდა, მაგრამ შესვლა არშეეძლო, ჭიშკარი დაკეტილი იყო. ერთხანს შედგა და წარმოიდგინა, თუ როგორ დახტოდა კლასში ეს პატარა ბავშვი და ყველას აჯავრებდა, გაიხსენა მისი ეშმაკუნა, ცქრიალა თვალები და თბილი პაწია ხელები, მერე სკოლის ჭიშკარს მიადგა, იქაც იყო ვიღაც, ვინც ძალიან ....სჭირდებოდა, მაგრამ, იქაც დაკეტილი იყო ჭიშკარი. წავიდა. ბარში შევიდა, სატელეფონო ანგარიშის შევსება უნდოდა. სადილობა იყო და ბარმენიც სადილობდა, თუმცა არშეწუხებულა, კლიენტის გამოჩენას ღიმილით შეხვდა. ღიმილის დანახვა ესიამოვნა, ტვინში გაუელვა, თურმე ამ ქალაქშიც იღიმებიან. ვინმემ, უეჭველად, სიცილიც უნდა იცოდეს. ანგარიში შეავსო და გაუყვა გზას. დარეკვა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. არასდროს დაურეკავს დე-დისთვის, როცა ცუდად იყო და არც ახლა დაურეკავს. ნელი ნაბიჯით გაყვა გზას, ხიდზე გადავიდა და მდინარის ნაპირს ჩაჰყვა, არ ფიქრობდა არაფერს, ისვენებდა ფიქრისგან. მდინარის გადაღმა ქალაქური ქაოსი იყო, გაღმოღმა-უცნაური სიმშვიდე. ტელეფონის ზარი მოესმა. არ ელოდა, თუ ვინმე დაურეკავდა... რეკავდა, ის, ყველაზე უახლოესი, სადხა-რო, მობრუნდიო, მოდი სახლში გელოდებიო... არ დაბრუნებულა უკან, ერთ-ხანს მიჰყვებოდა მდინარის სანაპიროს, მერე შედგა და მდინარეს ჩაა-ყოლა თვალი. ნელა მიიზლაზნებოდა ის დაღოცვილიც, თითქოს სიცოცხლე ეზარებაო, ფსკერს ხავსი მოდებოდა და მწვანედ ლიცლიცებდა. გაახ-სენდა, თუ როგორ უზიდავდა პურს, ზაფხულობით, ამ მდინარის თევზებს, თვალსა და ხელს შუა იზრდებოდნენ, მის გამოჩენას და მდინარეში პურის ნატეხებს შარტლებით ხვდებოდნენ, ახლა კი ერთი თევზიც არ იყო მდინარეში. წარმოიდგინა რა ცივი იყო წყალი და შეაჟრჟოლა. არ უყვარს სიცივე და ზამთარი, არა და ხასიათი ქარბუქივით არგუნა ბედმა ხან ენერგიით და სიცოცხლითაა სავსე, ხანაც ჩამდგარი ქარიშხალივით თვლემს...კიდევ ერთხელ გადახედა მდინარეს დაკვირვებით,უნდოდა ერთი თევზი მაინც დაენახა, მაგრამ... რა ცივია ეს დაღოცვილი, ყველაფრის სურვილს გაუქრობს ადამიანს, გაიფიქრა და მოშორდა მდინარეს. მთელ

თავის ბედნიერებას, თან ახლდა ემიგრაციაში გატარებული პირველი წლების სიმწარე. წლები, რომელთა დავიწყების დიდი სურვილი ქონდა! ვერიხსენებდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სიზმარი უნდა ყოფილიყო ძალიან ლამაზი, რადგან ძალიან გაბრაზდა, როცა მაღვიძარას შეუწყვეტელმა ზარმა გამოაღვიძა. ზარმაცად გამოძვრა ლოგინიდან, ფანჯარა შეაღო და ირგვლივ მიმოიხედა. გარეთ ზამთრის სიცივე იგრძნობოდა,... მაგრამ დღე მზიანი უნდა ყოფილიყო და გაიფიქრა – დღეს შანელის სუნამოს დღეა, იმის, ზაფხულში რომ მიყვარს პკურება.... საათს შეხედა, რვის თხუთმეტი წუთი იყო, გაიფიქრა, ჯერ ადრეა ბავშვებს კიდევ შეუძლიათ ცოტა ხნით ძილიო და გადაწყვიტა ფეისბუქის მეგობრებზე გადაევლო თვალი და დილამშვიდობისა ესურვებინა... ბაღის გამოსასვლელთან, სადაც თავისი პატარა შვილი დატოვა, შეიპყრო სურვილმა, რომ გაევლო საპურეში და ეყიდა „ფოკაჩა“, რადგან გრძნობდა ძლიერ შიმშილს, მაგრამ შეეცადა საკუთარ თავზე ომი გამოეცხადებინა: - გეყოფა ერთი ფინჯანი უშაქრო ყავა, ან დიეტურ შაქართან ერთად, ვერხედავ, რომ ყოველ დღე წონაში იმატებ?... თითქოს დაარწმუნა საკუთარი თავი და გადაწყვეტილება შეიცვალა, მაგრამ როგორც კი საპურის წინ აღმოჩნდა ცთუნებას ვერ გაუძლო და ფიქრის გარეშე შევიდა შიგნით. ხალხი ცოტა იყო, მაგრამ ნომერი მაინც აიღო. ცხელ ცხელი „ფოკაჩა“, თავისი მაცდური ღიმილით იტყუებდა თავისკენ, უკვე წარმოედგინა თუ რა გემრიელი იქნებოდა და პირში ნდომის ნერწყვი მოადგა. ფიქრებში გართულს უცებ მოესმა:

-დილა მშვიდობისა ქალბატონო, რას ისურვებთ?

- დილა მშვიდობისა! ერთინაჭერი „ფოკაჩა“...

-სხვა?

„ფრანჩეზინა“, მაგრამ თუ გაქვთ ახალი. არ მომცე გუშინდელი. იცით? -პურის ბევრი სახეობა გავსინჯე, მაგრამ „ფრანჩეზინაზე“ უკეთესი ვერ ვიპოვე... აიღო, გამყიდველისგან მობრუნებული ხურდა და გასასვლელისაკენ გაემართა. -დამეხმარეთ ქალბატონო. მის წინ იდგა ახალგაზრდა ბიჭი ენერგიით სავსე და დახმარებას სთხოვდა. -აქ დგომას და მათხოვრობას, გიჯობს წახვიდე და რამე სამუშაო შეასრულო, ნებისმიერი! მთავარია არ მოიპარო და ნარკოტიკს არ მიეკარო! უსაყვედურა მკაცრ ტონზე და გააგრძელა გზა გასასვლელისაკენ. ბოლოშს გიხდით, წამოეწია

იღაჯგაწყვეტიღი ხმა ღა ინსტიქტურაღ მოტრიაღღა, მოტრიაღღა ღა გაღააწყღა მისკენ მიმართ უღამაზეს თვაღებს, რომღებიც სავსე იყო წყენით, ტკივიღით, ზიზღით... თვაღები, რომღებიც ეუბნებოღნენ:
-თქვენ რა გესმით ამცხოვრების? თქვენ ვისაც ღიღით გაღვიძებთ მაღვიძარა ღა არამშიერი კუჭი! თქვენ, რომეღიც, ყოვეღ ღიღით სუნამოს ირჩევთ განწყობის შესაბამისაღ! თქვენ, რომეღიც პურის ყიღვისას ჭირვეუღობთ ღა წუწუნებთ! რაიცით თქვენ?! ნეღი ნაბიჯითმიუახღოვღა ახაღგაზრღა ყმაწვიღს, ათრთოღებუღი ხეღით ამოიღო საფუღე ღა მთღიანი ხურღა, რაც კი ჰქონღა მას მისცა.

## ნაჯამვარი

არის ერთი, მთის ფერღობებზე შეკიღუღი, უბეში ჩახუტებუღივით გარინღუღი სოფეღი. პატარა ღიღია, სხვანაირი, განსაკუთრებუღი. ამ სოფეღს თურქობამაც ვერ წაართვა ძვირფასი სახეღები, ყოვეღთვის არსებობღნენ ღა არსებობენ აღგიღები, რომღებსაც ქვიათ „მიქეღწმინღა“, „ხატიმამუღი“, „ნამონასტრევი“... აი, ეს, ნამონასტრევი გვტკივა. ნამონასტრევი, იყო ღა აღარ არის. მაგრამ იოღია! ვართ ჩვენ, მე შენ, ის ღა ავაშენებთ!...იქ, საღღ...აც ერთ აღგიღას, გზა გაწოღიღია გვეღივით, მერე ცოტა შემაღღება ჩანს, აი იმ შემაღღებაზე ყოფიღა პატარა, სუღ პაწაწუნა, ჩიტის ბუღესავით საყღარი, თურქობას ღაუშღია ღა ზეღ, საყღრის საძირკვეღზე ჯამე აუგია. პაპის პაპა გვიყვებოღა, ჩვენს ძვეღებს რომ გაუგიათ ღანგრევას აპირებღნენ, ჩუმაღ მიპარუღან ღამით ღა რაც სიწმინღე იყო წაუღიათო, მაგრამ ერთგან შენახვა საშიში ყოფიღა ღა ამიტომაც ვის რა წაუღია, ასე გაღაურჩენიათ სიწმინღეები, მაგრამ მაინც ღაკარგუღა. საბოღოოღ აუგიათ ჯამე....მერე ამ ჯამეში კომუნისტებს აუგიათ სკოღა...მერე...მერე აღარაფერი ღარჩა იქ, სუღ აღარაფერი, ერთი პაწია ქვაც კი არღარჩა იმ ჯამიღან ღა იმ სკოღიღან...ამ აღგიღიღან სუღ რაღაც ას ასორმოცღათ მეტრში ერთი

სახლია, სახლს უკანა ეზოში 150 წლიანი სათივე ედგა. ვეღარ იდგა ფეხზე სათივე, სანამ დაინგრეოდა და ზიანს მოიტანდა პატრონმა დაშლა გადაწყვიტა. ძველის ძველი კოჭებისგანაშენებული ჭერი ტოლით იყო გადახურული და სწორედ ამ კოჭებსა და ტოლს შორის იდო საუკუნოვანი, პაწაწინა ფიცარზე ამოკვეთილი ჯვარი. შეუსაბამო ადგილს ისე დაეხავსებინა, გადარჩენა რთული აღმოჩნდა, ჩაიშალა ხელში, მაგრამ სამაგიეროდ გაცოცხლდა ტვინში პაპის პაპის მონაყოლი, „სიწმინდეები ჩვენს ძველებს წაუღიათ შვილო“...იმ ადგილს დღეს ნაჯამვარი ქვია, მაგრამ ჩვენ ხომ ვართ? მე, შენ, ის? იმ ადგილს არქვია ნასაყდრალი, ამიტომაც არმტკივა!

„ძალიან გთხოვ, გემუდარები, თუ ცოცხალი ხარ მიპასუხე“! წერილი ძალიან მძიმე მოგეჩვენა და სცადე ტექსტის შემსუბუქება. „თუ კიდევ შეგიძლია წაიკითხო ჩემი წერილი, გთხოვ მიპასუხო, მეყოფა ერთი სიტყვაც, ასე მივხვდები, რომ ცოცხალი ხარ“.

დაღლილი, არაფრის მთქმელი ღიმილით დაჭირე თითი გაგზავნას, მიხვდი, რომ ასეთ დროს მსუბუქი წერილები არიწერებიან!

საწოლში იჯექი და მოლოდინით სავსე, გაშტერებული თვალებით შეჰყურებდი ტელეფონს. თვალღიას ჩაგძინებოდა, უკვე დილის 5 საათიიყო. ტელეფონის ზარმა ფეხზე წამოგაგდო.

გწერდა: „- ჩაო. ცოცხალი ვარ, მაგრამ წუხელ სიკვდილს ჩავხედე თვალებში, ჩვენი ტანკების კოლონა დაბომბეს, ბევრი მოკვდა, ბევრი გადავრჩით. გადავრჩით, ხვდები?! სახლში დავრეკე, ვუთხარი კარგად ვარ, არ ინერვიულოთ მეთქი, მაგრამ მინდა შენ გითხრა, რომ სიტუაცია, საკმაოდ მძიმე დართულია. კი არ მეშინია, უბრალოდ, ძალიან, გულიმტკივა! არ ვარ დეზერტირი და არც გაქცევას ვაპირებ, ვიცი ახლა სადაც ვარ საჭირო, მაგრამ ყოველ წამს ჩემს ოჯახზე ვფიქრობ, ჩემს შვილზე, რომელიც მალე უნდა დაიბადოს, მინდა დავინახო, მინდა გვერდში ვედგე, ცხოვრების რთულ მომენტებში. შესაძლებელია ერთ საათში აღარვიყო ცოცხლებში, ან მევიყო ცოცხალი, მაგრამ აღარ იყვნენ სხვები, ამიტომ რამდენჯერაც შევძლებთ წერას, ვცდილობთ ყველას სახელით გითხრათ, რომ უსაზღვროდ გვიყვარხართ და რომ შეუძლებელია სხვა დროს ასე ძალიან გინდოდეს სიცოცხლე, როგორც ახლა! რ. „

იყავი ბედნიერი, რომ შენი სამშობლოს, რომელიღაც კუთხეში, ტყე-ში, ის იყო ცოცხალი, მაგრამ განადგურებდა შიში, რომ ეს წერილი შესაძ-ლებელია გამხდარიყო უკანასკნელი!

... მისი წერილი არგამხდარა უკანასკნელი, ის დაბრუნდა, მაგრამ ვერ დაბრუნდა სხვა. სხვა, ვისთანაც წარსული, ბავშვობის წლები გადულა-ბებდათ. მეგობრების გადასარჩენას უკან დაბრუნებულმა სამშვიდობოს ვეღარ გამოაღწია!

დღემდე ელვასავით ჟრიალებს სხეულში სიტყვები: „ - ვუყურებ მის ცოლს, შვილებს და ჩემი ბედნიერების მრცხვენია! პირველად ჩემს ცხოვ-რებაში, მტკივა ცოცხალი რომ ვარ! „

ოთხი წლის მერეთითქოს სისხლგამშრალი იდექი საფლავთან, შეჰყუ-რებდი ცივ მარმარილოსდა გინდოდა მიახლოება, მოფერება. მარმარილოს სურათიდან შემოგყურებდა დატყვევებული სიცოცხლე, უსაზღვრო ენერ-გია, რომელსაც თითქოს სურვილი.

***

მერისში, ალბათ ბარდნის ....ბათუმში თოვსო... ბათუმში თუთოვს, მაშინ მერისში ბარდნის. ...მთელი ღამე ითოვა, თოვლის საფარმა მეტ-რონახევარს მიაღწია. მეორე დღეს კი ისეთი ბრიალა მზე ამოვიდა, იფიქრებდი, თოვლს საღამომდე გაადნობსო. ღამეც ისეთი ნათელი მოყვა, თითქოს მზეს ჩასვლა დაავიწყდაო! ...

უცნაური ჰაერია ზამთარში, დილაობით განსაკუთრებით, გამოძვ-რები ბუნაგიდან და სარკმელიდან სახეს მიუშვერ ცივ დილას, ფილტვები უსაზღვროდ ფართეა, ...სუნთქავ და გგონია უსასრულო ოდენობის ჟანგბადი შეგიძლია ჩაისუნთქო...დილით სისველეშეპარული თოვლი ღამით მოყინულიყო, მეორე სართულიდან ჩამომავალ კიბეზე ფეხი დამიცდა და სულ ბრახაბრუხით ჩამოვედი პირველზე, დედაჩემი კივილით გამოვარდა როგორხარო... არაფერი მტკიოდა, პირიქით ენერგიით, სიყვარულით და სიანცით სავსე ვიყავი, ჩემი ძმის ციგას წამოვავლე ხელი და სახლის უკან აღმოვჩნდი. დედაჩემი, ისევკივილით მომყვებოდა უკან : - არგინდა, ახლა არშეიძლება, ცოტა მზემ დახედოსთოვლსო. ვის ესმოდა დედაჩემის ხვეწნამუდარა? სანამ წამომეწეოდა, შემოვჯექი

ციგაზე და გავქარდი, წამში ბახჩის ბოლოში ვიყავი, თავით ჩალის ზვინში შერგული და ორითვის წინანდელი დედაჩემის და მამაჩემის საუბარი მესმოდა ყურში : -ნუზარმაცობ, ამოზიდე ჩალა და დააწყვე სათივეში, ნუ დატოვებ მაგ ღელის პირში - დამანებე ქაღოთავი.... დავფიქრობდი, რომ აეზიდა მამაჩემს ჩალა? უცებ დედაჩემისხელი ვიგრძენი, გამომათრია ზვინიდან და მომაძახა: -ცოცხალი ხარ დასამიწებელო? გავოგნდი ისე ჩქარა გაჩნდა ჩემთან, ჩემდა უნებურად,მზერით მეორე ციგას ვეძებდი, მაგრამ არსად იყო!...

ბათუმში თოვსო მითხრეს, აღბათ მერისში ბარდნის!...

***

-გამარჯობა ბებერო!

-გამარჯობა ბავშვო.

-ვითომ მიცანი ბებერო?

-როგორ ვერ გიცნობდი, ბებერს შენს გარდა არავინ მეძახის, როგორც კი შემოაღე ჭიშკარი ეგრევე გიცანი ბავშვო, გიცანი და გული მეტკინა, ცხოვრებისგან გალახულს გავხარ.

-მომენატრე ბებერო, მომენატრე და მოვედი.

-სულ მახსოვხარ, ვერაფრით დაგივიწყე.... მაშინ ზამთარი იყო, ეზო თოვლით იყო სავსე, ნაცრისფერი პალტო გეცვა, დედას მოეხვიე, თბილად აკოცე და დაემშვიდობე, ორი მეტრი თუ გექნებოდა გავლილი, რომ უცებ უკან მოტრიალდი სირბილით და ისევ გადაეხვიე, შეპირდი ორ წელიწადში აქ ვიქნებიო... რამდენი წელი გავიდა ბავშვო?!...

-აქვე აღუბალი და ვაშლი იყო, სადარიან ბებერო?

-ეეჰ...

-სხეული და ხელები დაგკოჟრებია, ახლა მივხვდი, რომ მაშინ ტყუილად გეძახდი ბებერს.

-ძალიან მიყვრადი, მიყვარხარ დღესაც, მაგრამ ახირებული ბავშვი იყავი, მაშინ მწყენდა ბებერს რომ მეძახდი, ახლა კი ისე თბილად ჩამესმა ყურში... უუჰ... მეამა. ათასი ბავშვი ჩაივლის აქვე ახლო მახლოს, ამოიხედავენ მაღლა, მშიერ მელიასავეთ ჩაყლაპავენ ნერწყვს ლოყაწითელა მაისის ბალის დანახვაზე და წავლენ, შენ კი სულ აქ იყავი,

ჩემთან, ჩამოჯდებოდი ჩემს ჩეროში, შემყურებდი თვალებში, მესაუბრებოდი და მწიფე ბალს კურკებიანად მიირთმევდი, კუჭი გეტკინება მეთქი გეტყოდი და აკისკისდებოდი, ჩემი კუჭი ქვასაც დააფრქვევსო... განაწყებენულიც მუდამ ჩემთან მორბოდი, ახლა...

-მართალიხარ ბებერო, ახლაც ძალიან მინდა შენთანა მოსვლა, მაგრამ გიყურებ და მეშინია, ძალიან გაგუხეშებია სხეული.

-დავბერდი ბავშვო, დამღალა ნაღვლიანად დგომამ, რამდენი ზამთარი და ზაფხული, სიცხე და სიცივე, მეკიდევ კარგი გავძელი, აი ვაშლი და ალუბალი კი აღარ არიან.

-მომენატრები ბებერო, სული გამითბო შენმა ნახვამ. მე ისევ მოვალ დამჯერა აქვე დამხვდები.

-არა ბავშვო, მე ვეღარ დაგხვდები, შენი ნახვის გარეშე სიკვდილის მეშინოდა, ახლა კი მშვიდი ვარ. დღეს რაღაც უცნაურად თბილა, სიცოცხლეს ვგრძნობ ფესვებში ბავშვო. მე ვეღარ ვხრი, თავს რათა დავხედო რა ხდება ძირს, გაუხეშებული ხერხემალი აღარმიშვებს, შენ კი მიუახლოვდი ახალ სიცოცხლეს მოეფერე და დაიმახსოვრე, მე მასში დაგელოდები ბავშვო!

-მე დავბრუნდები ბებერო!...

## თუთა

სოფლად, ჩემს ეზოში, დიდი თუთის ხე დგას. ბევრი წლის წინ, უფრო მაღალი იყო, ცას წვდებდა აშოლტილი ტანით. ერთ ზამთარსაც ძალიან დიდი თოვლი მოვიდა და ნახევარზე გადატეხა. ბევრი იწვალა თუთამ, მაგრამ მაინც გაცოცხლდა, ძლიერი იყო სიცოცხლის წყურვილი! ამოიყარა ახალი ტოტები, ისევ აიშოლტა და ძალიან ლამაზი ხე დადგა. გარედან თვალს შეავლებდი არაფერი ჩანს, არადა შიგნით ტოტების ქვეშ დიდია, რას მალავს! წლები გავიდა, იარას კი თითქოს სახე არ უცვლია! თუთის ხე კი ცდილობს ლამაზი იყოს და გამუდმებით ნაიარევის მალვაშია, რადგან მან არიცის, რომ მე უსაზღვროდ მიყვარს მის იარასთან ერთად! ნაიარევი უფრო მიყვარს!

# ერიშტა

შორეულ ბავშვობაში (ძლივს მახსოვს), ზამთრის მოსვლას ახლდა ერთი მეტად საინტერესო რიტუალი, რომელიც ერთ-ერთი ძველი აჭარული კერძის დამზადების პროცესი იყო. რამდენიმე ქალისა და მამაკაცის გაერთიანებული ძალა შეუდგებოდა საქმეს. მახსოვს, ძალიან დიდ გობში ზელდნენცომს, (ან შეიძლება მე ვიყავი ძალიან პატარა და გობი დიდი მეჩვენებოდა), ცომი საკმაოდ მკვრივი იყო. პატარ-პატარა გუნდებად ჭრიდნენ, ამრგვალებდნენ და მერე აბრტყელებდნენ მრგვალი ჯოხით, რომელსაც იოხას ჩხირს ეძახდნენ, ცომის გაბრტყელებას კიგაიოხვას. მიღებულ თხელ ფენას ცოტა ხელითაც გადაწელავდნენ და გახურებული რკინის ლუმელზე ჩქარ-ჩქარა წვავდნენ ორივე მხრიდან, მერე უცებ დაკეცავდნენ და შეფუთავდნენ ისე, რომ შემწვარი ფენები რბილი დარჩენილიყო. განსაკუთრებულად მიყვარდა შეწვის პროცესი, საოცრად გემრიელი სურნელი ქონდა ლუმელზე აბრაწულ ფენებს. მერე იყო დაჭრის პროცესი, რომელიც კაცების საქმე იყო, რადგან დიდძალისხმევას მოითხოვდა. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა მოგეჩვენოთ, შემწვარი ფენების დასაჭრელად იყენებდნენ კუსტარულად დამზადებულ დანადგარს, რომელსაც ჰავანი ერქვა. ჰავანი ძირითადად თამბაქოს წვრილად დასაჭრელი დანადგარი იყო, მაგრამ სოფელში ყოველთვის იპოვებოდა ერთი, სუფთა ამკერძის მოსამზადებლად. შემწვარი და დაკეცილი ფენებით ამოავსებდნენ ჰავანს და ისევე წვრილად ჭრიდნენ, როგორც გამხმარ თამბაქოს, მერე გაფენდნენ, გამოაშრობდნენ და ქაღალდის ან ტილოს ტომარაში შეინახავდნენ საზამთროდ. სასურველ დროს კი ამოიღებდნენ ტომრიდან საჭირო ოდენობის დაჭრილ ფენებს, მოასხამდნენ შეწითლებული კარაქისა და ადუღებული შარბათის ნარევს, ცოტა ხანს გააჩერებდნენ და მერე თბილ თბილს მიირთმევდნენ გემრიელად.

# ერთი სოფელი

ერთი სოფელი ვიცი, ზამთარი იცის სასწაული! აიტეხავს თოვას და ქარბუქს, ისე აავსებს ხეობას, გამოსამშვიდობებელ წერილს დაგაწერინებს, აღარაფრით ელი გაზაფხულს, მაგრამ შემოჭიჭყინდება მარტი და ისეთღვარცოფებს დააყენებს, საქმე თუ ჩამოსაშლელ ჩამოსახეთქია, ყოფას უტირებს! ჩამომდნარი თოვლისა და წვიმისაგან გზა გაუვალი ხდებადა თუ სატუცავზე კვალი არ გივარგა, აუცილებლად ზღართანს მოადენ ტალახში. წაქცევა წაქცევაა და გააჩნია სად წაიქცევი, შეიძლება ისეთ ადგილზე წაიქცე, კისერი ქარაფზე გადაკიდო და თუ დაგცადდა, რომ ქვესკნელს თვალი გაუსწორო, შიშისაგან ზეზე ადგომა აღარ გიწერია, მაგრამ ქარაფზე გადაკიდული კისრის შედეგადწაგრძელებულ ცხვირში იმდენი ია და ყოჩივარდა ამოგიძვრება და ისეთი სურნელებით დაგათრობს, იტყვი მადლობა უფალს, რომ წავიქეცი და ეს სამოთხე ვიხილეო! დათრობაზე გამახსენდა, ქეიფი იციან სასწაული. დღესასწაული რა საჭიროა? ყოველი ერთად თავმოყრა დღესასწაულია. გაივლის მეზობელი გზაზე და გადასძახებს რომელიმე ოჯახს, დავიხრჩე სიცხისგან და წყალი დამალევინეთთქვენი ჭირიმეო. მასპინძელი გაიგიჟებს თავს რა დროს წყალია, ჩაციებული საზამთრო ახლა გავჭერი მოდი და ერთად ვჭამოთო. ჭკუათმყოფელი იტყვის უარს. საზამთროს საჭმელად მაგიდასთან მიმჯდარ სტუმარს თან სხვა რამეს მიართმევენ. ვინ იცის სად გამონახავენ ნამცხვარს, კანფეტებს (ამ დროს ოჯახის ბავშვები ფიქრობენ, ცუდად მოგვიძებნია სასუსნავიო!) ცხელ, ცხელ ყავას. არ ელოდეთ, რომ შეგეკითხებიან მიირთმევ თუარაო, თუ შაქარი გაქვს შენს თავს დააბრალე) შეყვებიან საუბარს, აქეთურზე იქეთურზე... ვახშმობისას სტუმრების რაოდენობა უთუოდ გაზრდილი იქნება ( დღეში ერთი მეზობელი ხომ არ ჩაივლის სახლთან? ). შექანდებიან სტუმრები, რა დრო მოსულაო დავიშალოთო და გამოვარდება ოჯახის დედა, აპაპაპა ვახშამია და სად მიდიხართო და.... წავიდააა! ეს ამისაო, ეს იმისაო, ეს დამხვდურისაო, ეს მოსულისაო, ეს არდავიწყებისაო. შეგშლიან ჭკუიდან, მაგრამ, ისე რომ ვერაფერი შეამჩნიო. მესამე ჭიქიდან სიმღერას იწყებენ და ყოველ სადღეგრძელოზე მღერიან, მეხუთე ჭიქიდან ცეკვას იწყებენ. განა იციან ცეკვა და სიმღერა?! მაგრამ მღერიან და ცეკვავენ როგორც იციან! უხარიათ, ერთმანეთი უყვართ ( იმწამში მაინც), სვამენ

მღერიან და ცეკვავენ დილამდე! ამ სოფელში არც სიკეთე წამოიკრავს ფეხს და არც ბოროტებაა საძებნი. სწორედ ასეთი სოფლები და ასეთი ადამიანები გადაარჩენენ დედამიწას!

***

ბავშვებს საბანი მოუხდიათ, ფრთხილად ვახურავ ისევ და გამოვდივარ ოთახიდან. -დე მე როგორი ბავშვი ვიყავი? - გეკითხები და ცარიელ ოთახს ნაღვლიან მზერას ვავლებ. მგონია გარეთ უნდა თოვდეს და შუბლით ცივ მინას მიყრდნობილი გაშტერებული შევყურებ სიბნელეს. ნიავიც კი არ იძვრის, ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, არა და მაშინ თოვდა, ხეობაში ჩავარდნილი ქარბუქი ღმუოდა, თითქოს განადგურებით იმუქრებოდა, შენ კი მუცელი გტკიოდა დე, ძალიან გტკიოდა....ვიცი ახლა არ გძინავს, ანდა თუ გძინავს, ძილში, შორეული მუცლის ტკივილი არ გასვენებს. მე ვერ ვიძინებ დე, როგორც კი საათი თორმეტს გადასცდა დავპატარავდი, აღარაფერი დარჩა იმრკინის ქალისგან გუშინ რომ ვიყავი, შეშინებული ბავშვივით ვუყურებ ცარიელ ოთახს და მჯერა რომ შენ მოხვალ, მჯერა რომ ახლა კარს შემოაღებ და მეტყვი: - რა გატირებს ჩემო ქათამნაცარა, მე შენ არასდროს დაგტოვებ მარტო! დე, ვიცი არგძინავს, ან ძილშიც ვერ ისვენებ! ჩემი დაბადების დღეს გილოცავ დე!!!

***

აშკარად დიდი ხანი გასულიყო მისი ჩაძინებიდან, მაგრამ მაინც ეძინა, თვალს ვერ ახელდა. არადა სხეულში, რაღაც გრძნობა, ქვეცნობიერად ახელებდა. მიძინებულ ვენებში, მტკივნეული სისწრაფით შხუოდა სისხლი და ველურ ჟინს აყოლილი სხეული ძილში თრთოდა. ვნება, ჯერ მკერდზე გამოაყარა კვირტებად, მერე კი მთელი სხეული მოიცვა... თრთოდა სხეულის ყოველი უჯრედი, ქშინავდა რაღაცის მოლოდინში, გიჟური სურვილი სულის ფესვებამდე აღწევდა და ვნება აღვირახსნილ ულაყივით ასკდებოდა სხეულის კედლებს, ის ბოლო ღამე იყო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა... გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას, ყვავილებად აბრიალებულ ატმის ხეს, მზის სხივებთან, ვნებით აფეთქებულს გამოეღვიძა!...

# ბოლა

ოჯახის ყველაზე პატარა წევრი იყო და ბოლას ეძახდნენ. პატარა იყო ტანადაც და საოცრად საყვარელი, მორცხვად გაღიმებისას მარჯვენა მხარს და ლოყას ერთმანეთს მიაახლოვებდა და ტუჩის მარცხენა ბოლოს ღიმილს შეაპარებდა. უპრეტენზიო და თბილი ბავშვი იყო. შეეძლო ყველაფერში პოზიტივი ეპოვა. გული ალბათ ტკიოდა კიდეც, როცა ძმის გამონაცვალ შარვალს მიაჩეჩებდნენ ხელში, მაგრამ ამ ტკივილზე არასდროს ფიქრობდა. სიყვარულით ჩაიც...მევდა შარვალს, ის ხომ მისი ძმის ნაქონი იყო! ძალიან ფრთხილი და ყურადღებიანი იყო. აწუწუნდებოდნენ ბავშვები სადილობისას: - მე ხორცი, მინდა, მე თევზი... ის კი დედას გადახედავდა სიყვარულით, ცარიელ თეფშს გაუწვდიდა და ეტყოდა:-დე, მე წვნიანი მინდა!... არავის უსწავლებია მისთვის, რომ ქალისთვის ყვავილების მირთმევა განსაკუთრებული საქციელი იყო. გემოვნებიანად შეკრავდა თაიგულს მინდორში და სახლში დაბრუნებული, მისთვის დამახასიათებელი ღიმილითა და ზურგსუკან დამალული ხელებით შეძვრებოდა... ყველას ძალიან უყვარდა და თითქოს მაინც არავის ეცალა მისთვის! ისე საყვარლად, უხმაუროდ და უპრეტენზიოდ გაიზარდა...

ალბათ ყვავილებისთვის აღარ დარჩენოდა ფული, ამიტომაც გაზაფხულის პირველი დღის მისალოცად, ცოლისთვის მაგნოლიები დაეკრიფა ქალაქში. სწორედ ისე შეძვრა სახლში, მარჯვენა მხარეს გადახრილი თავით, ტუჩის მარცხენა მხარეში შეპარებული ღიმილით და ზურგს უკან დამალული მაგნოლიებით, როგორც მაშინ... იყო რაღაც განსაკუთრებული, იმ საქციელში!!!!

# ზაირა კელოშვილი



ვიმყოფები ემიგრაციაში, კერძოდ ელადაში-ათენში.

ვარ საბერძნეთის ქართველ ემიგრანტ ქალთა კავშირის წევრი, ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ რედაქტორის მოადგილე და ქართული ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი. გამოცემული მაქვს ორი პოეტური კრებული „ვით მძივი დაშლილი გიშრის“ და „ცას ასხლეტილი ცრემლი“, ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ქალბატონი ზაირა ჩვენი ლიტერატურული კრებულების "ჩანაწერები ინგას უბნიდან" ერთ-ერთი წარმატებული ავტორიცაა....

შემდგომი წარმატება და მუზის სიმრავლე ჩვენს ემიგრანტ ქალბატონს!!!

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲡ

ჩვენ სიდუხჭირემ კარი გაგვიხსნა
და მთელ სამყაროს მოგვდო დარდებად
და მენანება ცრემლი ქართული
უცხო მიწებზე მიმოსაბნევად.

ქართულ-ბერძნული ღირებულებები არგოლიდაში

ქალაქი არგოლიდა საბერძნეთის ძველი დედაქალაქია. ამ ქალაქის ერთი დღის სტუმარი ვარ დიდი მონდომების შემდეგ მოვახერხე ექსკურსიაზე წასვლა ჯგუფის ხელმძღვანელია „საბერძნეთის ემიგრანტ ქალთა კავშირის“ თავმჯდომარე ქალბატონი ნუნუ ღურჭუმალიძე, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი თავის დაკისრებულ მისიას. ქალაქ არგილიდას ბევრი რამ აკავშირებს საბერძნეთის გმირულ წარსულთან. ამას მოწმობს ქალაქის გულში თუ შემოგარენში, თავად ზღვაში აღმართული ციხე-სიმაგრეები, რომელნიც თავისთავად გესაუბრებიან გარდასულ დღეებზე და ამაყად უსწორებენ თვალს დღევანდელობას, მივდივარ ,,პალამიდიუსისკენ, მივუყვები ქვის კიბეებს. ირგვლივ ყველაფერს ატყვია მზრუნველი ხელი. მოწიწებით, მოკრძალებით ვაბიჯებ გულზე. ვინ მოთვლის, ამ სიძველის რამდენმა ასეულმა თაყვანისმცემელმა აიარა ეს გზა რიდით და კრძალვით, რამდენმა გააცოცხლა თეთრ ფურცლებზე ეს რეალობა, რამდენმა უცხოელმა ამცნო თავის ქვეყანას ქვათა და კირთა ღაღადი ძველი დიდებისა. მეც მხვდა წილად იმ ათასეულთაგან ერთ-ერთი ვყოფილიყავი ვინც თვალით, გონით, მთელი არსებით შეიგრძნობდა ამ ქვეყნის წარსულის ჭეშმარიტებას. თანდათან ვუახლოვდები ძველი ციხე-სიმაგრის ქონგურებს, ხელით ვეხები, ვეფერები, ვგრძნობ მის წიაღიდან წამოსულ სითბოს. ციხის გალავანს, მაღლა ცისკენ მიუყვება ქვის ზეაღმართული კიბე, თითქოს ცას ახებ ხელს, მზეს, შენსკენ მოწვდილს. სართულები ტერასებივითაა განლაგებული. მისი სიდიადე თავბრუდამხვევია. ადიხარ ციხესიმაგრის ზენიტში. გალავანი კარგად შეუნახავს მზრუნველ ხელს. არსადაა ჩამონგრეული, დაზიანებული, ჩამოშლილი ქონგურები. ხელისგულივით მოჩანს ქალაქი არგოლიდა. ციხესიმაგრის სიმაღლემ თანდათან დააპატარავა ქალაქის თანამედროვე შენობა-ნაგებობანი, ან კი რა ძალა შესწევს თანამედროვეობას, რომ გაუძლოს

თვალი გაუსწოროს წარსულის გამოძახილს, რომელიც გასავლელ საუკუნეებს ელვის სისწრაფით ჩამოიტოვებს და იდგება ნიშანსვეტად ძველი ბერძნების ძველი დიდებისა. ვბრუნდები ვეშვები დაბლა, რათა მიწის შვილი ისევ მიწას შევერო. მის სიმაღლესთან მე რა ხელი მაქვს, პალამიდიუს ციხესიმაგრე ხომ ცისა და მიწის შუამავალია. დაბლა ჩამოსულმა კიდევ ერთხელ შევავლე თვალი ცოცხალ მატიანეს, ჩემს თვალწინ ახალი საოცრება იდგა, რომელიც ძალიან ჰგავდა ციხე - ნარიყალას. არ ვიცი, იქნებ ნოსტალგიამ, ჩემი ქვეყნის სიძველეების წყურვილმა აირეკლა ჩემს თვალებში მსგავსება ქართულ ნარიყალასა და ბერძნულ პალამიდიუსს შორის ჩვენი, ქართული 50 - კაციანი ჯგუფი ქალაქს შეერია. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ დაიტევს ერთი დღე. არგოლიდა ის ქალაქია სადაც საუკუნეებს სძინავთ. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არაფერი ავნო მათ ღირებულებას, არ დაურღვიო მყუდროება, უხმო ნაბიჯით მიუახლოვდე, თაყვანი სცე, თავად შეიგრძნო ეს სიღრმე, რაც თითოეულ სვეტში, გალავანში, ქვაში დევს. ის ცოცხალი არსებაა, ქვად ქცეული უკვდავება!

ციხესიმაგრე ბურძი-წყალში, ზღვაშია ჩაკირულ-ჩადუღაბებული. მხოლოდ ერთი, სანაოსნო გზა აქვს მისასვლელი. სანაპიროზე კატარღებია განლაგებული, რომლებიც ტურისტებს განუწყვეტლად ემსახურებიან. ჩვენი ჯგუფი ორ ნაწილად იყოფა, ორი კატარღა ციხე ბურძს უახლოვდება და გეჩვენება, თითქოს ზღვა დედაა, რომელიც გამუდმებით არწევს აკვანში ჩაკრულ შვილს, ციხე ბურძს. შევდივართ თაღიანი კარით, მივუყვებით კიბეებს. ულამაზესი ვარდისფერი ყვავილებია კედლებზე გადმოფენილი. ჩემი ყურადღება მიიქცია ხეივანმა ამ დროს ჩემი მეგობარი პოეტის ნელი თელეიშვილის ხმამ გამომარკვია, რომელმაც ვაზის ლერწს მოფერებით შეავლო ხელი, თან ქართული კინოფილმიდან „ჯარისკაცის მამა“ მოიშველია ლამაზი ფრაზა - „აქ რამ მოგიყვანა, შე მაღლიანო, შენა“. რაც მაღლა და მაღლა ადიხარ სიმაღლისაკენ, თითქოს ცა ჩამოსცქერის ციხის ფსკერს და თავისი ლამაზი ფრთებით უჭირავსო სამარადჟამოდ უვნებელი და კაცთაგან ხელშეუხებელი, თავად კაცთა მოდგმის ნახელავი ციხე ბურძი. გალავნის შიდა, მარჯვენა და მარცხენა მხარეს განლაგებული ორი ზარბაზანი დასტურია იმისა, თუ რამდენად განვითარებული და მომზადებული იყო საბერძნეთი მომხვდურის დასახვედრად.

ციხესიმაგრის ერთ-ერთ ქონგურზე ფრიალებს სახელმწიფო დროშა, ცა-სავით თეთრ-ლურჯი ფერის და ისეთივე, როგორიცაა ზღვა. წყალი ციხე-სიმაგრეს გარს უვლის და მისი ტალღები უკუმიიქცევა, ვერაფერს აკლებს უსასრულობის ბინადარს-ციხერ ბურძის! ყველაზე მთავარი რამ ჩვენთვის, ქართველებისთვის წინაა, სადაც სულმოუთქმელად მივიჩქარით, გველო-დება არგოლიდის ქართველთა სათვისტომო, საქართველო", თავმჯდო-მარე, ბატონი გიორგი გოგუა და მთელი წარმომადგენლობა, მთელი საქართველო თავისი გურიით, სვანეთით, სამეგრელო-იმერეთით, რა-ჭა-ლეჩხუმით, ქართლით, აფხაზეთით, სამაჩაბლოს, ახალგორის ლტოლ-ვილებით გულზვიადი მთით, ბარით. ვეფერებით, ვეალერსებით ერთმა-ნეთს, ტკივილი და სიხარული ერთმანეთს ენაცვლება, გვაოცებს უცხო-ეთში ქართული პარკი, ქართველი კაცის მუხლჩაუხრელი შრომით, მონდო-მებით გაშენებულ-აყვავებული. ფაცხა, პავილიონი ღვინით სავსე ქვევრი. გარეთ ღია ცის ქვეშ დგას კასრი, წითელ ღვინოზე რომ ეპატი-ჟება სტუმარს. სცენას თავისი ხიბლი აქვს, სადაც პატარა მოცეკვავეებ-მა „ცეცხლი დაანთეს“. გარშემო ხის გადაჭრილი სკამებით. მაგიდებით, პარკში შემავალი გზის გასწვრივ განლაგებულია სტენდები, სადაც საქართველოსა და საბერძნეთში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვ-ლენაა ასახული, სადაც ქართული სათვისტომოა, სადაც საქართველოა დავანებული, შემაღლებული ადგილიდან გადმოსცქერის ეკლესია, ლოცვით და კურთხევით ავსებს ღირსეული ქართველის, ჩვენი თანამემამულის, ბატონ გიორგი გოგუას ნამოღვაწარს უცხო ქვეყანაში, კერძოდ საბერძნეთში. ეს ცოცხალი მატიანეა, ამას ქართველი ერი აუცილებლად მიაგებს პატივს.

ქალბატონი ნუნუ ლურჭუმაიძის ძალისხმევით ერთი ლამაზი ფურცე-ლი ჩავწერეთ ემიგრანტული ყოფის ისტორიაში.

***

2008 წელი.... დედა და ქალი

2008 წელია, საქართველო წელშია გატეხილი.. დაღლილ, ყველასაგან მიტოვებულ უპატრონო მოხუცს ჰგავს, რომელმაც ომიც გამოიარა და მშვიდობაც, სიკვდილისთვის უამრავჯერ ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ არ შედრკა, არ დაემონა. ვერც მან გაუბედა ბასრი ცელის მოსმა, მოცელვა. ამაყი და თავდაჯერებული მომავლის იმედს არ კარგავდა, ქართული რაინ-დული სული უმაგრებდა ზურგს, უბიძგებდა ხვალინდელი დღისკენ, თუმცა დიდი და გმირული წარსული ვერ დაეძო მაღამოდ დღევანდელობას. დღეს, დღევანდელს თავისი ანგარიში აქვს ჩასაბარებელი, ნაადრევად გაჭაღა-რავებულს ყველა სიმწარესთან ერთად, ატირებული პატარების ღნავილი უღრღნის გულს „მამა - პური, დედა პური“' ეს უკანასკნელი დედაა, ვეღარ შეძლო მეტის ატანა, ვაი, რომ არც თვითმკვლელობაშია გამოსავალი და არც კაბის კალთაზე დაკიდებული მშიერი შვილების ცქერაში. გამოსავალი მხოლოდ გაქცევაშია, უნდა გაშორდეს, გაეცალოს ამ კოშმარს, იქნებ სხვაგან ჰპოვოს გზა ხსნისა, რადგან არა ერთხელ და ორჯერ, უამრავჯერ ეცვა ჯვარს , ოჯახის გადასარჩენად, მაგრამ დაძაბუნებულ სამშობლოში აღარც ესაა გამოსავალი, რადგან აღარც ძელია გაწამებული დედის სხეუ-ლის მისაჭედებლად. გაიკაფა სტეპს ჰგავს ერთ დროს მწვანე ხავერდით გადაფარული ტყეები, არათუ ადამიანს, ნადირსაც არ დარჩა თავშესა-ფარი. გასაცოდავდა ყველა და ყველაფერი. დედის გუმანი ყველაზე ადრე გრძნობს დასასრულის მოახლოებას: წამოიმართა, წელში გასწორდა, საკუთარ ძალაში დარწმუნებილი მივიდა კედელზე დაკიდებულ ხატთან, ად-რე თუ ტუჩების ჩუმი მოძრაობით სთხოვდა უფალს დახმარებას, ახლა ხმამაღლა შეჰბედა თავისი ყველაზე სანუკვარი სურვილი. „უფალო სათ-ხოვარს გიბედავ, მომმადლე გაძლების ძალა“ მხოლოდ ოჯახთან გაყრა-შია, გაქცევაშია გამოსავალი, სანამ არაა გვიანი, სანამ ჯერ კიდევ შეიძლება წაქცეულის ფეხზე წამოყენება, სანამ ჯერ კიდევ არ შერევია მიწას უცხო სურნელი, სანამ ჯერ კიდევ არ მოსულა სხვა მის ადგილ-მამულში დასასახლებლად, სანამ ჯერ კიდევ ზის მეისტორიე და ღამპის მბჟუტავ შუქზე წერს ავბედით დღევანდელობას. დედა და ქალი თვლის რომ გაქცევაშია გამოსავალი, რათა მეისტორიეს მისცეს შანსი, ბევრი

კარგი დაწეროს 21-ე საუკუნის პირველ ნახევარზე. არა და არ ემეტება მეუღლის, ვაჟიშვილის წასვლა-გაქცევა ქვეყნიდან, რადგან ქალია, ქალს მაინც აღვილად მოერევა მტერი, ყველა და ყველაფერი ყვავ-ყორნებს დარჩებათ საჯიჯგნად, მაინც ქალია და დაუცველი.

2008 წლის აპრილია, მძიმედ გაიხურა სახლის კარი, არ იცის რამდენი დღით, რამდენი თვით, წლით, მაგრამ მთავარია გადადგა ეს ნაბიჯი, მისცა ქარს თავი, რომელიც ზურგზე ორივე ხელს მაგრად ურტყამს და გაურკვეველი მიმართულებით მიაქანებს. ისევ თავის თავს მისცა შვე-ბა, ცრემლად, ნუგეშად დაღვარა ტკივილი. საკუთარი ტკივილივით თან სდევდა სამშობლოზე დარდი, თვალებიდან არ შორდებოდა უპატრონო ბავშვთა სახლებიდან გამოშვებული ბავშვები ლუკმაპურის საშოვარზე ბაზრებს და ქუჩებს მოდებული, სამათხოვროდ ხელგაწვდილნი მიწის-ქვეშა გადასდასვლელებთან თუ მეტროს შესასვლელებთან, სიბერისგან დაძაბუნებული მოჩხუბარი ადამიანები ნაგვის ურნებთან, რადგან მცი-რეა ურნაში ულუფა... რა აქვს გაჭირვებულ მოსახლეობას გარეთ გასატა-ნი ? „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“. ზამთრის სუსხი დასტყობია სოფელ-ქალაქს, რადგან შეშაა ერეთადერთი იმედი გლეხი კაცის. ესეც ფულის დაზგად იქცა შეძლებულთათვის. ამის გამო მიინავლა უმრავ ღესობის კერაზე ცეცხლი, ქალაქში მაღალსართულიანი შენობების ფანჯ-რებიდან მილები თოფის ლულასავითაა გამოყოფილი და საცოდავად, დროდადრო ბოლავს. სამშობლოდან გამოყოლილი ბევრი უსიამოვნო ამბავი უტრიალებს თავში, მაგრამ გულის ჯიბეში საგულდაგულოდ მიმა-ლული ერთი მუჭა მიწის სურნელი საამოდ ეფინება მის აშლილ მწარე მო-გონებებს, ამხნევებს, იმედს აძლევს გადარჩენისას, მაგრამ რა?! აფხა-ზეთი და სამაჩაბლო -ახალგორი ერთად დედის მკერდიდან მოგლეჯილი ... განა ყველა ქართველის გაბზარულ გულზე დატოვებული იარა არაა?! იქნებ უკურნებელია კაცობრიობა, უჭირს შავის და თეთრის გარჩევა. იქნებ დროა, ნობელის პრემია დაგვეწესებინა იმისათვის, ვინც კაცობრიობას აუხელდა თვალს და სადავოს არ გახდიდა ქართულ სინამდვილეს ჩვენი წარსულიდან, ჩვენი ისტორიიდან გამომდინარეს. აგერ უკვე ორი წელია, ათენის ქუჩებში დააქვს დარდით დამძიმებული გული, გაქრა ლამაზი ფერები საქართველოდან დანახული. აქ სინამდვილე მუქ ფერებს ხატავს. გაუკვალავ გზებზე უხდება ბორიალი, თუმცა უამრავ ქართველს ხვდა

წილად ეს სამსალა. ქარს ელოდება, მის ძლიერ ხელებს, იმედს არ კარგავს, რომ ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებს, ოღონდ სამშობლოსაკენ. აი აქ კი უნდა გაამართლოს ამ სიბრძნემ. ქრისტიანობის წმინდა ტაძარში, ელადაში მოიშუშა უამრავი პრობლემით გამოწვეული ტკივილი, თუმცა საქართველო სიღარიბის ზღვარზე მდგარი ქვეყანაა, ემიგრანტებისაგან გაღებული წვლილი ზღვაში ერთი წვეთი, უამრავ აკანკალებულ, შიშველ ხელს ხედავს გამოწვდილს დასაპურებლად მაგრამ... ზღვაში წვეთი მაინც წვეთია რომ არა ელადა, რომ არა ეს წვეთი. მაშინ?! სწირავს მადლობას ელადას, რომელიც წამლად და მკურნალად მოევლინა მის დაკოდილ გულს. ნაწილობრივ იტვირთა და გაიზიარა მისი ტკივილი ავედრებს მაცხოვარს ისე, როგორც სულთან და ხორცთან განუყოფელ სამშობლოს-საქართველოს!

***

ზღვის ღელვას ჰგავდა.... მე როცა გრიგალმა გამაღვიძა, შენ სად იყავი მზეო მაშინ... სიცოცხლე ჩემი წარსულში მახსოვს, შენ მოგიძღვენი, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ხან იყო მღვრიე ხან ანკარა, ვით ბავშვის ცრემლი, ცხოვრება, რომელიც მე გავიარე, ზღვის ღელვას ჰგავდა, მე კი თოჯინას, ბავშვმა რომ მიუგდო ტალღებს. მადლობას ვუხდი თავს დატეხილ გრიგალს, რომელმაც ჩემი გამოღვიძება შესძლო, ამიყოლია, როგორც სიმფონია დირიჟორის ხელით სამართავი. უთვალავია მადლი შენი, წვლილი დიდია იმაში, გრიგალო ჩემო, მე თუკი არ დავრჩი ტალღებს მინდობილი, ბავშვისგან მიტოვებულ თოჯინასავით. აქაც, უკვე შენც, მზეო, მომისწარი ნაშუადღევს, დარჩენილ წუთისოფლის აღმართს რუდუნებით მივუყვები, თანდათან გიახლოვდები. გიღიმი. შენც მაიმედებ, მათბობ, გულში მიხუტებ... მიყვარხარ, მზეო!

მე

დილის რვა საათია,სამუშაო დღე იწყება. ხალისით, ინტერესით, სითბოთი და სიყვარულით მიხმობს ბებია კატერინა, რომელსაც მიმწუხრის ჟამს ჩემი თავი ერგო წილად. მეც ღმერთის მადლობელი ვარ ამისთანა

საჩუქრისთვის, თორემ ქუჩაში დგომით, უმუშევრობით ვინ არის შენი გამკითხავი უცხოობაში, შიმშილი უსახლკარობა, სიკვდილი რომ დაძრწის შენს გარშემო. თუ ახლობლების მცირედი შემოწირულობებით ამ ყველაფერს გადაურჩი, აგერ, ჩამოივლის კანონის დამცველი და მიგაბრძანებს განყოფილებაში, სადაც პატიმრობა თუ არა ჯარიმა მაინც გელოდება,რისი გადახდს თავი არ გაქვს, უფრო უარესი კი სამშობლოში დაბრუნება! საგონებელშივარდები, გახსენდება სიტყვები, თითქმის ყველა დროში რომ ითხოვს პასუხს - „რას ვეტყვი მე ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე". შორიდან ჩასაფრებული, ამ წუთების მომლოდინე წონი შეხვედრის წუთებს, რომლისთვისაც არ ხარ ჯერ მზად. კიდევ ბევრი, რამდენი ამისთანა აზრი გაგიელვებს თავში მთელი დღის მანძილზე. თავდაუზოგავ შრომაში ეგუები ჭირვეულ მოხუცს, რომელიც წილად გერგო. ბებიას ზრუნვაშიც ნელ-ნელა მიილევა დღეც. გიხარია საწოლთან მისვლა, ის ხომ **შენი** სამყაროა, იქ გელოდება შენი ქვეყანა, სადაც ოცნებით ფრთაშესხმული დაფრინავ და ხელს არავინ გიშლის, გაზაფხულია, მინდორში კრეფ ყვავილებს და შვილებს თმებში უწნავ, აგერ, სკოლის კარებამდე მიაცილე შვილები, ისინიც ხელს გიქნევენ, გესმის ზარის ხმა და ბედნიერი ხარ არც სამეგობროს გარეშე ვარგა კაცის ყოფა, მათაც ესიყვარულები, გეპატიჟებიან ქართულ სუფრასთან, იხსენებ ძველს და გიყვებიან ახალს. შენც ხარობ, ქუჩაში ჟრიამულია, ყურს სწვდება ბავშვების ლაღი კისკისი. ტირილიც გინდა გაიგონო, აგერ ისიც, წაქცეული რომ ტირის - ვაი დედაო და ამ ხმას შენს ბავშვობაში მიჰყავხარ, ღამაზ სოფელში, ბაღებით, ბოსტნებით რომაა მიწა გადაფარული. ბალახის ნამი გისველებს ფეხისგულებს და ეს ცრემლი გულამდე ატანს დადიხარ, ეძებ შენს დარჩენილ ნაფეხურებს, რომელიც ჯერ კიდევ ატყვია დედის, ძმის, რძლის, ძმისშვილების ხელით ნალოლიავებ ეზო-კარს. ნატრობ ამ წუთის უსასრულობას და ისევ და ისევ მოატანს შენს საუფლოში დილის რვა საათი. ჩაგესმის შენი სახელის ძახილი. ვერ ერკვევი, არ ჰგავს ეს ქართულს, იმას, სადაც შეჩერდი და უსასრულობა ინატრე, არ შეჩერდა წამი. ღამემ ეს ყველაფერი კინოს კადრივით ჩაგიტარა წინ, გაგახალისა, ჩაგახუტა მშობლიურს, ქართულს და ისევ იმ ყოველდღიურობაში გადაგისროლა , დღეში, როცა არ იცი, ვინ ხარ, არც ეროვნება გაქვს და არც „მე". ღამეა შენი სამყარო, შენი ქართული „მე".

# ეკა კელოშვილი



დაიბადა 1993 წელს ასპინძის რაიონში სოფელ ხიზაბავრაში. წარჩინებით დაამთავრა ქალაქ თბილისის 129-ე სკოლა, ამჟამად სტუდენტია..... სწავლობს „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ....აპირებს სწავლის გაგრძელებას **და** საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემას. ოცნებობს მშვიდობიან და თავისუფალ საქართველოზე.

მივულოცოთ ეკას .....ამ კრებულში მკითხველი პირველად წაიკითხავს ეკას ლექსებს...წარმატებები მას...

## ალარ აწვიმს არვის

დამიბრუნდი თუნდაც იყოს გვიან,
გზასაც უკვე აღარ აჩნდეს კვალი,
მე იქ ვდგავარ სადაც იყო ერთხელ,
განშორება ტკივილით და დარდით.
დამიბრუნდი თუნდაც მოკვდეს გრძნობა,
და შენს თვალებს აჩნდეს სხვისი კვალი,
შენ ორივეს სიყვარული გერქვა,
და იმ წამით ეს ცხოვრება გადის.
დამიბრუნდი,ოღონდ მოდი ისევ,
ის ცრემლები დღესაც ისევ ბარდნის,
მე წვიმაში ველარავინ მხედავს,
შენ რომ არ ხარ აღარ აწვიმს არვის.

***

დავივიწყებდი, დავივიწყებდი უშენო დღეებს,
დავივიწყებდი თან სამუდამოდ,
ტკივილს მაყენებს ფიქრები შენზე,
მიკვირს ფიქრებით როგორ ვარსებობ.
სულს ეს დღეები უკვე აწვალებს,
სადღაც იმედი თითქოს გამქრალა,
გულის პატარა მთლად ბნელ კუთხეში,
მე სიყვარულის კვლავ მწამს პატარა.
დავივიწყებდი დღეების რბოლას,
დავივიწყებდი თან როგორ ძლიერ,
მომნატრებია თვალებში ცქერა,
მომნატრებია მორცხვად რომ მიმზერ.
წლები უშენოდ მიყვება ამ გზებს,
მე დავიწყება ისევ მწყურია,
მაგრამ თვალებში ხავსისფერ ლანდებს,
ვგრძნობ რომ ვახსოვარ დღემდე მელიან.
დავივიწყებდი უშენო დღეებს,
თან დავიწყება როგორ მწყურია,
შენთან შეხვედრის მოლოდინს ისევ,
ჩემს ოცნებების გზებზე ელიან.

****

ცრემლების ნაცვლად...
ხან ეს დღე მაოცებს,
წყვდიადს გავურბივარ,
ტკივილს სადღაც გულში ვმარხავ,
ნუღარ დამიცდითო,
არსად მეჩქარება
გული დროს აუწყებს ნათქვამს.
ნუთუ მეშინია,ნუთუ დავიღალე,
ნუთუ გზებს ჩამოვრჩი სავალს,

უკვე მერამდენე ღამეს შევეწირე
თეთრად გავუთენე დარდსაც.
ხშირად აღიონსაც ცრემლებს დავახვედრებ,
მთვარეს გავუღიმებ ნაზად,
სადღაც ცის სიღრმეში შენთან შემახვედრებს
ღამე ამ ცრემლების ნაცვლად...

## თეთრი ღამეები

ლექსებს აღარ ვწერ და ეს სული ისე დამძიმდა,
წყვდიადს ჩაეფლო რაც კი დარჩა მისგან ნათელი,
გული დამითვლის უკანასკნელ სიტყვების მუზას,
შენთვის დაწერილ ყველა ლექსში მე ვთქვი სათქმელი.
არ შემიბრალოთ,თუ ეს ღამე იყო უკუნი,
და უკანასკნელ წამებს ვუთვლი მე თეთრ ღამეებს,
უკვე ბევრი ვთქვი ვიბაასე მთვარესთან დღესაც,
მხოლოდ შენს გამო დამრჩენია დღეს გულში სევდა.
იცი მაშინებს ვერასოდეს რომ ვერ გიხილავ,
და შენს ლოდინში წამებს ჩუმად ვეღარ დავითვლი,
ხავსისფერ თვალებს უკანასკნელ სიზმარში ვხედავ,
ყველაფერი მაქვს მაგრამ მაინც შენს მოსვლას ველი.
გზები გაიყო აღარ ვიცი საით წავიდე,
აღარც ძალა მაქვს ან როდემდე შევძლებ გავუძლო,
ამდენ სიარულს.
დღეს ვარჩიე მეცქირა შენთვის,
ასე შორიდან,მაინც არ ჩანს შენამდე გზები.
ლექსებს აღარ ვწერ,თუმც ზღაპარი გამომივიდა,
ერთ დღეს გადავშლი ეს ქარცეცხლი როცა ჩადგება,
ხელის კანკალით გადავფურცლავ თეთრ ღამეებში,
როცა ლოდინით გადაღლილი სარკმელს დავხურავ.

# ლელუკა დადა ლაშხი



# ნახევარდღეში ნაშოვნი 100 €

*Publié le* avril 29, 2016 *par* letempsdelamourblog

როგორც მოგახსენეთ გუშინ, დღეს ერთ-ერთი მერიის შენობაში, ავეჯის დემონტაჟი, გადაზიდვა და ახლიდან მონტაჟი უნდა მომეხდინა ერთჯერადად, მხოლოდ ერთი სამუშაო დღით. დილის 09:00 დან 17:00 საათამდე.

როგორც ვიცოდი მატარებლის სადგურზე დამხვდებოდა ჩემი ორი მეწყვილე და მძღოლი, რომელიც მიგვიყვანდა დანიშნულების ადგილამდე. ერთი გოგო და ერთიც ბიჭი. 27 წლის მევიოლინე ოდრიდა 37 წლის ირენი (მამაკაცის სახელიც თუ იყო არ ვიცოდი).

ადრიანად ავდექი, შვიდზე, შხაპი მივიღე, გამოვფხიზლდი, ყავა დავლიე და სადგურისკენ გავეშურე. წინასწარვე ვიცოდი, რომ მაგრად უნდა დავღლილიყავი, თუმცა მიხაროდა, რაღაც ახალი უნდა მექნა, უცხო გარემოში, უცხო ხალხთან, უცხო ემოციები.

ოდრი ისეთი პაწია და კაფანდარა გოგო იყო, ვიფიქრე, ამან რა უნდა გააკეთოს მეთქი.

ირენი, მოხეული, შავკანიანი მამრი.

მივედით. ოთხი ოთახი გვაჩვენეს, რომელიც სავსე იყო კარადებითა და მაგიდებით. უნდა დაგვეცალა და დაგვეშალა. სამუშაო ტანსაცმელი დაგვიდაგეს. დავხედე და გამეცინა. 170 სმ სიმაღლის ადამიანებზე იყო გათვლილი კომბინიზონები. ოდრი ჩაფრინდა. მე და ირენს რასაკვირველია არ მოგვერგო. ფეხსაცმელიც სამივე სტანდარტული, 40 ზომა. მე 42-43 კედი მაცვია, არც მიცდია ჩაცმა. არც ირენს, ოდრისაც დაეზარა თავისი კედის გახდა და შიგ ჩავარდნა. მოკლედ, შევუდექით შეხმატკბილებულად. ოდრი ფეთხუმი იყო, უცვივდებოდა ხელიდან ყველაფერი. ირენი ზანტი, თუმცა ღონიერი.  მე »რაც გინახავს, ვეღარ ნახავ »-შირო კოსტაიაა, ისე დავხტოდი.სად გეჩქარებაო ირენმა. მალე მოვრჩებით, ნაკლებს გადაიხდიანო. სხვანაირად ვერ ვაკეთებ მეთქი და კარგიო. ამასობაში Midi-ს დრო მოვიდა, ჭამის ანუ. 12:00 დან 13:00, ან 13:30 მდე შესვენებაა ყოველგან საფრანგეთში. ირენს თავისი მანქანა ყავდა დაბლა დაყენებული და გავიდეთ სადმე, ვჭამოთო. წავედით. ოდრის დაურეკეს, სასწრაფოდ საკონცერტო დარბაზში უნდა მოხვიდე, შენი შემცვლელი ვერ ვნახეთ, საღამოს უნდა დაუკრა და რეპეტიცია უნდა გაიაროო. ოდრიმ დარეკა ჩვენ დამსაქმებელთან, ბოდიში მოიხადა და დაგვემშვიდობა. ვისადილეთ და დავუბრუნდით ერთ საათში პოსტებს, მე და ირენი. მანქანაში გამომკითხა საიდან ვარ, ვინ მყავს სახლში, რამდენი ხანია აქვ ცხოვრობდა ბევრი სხვა. გზა და გზა მამრებისთვის დამახასიათებელი კომპლიმენტებით მაწონებდა თავს, რაზეც რეაქცია ნაკლებად მქონდა. მალე მინდოდა შევდგომოდით საქმეს და მალე წავსულიყავი სახლში. შიო მეზობელთან დავტოვე, იმას თავისი ორიც ყავს და ძალიან საგიჟეს აწყობს ერთად ეს სამი. რომ მივედით შეფი მერის კართან დაგვიხვდა და თხოვნა მაქვსო. ძალიან სწრაფად მუშაობთ, გვერდით საწყობი გვაქვს, სადაც ახალი ავეჯით სავსე ყუთებია  და იქნებ დაგვეხაროთ, თუ დრო დაგრჩებათო. მე უყოყმანოდ დავთანხმდი, ირენმა წაიწუწუნა, მე არ მინდა და შენ დარჩი თუ ფული გჭირდება, წუხელ ვიმუშავე და მეძინებაო. კარგი მეთქი. ის ოთახები ხომ დავასრულეთ. შევაბარგეეთ მანქანაზე ავეჯი და წავიდნენ, იქ სხვა ჩამოცლისო, ვეღარ მოასწრებთ და საწყობში დაგვეხმარეთო. ირენმა მოიბოდიშა, მე უნდა წავიდეო. მიცეს კონტრაქტი, გამომემშვიდობა და დაქოქა თავისი მომწვანო პეჟო. მივადექი საწყობს, სამი საათია თქვენ განკარგულებაშიო. მოვავლე თვალი ტერიტორიას, ყუთებს. უნდა დამეხარისხებინა მოდელებისა და

ზომების მიხედვით. ზოგში სკამები იყო, ზოგში კარადები, მაგიდები, კომოდები. კომპიუტერები. ქსეროქსის აპარატები და სხვა მრავალი საკანცელარიო რამ. ძალიან სწრაფად გავაკეთე ეს ყველაფერი, საათნახევარიც არ დამჭირვებია. ერთი დიდი შუშებიანი ოთახი იყო, სადაც ბოლოს, ქსეროქსის აპარატები და პრინტერები უნდა შემეტანა. არ ვიცი როგორ ამომივარდა ჯიბიდან მაგნიტური გასაღები. ამ შუშის ოთახის კარის. შევედი. შევაგორე ურიკა, ჩამოვცალე თაროებზე დავალაგე დავბრუნდები. გასაღები აღარ მიდევს ჯიბეში! ჩავიკეტე ! სანამ ვინმე არ მომაკითხავს, შანსი არ გამაჩნია. ვერც ხმაურს გავაგონებ ვინმეს. მწყურია საშინლად და ტუალეტში მინდა! რა უბედური ვარ. რა გავაკეთო. სანამ არ მორჩება დრო, კაციშვილი არ მომაკითხავს. დავჯექი ყუთებზე და დავიძინებ მეთქი ვიფიქრე. დიდი გარჯა არ დამჭირვებია, იქვე გავითიშე. ხმა მაღვიძებს, სიგნალის, კარის გახსნის და წამოვხტი. შეფი! ვაშა!-რა უცბად დაგისრულებიათ, სწრაფად და ხარისხიანად, რა ყოჩაღი ხართ, ბრავო! სანათების ასაღებად მოვედი, დაიღალეთ ალბათ. მე ისეთი გახარებული და თანდაბნეული ვიყავი, მძინარე ხომ არ დამინახა, სირცხვილია მეთქი, ავბორდიალდი.

-არა, რა დამღლიდა, მშვენივრად გავერთე.

-რა ქენით? კაცს თვალები გადმოცვივდა.

-მინდოდა მეთქვა, კარგად გავართვი თავი და არ დავღლილვარ მეთქი.

-ძალიან დიდი მადლობა. ეს ურიკა, აქ შეგიძლიათ დატოვოთ. კონტრაქტს ხელი მოაწერეთ, წამობრძანდით ჩემ ოთახში. წავედით. მანტო მოვიცვი. ჩანთა ავიღე. ვხედავ, საწყობში გატარებული საათნახევრის ნაცვლად სამსაათს მიწერს.

-ბატონი ფურნიე, ჯერ არ გასულა სამისაათი.

-თქვენ იმაზე მეტი გააკეთეთ, იმაზე მცირე დროში, ვიდრე გასაზღვრული იყო. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. საფულეს იღებს. დაბნეული ვუყურებ. სამცაღათევროიანს დებს. კონტრაქტში 70 ევროდა 45 სანტიმი გაატარა. ეს ფული საჩუქრად გქონდეთ, ნუ ეტყვით დამსაქმებელს. არაა აუცილებელი. თქვენი ძალიან მადლიერი ვარ.

ისეთი დაბნეული ვუყურებდი.

- აიღეთ, ბედნიერ ვიკენდს გისურვებთ!

დავემშვიდობე და მატარებლის სადგურისკენ დავეშვი. ვფიქრობდი, რომ არც ისე დავღლილვარ დღეს. რომ მართლა გავერთე. რომ ნახევარ დღეში

ასი ევრო ვიშოვნე. რომ ვიღაცას დავეხმარე, რომ ვიღაც ჩემი ძალიან მადლიერია. რომ სულაც არაა სიმართლე, ფრანგებს კაპიკს ვერ გააგდებინებო ხელიდან და ამაში მრავალჯერ დავრწმუნდი. რომ ძუნწები საქართველოშიც ბევრია, ამერიკაშიც, იტალიაშიც და ყველგან.რომ ერთი ძალიან კარგი და ნაყოფიერი დღე იყო ჩემი ცხოვრების. ამასობაში მატარებელი ჩამოდგა ბაქანზე და შიოსკენ მიმავალ გზას დავადექი.



# გულო მიქანაძე



იტალია და მე
2013 წლის 31 ოქტომბერი, 3:19-ზე

სასწაული ხალხია იტალიელები, გურულებს გვანან ...დღეს ტესტები უნდა ჩამებარებია იტალიური ენის ცოდნაში, კიდევ კარგი ადრე დამირეკა და გამაფრთხილა იმ ოჯახაშენებულმა ჯიჯიმ, თორემ გაფრთხილების წერილი სახლში რომ მოვედი მაშინ დამხვდა.

სადაც უნდა გამოვცხადებულიყავი კაი მოშორებით იყო და 4 საათით ადრე გავედი სახლიდან. ჯერ ავტობუსით ვიარე საააათზე მეტი, მერე მატარებლით 15 წუთი. აი, მერე იყო გურულებივით. გახსოვთ ფილმი „ჭრიჭინა“? ფოსტალიონი გზას რომ ასწავლის. მოკლედ დოლო ჰქვია იმ ადგილს, სადაც სკოლა იყო, გამოცდა რომ უნდა ჩამებარებია. დოლო იყო მატარებლის სადგურიც-სადაც ჩავედი. მოვიკითხე მისამართი, „მაქამდე 1,5 კმიაო–მითხრეს. ავტობუსი არ იყო და ფეხით გავუყევი, მაინც ადრეათქო.

გზა რომ გამიგრძელდა ახლა სხვას ვკითხე და იმანაც „კილომეტრნახევარია იქამდეო“. ასე, რომ კაი ოთხი კილომეტრი ვიარე ფეხით. თურმე სადგურ დოლოსა და ქალაქ დოლოს შორის კიდევორი ქალაქია. როგორც იქნა მივაღწიე დანიშნულების ადგილს. ტესტები ადვილი იყო. თემა რამდენიმე სათაურით და მე ეს შევარჩიე „ლამაზი მოგზაურობა“

2012 წლის სექტემბერში წავედი საქართველოში შვებულებით. საქართველო ზუსტად ისეთია, როგორც იტალია. იტალიას ჩრდილოეთით აქვს ალპები, საქართველოს კავკასიონი. იტალიაში 20 რეგიონია, საქართველოში–14. სამხრეთ იტალია არის, როგორც ჩემი ბათუმი: ზღვა, მთა, მანდარინი, ბევრი ხილი და ღვინო...საქართველოს სამ ქალაქში მქონდა გამოფენა ბათუმში, ქუთაისში და თბილისში. ყაისნაღით ნაქსოვი

თოჯინები იტალიიდან წავიღე. ბედნიერი ვარ ამ მოგზაურობით.(იქაურ-
მა მასწავლებელმა გადახედა ჩემს თემას და თავისი ჭკუით შემისწორა
-გამოფენა კი არ გქონდა, ვნახეო)

P.s. რამდენიმე სურათი მედო ჩანთაში და პირდაღებულ მასწავლებელს
ვაჩვენე, ბევრი თუ გინდა მომძებნე ფეისბუქში და ნახავთქო :)

რამ გამახსენა ეს ამბავი და,ბატონმა ალექსანდრემ ერთ სტროფიანი,
იტალიელის ლექსი შემომთავაზა სათარგმნად აი ისიც:

Solo et pensoso i più deserti campi
vo mesurando a passi tardi et lenti,
et gli occhi porto per fuggire intenti
ove vestigio human la rena stampi.

ლექსი იწყება

1–Solo et pensoso i più deserti campi–მარტო ვფიქრობ ყველაზე მიტოვებულ ნაკვეთზე. campi– მიწის ნაკვეთი,რამდენი კვადრატულია არ მახსოვს,ამ შუაღამეში ვერ დავადგინე მაგასაც გავარკვევ.ყოველ შემთხვევაში.ჩემი იტალიელი ბებია ამბობდა 18 კამპი მაქვსო.

2–vo mesurando a passi tardi et lenti,–vo mesurando –საერთოდ არაა იტალიურის ლექსიკონში ეს კუთხური სიტყვაა passi tardi et lenti– ნაბიჯი გვიანი და ზარმაცი.

3–et gli occhi porto per fuggire intenti– თვალები მიმაქვს გაქცევის განზრახვისკენ –(აბა ეს რანაირი ქართულია?)

4–ove vestigio human la rena stampi.–სადაც ადამიანის გადმონაშთია ქვიშის ფორმები.

ყოველივე ამის შემდეგ აი რა გამოვაცხვე:

მარტო ვფიქრობ, ყველაზე მიტოვებულ ნაკვეთზე .
წასვლა მინდა, მაგრამ ფეხები მრჩება უკან.
თვალებს ვაცეცებ, რათა გაქცევა განვიზრახე...
ქვიშის ფორმებში ადამიანთა მოდგმას ვხედავ!!!

# მზაღო ოსიშვილი



დავიბადე 1969 წლის წლის 16 აპრილს, კასპის რაიონის სოფელი ლამისყანაში. დავამთავრე ამავე სოფლის დავით გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლა. სწავლა გავაგრძელე ქ.ბენდელიანის ტექნიკურ სასწავლებელში. გავთხოვდი ადრეულ ასაკში. მყავს სამი შვილი და სამი შვილიშვილი. ემიგრანტი ვარ 2002 წლიდან-ვიმუშავე თურქეთში სამი წელი. საბერძნეთში 11 წელია რაც ვმუშაობ. ლექსების წერა აქ დავიწყე. ვარ ორი წიგნის ავტორი. ორივე წიგნი ქალბატონ თამარ სეფაშვილი-სოლოღაშვილის რედაქტორობით გამოიცა. მაქვს მესამე წიგნის მასალა... ჩემს ერთ-ერთ ლექსზე „გამოდი, გამოანათე“! ჯგუფმა „მთიელმა“ ჩაწერა სიმღერა „თვალები".

წარმატება ქალბატონ მზაღოს, იგი ჩვენი კრებულების „ჩანაწერები ინგას უბნიდან“ ერთ-ერთი ავტორიცაა.

# ემიგრანტის სევდიანი სიმღერა

ზამთრის ცივი დილა იყო,
შვილებს ეძინათ ღრმა ძილით,
დაჰყურებდა მათ სახეებს,
დედა ფიქრით გადაღლილი.

არ იცოდა რა ეღონა,
ან რომელ გზას დასდგომოდა,
გული უტიროდა მწარედ,
თვალში ცრემლი ჩასდგომოდა.

გაუჭირდა საქართველოს,
ერთ დროს ძლიერ ქვეყანასა,
გული გვწყდება რომ ვიხსენებთ,
თამარის ოქროს ხანასა.

ეხლა თურქეთის ტრამალებს,
მივუყვებით ჩვენი ნებით,
როცა ამ გზით ქართველები,
მიჰყავდათ ძალდატანებით.

რა მექნა მე გაჭირვებულს,
მეც ეს გზა ამოვირჩიე,
ჩემი შვილები შიმშილსა,
ამგვარად გადავარჩინე.

საჭმელს ვიღა დაეძებდა,
პურის ფულიც არა მქონდა,
შვილები მშიერი მყავდა,
მუცელს ჭყრიალი გაჰქონდა.

არც სადგურზე მისასვლელი,
ფული არ მედო ჯიბეში,
ჩემი ცოდვა იმას ედოს,
ვინც ჩამაგდო სატანჯველში.

კიდევ კარგი არსებობენ,
კარგი ადამიანები,
არ დამტოვეს, რაც შეეძლოთ
დამეხმარნენ რაღაც გზებით.

მეზობლებს დავემშვიდობე,
გავიყოლე თან ბავშვები,
სად მიდიხარ,რომ მიდიხარ,
გზაში ჩემ თავს ვეკითხები.

ამ შენ შვილებს ვის უტოვებ,
არ შეცდე, კარგად დაფიქრდი,
ფიქრის დრო კი აღარ იყო,
გაჭირვება მადგა დიდი.

ავტობუსში ძლივს ავედი,
შემიღონდა ლამის გული,
შვილებს სხეულით დავშორდი,
თორემ მათთან დამრჩა სული.

სარფამდე ასე ვიარე,
ვტიროდი გულამოსკვნილი,
ჯავრით ყელში ბურთგაჩრილმა,
პირს ავიფარე მანდილი.

მივდიოდი ალაბედზე,
არც გზა ვიცოდი, არც კვალი,
აღელვებულს მთელ სხეულზე,
მომდებოდა ცეცხლის ალი.

ბოლოს გონზე მოვედი და
შემოვუძახე ჩემ თავსა,
გული არ გაგისკდეს გზაზე,
ნუ ახარებ ბოროტ თვალსა.

ერთმა ქართველმა გოგონამ,
ანკარისკენ გზა მასწავლა,
მისმა გამზრდელმა იხაროს,
იქნებ ვერც კი ვიცნო ხვალა.

ანკარაში კი დეიდა,
მელოდა სულმოუთქმელად,
თურქი ბებოს სახლში მანვე,
მაგიდა გამიწყო ხელად.

დამაწყნარა, დამიყვავა,
თვალზე ცრემლი შემიმშრალა,
მერე განცდებით დაღლილსა,
ქვეშაგები გამიშალა.

მეორე დღეს სამსახურში,
დილით ადრე წამიყვანა,
ბებო იყო მოსავლელი,
ორი ქალიშვილიც თანა.

ორივ შინაბერა იყო,
კარგა ხნის დარჩენილები,
ერთი უფრო ჭირვეული,
ჩემ ჭირად გაჩენილები.

იმ ერთს ერთხელ მოუარეს,
ცოფები ყარა და ყარა,
ბრაზმორეულმა ქოშები,
ლამის თავზე დაიყარა.

დიდხანს ველარ გავუძელი,
მათ ასეთსა საქციელსა,
დეიდასთან გავიქეცი,
ველარ ვიკავებდი ცრემლსა.

დატრიალდნენ გოგოები,
მომინახეს სხვა ბებია,
გამიხარდა,თურმე რაა,
ტყუილად გამხარებია.

ვაის გავეყარეო და
უისა შევეყარეო,
ზუსტად ასე მომივიდა,
დღე-ღამე მქონდა მწარეო.

არც თვალი და არც გონება,
მას უკვე აღარ უჭრიდა,
ერთხელაც სახელოებში,
საწყალი ფეხებს უყრიდა.

სამი წლის განმავლობაში,
თეთრად გავატარე ღამე,
თვითონაც არ იძინებდა,
არ მაძინებდა არცა მე.

შვილი ეგონა ქმარი და
მას რა მოეკითხებოდა,
საძ მიდისო, რად მტოვებსო,
საკუთარ რძალზე ეჭვობდა.

შაბათობით მეგობრები,
ერთად ვატარებდით დღესა,
მხოლოდ ეს მატანინებდა,
იმ მძიმე და მტანჯველ წლებსა.

ვერც ლექსით და ვერც სიტყვებით,
ვერ აგიხსნით იმ სიმწარეს,
მტერსაც არ ვუსურვებ რაც იქ,
დღეები გამოვიარე.

თუ რამე ცოდვები მქონდა,
თითქოს ეს იყო სასჯელი,
მომივლინა მე ამგვარად,
ღმერთმა დიდი განსაცდელი.

თურქეთში ხმა მომივიდა,
მამა არისო ავადა,
მისი ნახვა, დაბრუნება,
გადაწყვიტეო თავადა.

იქ რაღა გამაჩერებდა,
მოვკვდი ქალი ტირილითა,
დეიდას დავემშვიდობე,
ნაღვლიანი ღიმილითა.

სამი წელი არ მენახა,
არც მშობლები,არც შვილები,
როგორ გავძელი არ ვიცი,
ვგიჟდები ხან,რომ ვფიქრდები.

სიკვდილის წინ არა ვნახო,
გული როგორ მომითმენსა,
ვლოცულობდი,თან ვამბობდი,
ნეტავ ცოცხალი დამხვდესა.

საზღვარს რომ მივუახლოვდი,
გული მთლად ამიფანცქალდა,
მაგრამ თურქების მესაზღვრემ,
სიხარული არ მაცადა.

მაყურყუტა იქ მთელი დღე,
ვეხვეწე გამწარებული,
შენც ხომ გყავს დედა და მამა,
გამიშვითქო თუ გაქვს გული.

შევებრალე, როგორც იყო
დავაღწიე საზღვარს თავი,
სამშობლოსკენ გავეშურე,
თითქოს სიზმარში ვიყავი.

თბილისი, ჩაბნელებული
დამხვდა, ორიათას ხუთში,
სიომ მომიალერსა და
ჩამჩურჩულა ნაზად ყურში,

კეთილი ყოფილიყოსო,
უკან შენი დაბრუნება,
წამში შუბლი გამეხსნადა
გამიხალისდა გუნება.

დაბრუნება, სიურპრიზი
იყო, არავინ ელოდა,
უმცროსი გოგონა დამხვდა,
მხოლოდ ის ერთი მელოდა.

გაიღვიძეს,დამინახეს,
უმცროს ვაჟს წასკდა ცრემლები,
ჩავიკარი გულში მაგრად,
ამიკანკალდა ხელები...

მეორე დღეს სოფლისაკენ,
გავეშურეთ სასწრაფოდა,
ვერ ვითმენდი,გული უკვე
იქითკენ მიისწრაფოდა.

ბედმა რას აღარ შემყარა,
სადღა აღარ წამიყვანა,
მენატრებოდა უზომოდ,
ჩემი ტურფა დამისყანა.

ზედაველაზე ჯეჯილის,
გამაბრუა მთლად სურნელმა,
ჰო, აქ არის სიცოცხლეო,
ნიშნი მომიგო სოფელმა.

ცას ეწივნენ სიხარულით,
გაუხარდათ ნახვა ჩემი,
იმედიანი თვალებით,
მიყურებდა მამაჩემი.

იმ სატკივართან ყველანი,
უკვე უძლურნი ვიყავით,
იმედი გადაგვეწურა,
დღე დაგვიდგა შვილებს შავი.

ერთხელ ძალღმა დაიყმუვლა,
მამამ თქვა, ალბათა ვკვდები,
გავამხნევე,არა მამა,
იცოცხლებ,მალე მორჩები.

თქვენი მტერი მორჩეს ისე,
როგორც მორჩა მამაჩემი,
სამ თვეს ძლივასღა იცოცხლა,
იმას გაჰყვა გული ჩემი...

ექვსი თვე დავრჩი ბავშვებთან,
იმდენი ხნის დაკარგული,
ვერ გავძეხ მათი ცქერითა,
ვეღარ მოვიოხე გული.

მივდექ-მოვდექ,ვერ მოვძებნე,
სადმე, რამე სამსახური,
მაგონდება ის დღეები,
ვიყავი რა უბედური.

მათთან ისევ განშორება,
ჩემთვის იყო,რთულზე-რთული,
ჩემი ცოდვით ქვაც იწვოდა,
დავდიოდი დათრგუნული.

ჩემს მეტი ჩემი შვილების,
არავინ იყო პატრონი,
გამქრალიყო,დანაზოგი
ფული,მოუკვდა მამგონი.

საქმე წასვლაზე მიდგა და
გზა ვირჩიე საბერძნეთის,
მეგობარი დამეხმარა,
გაახარებს იმას ღმერთი.

დავემშვიდობე სულ ყველას,
დედას,შვილებს,ახლობლებსა,
არ მინდოდა რომ ენახათ,
ჩუმად ვიწმენდი ცრემლებსა.

ორთაჭალისა სადგური,
შემეჯავრა ჭირივითა,
სამჯერ იქ დავტოვე გული,
მოვკვდი ღამის ტირილითა.

რომ მახსენდება სიტყვები,
უმცროსი ვაჟიშვილისა,
"არ წახვიდე, გთხოვ დედი"-ო,
გული მწარედ მიკვნესისა.

დიდი ტანჯვით და წამებით,
ჩავაღწიე საბერძნეთში,
პირველი შთაბეჭდილებით,
თითქოს მოვხვდი სამოთხეში.

ეს სამოთხე მერე უკვე,
ჯოჯოხეთად გადამექცა,
სამშობლოში დაბრუნება,
ოცნებად და ნატვრად მექცა.

რომ ვიხსენებ სულ მეწვის,
ემიგრანტულ მძიმე წლებსა,
სახეზე ნაოჭებს ვითვლი,
შემრევია თეთრი თმებსა.

ისე გავიდა ცხრა წელი,
თითქოს ვიყავ პატიმარი,
მენატრებოდა შვილები,
ჩემი ქვეყნის მთა და ბარი.

უსაბუთობისა გამო,
ვერაფრით ვერ მივდიოდი,
შვილიშვილებს მხოლოდ კომ-პით,
ვცნობდი,ვესაუბრებოდი.

ვინც ეს ნივთი მოიგონა,
უნდა ავუნთოთ სანთლები,
მწამს მას ჩემსავით ლოცავენ,
ქართველი ემიგრანტები...

ამ ცხრა წლის განმავლობაში,
რა აღარ გამოვიარე,
მეუღლე ისე წავიდა,
მიწაც კი ვერ მივაყარე...

უკვე თერთმეტი წელია,
რაც ვუყურებ ამ უცხო ცას,
მხოლოდ ერთხელ ვეამბორე,
ჩემს მშობლიურ ქართულ მიწას.

საბუთი როგორც ავიღე,
ჩაველი და მოვიარე,
აქ მე სული მეხუთება,
ეს მიწა ვერ შევიყვარე.

სილამაზე არ აკლია,
არ ვუწუნებ არაფერსა,
მაგრამ მე ჩემი სამშობლო,
მირჩევნია ყველაფერსა.

მე არ მიყვარს საქართველო?
მე ქვისა მაქვს განა გული?
აქ ყოფნა ვის უხარია,
გამიმწარდა,მტკივა სული.

ვინ თქვა რომ არ დავბრუნდები,
რაც მაწუხებს იცი ღმერთო,
მაგრამ საშველი არ არის,
არ ვიცი რა გავაკეთო.

ვინც დაბრუნდა სამშობლოში,
ისევ ფიქრობს წამოსვლაზე,
იქ ისევ გასაჭირია,
ყველა ფიქრობს თავის თავზე.

დაბრუნება მინდა მაგრამ,
გულში შემპარვია შიში,
მაპატიეთ თუ დაგღალეთ,
ამდენი ვაი და ვიშით.

ერთი შვილი თუ იქა მყავს,
ორი აქ ემიგრანტია,
რატომ? იმად რომ ქვეყანას,
პატრონის ხელი აკლია.

არ დამინდო ამ ცხოვრებამ,
გამთელა და გამაწვალა,
აღარ მინდა არაფერი,
მონატრებამ გადამღალა.

იქით რომ ვეღარ დავბრუნდი,
აქეთ ჩამოვიდნენ მნახეს,
კაცმა არ იცის ცხოვრება,
სად,როგორ დაგვიგებს მახეს.

თუ მათაც ემიგრანტული,
გზები ჰქონდათ გასავლელი,
ამას ვერ წარმოვიდგენდი,
რომ მეფიქრა ასი წელი...

კიდევ კარგი მეგობრები,
შევიძინე თვალსაჩინო,
ყველა ცდილობს რომ აქ თავი,
როგორმე გადაირჩინოს.

დარდია თუ სიხარული,
ვუზიარებთ ერთმანეთსა,
ენაცვალოს ჩემი თავი,
ჩემს ოქროს საწმისელებსა.

თამარს, ვინაც მომაწოდა,
იდეა ლექსის წერისა,
ჩემს დარდებს ასე ვიქარვებ,
გულიც შვებითა მღერისა.

სამსახურებს თუკი მკითხავთ,
შედარებით აქ კარგია,
ჩვენთვის ბერძნების კარები,
სულ ყოველთვის არის ღია.

აქ ჩვენი საქართველო გვაქვს
და პატარა ეკლესია,
მამა გიორგი მრევლს გვლოცავს,
როგორც ქართველთა წესია.

აღარ ვდარდობ ზოგჯერ ამ წლებს,
ემიგრანტი რომ ვიყავი,
რადგან ლექსმა მაპოვნინა
როგორც იყო ჩემი თავი.

ხუთი შვილის მშობელი ვარ,
ორი აქ სულიერია,
უფალო ამ წყალობისთვის,
ვარ შენი მადლიერია.

ორიათას ორი წლიდან,
ორიათას თექვსმეტ წლამდე,
ეს გზა ასე გავიარე,
მოვაღწიე დღევანდლამდე.

ასეც ხდება,ისეც ხდება,
ზოგჯერ ნატვრა აგვიხდება,
ზოგჯერ ტიალ ცხოვრებაზე,
გული სულ მთლად გაგვიტყდება.

ხან წვიმაა ამ გულში და
ხანაც მზიანი დარია,
ხან გულის კედლებს მიხეთქავს,
ისეთი ქარიშხალია.

ზოგჯერ ამბობ,ეს ცხოვრება,
რა ლამაზი,რა კარგია,
საითაც კი წახვალ კარი
დაგიხვდება ყველგან ღია.

ზოგჯერ ისე გამწარდები,
იწყებ ცხოვრების გმობასა,
სიკვდილი გიჯობს ხანდისხან,
აუტანელსა ყოფასა.

ორი ნატვრა ამისრულე,
ღმერთო სამ გზის სანატრელო,
ერთი ის, რომ გამთლიანდეს,
ჩემი ტურფა საქართველო.

მეორე თხოვნა, ისედაც
რომ არ ვთქვა იცი და ხვდები,
მინდა სახლში რომ დავბრუნდეთ,
შვილის ნატრული დედები.

ამის მერე რა მომელის,
არ ვიცი რა მიწერია,
ერთი ვიცი,ძველებურად,
გულით ვეღარ მიმღერია.

ასე ყოფილა ცხოვრება,
ხან გვიღიმის და ხანაც ჭირსა,
"მაგრამ ღმერთი არ გასწირავს,
კაცსა მისგან განაწირსა."

ჩემი ამბავი მსგავსია,
ყველა სხვა ემიგრანტისა,
მფარველობა და წყალობა
გქონდეთ მაღალი ღმერთისა.

****

ვინა სთქვა, რომ ნებით დავტოვე შვილები,
ან უცხო მიწაზე ცხოვრება მინდოდა,
უჩემოდ არიან თითქმის დაზრდილები,
რამდენჯერ სიმწრისგან ცრემლები მცვიოდა.
ვინა სთქვა, არ მიყვარს მე ჩემი მამული,
მისი ცა ფირუზი, ზურმუხტი მთა-ბარი,
მე მასზე უზომოდ ვარ შეყვარებული,
ეს არის ყველაზე,ყველაზე მთავარი.
ვინა სთქვა, რომ სხვისი მიწა მირჩევნია,
ჩემს მიწას მადლიანს, პატარა სამოთხეს,
სულს მონატრებისა კვალი ამჩნევია,
რამდენჯერ ტირილით გული მოვიოხე.
დაფიქრდით, ნუ მატკენთ გულს ისეც მტკივა და
ნუ მეტყვით, რომ ნებით დავტოვე შვილები,
ვფიცავარ, ცრემლები ღვარ-ღვარად მდიოდა,
როცა მაცილებდნენ ჭრელ-ჭრელა მინდვრები.
ვინა სთქვა, მითხარით, რომ ბედნიერი ვარ,

სამშობლოს არ ვნატრობ, რაიმე მახარებს,
ამდენი დარდისგან დაღლილი დავდივარ,
მე ჩემი ქვეყანა მტკივა და მადარდებს.
ვინა სთქვა, ეს იძულებითი არ იყო,
არ მცივა, ან მათბობს სხვა ქვეყნის ივლისი,
ნეტავი ასეთი შორს მაინც არ იყოს,
ამ სალონიკიდან, ის ჩემი თბილისი.

***

მერე რა, რომ უცხო ცა მახურავს ქუდად,
მერე რა, რომ დავაბიჯებ სხვის მიწაზე,
ეჰ,ვინ მოსთვლის, რამდენ ცრემლსა ვყლაპავ ჩუმად,
ხშირად ძილი არც კი მეკარება თვალზე.
და თუ მძინავს, სიზმრად სამშობლოსა ვხედავ,
მის სიყვარულს ვერ შემიცვლის ვერაფერი,
ჩემს სულს მასთან შეხვედრის იმედით ვკვებავ,
მეფიქრება, მენატრება ყველაფერი.
თქვენ არ იცით, რა ძნელია არსებობა,
როცა გული მონატრებით დაღლილია,
ვის ახარებს წყეული ემიგრანტობა,
შვილებთან სიშორე, სულის ტკივილია.
მენატრება ჩემი თმაჭაღარა დედა,
დაბრუნებას ჩემსას ყოველ დღე რომ ელის,
მომეძალა დღეს რატომღაც მწველი სევდა,
მონატრებას წამალიც კი არა შველის.
მენატრები ჩემო ტკბილო საქართველოვ,
უშენობას ველარ უძლებს ჩემი გული,
გენაცვალე საყვარელო, სანატრელო,
უსაზღვროა ჩემში შენი სიყვარული.
ეს სიშორე ვერ დამაკლებს მე ვერაფერს,
იცოდე რომ შენთანა ვარ მთელი გულით,
შენი ნახვა მირჩევნია სულ ყველაფერს,

მინდა გულში ჩაგიხუტო სიყვარულით.
მერე რა რომ, უცხო ბილიკებსა ვთელავ,
ანდა ქუდად სხვა ქვეყნის ცა მახურია,
გული შენი სიყვარულით ცოცხლობს,ფეთქავს,
ეს ლექსიც ამ სიყვარულის დასტურია.

***

მოგვწყინდა ამდენი მოთქმა და ტირილი,
ვიცი რომ მოგწყინდათ თქვენც ამის მოსმენა,
მაგრამ გულს ნაგროვი სევდა და ტკივილი,
ვერ აგვიტანია, ჭირს ამის მოთმენა.
ძნელია აგროვო გულში და ითმინო,
არ გაუზიარო სხვას გულის წუხილი,
რომ არ ვთქვა სათქმელი, როგორ მოვითმინო,
როცა ცხოვრებაზე ვარ გულგატეხილი.
ჩემსავით სამშობლო რამდენმა დატოვა,
რამდენი დედაა შვილების ნატრული,
წლებმა უმოწყალოდ ხელში შეგვატოვა,
მონატრებისაგან დაფლეთილი სული.
ღმერთმა ქნას, რომ შეწყდეს,მკერდიდან მომსკდარი,
კვნესა და ცრემლები, დედების თვალებზე,
მოვესწროთ დაგვიდგეს მზიანი ჩვენც დარი,
არასდროს ვიფიქროთ ამ ცრემლიან წლებზე.
ეს ჩვენთვის გამოცდა და განსაცდელია,
ღმერთი შეგვეწევა, გამაგრდით დედებო,
ჩვენ უნდა დავბრუნდეთ, შვილები გველიან,
ნუღარსად გაგვიშვებთ სამშობლოს ქედებო.
ამბობენ იმედი სულ ბოლოს კვდებაო,
ჰოდა ვიქონიოთ იმედი ხვალისა,
სამშობლოს მზეც მალე ამობრწყინდებაო.
ესეცა გვჯეროდეს, გვწამდეს უფალისა.

***

მე სიყვარულზე რა გავლექსო, როცა ამ გულში,
სამშობლო ჩემი სიყვარულის თავად ღმერთია,
საფიცარია დედასავით, თბილი და ტკბილი,
როგორც უფალი ისიც ჩემთვის ერთადერთია...
როგორც ყველაფერს, სიყვარულსაც თავისი დრო აქვს,
ერთ დროს მეც ვიყავ, წლების წინათ შეყვარებული,
მაგრამ ჩემს გულში ეხლა სულ სხვა ცეცხლი ტრიალებს,
ეხლა მთლიანად ჩემს სამშობლოს ეკუთვნის გული.
მე დავიბადე ჩემს პატარა სამოთხეში და
მეამაყება რომ სახელად მქვია ქართველი,
ქრისტიანი ვარ, მწამს ღმერთი,ძე და სული წმინდა,
რასაც ქართული ჰქვია მიყვარს იგი ყოველი.
მიყვარს მე ჩემი საქართველოს დიდი წარსული,
ქართული მიწა ჯვარცმული და მრავალტანჯული,
სიწმინდეები და გალობა გასაოცარი,
ღვთის მადლითაა კურთხეული ენა ქართული.
სადაც არ უნდა ვიყო მაინც არ მავიწყდება,
საიდანა ვარ და სად არის ჩემი ფესვები,
ამაყად ვამბობ ქართველი ვარ, საქართველოდან,
რომ ჩვენ თამარი და დავითი გვყავს წინაპრები.
სიმაღლე ხისა ფესვებიდან რომ იზომება,
და არა მიწის პირისაგან, ყოველთვის მახსოვს,
ჩვენ ეს ფესვები დაგვრჩენია საქართველოში,
გულში კი ეხლა მონატრება ფიფქებად მათოვს.
ერთ მუშტად შეკრულ ქართველების ერთსულოვნებას,
როდესაც ვხედავ სიამაყით მევსება გული,
ცრემლები მომდის სიხარულის, ჩუმად ვლოცულობ,
ღმერთო დაღოცე ჩვენი გენი, ქართული სული.
მე სიყვარულზე რა გავლექსო, როცა ამ გულში,
სამშობლო ჩემი სიყვარულის თავად ღმერთია,
საფიცარია დედასავით, თბილი და ტკბილი,
როგორც უფალი ისიც ჩემთვის ერთადერთია.

***

არა, მე ჩემი სამშობლო,
არასდროს დამიტოვია,
ვდგევარ, მოვედი გაზაფხულს,
მთებზედაც დაუთოვია.

იგი დროებით დავტოვეთ,
მიზეზი ბევრჯერ გსმენიათ,
ჩვენ დავბრუნდებით, სამშობლოვ
გწამდეს ნუ მოგიწყენია.

„ქართველს ერთი აქვს სამშობლო“,
წუთით არ დამვიწყებია,
ხშირად ლოცვისას ხატებთან,
თვალები ამცრემლებია.

არ შემხვედრია ქართველი,
ვისაც ის არ ჰყვარებია,
გადაითოვლებს, კორდებზე
იები აყვავდებიან.

დღე გათენდება ნანატრი,
სულ მალე დაბრუნებისა,
რწმენისა და მოლოდინის
სამშობლოს გაბრწყინებისა.

***

როგორც იყო 9 წლიანი განშორების მერე, დადგა დღე სამშობლოსთან შეხვედრისა. ჩემი გული გამალებით ძგერდა. თითქოს არც მჯეროდა, ასე მეგონა სიზმარში ვიყავი. ჩავჯექი თვითმფრინავში და ჰერიიიი,წავედიიი. ვამბობდი, მადლობა ღმერთს ეს ბედნიერი დღე რომ გამითენა მეთქი. თვითმფრინავში, სამწუხაროდ ვერ მოვხვდი ფანჯარასთან,რომ უფრო კარგად დამეთვალიერებინა ზემოდან ჩემი საქართველო, როცა მივუახლოვდებოდი.მაგრამ მაგას რაღას დავეძებდი, მთავარია მივფრინავდი. გვიან ღამით, გავფრინდი. ერთი წუთითაც არ მომიხუჭია თვალი, ან რა მომახუჭინებდა.გაფაციცებული ვიყურებოდი სარკმელში და აი როგორც იყო მივუახლოვდით. გამოჩნდა მთების,ჩემი სანატრელი მთების კონტური, ცისა და დედამიწის გამყოფი ზოლი.უფრო ძლიერად ამიჩქარდა გული, მინდოდა ხელით შევხებოდი და მოვფერებოდი, გულში ჩახუტება მომინდა მათი. ჯერ კარგად არ იყო გათენებული და უზარმაზარი დევებივით მოჩანდნენ. როგორ მიხაროდა, როგორ...ამას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. აუღწერელი განცდაა, სანატრელი, საყვარელი. შემდეგ გამოჩნდა თბილისი. ყველასათვის საყვარელი დედაქალაქი. ისე მოჩანდა ზემოდან თითქოს ვარსკვლავები ჩასულიყვნენ ციდან. ჯერ კიდევ სიბნელეში ციმციმებდა მთელი ქალაქი. გული მითრთოდა ნამეტანი სიხარულისგან. როგორც იყო დაეშვა თვითმფრინავი მიწაზე და შვებით ამოვისუნთქე. ეხლა უკვე მიწაზე ვარ,ჩემს მონატრებულ, მშობლიურ, საყვარელ ქართულ მიწაზე. რომლის გამოც ვინ იცის რამდენჯერ დამისველებია ბალიში ცრემლით. როგორ მენატრებოდა, როგორ... ისე როგორც თქვენ გენატრებათ ჩემო საყვარელო ემიგრანტებო. წინასწარ მქონდა ჩაფიქრებული, როგორც კი ფეხს დავადგამ ჩემს მიწაზე, დავიჩოქებ და თაყვანს ვცემ მეთქი.როგორც კი ჩავედი, შემომეგებნენ ჩემი საყვარელი ადამიანები.პირველი რაც ვუთხარი მიწა, მიწა დამანახეთ მეთქი.ირგვლივ ასფალტი იყო... როგორც იყო დავინახე მიწა აეროპორტის შორიახლოს,გავეშურე იქით მაშინვე და დავიჩოქე. მაგრამ რას ვხედავ, სულ მოფენილი იყო სიგარეტის ნამწვავებით... ნაწყენმა, რა არის ეს, ვერ დაასუფთავებენთქო, ჩავიბურდღუნე და მაინც იხტიბარი არ გავიტეხე. ხელი გადავუსვი, მოვასუფთავე ის ადგილი და ვაკოცე მხურვალედ ჩემს უსაყვარლეს, ქართულ მიწას.

ეს ნაწილობრივ კურიოზული დღე, არასოდეს დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში.იმიტომ რომ, ამდენი წლის მერე ძლივს ვეღირსე და ფეხი დავადგი მშობლიურ მიწას... გისურვებთ მალე დაბრუნებას ჩემო საყვარელო ემიგრანტებო სამშობლოში. რამეთუ არ არსებობს ამაზე უფრო ამაღლევებელი გრძნობა ქართველისთვის, როგორიც სამშობლოსთან შეხვედრის წუთებია. მე ასე ვფიქრობ...

ვწუხვარ, რომ მხოლოდ ერთი თვე მომიწია სამშობლოში ყოფნა და ეს სიამოვნება სულ ერთი თვე გაგრძელდა.სამწუხაროდ დღეს ისევ ემიგრანტი ვარ და ისევ გრძელდება წყეული ნოსტალგია...

***

საქართველო ჩემი მზეა,
წყალი და ჰაერია,
გული მასზე ფიქრისაგან,
სულ მთლად გადამერია.

ველარ ვუძლებ, მონატრებას
რა ტკივილი სცოდნია,
ასეთი შეგრძნება,განცდა,
არასოდეს მქონია,

მონატრება სამშობლოსი,
ეს სულის ტკივილია,
თუ მიცინის ზოგჯერ სახე,
ეს ხომ ცრუ ღიმილია.

როგორც უფალი, სამშობლო,
ჩემთვის ერთადერთია,
ემიგრანტული ცხოვრება,
თურმე ჯოჯოხეთია.

შვილები-შვილიშვილები,
როგორ მომნატრებია,

ყველა,ყველა მენატრება,
დედა და და-ძმებია.

თვალზე ცრემლიც კი გამშრალა,
იმდენი მიტირია,
მამის საფლავს ვერ ვნახულობ,
ველარ დამიტირია.

ასეთ ყოფას არ გისურვებთ,
გფარავდეთ უფალია,
ამას მართლა გულით ვამბობ,
ემიგრანტი ქალია.

***

რატომ დავტოვე დედა სამშობლო?
გინდათ პასუხი ამ კითხვისათვის,
გეტყვით რადგანაც მოელით პასუხს,
მხოლოდ და მხოლოდ შვილებისათვის.

განა ადვილი არის წახვიდე?
მშობლიურ მიწას მოსწყდე ქართველი,
გესიზმრებოდეს სულ ყოველ ღამე,
ამ მიწის ყველა გოჯი,მტკაველი.

განა ადვილი არის დატოვოს,
დედა მშობელმა, შვილი თავისი,
ღვთის ანაბარად და გულდამწვარმა,
უცხო მიწაზე გაზარდოს სხვისი.

განა ადვილი არის ცხოვრობდე,
სხვისი ცხოვრებით, ადათ-წესებით,
დილით სხვის ჭერ-ქვეშ ხვდებოდე მზეს და
უფალს აპყრობდე თვალებს ვედრებით.

და ვიტანთ რისთვის, ყველაფერ ამას?
რისთვის ვიტანთ და ოჯახებისთვის,

იყო უკუნი, იმ დროს შიმშილი,
არ იყო ფული არცა პურისთვის.

რა ექნა დედას, სხვა რა გზა ჰქონდა,
ხომ არ დახოცდა შვილებს შიმშილით?,
გზა აირჩია უცხოეთისა,
გადაიარა ვაი და ვიშით.

იმედი ჰქონდა, დაწყნარდებაო,
ბოროტსა სძლევსო ისევ კეთილი,
ქვეყანა მალე დადაგდებაო,
დავბრუნდებიო, მედის წვრილ-შვილი.

მაგრამ სად არის, რომ აღარ დადგა,
დღე საოცნებო და სანატრელი,
დღემდე ველით და აღარ გამოჩნდა,
ადამიანი ჩვენი მშველელი.

სულმოუთქმენლად მოველით ამ დღეს,
იქნებ გათენდეს დიდა მზიანი,
წყაღწაღებული ხავსს ვეკიდებით,
იმედით ცოცხლობს ადამიანი.

# ნანა მეტრეველი




მე, ნანა გიორგის ასული მეტრეველი, დავიბადე გორის რაიონის სოფელ ქორდში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე და სწავლა გავაგრძელე ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ზოოსაინჟინრო სპეციალობაზე.

ოცდაოთხი წელი ვიმუშავე თბილისის რეფერალურ ჰოსპიტალში ანესთეზისტად.

...ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, პოეზიის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია, ამჟამად უფრო აქტიურად ვწერ, რადგან ვიმყოფები ემიგრაციაში და ნოსტალგია თავის სათქმელს ლექსებით ამბობს. აქ ათენში დამეხმარა ქართული სათვისტომო და ემიგრანტ მეგობარ მზალო ოსიშვილთან ერთად დამიბეჭდეს ლექსების კრებული, ახლა ახალი მაქვს მზად და უახლოეს დროში გამოიცემა, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ საბერძნეთის ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაცია „ოქროს საწმისის" და ქალბატონი ანნა ყურშავიშვილის და ქალბატონი ლეილა სეფაშვილის. მყავს მეუღლე და სამი ვაჟი, შვილი შვილიშვილი. ექვსი წელია ემიგრაციაში ვარ საბერძნეთში, კერძოდ ათენში.

ქალბატონი ნანა ჩვენი კრებულების - „ჩანაწერები ინგას უბნიდან" ერთ-ერთი წარმატებული ავტორიცაა.

****

რა შევადარო შენს ცას კრიალას,
მთებს ბუმბერაზებს, ზეცამდე აწვდილს,
ვინ შემაჩერებს, გიმღერო მანამ,
სანამ საწუთრო ჯერ კიდევ მაცდის.
რით შევძლო, არ ვთქვა სამადლობელი,
შენი შვილობა რომ მერგო წილად,
თუმც ხვედრი მძიმე, არა მსუბუქი
გზასისხლ–ცრემლებით ნამული ხშირად.
არა, სამშობლოვ, შენს მზეს ვფიცავარ,
სანამ მიფეთქავს მე მკერდში გული,
ერთადერთი ხარ, როგორც უფალი,
შენა ხარ დედა, შენ ხარ მამული,
რა ახლოსა ხართ მთებო, ზეცასთან,
ვედრებად მოსჩქებს ტალღა რიონის,
ნუმც მოგეშალოს შენ ედემობა
და ჩრდილად მხრები კავკასიონის.
დუდუნა მტკვარმა მიმღეროს ნანა,
მესმას ჩხრიალი ჩემი ლიახვის,
განსასვენებლად მარგუნოს ბედმა,
უფლის კუთვნილი მიწის წიაღი.
ჯერ კი გულდაჭრილს მინდა გეფერო,
არასდროს დაგთმობ,შენს ცას ვფიცავარ,
დავალ უცხოეთს, ფიქრით დაღლილი,
მე შენი ერთი მუჭა მიწა ვარ!

****

გაბრაზებული გაზაფხულდაო საქართველოშიც,
გლეხი ვენახში საქმით გართულა,
მე კი ქართულად
ვერ ვგაზაფხულობ,
აქ ხომ ვაზიცარ ტირის ქართულად.
ვერ მოგეფერე ნატყვიარ გულზე,
დავაგვიანე...დაგზაც
გაგრძელდა,
ეს მონატრება ტკივილად დამდევს,
როცა დაგტოვე, დროც იქ გაჩერდა.
როგორ მინდოდა ამ გაზაფხულზე
გვირილებისგან გვირგვინი
მეწნა,
მონატრებისგან კვლავ ატირდება
ლიახვის პირას ბებერი
ძეწნა.
დაგიბრუნდები,ისევ
გპირდები,
ლოცვით ვამოკლე შენსკენ სავალი,
რომ ისევ ვნახო, როგორ
კეკლუცობს,
ბაღში კოპწია იასამანი!

***

ავდექი...ჯერ არც კი გათენებულა კარგად, ვეღარ დავიძინე, ეს დღეც არაფრით არ განსხვავდება სხვა დღეებისგან, ისეთია უხალისო, უფერული....

ჩემი ფანჯრიდან ზღვის ჰორიზონტი იშლება,ულამაზესია, მაგრამ ახლა აღარც ეს მამშვიდებს, ო, ეს ფიქრები, არაფრით არ მანებებენ თავს, აღარ მინდა ვიფიქრო, საერთოდ თითქოს არაფერიც აღარ მინდა, ასე მგონია სამყაროც დაცარიელდა, ვეღარაფერს ვგრძნობ, ოჰ, ღმერ-თო როგორ ერთნაირია ყველა დღე, ყველა კვირა, თვე და წლებიც კი. წლები, რომლებიც თითქოს არც ყოფილან ჩემს ცხოვრებაში, იმდენად უფერულები და უინტერესონი არიან, სევდის ფერები...

იარეთ წლებო,იქნებ როგორმე მოვიდეს განთიადი, ისეთი, იქ სამშობლოში რომ თენდებოდა. მამლების ყივილით და მერცხლების ჭიკჭიკით რამდენი წელია მერცხალი არ მინახავს... ცხოვრება წიგნიაო, უთქვამთ. რა სიამოვნებით ამოვხევდი ამ წლების ფურცლებს ჩემი ცხოვრების წიგნიდან. დავკუჭავდი და გადავყრიდი. მაგრამ, გადაიყრება კი? ოდესმე წაიშლება ჩემში ბნელი, ნატვრითა და ფიქრით ჩამუქებული დღეების კვალი?ალბათ არა, ის შავ ზოლად გაჰყვება ჩემი ცხოვრების წიგნს,სადაც უფრო მეტი ფერადი, ბედნიერი დღეებია, რომელთა მოგონებაც მაცოცხლებს და მაძლებინებს. სწორედ იმ ფერების კვლავ ნახვის და შეგრძნების იმედით მივაპობ ამ ბურუსს და მჯერა ასრულდება ნატვრა, გავალ სინათლეზე, ღრმად შევისუნთქავ მშობლიური მიწის სურნელს და შემოვძახებ: მადლობა უფალო შენ, მოწყალეო და შემბრა-ლებელო ჩვენთა, ცოდვილთა! დიდება უფალს, ამინ!!!

# ბოლო შეხვედრა ბათუმთან
# (ნამდვილი ამბავი)

ცხრა სექტემბრის მზიანი დღე იყო. ჩვენი ავტობუსი ქალაქ ბათუმს უახლოვდებოდა. უცნაური ფიქრები ირეოდა თავში, რამდენმა კადრმა გაირბინა თვალწინ, გულსაწვიმდა... მე სამშობლოს ვტოვებდი... როგორ მინდოდა ეს გზა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ვიმახსოვრე ბდი გზის ყოველ მონაკვეთს, მგზავრები ზოგი კითხულობდა, ზოგიც ტელეფონს ჩასცქეროდა, მე კი ფანჯარას თვალს არ ვაშორებდი, ღრმად ვისუნთქავდი მონაბერ ჰაერს, რომელიც სულ მალე მომენატრებოდა. პეპლები ფარფატით ასკდებოდნენ ფანჯრის მინას. მივდიოდი იქ, სადაც არავინ მელოდა, არავის არ ვიცნობდი და არც ის ვიცოდი, თავი როგორ უნდა გამეტანა იმ უცხო მიწაზე, უკან კი ოჯახის წევრები დავტოვე, ცრემლებით რომ გამომაცილეს, ოჯახი უამრავი პრობლემით და ჩემი იმედით, ამ იმედით მივდიოდი, თითქოს ღვთისმშობელს შევყურებდი თვალებში დავეკითხებოდი ჩემი ნაბიჯის სისწორეს, თან ლოცვას ვბუტბუტებდი. - ბათუმში შევდივართ! -მძღოლის სიტყვებმა გამომარკვია, შევჩერდით... შემოგვეგება მზიანი ბათუმი, ჩვეული ხალისით და ჟრიამულით, რამდენი რამ მაკავშირებდა ამ ქალაქთან, რამდენი ლამაზად გატარებული ზაფხული. ახლა კი ზღვისკენ გახედვას ვერ ვბედავდი რატომღაც, დამნაშავესავით ვიდექი, მოფარფატე თოლიებით დამშვენებულ ცას გავცქეროდი დავტიროდი, ბათუმი ცხვდებოდა თითქოს ჩემი ცრემლების მიზეზს, ვითომ მიცნო? გავიფიქრე. რაღაცა ხმა ჩამძახოდა-"ნუწახვალო!" ან სად ვნახავდი ამ სილამაზეს, ან როდის ვნახავდი კიდევ? ეს ბათუმი მევედრებოდა, მაგრამ არ დავუჯერე, სანაპიროზე გავედი, უსიტყვოდ, უპასუხოდ, ავიღე ერთი მუჭა სილა და იმ მიწას შევურიე, ეზოდან რომ მომქონდა. უეცრად მოიღრუბლა, წვიმა წამოვიდა, მერე როგორ უხდება ბათუმს ეს დალოცვილი ზეცის ცრემლები... ტიროდა ბათუმი, ჩვენი საზღვაო ქალაქი, ვინ იცის მერამდენე შვილსაც იდებდა სამშობლოდან მიმავალს? აი უკვე მეექვსე წელია ბათუმის ვალი უბით დამაქვს, ვალი სამშობლოსი, იქიდან წამოღებული მიწა, რომელიც მაცოცხლებს უცხო მიწაზე დამაიმედებს, რომ აუცილებლად დავბრუნდები იმ მიწის მადლით სამშობლო რომ ჰქვია.

ბათუმი იმედის ქალაქია!

# ცისნამი საყვარლიშვილი

## ჩემი ავტობიოგრაფია



მე, ცისნამი საყვარლიშვილი დავიბადე ქ. თბილისში. ვსწავლობდი 190-ე საშუალო სკოლაში. მას შემდეგ რაც ჩემმა მშობლებმა სოფელში ცხოვრება გადაწყვიტეს, გავხდი გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის საშუალო სკოლის მოსწავლე. ბოლოს კი დავამთავრე ქ. თელავის მრავალპროფილიანი საერო სკოლა-ლიცეუმის სრული კურსი, წარჩინებით. ახლაც თვალწინ მიდგას, ჩემი სკოლის ატესტატი, ხუთებით სავსე და დღემდე ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ბავშვს ყველა საგანში ხუთიანი ჰყავდეს. ჩემი მოსწავლეობის დროს, ეს იყო უმაღლესი შეფასება და ქულათა სისტემა არ არსებობდა.

ბავშვობიდანვე ძალიან აქტიური ვიყავი. დავდიოდი ცეკვაზე, მუსიკაზე, ჟურნალისტიკის კურსებზე და სხვა. დაჯილდოვებული ვარ უამრავი დიპლომითა და სერთიფიკატით, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მოპოვებული გამარჯვებისათვის. ბავშვობიდანვე მიყვარდა წერა და ვაქვეყნებდი ჩემს ჩანახატებსა და მინიატურულ მოთხრობებს, დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ გაზეთ „მუზაში“.

2004-2008 წლებში ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, სპეციალობა, ისტორიული კულტუროლოგია. იმის გარდა, რომ სწავლა ძალიან მიყვარდა, ჩართული ვიყავი სტუდენტურ ცხოვრებაში და გამოვირჩეოდი ჩემი აქტიურობით. სტუდენტური ორგანიზაცია „ასა“- ს აქტიური წევრობის და არჩევნების შემდეგ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე გავხდი. ჩემს მეგობრებთან ერთად ვაწყობდი კულტურულ და მეცნიერულ

ღონისძიებებს, გამოფენებსა და სხვადასხვა საქველმოქმედო აქციებს. კარგად მახსოვს 2006 წლის აპრილი, როდესაც უნივესიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, ქართველი პოლიტიკოსების აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა მოვაწყეთ და შემოსული თანხით დავეხმარეთ გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. ამ დღეს ყველა ტელევიზიამ გააშუქა და „არაჩვეულებრივი გამოფენა", ასე უწოდეს. აქტიურად ვთანამშრომლობდით საპატრიარქოს ფონდთან და სწორედ მათი ძალისხმევით განვახორციელეთ ბევრი საინტერესო პროექტი. მაქვს შემდეგი სახის გამოცდილებები: სტატისტიკური და სოციოლოგიური გამოკითხვები, პრეზენტაციები. ხშირად ვიღებდი მონაწილეობას საპარლამენტო, პოლიტიკურ დებატებში. დავდიოდი ინგა გრიგოლიას თოქ-შოუზე, „რეაქცია" და მკაფიოდ ვაფიქსირებდი, ჩემს აზრს. ამდენად, სტუდენტის კვალობაზე, მეტად აქტიურ ცხოვრებას ვეწეოდი.

2007 წელს საქართველოს პარლამენტში, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში ვიყავი პრაქტიკანტად და ჩემს მეგობარ დიპლომატებთან ერთად ვმუშაობდი ნატოსა და ევროკავშირის საკითხებზე. ჩვენი მთავარი მიზანი იყო საქართველოს ინტერგრაცია ნატოში. იყო ასეთი ჯგუფი, სახელწოდებით „ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფი". ჩვენი გულშემატკივარი იყო, ცხონებული ვასილ ჭყოიძე, ძალიან ნიჭიერი და კარგი ადამიანი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს-საკრებულოს თუ საპარლამენტო არჩევნებზე ვიყავი ოპერატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „Ngnl", „ახალი თაობა-ახალი ინიციატივის" სახელით.

სამთვიანი "სამუშაო ადგილზე პროფესიული მომზადების" მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამით გავდიოდი მომზადებას, შემდეგ პროფესიაზე-ადმინისტრატორი. პროფესიული მომზადების ადგილი, მეწარმე სუბიექტი შპს ჯი-აი-ენ-ენ (კუზანოვის კლინიკა).

აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ სტუდენტურ სამუშაოებში.

ვიყავი საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის სტიპენდიანტი.

მაქვს სხვადასხვა სერთიფიკატები: საოფისე პროგრამების, ენების. ტექნიკური უნარჩვევები: ms office, page maker, photoshop, internet.

მშობლიური ენის გარდა ვფლობ შემდეგ ენებს: ინგლისური (ძალიან კარგად), იტალიური (ძალიან კარგად), რუსული და ესპანური მოყვარულის დონეზე.

2009 წელს გავემგზავრე იტალიაში, სადაც არაჩვეულებრივი ოთხი წელი გავატარე. ვსწავლობდი იტალიურ ენას და კულტურას, ფლორენციაში, დანტე ალიგიერის ცენტრში, იმ იმედით, რომ დანტეს „ღვთაებრივ კომედიას" წავიკითხავდი, ორიგინალში. ოცნება ავიხდინე.

ვმუშაობდი ვოლონტარად, იტალიურ ორგანიზაციაში „U. N. I. T. A. L. S. I." ვეხმარებოდი ინვალიდ ადამიანებს. მუშაობა მომიწია ოჯახში, სადაც ვეხმარებოდი დედას, ჩინციას, რომელსაც ორი ინვალიდი პატარა შვილი ჰყავს, ლეტიცია და ლეო. რესტორან „Doncchisciotte Belluccia"-ში, ვმუშაობდი გარდერობში და სალაროში მოლარედ. იქვე ვისწავლე, მოყვარულის დონეზე, პიცების ცხობა და რამდენჯერმე ჩემი გამომცხვარი პიცაც დააგემოვნეს იტალიელებმა.

2013 წელს დავამთავრე ფლორენციის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტი, სპეციალობით „ლოკალური და რეგიონალური განვითარება". კვალიფიკაცია: Dottore Magistrale, იტალიური განათლების სისტემის მიხედვით.

იქაც არ ვჩერდებოდი და აქტიური სტუდენტი ვიყავი. მეორე კურსზე გავხდი, სტუდენტური მთავრობის წევრი. ვხვდებოდი იტალიელ პოლიტიკოსებს, ევროკავშირის კომისრებს. ვაწყობდით საინტერესო შეხვედრებს პოლიტიკოსებთან, რეგიონ ტოსკანის ფარგლებში და ვმართავდით დებატებს, საერთაშორისო პოლიტიკაზე. შევხვდი და გავიცანი ძალიან ბევრი საინტერსო და ნიჭიერი პიროვნება. უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში, მუშაობა დავიწყე, ფლორენციასთან ახლოს მდებარე, ქალაქ პრატოს მერიაში, იმიგრაციის სამოქალაქო სამსახურში, Front Office-ში. ამ დღიდან იწყება ჩემი აქტიური თანამშრომლობა იტალიურ ცნობილ ორგანიზაციებთან „Pane & Rose", „CAT Cooperativa Sociale", „Media Mente-Onlus association" და მათი პროექტებით მომიწია მუშაობა, როგორც კულტურული მედიატორი. შევდიოდი ციხეებში, ტოსკანის ფარგლებში და იურიდიულ კონსულტაციას ვუწევდი ქართველ პატიმრებს. ზოგს ენის პრობლემა ჰქონდა, ზოგს კანონებში ვარკვევდი და ასე, პრაქტიკით იმდენი რამ შევისწავლე, რომ ადვოკატობაც კარგად გამომდიოდა. მახსოვს, ყველას ძალიან უხაროდა ჩემი

დანახვა და ახლობლებთან გაგზავნილ წერილებში სულ თბილად მიხსენიებდნენ. ზეპირად ვიცოდი „Il Testo Unico“, იტალიური კანონები და წესები, ემიგრაციასთან დაკავშირებით. ნამუშევარი მაქვს ქალაქ პრატოს პოლიციის სამმართველოში, როგორც თარჯიმანი. ნათარგმნი მაქვს დოკუმენტები, იტალიურიდან ქართულად.

იტალიაში, ონლაინ ჟურნალში, რივისტაში, „Paese Sera-Prato“ დაიბეჭდა ჩემი 10 სტატია. რეგიონალურ გაზეთ „La Nazione“- ში დაიბეჭდა ჩემი ერთი სტატია, ხოლო გაზეთმა „Il Tirreno“ დაწერა ჩემს შესახებ.

ვმუშაობდი ნაშრომზე, საქართველოს პოლიტიკური ეკონომიკური განვითარება საბჭოთა კავშირის შემდეგ.

ცოტა ხნით ვმუშაობდი, იტალიურ ტელევიზიაში, Rai 3, TV show, " Paesereale“, როგორც ჟურნალისტის დამხმარე. ამავე პერიოდში, საქართველოში, კომპანია მეცხრე არხისთვის ვაკეთებდი სიუჟეტებს ევროპიდან და ვაწვდიდი ექსკლუზიურ ინფორმაციას.

ტოსკანის რეგიონალურმა ტელევიზიამ გააკეთა ძალიან ლამაზი სიუჟეტი ჩემზე და მიმიწვია გადაცემა „Pomeriggio con te“-ში სასაუბროთ.

ქალაქ პრატოს კომუნალურ ბიბლიოთეკა „Lazzerini“- ში, გაკეთდა ქართული წიგნის კუთხე ჩემი ხელშეწყობითა და საქართველოს პარლამენტის, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძის დახმარებით.

2013 წელს საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „ეკონომისტში“ დაიბეჭდა ჩემი სამეცნიერი სტატია, სახელწოდებით: „ვარდების რევოლუცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საქართველოში.

2013 წლის ივნისში გავემგზავრე ამერიკაში, სადაც კიდევ უფრო მეტად საინტერესო ცხოვრება დავიწყე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში ძალიან წარმატებული, ცნობილი და ნაყოფიერი ცხოვრება მქონდა, გადავწყვიტე ოკეანე გადამელახა და ახალი ამერიკული ოცნება დამეწყო.

6 თვე ვცხოვრობდი კოლეჯში, „EF International Academy“, სადაც „PHD“-ის მოსამზადებელ კურსებს გავდიოდი.

საინფორმაციო სააგენტო „Editori“-ში ვაქვეყნებ სტატიებს, სიახლეებს, ამერიკაში მცხოვრებ და მოღვაწე ქართველებზე. ვარჩამოლენიმე საინტერსო სტატიის ავტორი. აქტიურად ვმონაწილეობ ქართულ საღამოებზე. მქონდა ჩემი პირველი გამოსვლა, გაეროში, ახალგაზრდულ შეხვედრაზე.

2016 წელს მუშაობა დავიწყე იტალიურ-ამერიკულ ტელევიზიაში „SI Italia TV“, როგორც ჟურნალისტი და გავაკეთე საკუთარ კულინარიული გადაცემა „Il Microfono Peperoncino“, რომელიც იტალიური კულინარიის შესახებ მოგვითხრობს. მხოლოდ ორი გადაცემა გავიდა ეთერში. ახლა კი პართთაიმით აქტიურად ვთანამშრლობ ტელევიზიასთან და ვამზადებ საინტერესო ინტერვიუებს.

აქტიურად ვარ ჩართული მსოფლიო პოლიტიკაში, ვწერ ბევრს, ვკითხულობ და ვთვლი, რომ ჩემი ბლოგი, „Tsisnami.blogspot.com“, საინტერესო თემებს ეხება. არც თუ ისე ცუდი ბლოგერი ვარ. ყველა ჩემს პოსტს დიდი გამოხმაურება მოსდევს ხოლმე, Facebook-ზე.

ხშირი სტუმარი ვარ, რადიო გადაცემა „მიგრაციის მარშრუტების“ და ვსაუბრობთ ზოგადად ემიგრაციაზე.

მაქვს სხვადასხვა გატაცებები: მიყვარს წერა, კითხვა, მოგზაურობა. დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, თავისუფალი დრო ცოტა მაქვს, მაგრამ მაინც აქტიურ მონაწილეობას ვიღებ სოციალურ ცხოვრებაში, დავდივარ სპორტულ სექციებსა და სხვადასხვა წრეებზე. ჩემი ჰობია ცურვა და ხშირად მნახავთ საცურაო აუზზე.

ძალიან მიყვარს ხალხთან ურთიერთობა. ვარ ძალიან მეგობრული, კომუნიკაბელური და ყოველთვის მზად იმისათვის, რომ დავეხმარო ყველას, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდება. მყავს დედა, ძმა და 8 წლის შვილი. მამა ძალიან ნიჭიერი მუსიკოსი იყო, თუმცა ძალიან ადრე დატოვა ეს სამყარო. ჩემი ოჯახი გამოირჩევა ხელოვნებისადმი სიყვარულით. ძმა მუსიკოსია და ბევრი რამ იცის მუსიკის ისტორიის შესახებ.

მეც ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე, რომ უფრო მეტი ვიცოდე სამყაროს, ისტორიის და ცნობილი ადამიანების შესახებ. მყავს კარგი მეგობრები, რომლებიც ხშირად ითვალისწინებენ ჩემს რჩევებს და აზრებს.

ჩემი ოცნება არის დავამთავრო „PHD“, in political Science, სტაჟირება

გავიარო გაეროში და ვაკეთო საყვარელი საქმე. მინდა ვიყო განათლებული, ნიჭიერი ადამიანი, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას და გამოადგება ხალხს. მაქვს იდეები, პოლიტიკურ სისტემასთად დაკავშირებით, რეგიონალურ განვითარების შესახებ, რომელსაც იმედია, ნელ-ნელა განვახორციელებ.

მინდა ვიყო წარმატებული, ცნობილი და საინტერესო პოლიტიკოსი. ადამიანი, რომელიც ყველაფერს თავისი ნიჭით, აქტიური ცხოვრებით და მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწევს. მინდა დავამსხვრიო სტერეოტიპი, რომ ქალებს მდიდარი მამიკოსა და კაცების გარეშე, წარმატების მიღწევა არ შეუძლიათ.

მე ღრმად მწამს ჩემი შესაძლებლობების და ღვთის წყალობით ყველაფერი კარგად იქნება. ვიცი, რომ აუცილებლად მივაღწევ დასახულ მიზანს.

მადლობა ყურადღებისთვის,
საუკეთესო სურვილებით,

## ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘ

მომინდა განვაახლო ჩემი „ემიგრანტის დღიური“, ხოდა ვაგრძელებ წერას. ამჯერად ამ ამბავს მოგიყვებით. მოკლედ, გადავწყვიტე სირბილი დამეწყო და დღეს უკვე მეორე საღამოა, სადაც მე ვცხოვრობ, არ ვიტყვი სად, რადგან ხვალიდან ყველას აქ მოუნდება ცხოვრება. აქ ამ პატარა ამერიკულ ქალაქში დიდი სტადიონია, რომელიც სარბენი ბილიკით არის გარშემორტყმული. ამ სარბენ ბილიკზე ჩემთვის დავძუნძუნებებ ხოლმე. მუსიკა ყურებში და ნელ-ნელა სირბილი. პირველად სამი წრე დავარტყი და ტკივილი ვიგრძენი ფეხებში. ჩემმა მოდუნებულმა კუნთებმა შემახსენეს თავი. ამ საღამოს უკვე ხუთ წრეზე ავედი. გადაწყვეტილი მაქვს ყოველ საღამო შვიდი წრე დავარტყა. აი, რატომ შვიდი? იმიტომ რომ ძალიან მიყვარს ეს ციფრი. პირველ რიგში იმიტომ, რომ მითოსური რიცხვია, შემდეგ იმიტომ რომ ჩემი სახელი „ც ი ს ნ ა მ ი“ შვიდი ასოსგან შედგება და კიდევ იმიტომ, რომ შვიდი წელია რაც ემიგრანტი ვარ! სულ რომ ამ შვიდიანს არ გადავყვე, გეტყვით რა ხდება ხოლმე სტადიონზე. აი, "ფენსი,

ფენსი", ახალგაზრდა ამერიკელი ბიჭები თამაშობენ ხოლმე ამერიკულ "ფუთბოლს". უხ, დედა ისეთი ლამაზები არიან, ერთი მეორეზე უკეთესები, ქერა თმებით, მაღლები, დიდი მხარბეჭით. ერთი კი გადავავლე თვალი და გულში გავიფიქრე, ოხ ცისნამი ტყუილად დაიხარჯები, რომ ამათ გაეპრანჭო, ნამეტანი „ბებერი" ხართ მათთვის. (ხალხო ვხუმრობ და ყველაფერს სერიოზულად ნუ მიიღებთ.) მწერალს, ნუ მე მწერალი არა ვარ, მაგრამ მაინც, უფლება აქვს რაღაც ფანტაზიაც გაურიოს, თორემ სულ სიმართლის აღწერა არ იქნება სასიამოვნო საკითხავი.

ამდენად, ჩემთვის დავრბივარ და არც კი ვიხედები მათკენ. ჩემს წინ და უკან, პუტკუნა, უფრო სწორედ მსუქანი გოგოები ქოშინით დარბიან ხოლმე და აშკარად იმათ ფონზე მე „ანგელოზი" ვარ. ისე გამომხედავენ ხოლმე ეტყობათ გულში ამბობენ, შენ რაღა გარბენინებს, რა გჭირს სარბენიო. ნუ, როგორც უკვე ავღნიშნე ამ პუტკუნა გოგოების ფონზე მართლა ვჩანვარ, როგორც „ქული", თან ხომ იცით ფერადი ტანსაცმლის ჩაცმა მიყვარს, ვარდისფერი ბოტასები, ამავე ფერის "ლეგანსები", მაისური, გაშლილი ქერადშეღებილი თმები, ნუ სპეციალურად გაშლილი, რომ სირბილის დროს შთაბეჭდილება დატოვოს, ლამაზად რომ იყრებიან ხოლმე მხრებზე და ტალღოვან მოძრაობებს აკეთებენ. ნუ, მე არა, ჩემი თმები! ხოდა, ასე გამოკვანჭული დავრბივარ ხოლმე.

უკვე მეხუთე წრეს რომ ვამთავრებდი და სტადიონს ვტოვებდი, დავინახე, რომ ჩემსკენ ერთი საკმაოდ სიმპატიური ბიჭუნა გამოიქცა. გამიღიმა, მომესალმა:

- Hi, I'm James.

- Hi, I'm Sissy და გაკვირვებისკან ცოტაღა დამრჩა, რომ პირი არ გავაღე. ისეთი სიმპატიური იყო და ლამაზი, მე რომ მომწონს ხოლმე ისეთი ლამაზი.

- Are you new here?

- Yeah, I mean, I just moved here from Brooklyn.

- How you like it?

- It's fine, not bad. It's just I don't know nobody around here.

- Now, you know me. Maybe we can have a coffee together.

- Well, why not?

- I got your number.... ისე მითხრა თითქოს უკვე ჰქონოდა ჩემი ნომერი რა! გაიხუმრა, ოხ, ეს ამერიკული იუმორი. მე ნომერის მიცემის

მაგივრად შევთავაზე ფეისბუქზე ვიმეგობროთ მეთქი. პრობლემა ის იყო, რომ ტელეფონს სახლში ვტოვებ ხოლმე, რომ სირბილის დროს ხელი არ შემიშალოს. ამიტომ მისი ფეისბუქით მოვძებნე ჩემი თავი და შეტყობინება დავტოვე ჩემს პროფილში. ვუთხარი, სახლში რომ მივალ ვნახავ, ვიღაცას წავშლი და შენ დაგიმატებ თქო.

- Ok, have a good night!

- Bye!

მოვედი სახლში, ვეცი ტელეფონს, უფრო სწორედ ლეპტობს, გავხსენი მისი პროფილი და რას ვხედავ, ასაკი უწერია 20 წლის. ვაიმე, კინაღამ გული გამისკდა. ახლაც იმას ვფიქრობ დავიმატო თუ არ დავიმატო?! ისე კი მაგრად გამისწორდა, როგორია 29 წლის ვხდები და 20 წლის პატარა ბიჭუნებს მოვწონვარ. ვა, დედაჩემს რომ ჰკითხოთ ვეღარ გავთხოვდები, არადა რა იცის დედაჩემმა, რომ წიწკვი პატარა ბიჭები მთხოვენ „დეითს“.

ესეც ჩემი იღბლიანი საღამო. იმედია სირბილი დამეხმარება, კალორიებს დავწვავ და დაგროვილ კილოგრამებსაც დავამარცხებ.

ნუ, ხვალ უეჭველი ტელეფონს წავიღებ, რა ვიცი რა ხდება! ვახ, მაინც რა მაგარია, რომ 20 წლის ბიჭები მეპრანჭებიან. ზოგჯერ რა მაგრად ასწორებს ცხოვრება! სიმპატიური ჯეიმსი!

და, და, და.........

## წერილი ბებიებს!

ერთი თხოვნა მაქვს ყველა იმ ბებიასთან, რომლებიც ემიგრანტი დედების შვილებს რომ ზრდიან.

ძვირფასო ბებიებო, თქვენი ძალიან მადლიერი ვართ. თქვენ რომ არა ჩვენ აქ, უცხო მიწაზე მშვიდად ვერ ვიქნებოდით, თქვენ გაბარიათ ჩვენი გულის მეორე ნახევრები და მადლობა იმ ყველაფრისთვის რასაც ჩვენი პატარებისთვის აკეთებთ.

ძვირფასო ბებიებო, ყოველ დღე უთხარით ჩვენს შვილებს, რომ მათ დედიკოებს ძალიან უყვართ, რომ ჩვენ მხოლოდ მათთვის ვქმნით ყველაფერს, მათით ვსუნთქავთ და ვარსებობთ უცხო მიწაზე. ჩვენ ყველას

გვჭირდება მათთან ყოველდღიური საუბარი, მათი ხმის გაგება, მოფე-რება, ტკბილი სიტყვა, თუნდაც ჩუმად დაძახილი: „დედა“. უკვე ყოველ ჯერ-ზე ვეხვეწები ჩემს შვილიკოს რომ დამელაპარაკოს, სახე ან ხელები მაინც დამანახოს ან ის ლამაზი თითები მე რომ პატარები მახსოვს. უკვე გაზრდილი თითები დედის შეხება, რომ აკლიათ, სითბო და მოფე-რება.

ძვირფასო ბებიებო, ეს ყველა ემიგრანტი დედის პრობლემაა მარტო მე არ მეხება. საითაც გავიხედავ ყველა დედა მაგას ჩივის, რომ თავიაანთი პირმშოები არ ესაუბრებიან. ნუ ფიქრობთ იმას, რომ გაიზრდებიან და თვითონვე დაგვირეკავენ და დაგველაპარაკებიან. გთხოვთ თქვენც ხომ დედები ხართ, ჩვენი შვილები ხომ თქვენ გაბარიათ. ნუ დაიშურებთ, უთხარით ჩვენს პატარებს, რომ მათი ხმის გაგება გვჭირდება, მათი საუბარი ენერგიით გვავსებს, გვახალისებს და სიცოცხლის სურვილს გვაძლევს. ჩვენ ეს მოსჯილი მარტოობა, მათი შორეული მოფერებით უნდა შევავსოთ. უთხარით, რომ მათ გარეშე ჩვენი ცხოვრება ჯოჯო-ხეთია და თვალგახელილები ვოცნებობთ მათთან შეხვედრას.

ძვირფასო ბებიებო, დაგვეხმარეთ, რომ ჩვენს შვილებს იმაზე მეტად ვუყვარდეთ, ვიდრე ახლა ვუყვარვართ!!!

## წერილით ახსნილი სიყვარული

ოდესმე თქვენთვის სიყვარული აუხსნიათ წერილით? ჩემთვის კი და თან იცით როგორ, რომ ჩემს წინ ჯიუტად იდგა და მოტყუებით მაკით-ხებდა ვითომდა საჭირბოროტო სტატიას. ახლაც მახსოვს ის ემოციები, როდესაც იმ წერილის წაკითხვის დროს განვიცდიდი. რა ლამაზად ჰქონდა აღწერილი ჩემი ორი თვალი, გარეგანი თვალი, რითიც ვხედავთ გარეთა სამყაროს და შიდა თვალი - გული, რითიც ვხედავთ ადამიანის შიდა სამყაროს. იმ ადამიანმა მე ზუსტად ისეთი დამინახა, როგორიც ვიყავი, ისეთი ბავშვური, ემოციური, მხიარული და ბედნიერი. მახსოვს როგორ მიცემდა გული და სისხლი როგორ ადიოდა თავში, როდესაც ჩემს დახა-სიათებას ვკითხულობდი. ის ისევ ჩემს წინ იდგა და ჯიუტად მიყურებდა, ჩემს პასუხს იმ წუთებში, მაშინვე ელოდებოდა. მე კი ლაპარაკი არ

შემეძლო, მხოლოდ ვოხრავდი და მარმარილოს ქანდაკებასავით ვიდექი. ღმერთო ჩემო, მე მას ვუყვარდი, მთავაზობდა და მიშენებდა იმ სამყაროს, რომელზედაც ყოველთვის ვოცნებობდი. მან მე მიპოვა ისეთი, როგორიც ვიყავი, აღმომაჩინა და მზად იყო ჩემს ყველა ბავშვურ სისულელეზე დამთანხმებოდა. მე კი მაინც ქანდაკებასავით ჩუმად ვიყავი, დაბნეული, აღელვებული, ფერდაკარგული. მე ვიდექი დიდი ფაქტის წინ, ან ჩემი თავისუფლება, ჩემი ამერიკული ოცნებები, ან ის, ჩემზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი.

მე ჩემი თავისუფლება ვამჯობინე, მე ის პასუხის გარეშე დავტოვე, მე ის მივატოვე. მე უარი ვთქვი მის სიყვარულზე. ამ ამბის შემდეგ თითქმის სამი წელი გავიდა. მე ის კიდევ მახსოვს, რადგან ის იყო დაუვიწყარი თავისი ჯადოსნური სიტყვებით. როდესაც გავიგე, რომ მეგობარი გოგონა ჰყავდა გამიხარდა, ახლა კი ცოლად მოიყვანა და უფრო მეტად მიხარია. მე მას ვუსურვე, "ტანტა ფელიჩიტაციონი", მან მე პასუხი არ დამიბრუნა. მას შემდეგ არავის ვყვარებივარ, არავის ავულელვებივარ. ხანდახან მგონია, რომ მე მან დამწყევლა. მაგრამ როგორ შეიძლება გიყვარდეს, გყვარებოდა და მისი კარგად ყოფნა არ გინდოდეს. ეს ალბათ ჩემი მცდარი იდეებია. და თუ ოდესმე კიდევ მივიღებ ვინმესგან ძალიან ლამაზ წერილს, ისეთივე სულში ჩამწვდომი სიტყვებით, ისეთივე გრძნობებით დაწერილს და თუ ის ვიღაც ისეთს მიმიღებს, მიპოვის და აღმომაჩენს, მე იმ სხვას პასუხის გარეშე აღარ დავტოვებ.

აწი ვინც არ უნდა იყო შენ, აღარ გაგიშვებ. შენ ჩემგან მიიღებ პასუხს, შენ ჩემგან მიიღებ ყველაფერს, თუკი სულ ცოტათი უფრო ნათელი იქნები. არ მინდა რაღაციები ერთმანეთში ამერიოს, არ მინდა თავბრუ დამეხვას. მინდა უბრალოდ ბედნიერი ვიყო, მეტი არაფერი არ მინდა.

მადლობა ყველას ვისაც ვუყვარდი, ვუყვარვარ, ანდა ჩემს სიყვარულს აპირებს.

# უბრალოდ სიყვარული.....

აი, უბრალოდ ბედნიერი, რომ ხარ ადამიანი და გინდა ეს ბედნიერება სხვასაც გადასდო და სამწუხაროდ მარტო ხარ სახლში, ოთახში. და აი რა წამართვა ემიგრაციამ?ზოგჯერ ისე გულით მომინდება ხოლმე უბრალოდ ადამიანებს შევეხო, მათთან ვისაუბრო, გულიანად ხელი ჩამოართვა, გავუღიმო, მივესალმო, მოვეფერო, ვეტიკტიკო და გადავცე ჩემი პოზიტიური ენერგია.

აქ რაც არ უნდა ხალხში ტრიალებდე, მაინც ცივია აქაურობა, მაინც უცხოა. მით უმეტეს ჩემმნაირი კომუნიკაბელური ადამიანისთვის. ხოდა, ახლა მომინდა, რომ ყველას მოგეფეროთ, ყველას, ყველას და მინდა შეგახსენოთ, რომ ცხოვრება ძალიან ლამაზია თავისი სირთულეებით, სიმარტოვით, სიშორით, მაგრამ მაინც დატკბით თითოეული წამით და შეირგეთ ყოველი დღე!

ლავუ ფიფლ!

შეყვარებული არ მყავს, უბრალოდ უაზროდ ვარ შეყვარებული თავად სიყვარულზე და იმ „ფანტაზმზე“, რომელიც რეალობაში არ არსებობს. ის მხოლოდ ჩემს ოცნებებში ცხოვრობს.

აი ის ჭეშმარიტი სიყვრაული, ის ყველაფერი, სუნთქვას რომ შეგიკრავს და მუცელში პეპლები დაიწყებენ ხტუნვას. აი ეს ის არის, ის სიყვარულია.......

მოვა დრო და შემიყვარდები, შეგიყვარდები...მოვა დრო და შენი გავხდები, ჩემი გახდები........

დედა, რავა სიყვარულს ვაფრქვევ და ვატრიალებ.

# სტუდენტობა და შესანიშნავი სამეული!

უნივერსიტეტში ჩაბარებული არ მქონდა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც უკვე ვიცოდი ცოტნეს და მურმანის შესახებ. დაუსწრებლად ვიცნობდი ორ აქტიურ სტუდენტს, რომლებიც ისტორიის ფაკულტეტზე, დიპლომატიის ისტორიის სპეციალობაზე სწავლობდნენ და ამოძრავებდნენ მთელ ფაკულტეტს, პირველ კორპუსს, უნივერსიტეტს. მათ შესახებ ბათუმში გავიგე, როდესაც 2003 წელს თუ სწორად მახსოვს წელი, პირველი კურსის სტუდენტები იყვნენ და ბათუმში მოაწყეს ძალიან დიდი ღონისძიება, წაყვანილი ჰყავდათ მაშინდელი მთელი შოუბიზნესის წარმომადგენლები, დახურული ჰქონდათ მთელი სასტუმრო და ამ პატარა ბიჭებმა გრანდიოზული საღამო მოაწყეს. გარდა ამისა ვიცოდი, რომ იყვნენ " სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოების" აქტიური წევრები. აწყობდნენ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებს, საქველმოქმედო აქციებს და ასე შემდეგ.

2004 წელს, 16 წლის ასაკში, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში, მაშინდელ ისტორიულ ფაკულტეტზე, შემდეგ ჰუმანიტარულ ფაკულტეტად გადააკეთეს და პირველივე დღესვე დიდი შემართებით შევედი 212-ე ოთახში, მაშინდელი სტუდ-კავშირის ოთახში.

- გამარჯობათ, მე ცისნამი ვარ.

- გამარჯობათ.

ეს ტარიელ კვიციანი იყო. „სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოების“ თავჯდომარე. მას მოვუყევი როგორი აქტიური მოსწავლე ვიყავი და როგორ ვაპირებდი აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას. იმ დღესვე გავხდი ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო საზოგადეობის წევრი და ყველა კონფერენციაზე საპატიო ადგილი მქონდა ხოლმე.

- ცოტნეს და მურმანის იცნობთ? დიპლომატიურზე სწავლობენ.

- ცოტნეს და მურმანის ვინ არ იცნობს. ხშირად შემოდიან აქ და აუცილებლად შეხვდებით. შემდეგ იყო სტუდენტური აქციები, სადაც 2004 წელს ახალი განათლების სისტემას, რომლიც ბატონ ალექსანდრე - კახა ლომაიას დროს დამტკიცდა, ჩვენ ახლად გამოჩეკილი სტუდენტები ვაპროტესტებდით. მოვაწყვეთ დიდი სანახაობა, დავდგით სასამართლო პროცესი, სადაც ბატონ კახა ლომაიას გამოვუტანეთ განაჩენი. თუ სწორად

მახსოვს გეოგრაფიულზე სწავლობდა მაღალი, ლამაზი გოგონა სახელად თიკო, რომელმაც მოსამართლის როლი შეასრულა. ასე დავმეგობრდით მე, ცოტნე და მურმანი. მას შემდეგ გადავიქეცით შესანიშნავ სამეულად. სადაც ცოტნე იყო, იქ იყო მურმანი, ცოტნეს მარჯვენა ხელი და ცისნამი, ცოტნეს მარცხენა ხელი. ყველგან ჩვენ ვიყავით, ყველა საქმესა თუ პროექტში. ერთმანეთი ჩვენდაუნებლიეთ ვიპოვეთ.

- ბატონო ცოტნე გამარჯობათ. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. თქვენზე ბევრი კარგი რამ მსმენია.

- გამარჯობათ. აჰ, შენ იმის მეგობარი ხარ? უი, რა მაგარია, ძალიან სასიამოვნოა. გვჭირდება შენნაირი აქტიური ახალგაზრდები.

იყო სტუდენტური ორგანიზაცია „სტაგი“, შემდეგ „ასა“ (ახალი სტუდენტური ალიანსი) და სტუდენტური თვითმმართველობა, დიდი შრომითა და წვალებით მოპოვებული ხმები, დაპირისპირება „ერთიან სტუდენტურ მოძრაობასთან“, მაგრამ ყველა ძალიან კარგი ბავშვები ვიყავით და ბოლოს მაინც სულ ერთად გვიწევდა ყოფნა და საქმის კეთება.

ეს ყველაფერი ისე ტკბილად მახსენდება, რომ დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი წარსულში. ისევ ვიქნებოდი ჰუმანიტარული ფაკულტეტის კულტურის დეპარტამენტში და აქტიურ სტუდენტებთან ერთად ისევ მოვაწყობდი საქველმოქმედო აქციებს, საღამოებს, კონცერტებს.

კარგად მახსოვს კლუბი „გვირაბი“, რომ დავხურეთ საახალწლოდ. 2006 წელი, ახალი გახსნილი იყო და ზღვა ხალხი აწყდებოდა ხოლმე. მე და მიშა მესხს გვქონდა ჩაბარებული ყველაფერი, ბილეთები, მაგიდები, სტუმრების მიღება, დახვედრა, გადანაწილება. ეს ჩვენი მიშა მშვენივრად დაითვრა იმდენი კოქტეილები სვა და დარჩა ყველაფერი ცისნამის თავში სატეხი. ისეთი დაღლილი გამოვედი კლუბიდან, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ზოგს ეგონებოდა ცეკვისგან ვიყავი დაღლილი, არადა მთელი ღამე კარგად გვარიანად ვიმუშავე, რომ ჩემი ბიჭები არ შემერცხვინა.

იყო დაუვიწყარი ექსკურსიები. პირველ კურსელი დიპლომატები წავიყვანეთ სამთავისში და დიდ კედელზე აღმართულ კოშკის სანახავად ძლივს ავბობღდით ყველანი. მერე მაგიდის გაწყობა და ყველაფერი ისევ და ისევ ცისნამის თავზე გადადიოდა. „აბა შენ იცი ცისნამ, შენ ხარ ჩვენი დიასახლისი“,- ცოტნე მეტყოდა ხოლმე და მეც ყველაფერს ხუთიანზე ვასრულებდი. დამეთვრებოდნენ ბიჭები, სვანურს ცეკვავდნენ კბილებში დიდი დანა გარჭობილები, გიტარაზე სიმღერები და ცოტნეს საყვარელი

ლექსი, რომელსაც ნასვამი, რომ იყო სულ კითხულობდა ხოლმე: „სვანეთში მივდივარ მთებში და მიყვარხარ ვინ იცის რა რიგად“.....

კიდევ ბევრი რამის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ამდენს ვინ წაიკითხავს. ყველაზე ლამაზად მაინც ეს მახსენდება. 2006 წელს ქართველი პოლიტიკოსების აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა ჩავატარეთ. იმ დროს პარლამენტში ვიყავი პრაქტიკანტად და თითქმის ყველა წამყვან ახალგაზრდა პოლიტიკოს ვიცნობდი. მახსოვს ნინო ბურჯანაძემ, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე იყო გვაჩუქა სათვალე და ყელსაბამი, მაია ნადირაძე-ყოფილმა უმრავლესობის ლიდერმა, ყელსახვევი, მიშა მაჭავარიანმა, დავით კირკიტაძემ, ბიძინა ბრეგვაძემ, ზვიად ძიძიგურმა და სხვა მამაკაცებმა კი ჰალსტუხები. ბატონმა კოტე გაბაშვილმა, მაშინ საგარეო საქმეთა კომიტეტის თავჯდომარე იყო, ლამაზი ვერცხლის ხანჯალი გვაჩუქა. კობა სუბელიანი, ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი იყო და ვანოს შოუში, რომ გადასცეს წარწერა, კობა სუბელიანის სახელობის სკოლა, ის ბანერი მოგვცა.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ ასე უწოდეს ტელევიზიებმა და მართლაც, რომ არაჩვეულებრივი დღე იყო. მახსოვს დავით კირკიტაძემ - პოზიციას წარმოადგენდა, ოპოზიციონერის - ზვიად ძიძიგურის ჰალსტუხი შეიძინა და საკმაოდ დიდი თანხა შემოსწირა აქციას. კარგად ვიხალისეთ და ბევრი ვიცინეთ. მხატვარმა ზალიკო ბერგერმა ჩვენი კარიკატურები დახატა, რომელსაც დაწრმუნებული ვარ დღემდე ინახავს ანა საბახტარიშვილი, „ასა“-ს აქტიური წევრი.

შემოსული თანხით და საპატრიარქოს ფონდის უშუალო გვერდში დგომით, დავეხმარეთ გლდანის ბავშვთა სახლს. იქ მყოფ აღსაზრდელებს სურვილებისდა მიხედვით ვუყიდეთ საჩუქრები. ამ საქმეში გვეხმარებოდნენ, ჩემი მეგობრები, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები: მედეა და მეგი ბეჟუაშვილები. მათი ხელნაკეთი ნივთები გაიყიდა პოლიტიკოსების აქსესურაბთან ერთად აქციაზე.

საღამოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან ერთად ბიჭებმა ფეხბურთი ითამაშეს და ჩვენ გოგონები ვგულშემატკივრობდით. კარგად გავამხიარულეთ იქაურობა, უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები, რომელთაც მშობლის სიყვარული და ალერსი ეკლდათ.

იყო „ასა ფართი“ კლუბ „TwoSide“- ში, სადაც ძალიან მაგარი დრო ვატარეთ სტუდენტებმა. იყო არაჩვეულებრივი საღამოები, კონფერენციები, კონცერტები, სქველმოქმედო აქციები. მახსოვს ანა ბაქანიძის მიერ გაკეთებული „აფხაზეთის კვირეული“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

და იყო ყოველ პარასკევს, საღამოს 10 საათზე ინგა გრიგოლიას თოქ-შოუ „რეაქცია“, სადაც ყოველ გადაცემას ჩვენ, აქტიური სტუდენტები ვესწრებოდით. მე, როგორც ყოველთვის, ინგას სიტყვა არ ჰქონდა ხოლმე დამთავრებული, რომ მიკროფონი ხელში მეჭირა და სიტყვით გამოვდიოდი. ამ დიდ პოლიტიკურ შოუში ინგა მთავარი მოქმედი პირი იყო, მე კი ეპიზოდური როლი მქონდა ხოლმე. ყველა გადაცემაზე ვაფიქსირებდი ჩემს აზრს, თითოეული პოლიტიკური თემის შესახებ. ასე გავიჩინე უამრავი მეგობარი, მტერი, მოკეთე, მოყვარე. ნახევარ თბილისს და საქართველოს ვიცნობდი იმ დროს, ვისაც კი პოლიტიკის რამე გაეგებოდა.

იმდენად პოპულარული ვიყავი და იმდენად ყველა მცნობდა, რომ ერთ-ერთი გადაცემის დროს, პროდუსერი ქალბატონი მაია სტეფნაძე, ჩემი მეგობარი ნინიკოს დედა მოვიდა და მთხოვა, რომ აღარ დავმჯდარიყავი გამოსაჩენ ადგილას, რადგან სულ მე ვჩანდი ეკრანზე და ბევრში უკვე გაღიზიანებას ვიწვევდი. ახლაც მეცინება ამ ამბავზე. აი, რატომ მიყვარს ინგა და მისი გადაცემა, რადგან ჩემი სტუდენტობის ყველაზე ლამაზ წლებს მახსენებს და შეუძლებელია არ მიყვარდეს.

გადაცემის დროს ინგას მაჯის საათი სჭირდებოდა ხოლმე. როგორც თვითონ თქვა, არ უყვარდა საათის ტარება და არც ჰქონდა, მხოლოდ გადაცემის მსვლელობისას ხმარობდა ხოლმე. ჩემი მაჯის საათი მოსწონდა ძალიან და ყოველი გადაცემის დაწყების წინ იკეთებდა და რომ მთავრდებოდა უკან მიბრუნებდა. მაშინ „Apple“ ასეთი მოდაში არ იყო, თუმცა მე მქონდა და ახლაც განსაკუთრებით ვინხავ, ჩაკბენჩილი ვაშლის ფორმის ფერადი თვლების საათს, რომელიც ჩემმა ბიძაშვილმა მაჩუქა დაბადების დღეზე და უზომოდ მიყვარდა. სხვათაშორის ინგა გრიგოლიას ძალიან მოსწონდა ჩემი საათი. მე თანახმა ვიყავი მეჩუქებინა კიდეც, მაგრამ ნატოსი მეშინოდა, რადგან რომ დამინახავდა, რომ საათს აღარ ვატარებდი აუცილებლად ეწყინებოდა და გული დასწყდებოდა. ამიტომ რამდენჯერ ქალბატონი ინგა მეტყოდა, რომ ლამაზი საათია იმდენჯერ

სირცხვილისგან ვიწვებოდი, რადგან არ შემეძლო მეჩუქებინა. სამწუხაროდ საათი საზღვარგარეთიდან იყო გამოგზავნილი და საქართველოში ვერ ვნახე მისნაირი, რომ ინგასთვის საჩუქრად მეყიდა. ასე ხმარობდა ყოველ პარასკევს ჩემს საათს ინგა გრიგოლია „რეაქციის"მსვლელობისას. გუშინდელი დღესავით მახსოვს ეს ყველაფერი და იმედია მასაც არ დაავიწყდა. საათი თუ არა, ცისნამი მაინც ემახსოვრება, რადგან მისი ერთგული მაყურებელი და გულშემატკივარი ვარ.

212-ე ოთახი, აქტიური სტუდენტების თავშეყრის ადგილი, მანამდე სანამ თვითმართველობას ახალი ოთახები არ გამოგვიყვეს. განსაკუთრებით ზამთარში გვიყვარდა იმ პატარა ოთახში შეძრომა და პოლიტიკაზე საუბრები. დღემდე ტკბილად ვიხსენებ იმ პერიოდში შეხვედრილ მეგობრებს: თამუნა ბაგრატია, რომელიც ჩემი ლექტორიც იყო, ნინო ბერულავა, მაიკო, ტარიელ კვიციანი, გიორგი იგივე ქემელა, გიორგი კეკელიძე, რომელიც სულ წიგნებით, ჟურნალებით დადიოდა ხოლმე. კარგად მახსოვს მისი გაზეთი „ლილე", რომელიც პირველად გამოსცა და მისი ლექსებით იყო სავსე. მახსოვს გიორგის გახარებული თვალები, როდესაც რაიმე საქმეს, რომ აკეთებდა და კარგად გამოსდიოდა.

მაშინ ახალი შემოსული იყო სკაიპი, „ფეისბუკი" ჯერ არ არსებობდა, უფრო „ადნაკლასნიკი" იყო მოდაში და პირველი ონლაინ ჩათაობა. მაიკოს და ქემელას მიწერ-მოწერა, ისე რომ მაიკომ არც იცოდა ერთი ოთახიდან რომ ვწერდით. რამდენს ვიცინოდით ხოლმე, ვერთობოდით და ვილამაზებდით სტუდენტობას.

იყო „სტუდენტური დღეები". მე სტუდენტურ დღეებზე ჰუმანიტარული ფაკულტეტის წამყვანი ვიყავი. ბექა გოლეთიანისა და ჩემს მიერ წაკითხული ლადო ასათიანის ლექსი დუდუკებზე და დაუვიწყარი სტუდენტური სანახაობები.

ეს ყველაფერი ზღაპრული იყო. მთელ უნივერსიტეტს მაღლივამდე მოდებული ვიყავი და ყველა კორპუსში მყავდა მეგობარი. რომ შემეძლოს სიამოვნებით დავბრუნდებოდი უკან და კიდევ ერთხელ დავტკბებოდი იმ დროით.

ეს იყო ასე: ცოტნე, მურმანი, ცისნამი, ჩემი ბიჭები და მე, წითელ თმიანი გოგონა, როემლიც ცოტნეს და მურმანის განუყრელი მეგობარი იყო, არის და იქნება მთელი ცხოვრება.

„შენ ცოტნეს და მურმანის მეგობარი არ ხარ“? - ყვედა ასე მცნობდა ხოლმე და მთელმა უნივერსიტეტმა იცოდა შესანიშნავი სამეულის შესახებ. დღემდე ფეისბუკზე, რომ მწერენ უნივერსიტეტელები ეგრევე იმას მახსენებენ. „შენ ხომ ცოტნეს და მურმნისთან მეგობრობდი?

ცოტნე ძალიან აქტიური იყო და ყოველ დღე ტელევიზორში ჩანდა ხოლმე. ჩემი ბებია ტელევიზორში, რომ დაინახავდა პაპას ეძახდა. „ვასილ მოდი ჩქარა, ჩქარა, ჩვენი ბიჭია“. მთელი ჩემი ოჯახი სცნობდა ჩემს მეგობრებს და ღამით თუ სადმე უნდა წავსულიყავი და იქ ცოტნე და მურმანიც იყო იმ შემთხვევაში მიშვებდნენ.

მერე კი ბიჭები სულ წუწუნებდნენ ხოლმე, რადგან ლოტკინზე უნდა აეყვანათ ჩემი თავი, ნამეტანი შორს ვცხოვრობდი ცენტრიდან. ასე ღადაობდნენ ხოლმე: „ცისნამის სახლიდან მთაწმინდას ხელს ჩამოართმევო“. ლოტკინიდან კარგად სჩანს მთაწმინდა და განათებული ანძა.

იმდენად გვიყვარს ერთმანეთი მე, ცოტნეს და მურმანის და იმდენად კარგი და წმინდა მეგობრობა გვაკავშირებს, რომ ჩემი ბავშვის ნათლიები გახდნენ და სამუდამოდ დავნათესავდით.

რაც არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის მაინც სულ ერთად ვართ და მათნაირი ნამდვილი მეგობრები იშვიათები არიან. ჩემი ბიჭები, შემოევლოთ ჩემი თავი უზომოდ მიყვარს ორივე და ჩემი ვარსკვლავები არიან.

ვიცი, რომ ერთ დღესაც იქნება დიდ პოლიტიკაში ერთად მოვალთ, ისევ ერთად ვიქნებით, ჩავდგებით ქართველი ხალხის და ქვეყნის სამსახურში.

ამჟამად ორივე არაჩვეულებრივ ადგილას მუშაობენ მთავრობაში და საკმაოდ წარმატებული ახალგაზრდები არაინ. ვამაყობ მათით!

ცოტნე, მურმანი და ცისნამი - შესანიშნავი სამეული "ფორევარ!"

# მუსიკა ჩემს ცხოვრებაში

შვიდი წელი დავდიოდი მუსიკალურ სკოლაში, დიპლომიც მაქვს მგონი და რომ გეკითხათ რატომ? ძალიან მარტივი კითხვა მქონდა. იმიტომ რომ ჩემს მშობლებს ასე უნდოდათ. ჩემს ოჯახში: დედა, მამა, ძმა, ყველა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკარავენ, კარგი სმენა აქვთ, მუსიკალურები არიან და შესაბამისად მეც უნდა მევლო ფორტეპიანოზე, სოლფეჯიოზე და გუნდზე. ყველაზე ძალიან გუნდის გაკვეთილები მიყვარდა, რადგან ბავშებთან ერთად მეტად მხიარულ და მელოდიურ სიმღერებს ვმღეროდი. რაც შეეხება ფორტეპიანოზე დაკვრას, ნოტები კი ვისწავლე, ბეთჰოვენს, მოცარტს, ბახსაც ვუკრავდი, ვიცოდი ყველა გამოჩენილი კომპოზიტორის ისტორია, მაგრამ სოლფეჯიოსი არაფერი გამეგებოდა.

ასე უშნოდ ვხაზავდი ხოლმე ნოტებს სოლფეჯიოს რვეულში, რამდენჯერ ჩამძინებია კიდეც და რამდენჯერ ვნატრობდი სახლში ყოფნას.

შემდეგ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურასავით მქონდა გამოწერილი გამოჩენილი კომპოზიტორების შესახებ წიგნების კითხვა და მათ შემოქმედებაზე საუბარი.

ზემოთ დასახელებულ გენიოსებს თითოეული თქვენგანი კარგად იცნობს, ამიტომ სხვებზე გავამახვილებ ყურადღებას.

ჰენრი პერსელი (1659 - 1695) 17 საუკუნეში ცხოვრობდა. ინგლისური ოპერის ფუძემდებლად ითვლება. მისი ოპერა „მეფე არტური“ უზომოდ პოპულარული იყო ხალხში, რომლის მთავარი თემაა ბრძოლა ბრიტანეთის დამოუკიდებლობისათვის. ჰენრი პერსელმა დიდი გავლენა მოახდინა ბენჯამენ ბრიტენის ნაწარმოებებზე.

ბრიტენიმ შექმნა ბევრი მუსიკალური ნაწარმოები. მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ოპერა „პიტერ გრაიმსი“- ამაღელვებელი ისტორია ღარიბ მებადურზე, რომელიც შეცდომით იქნა დადანაშაულებული და გაძევებული მშობლიური სოფლიდან.

ამ და ბევრ საინტერესო რამეს ვსწავლობდი მუსიკის შესახებ, თუმცა ჩემი ინტერესი მაინც სხვა სფერო იყო: ისტორია, მხატვრული ლიტერატურა, გეოგრაფია, სამართალი.

ჩემი მუსიკის მასწავლებელს, რომელიც ჩვენი ნათესავიც იყო სახელად პაწია ერქვა. ძალიან ლამაზი თვალები ჰქონდა, მიუხედავად იმისა,

რომ დიდ სათვალეს ატარებდა, თვალებიდან გადმოსულ სითბოს და სიკეთეს მაინც ვერ მალავდა. კარგად ესმოდა პაწია მასწავლებელს, რომ ჩემგან პიანისტი არ გამოვიდოდა, მაგრამ მაინც გულიანად მიხსნიდა ხოლმე გაკვეთილებს. (მოკითხვა ჩემგან პაწია მასწავლებელს).

არ მიყვარდა მუსიკაზე სიარული, მაგრამ ბეჯითი, მშრომელი ბავშვი ვიყავი. ზამთრის ან ზაფხულის არდადეგებზე ნაწარმოებებს, რომ გვაძლევდა პაწია მასწავლებელი გასარჩევად, სულ ზეპირად ვსწავლობდი და ვცდილობდი არავის ჩამოვრჩენილიყავი.

ჩემთან ერთად დადიოდა მდივნიშვილი ნინო. ძალიან ლამაზი და ჩემზე მეტად მუსიკალური გოგონა. კარგად მახსოვს ხშირად გვაჯიბრებდა ხოლმე პაწია მასწავლებელი ერთმანეთსს.

მე, როგორც მუსიკოსის შვილს, გამოცდაზე მაღალი ნიშანი უნდა მიმეღო და სიმართლე გითხრათ ახლაც ვერ ვხვდები რატომ მიწერდნენ ამ ხუთიანებს, მართლა კარგად ვასრულებდი ნაწარმოებს თუ მამიკოს ხათრით.

რაც კი მუსიკალური საღამოები, კონცერტები და შეხვედრები ტარდებოდა მამას ყველგან დავყავდი და წითელი თმების გამო წითელ მუსიკალურ გოგონასაც მეძახდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსი ვერ გამოვედი, ვერ სიმღერით გამოვირჩევი. სამაგიეროდ იმდენი გამბედაობა მაქვს, რომ გამბედაობასაც ვეღარ უწოდებს კაცი და სითავხედეს უფრო დაარქმევს, რადგან იმდენს ვრისკავ, რომ ცნობილ ოპერის მომღერლებთან ერთადაც შემიძლია ვიმღერო. ერთხელ ერთმა დიდმა ოპერის მომღერალმა, დიასპორის დღეებზე, რესტორნაში მათთან ერთად სიმღერის შემდეგ მითხრა: „ვოკალს მიხედე შვილო, მშვენიერი მონაცემები გაქვსო“! მეგონა დამცინა თქო, მაგრამ იმდენად სერიოზული სახე ჰქონდა, რომ მეც დამარწმუნა ჩემს შესაძლებლობებში.

ბავშვობაში კი ვმღეროდი საბავშვო ანსაბლ „ენკი-ბენკიში“, მაგრამ როგორც მახსოვს სოლოს შესასრულებლად სულ მარტივ სიმღერებს მაძლევდნენ, რადგან დიდი ვერაფერი მომღერალი მე ვერ ვიყავი.

მოკლედ, მიუხედავად ჩემი არშემდგარი ნიჭისა დღემდე ვაწკრიალებ პიანინოს და სადაც დავინახავ გემრიელად მივუჯდები ხოლმე. რაც კი რამ მახსოვს ყველაფერს ვუკრავ, მერე კარგ ფანოლურ სიმღერებსაც მივაყოლებ ხოლმე და ჩემი გულის ჭიას ვახარებ.

მადლობა ჩემს პაწია მასწავლებელს, ჩემს დედიკოს და მამიკოს, რომ ბავშვობიდან მუსიკის სიყვარული ჩამინერგეს.

მუსიკის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია და შემიძლია ყველაგან ვუსმინო, ეს იქნება კლასიკური თუ თაამედროვე.

სულ სიმღერით, მუსიკით და სიხარულით გეცხოვროთ ყველას. ვიმედოვნებ, რომ ჩემი პატარა ჩანახატით ისიამოვნებთ.

საუკეთესო სურვილებით
ცისნამი

## რესტორანი, რომელიც გულის ფერია

ნიუ-იორკის შტატში, „სტეიტენ–აილენდის" პატარა, ლამაზი კუნძულის მყუდრო უბის ნაპირზე ამერიკული რესტორანი "Gatsby's On The Bay" მდებარეობს.

რესტორნის სახელი ცნობილი ამერიკელი მწერლის ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის წიგნის "The Great Gatsby"- ის (1925) შთაგონებითაა დარქმეული. რაღაც უცნაურად თბილი სურნელი ტრიალებს და განსაკუთრებული ადგილია ყველა რომანტიული ადამიანისათვის, განსაკუთრებით წყვილისთვის. შესვლისას თვალს ჭრის ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმული თანამედროვეობა და სიძველე. კართან მარცხენა მხარეს თანამედროვეობის პირველი ელემენტი - გრძელი ბარია მოწყობილი, სადაც ნებისმიერი სახის ამერიკული სასმელით შეგიძლიათ გაიგრილოთ სიყვარულით აგიზგიზებული გულები. დარბაზში კი ანტიკურობის სურნელი ტრიალებს. ლამაზი, გულისფრად მორთული მაგიდები, რომლებიც არისტოკრატულად არის გაწყობილი და უდავოდ მიუთითებს პატრონის დახვეწილ გემოვნებაზე. ასევე წითელი – სიყვარულის ფერი ხელსახოცები, მაღალი, ამაყად მდგომი ღვინის ჭიქები, დანები და კოვზები თეფშის მარჯვენა მხარეს, ხოლო თანმიმდევრობით დაწყობილი ჩანგლები მარცხენა მხარეს, ახლად რესტავრირებული ანტიკური პიანინო და მასზე დედოფალივით წამოსკუპებული დიდი ძველი საათი. კედლებზე შეფენილი ფოტოებიდან ადვილად შეამჩნევთ ახალგაზრდა და იდუმალებით მოსილი მილიონერი ჯეი გეთსბის სახეს და მისი მიჯნურის – ულამაზესი დეიზის მომხიბვლელ თვალებს.

იქ განთავსებულ ინტერიერსაც გულის ფერი დაჰკრავს. ფარდები, გარეთ მდგარი ქოლგები წითლად ღაჟღაჟებენ და ვინ იცის, ალბათ ზამთარში ბუხარშიც ცეცხლი წითლად ღვივის.

შეგიძლიათ ისიამოვნოთ არაჩვეულებრივი მენიუთი, რომელიც სავსეა ნოყიერი ამერიკული კერძებით, ზღვის პროდუქტებით, დესერტით და ყველანაირი სასმელით. ამ სამზარეულოში ყველაფერი სიყვარულითა და სიტკბოთი მზადდება. როგორც ამერიკელები იტყვიან: "Everything made with love and an extra spoon of sugar! "

ყველა შეყვარებულ ადამიანს შეუძლია ესტუმროს და თავად განიცადოს ეს სიამოვნება. ყოველ ხუთშაბათს ქართველი პიანისტი – ირაკლი შარაძე ატკბობს სტუმრებს ქართული და უცხოური რომანსებით. მომღერალ ნინი შერმადინის ტკბილი ხმაც საოცრად ერწყმის იქაურობას. პარასკევს საღამოს საქსაფონი უკრავს, შაბათი საღამო კი მთლიანად ჯაზ-ბენდს ეთმობა.

აღსანიშნავია, რომ იქ მომუშავე პერსონალი ღიმილით, მშვიდი და ბედნიერი სახით გეგებება. სიცოცხლე რომანტიულად ჩქებს და წამოსასვლელად გამზადებულს უკან დაბრუნების სურვილი გიჩნდება.

ამერიკული რესტორანი გამორჩეულია იმითაც არის, რომ მისი მეპატრონე ქართველი ემიგრანტი – 36 წლის შალვა ჯიბლაძეა, რომელიც თითქმის 12 წელია რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ახალგაზრდა კაცი, რომელიც ადვილად ხიბლავს ყველა კლიენტს თავისი თავაზიანობით, ყურადღებით და არისტოკრატული იერით. როგორც ქართველებს გვიყვარს თქმა, ეტყობა კარგი დედის გაზრდილი არისო, ზუსტად ასეა. თითქოს თავისი იდუმალებით წააგავს "The Great Gatsby"-ის მთავარ პერსონაჟს გეთსბის. მის პიროვნებას თან ახლავს იმედი, გამბედაობა, საქმის სიყვარული და რომანტიკული სიხალისე. ეს ალალმართალი კაცი დიდი მრავალსიტყვაობით არ გამოირჩევა, არ უყვარს საკუთარ თავზე და თავის ბიზნესზე საუბარი, მეტად თავშეკავებულია და ერთი ზედმეტი სიტყვაც კი ვერ დავაცდენინეთ.

ბატონ შალვას და მის ულამაზეს რესტორანს ვუსურვებთ დიდ წარმატებას და უფრო მეტი სიყვარულით მოჯადოვებული კლიენტის სტუმრობას.

# მეტი ქალი ქართულ პოლიტიკაში!

საზოგადოება, რომელიც კოლონიური მენტალიტეტითაა შეპყრობილი, სადაც ქალი მხოლოდ დიასახლისად მოისაზრება, რომელმაც ქმარს უნდა უკეთოს გემრიელი კერძები, ასუფთაოს სახლი, აღზარდოს შვილები, აუთაოს მეუღლის პერანგები, სადილის შემდეგ სერიალებს უყუროს და საღამოს 10 საათზე დასაძინებლად წავიდეს, რთულია რამე შეაგნებინო!

სამწუხაროა, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას არ სურს გაიგოს, რომ ქალი გარდა იმისა, რომ არის კარგი დიასახლისი, მეუღლე, დედა, შესაძლებელია იყოს საუკეთესო ხელმძღვანელი, მმართველი, ჰქონდეს თავისი შემოსავალი, საუბრობდეს დამაჯერებლად და უფრო მეტად იყენებდეს თავის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. სწორედ ქალია ის არსება, რომელიც აღძრავს ენთუზიაზმს მამაკაცში, რომელსაც შეუძლია ყველანაირ გამოუვალი სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოს, ღიმილით მიესალმოს ადამიანებს, გულღიად ჩამოართვას ხელი მტერს და არ შეეშინდეს თუნდაც იმის, რომ მას ბევრი მათგანი ვერ გაუგებს. ქალი, რომელიც მუდამ ფიქრობს დიდ საქმეებზე და თავადაც ვერ ხვდება როგორ პოულობს ძალას ამ დიდი საქმეების შესასრულებლად. ქალს შეუძლია მუხლჩაუხრელად იშრომოს და გამოკვებოს მთელი ოჯახი. ფაქტი სახეზეა, ნახევარ საქართველო ემიგრანტი ქალები ინახავენ და ყველასთვის ნათელია რა მძიმე შრომის ფასად.

ქალი, რომელიც ყოველთვის პატივს სცემს სხვის აზრს და ყოველთვის ცდილობს თანამოსაუბრესგან დასაწყისიდანვე დადებითი პასუხი მიიღოს. ქალს, რომლესაც შეუძლია ბევრი ისაუბროს, ბევრი ისმინოს და თანაგრძნობით მოეკიდოს სხვათა სურვილებს, იდეებს. ქალი მიმართავს ყოველთვის კეთილშობილურ მოტივებს, შეუძლია ისე მოიქცეს, რომ სიამოვნებით გაგაკეთებინოთ ის, რასაც იგი გთავაზობთ. მხოლოდ ქალს შეუძლია ბავშვური გულახდილობით აღიაროს ჩადენილი შეცდომები, ვიდრე სხვა გააკრიტიკებს. დაიმახსოვრეთ, რომ მხოლოდ ქალი გაქცევთ ნამდვილ მამაკაცად.

ასე რომ, მეტი ქალი ქართულ პოლიტიკაში!

## ემიგრანტის წერილი - თურმე სიყვარული კიდევ შეგვძლებია...

2015 წლის 14 ივნისს თბილისში მომხდარმა სტიქიამ მთელი საქართველო და არამარტო საქართველო, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში მცხოვრები ქართველობა ფეხზე დააყენა და ყველას მიძინებული გრძნობები გაუღვიძა: სოლიდარობა, სიყვარული, ერთობა.

თურმე ქართველებს ჩვენს დროშიც შეგვძლებია სიყვარული! მაინც და მაინც რაიმე უბედურება უნდა დაგვატყდეს თავს, რომ ასე გავერთიანდეთ? არ ჯობია ყოველთვის ასე გვიყვარდეს ადამიანებს ერთმანეთი, მეტი სიკეთე ვთესოდ ჩვენს გარშემო, მეტად დავუდგეთ მხარში მოყვასს... მაშინ ხომ აღარ იქნება ამდენი ბოროტება, შური და ბოღმა ამ ქვეყანაზე. ხომ შეიძლება, რომ სიყვარულით იყოს მართული ოჯახი, ქვეყანა და ერთმანეთზე ზრუნვით იყოს სავსე ადამიანთა ყოფა?!

მდიდარი აღარ დაჰყურებდეს ზევიდან ღარიბს, ძლიერი აღარ ჩაგრავდეს სუსტს და არსებობდეს სამართლიანი, თანასწორუფლებიანი, სრულყოფილი, საზოგადოება, როდესაც ყველა ბედნიერი იქნება.

როგორც ინდირა განდი ამბობდა: "სიყვარული ჩვენი ყოფიერების კანონია". თუ სიყვარული გახდება ჩვენი საზოგადოების მთავარი კანონი, რომელსაც ყველა დაემორჩილება, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მდიდარი თუ ღარიბი, მაშინ აღარ იქნება შური, იქნება მეტი პატივისცემა – მშობლების, მოხუცების, სარწმუნოების, ტრადიციების, ერთმანეთის და რაც მთავარია საკუთარი თავის მიმართ.

ჩვენ ყველანი ერთი დიდი სამყაროს შვილები ვართ, ნურასოდეს დავივიწყებთ ამას.

სიტყვა "თბილისი" წარმოსდგება ქართული სიტყვიდან "თბილი" და მე დღეს ვხედავ ძალიან თბილ, შრომისმოყვარე, კეთილ და პატიოსან ადამიანებს ატალახებული თბილისის ქუჩებში, რომლებიც ძალას და ენერგიას არ იშურებენ, რომ ჩვენი დედაქალაქი დაასუფთავონ, შეძლებისდაგვარად ძველი ხიბლი და სილამაზე დაუბრუნონ მას.

თანამემამულენო! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა თქვენს რიგებში დგომა და ჩემი პატარა წვლილის შეტანა იმ საქმეში, რომელსაც თქვენ ასე უანგაროდ აკეთებთ!

თქვენ ჩემთვის ყველანი გმირები ხართ და მიხარია, რომ ერთმა დიდმა ძალამ – სიყვარულმა გაგვაერთიანა. ამ გაჭირვების დროს თქვენთანა ვართ მთელი ქართველობა, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ...

მეამაყებით ქართველებო! თურმე სიყვარული ისევ შეგვძლებია!

ამიტომ კიდევ შევძლებთ ჩვენი დადებითი ენერგიის ქვეყნის სასიკეთოდ დახარჯვას!!!

გულთბილი მოკითხვა შორეული ამერიკიდან.

ცისნამი საყვარლიშვილი

New York
15. 06. 2015

# ნანა ჟითანავა



დავიბადე და გავიზარდე ქ. ფოთში (1956 წლის 2 აგვისტოს) 1973 წელს დავამთავრე ფოთის N5 საშ. სკოლა.1974-ში სწავლა გავაგრძელე ГПИ-ში (საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში) სამშენებლო ფაკულტეტზე. მალევე გავთხოვდი და შემეძინა 4 შვილი. რა თქმა უნდა სწავლაში ხელი შემეშალა და ინსტიტუტი 1989 წელს დავამთავრე. უაღრესად თბილი ოჯახი შევქმენით მე და ჩემმა მეუღლემ და 21 წელი ვხარობდით შვილებით, მოყვრებით. მერე ჩვენი გზები გაიყო - მძიმე სენშეყრილი ჩემი თანამეცხედრე გარდაიცვალა ...მეოთხე შვილი სამწლინახევრის დამრჩა... ერთად რომ ვყოფილიყავით (შვილები თბილისში სწავლობდნენ), საცხოვრებლად გადავედით დედაქალაქში. ყველა ღონე ვიხმარე, რომ ისინი კარგი - ადამიანთა მოყვარული და განათლებულები ყოფილიყვნენ. გავმრავლდით. მყავს რვა შვილიშვილი (ჯერ-ჯერობით) ვემადლიერები უფალს. სკოლიდანვე მიყვარდა ლიტერატურა. დიდი მადლობა ქ-ნ თინათინ გოგიჩაიშვილს (ნათელში ამყოფოს მისი სული) მეწერებოდა.. ოღონდ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი ...იყო პერიოდი, როცა პწკარის დასაწერადაც ვერ ვიცლიდი... მართლა არ ვიცი რა დავწერო, ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ.. ვარ დედა და „ბავშვებს ვხატავ" მზეს და მიყვარს ადამიანი თავისი შუქ-ჩრდილით.. მძულს - თავად ცოდვა (არ მაქვს ანგელოზის ფრთები თავადაც-შემინდოს უფალმა)... „ვაგროვებ" სიკეთეს და არ ვარ მოღალატე.

2008 წლის აპრილიდან იტალიაში ვცხოვრობ და ვმუშაობ. სუნთქვა მიჭირს, ჩემი სამშობლო ისე მენატრება .. სული იქ დამრჩა, მგონი...

თქვენ დიდი სიამოვნება გელით წინ მკითხველო-

რედაქტორისაგან.

***

ადამიანის ჩონჩხი დაახლოებით 220 ძვლისაგან შედგებაო...
ისინი, დროთა განმავლობაში იღლებიანო...
ცვდებიანო ...
სუსტ ძვლებს ბევრი რამ ერევაო...
უამინდობის ჩათვლითო...
ჭრიჭინს და წუწუნს იწყებენო...
ეე, მაშინაა საჭირო ის უხილავი ფრთებიო...
ა, ის, - სული რომ ქვიაო...
გაყინულ ტბებს იხვებივით მაინც რომ გადავუფრინოთ, თუ
გედებივით ვერაო...

***

"სიზმრად ვნახე თეთრი გედი... ნეტავ, დედა, რაო?
სანთლები და მგალობლები... ნეტავ, დედა, რაო?
დედი, დედი, თეთრი გედი სულ მე მედარაო,
ფრთას მიქნევდა... და მღეროდა... ნეტავ, დედა, რაო?
- თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასო!...
შენს სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!..."

***

ფრთებს როგორ მოიქნევ სუსტი ძვლებითო...
ადრე უნდა გეფიქრაო...
დადიანებში გაიარეო...
ძვირფასი ქვებით მოჭედილ სკივრში,
ბევრ სხვა სიწმინდესთან ერთად,
წმინდა გიორგის ბარძაყის ძვალი ასვენიაო...
აა...
არც შენ იცოდიო...
უნდა გცოდნოდაო...
"უნდა" რა სიტყვააო?! - ძალადობას გავსო....
"...- ვითომ ჩემი თეთრი კაბა ტალღებს ეფარაო,

შავს მიჰქონდა მდინარესა... ნეტავ, დედა, რაო?
- თეთრი კაბა წყალს მიჰქონდა? ვაჰ, შენს დედასაო?
შვილო, შავეთს გათხოვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
- მიწას ხარი ჩაღმუოდა... ნეტავ, დედა, რაო?
- შვილო, მამაშენი არი... ვაჰ, შენს დედასაო!
- ეგრე მწარედ რომ ყმუიან, ნეტავ, დედა, რაო?
- ეს აღგეთის ღეკვებია, ვაჰ, მათ დედასაო!
- ვითომ ყვავილები წვიმდა... ნეტავ, დედა, რაო?
- საქართველო ატირდება... ვაჰ, შენს დედასაო!..."

***

ოღონდ შენ არ ამიტირდეო...
ამ დაღლილი ძვლებით გადავალ დადიანებშიო...
დავუჩოქებო...
შევევედრებიო...
მეც წამოგყვებიო,
შეგეხიდებიო სიტყვებით ...
შენთან ერთად ვისუნთქებო...
წყალს მაინც დაგალევინებო...
ერთად წავიდეთო...

***

ქარია და ძვლებს მიღრღნის.....

***

სველ ქვაფენილზე
შიშხინებენ საბურავები...
იწუწებიან საკვამურები,
სახურავები...
ნიაღვარს მიაქვს

გინება
და
სამდურავები...
ამ სვეღ მახეში
თავად არ ვიცი
როგორ გავები...
დღეს წუთს არა ჰგავს წუთი...
სივრცეც მოქნევაა ფრთის...
- გამოიდარებს!
- ნუთუ?

***

ვერხვი წვიმაში თრთის...

***

ბედნიერი დღე, ჩემო კარგებო!
თუ რამე სათქმელი გაქვთ, მომწერეთ რა, პირადში.
ნუ მებუტებით ...
და ნუ "მსჯით" იგნორით...
ხშირად , საკუთარ ფიქრებს შევყავართ შეცდომაში...
და ერთი ცივი, უსუსური ფიფქი შეიძლება ზვავად გადაგვექცეს...
მერე, ჩვენივე ნაფიქრალის გამო "ვწვალობთ" და გულდაწყვეტილები
ვიმტვრევთ თავს - "რატომ"?
მომიტევეთ, თუ ჩემს მიმართ თქვენც გაგჩენიათ ასეთ
ფიქრი...(ემიგრანტის დღიურებიდან)

***

"დღეს ისეთ ხასიათზე ვარ
გულს ნაწილ-ნაწილ ვარიგებ
ვისაც გსურთ - სითბოთ სავსეა
ვისაც არა და...გავიგებ..."

***

ხიდიდან ფრიალ-ფრიალით ეშვებოდნენ ქაღალდის ქათქათა ნაკუწები...
დაფლეთილი სულის მსგავსნი...
მერე მოწვიმა თვალთაგან...
და ამჯერად გულში კი არა მტკვარში ჩაიღვარა...
იმანაც დიდსულოვნად შეიმატა და
ვიღაცის დარდს შეეხიდა...
მერე...
ხიდზე იდგა წითელ მანტოიანი საკიდი...
დიდხანს იდგა...
მარტო...
უპატრონოდ...
მიტოვებული...
მერე...
ვიღაცამ გუბურას დაუდევრად გადაატარა მანქანა...
და გაიწუწა მანტო...
და ეწყინა ქ ა ლ ს...
მერე...
გაბრაზდა ქ ა ლ ი!
მერე...დახეული დღიურის ლურჯ ყდას უცნაური დანანებით გადახედა...
ჩახედა მტკვარსაც...
ახედა ცას და
გააგრძელა გზა...

***

მივაბიჯებდით ერთხანს ტროტუარზე ფრთხილად.. ხან ჭრაჭუნა თოვლზე.. ხან ცივ გუბურებში.. ხან გადახურებულ ქვებზე..
ხან ვდუმდით.. ხან უმიზეზოდაც ვიცინოდით.. ხან ვიცრემლებოდით..
ვპოულობდით და ვკარგავდით ერთმანეთს..
არაფერი ვიცოდით ერთმანეთზე.. ხან ვეძებდით მერე და ხან არა..
არაფერი ვიცოდით ერთმანეთზე და ღამეებს ვათენებდით ფიქრში-რა მოხდა..
ხან შენი ფერი არ ემთხვეოდა ჩემსას და ხმას ვერ გიწყობდი სიმღერაში მე..
ხან ჩემთან ქრებოდა მზე და ხან შენთან..
მადლობა, თუ შევძელი და ერთი დღე მაინც გაგილამაზე... ერთი ლამაზი წამი მაინც თუ მაჩუქე..
ვემადლიერები უფალს, რომ ცოტა მაინც, სულ ცოტა, ერთად ვიმგზავრეთ..
დაუნანებლად და რიხიანად რომ მიათრევდი ჩემს ბარგს...
რომ მიმშრალებდი ცრემლს და თავად იცრემლებოდი ჩუმად.. რომ არ გვქონია საერთო ბუხარი და ცივ ზამთარში არ გვეფარა სავარძელში საერთო პლედი მუხლებზე...
ერთი ზღაპარი მაინც თუ გვქონდა საერთო ძილის წინ და სიხარულიც - უმიზეზო...
რომ არ ვკინკლაობდით "არ ეწყინოს" შიშით..
რომ ტყუილუბრალოდ ვეჭვიანობდით და ვცდებოდით...
რომ არ გვშურდა ერთმანეთის საჩუქრები...
რომ ერთნაირად არ გვიმძიმებდა მხრებს ხანდახან ნაცრისფრად მოქუფრული ზეცის ფარჩა და ერთად არ გვახრჩობდა მოვარდნილი ზღვის ტალღა..
მადლობა უფალს ცოტა ხანს მაინც რომ დაგვამგზავრა..
მადლობა...

***

მაშინ...
ჰო,
რამდენიმე წლის წინ...
დიდი ხნის უნახავი გიორგი უნდა მენახა...
ბილეთი ოჯახმა მიყიდა და რამდენიმე დღის შვებულებითაც გამახარა!
...
გარბის ჩქაროსნული მატარებელი და წვეტიანი ცხვირით მიაპობს ბოლონიის ულამაზეს სანახებს...
მეც, გამომესხა ფრთები დიიდი ხნის შემდეგ!
და ძალიან "ახალგაზრდა" ვარ!
და შემიძლია ჩემი პირველი სიხარულის ნახვა!
მიხარია! - ისევ ჯანზე რომ ვარ!
მიხარია! - სხვანაირი დღე რომ მაქვს!
ტურისტის შეგრძნება რომ მაქვს და გარეთ ქართულ-იტალიური მაისი რომ დგას!
და ვანათებთ მე და მზე!
და მატულობს ტემპერატურა მატარებელშიც...
ასე მგონია სამყარო მარტო მე და გიოს გვეძებს და გვამჩნევს და ახლა შეგვახვედრებს...
და თავად მოარული ბედნიერება ვარ!
არ მაქვს წონა...
და არც ასაკი ...
და არც დაღლის შეგრძნება და ...
ჩანთაში საქართველოს დროშა მიდევს! - გავხსნი - ჩავხედავ - დავხურავ...
ვიხედები მატარებლის სარკმელში ...
"სად გამირბიხართ მთებო.."
ვიცი, რომ რაღაც ულამაზესს ვხედავ, მაგრამ ვერ აღვიქვამ კარგად და იმ წუთასვე "ვეცლები" ...
ახლა სხვა რამაა მთავარი...
თუ...
არა...

ვერ ვაზროვნებ...
გიორგი...
გიორგი...
გიორგი...
ვერაფრით ვერ ლაგდება შეხვედრის სურათი გონებაში...
ის წამი? როცა თვალს მოვკრავ...
როცა ის შემამჩნევს...
ის, ჩემი სისხლის პატარა ნაწილი...
ჩემი მიწის წიაღიდან ამოსული ...
გული ბაგა-ბუგს მიწყებს და რატომღაც, ისევ რაღაცას ვეძებ ჩანთაში...
"ჰო, დროშას გავხსნი და თავს ზემოთ ავწევ, რომ ქართველების ყურადღება მივიქციო... სად დაბინავდნენ , ნეტა...
როგორ ვერ მივაგნებ..."
წინ ვიღაც ახალგაზრდა მიზის და ისეთი თვალებით მიყურების გაზეთის ზემოდან, რომ მიწაზე ვეშვები და ჩემი უხილავი კომპასით ვამოწმებ "სიტუაციას"...
მატარებელი რიმინში ჩერდება. მგზავრი ოდნავ მიღიმისავით და ჩადის...
.... პეზარო!
ადრიატიკის ზღვა!
აქ მზე ზღვიდან ამოდის და აქ სულ სხვანაირი აისია...

***

ჩამოიმსხვრა მინა...
დაისაჯა ბიჭი.
პატარა გულმა იდარდა, იდარდა და ... სიკვდილი ინატრა.
"ინანებენო"...
"ნეტა როგორ დამიტირებენო"...
ბაბუამ ჩახედა შვილიშვილს თვალებში... უსიტყვოდ ჩაჰკიდა ხელი და ერთ ტრიალ მინდორზე, მაღალ კოშკზე აიყვანა.
-ჩვენს სახლს ხედავ ამ სიმაღლიდან?
-ვხედავ... რა პატარაა..
-შენს მიერ ჩამტვრეულ ფანჯარას თუ ხედავ?
-ვერა, ვერ ვხედავ...
-აი, როცა ამ უშველებელ და ულამაზეს სამყაროს დაინახავ,
გარს რომ გაკრავს,
მაშინ პატარა-პატარა უსიამოვნებანი უჩინარნი გახდებიან,
ჩემო პატარა...

***

.....ვის გაუგია ხარობდა ვაზი პლასტმასის ფესვით.
ჰოდა... არ მომწონს ხელოვნური რითმა და ლექსიც... არც ხელოვნური სრულყოფილება სილიკონებში... არც ვარდი მიყვარს ხელოვნური...
აი, ასკილის ყვავილი კი...
სულ სხვაა გულით მოძღვნილი...

.

# "ᲓᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲙᲕᲐ"

(გურამ რჩეულიშვილის მიხედვით)

მყინვარის ძირში
ცხოვრობდა ლელა.
შეყვარებიათ
ქალწული დევებს.
რაშავ-დელაო
და შავ დელა...
მიუყვებიან
მდუმარე ხევებს...
თეთნულდს ნისლები
ეხვევა მკერდზე -
ვისი იქნება
ქალი ლელაო..
როკავენ ცეცხლის
ენები ბედზე -
რაშავ-დელა
და რაშავ-დელაო..
თორმეტჯერ თორმეტი
დაცალეს ყანწიც,
ალიც ცას წვდება-
სურვილით იწვის...
სხვა უფლის ნება
იქნება აწი -
გრძნობა ცისა,
თუ ვნება მიწის..
-არც ერთის!
არც ერთის! -
რეჩხი ქნა გულმა...
ქარმაც ცივ-ცივი
ფიქრები ქარგა..
მზეთუნახავზე
შეყვარებულმა
თორმეტივე ძმამ
თავი დაკარგა...
თეთნულდი ნისლში დგას
მთლად შიშველი...
ჭოტიც კივის და
ხრამიც ხარხარებს...
მე ვერ გიშველით...
მე ვერ გიშველით -
გაფითრებულა
წითელი მთვარე.
ვაი მათ დედას...
ვაი მათ გამდელს -
უკანასკნელსაც
მოედო ალი.
წამს მიეძინა
მზის ამოსვლამდე.
სულგაყინული
დგას პატარძალი...
მბორგავი ძილით
ჩაუძინიათ
მყინვარის ბებერ,
გაყინულ კლდეებს,
მას მერე
აღარც გაუღიმიათ,
ჩუმად ითვლიან
დარდიან დღეებს...
2003წელი

***

2016 წლის 29 აპრილი

აბეზარმა კოღომ შუბლთან გაიწუილა. წამის მეასედში ვიტკიცე ხელი, მაგრამ ამაოდ. ტკაცუნის ხმა კედლებს უცნაურად მიედ-მოედო და ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

მარცხენა ხელის მოხრილი თითები ტუჩ-ნიკაპზე მაქვს აკრული, თვალები დახუჭული და ღეიბს მთელი სიმძიმით მინდობილი ძილის ანგელოზებს ველოდები.

ორი დღე და მეორე ღამეა კოკისპირულად წვიმს, როგორც იცის, ხოლმე, აღდგომის წინა კვირაში....

მესმის როგორ ხმაურობენ წვეთები ალვის ფოთლებში, სახლების სახურავებზე და უკვე დატბორილ მიწაზე..

ღამაზად გაკრეჭილ, გალუმპული ტრიფოლატებს შეფარებული ჩიტები მეფიქრებიან... ახლადშეფოთლილი, ნაზფოთლებიანი ჰორტენზიების ბუჩქები ... მწერები...

კისრის არეში ვგრძნობ გულისცემას.

ხელი დამიბჟუვდა და ავდექი.

შუქი - არა!

ტელეფონიც გათიშულია..

ინტერნეტი - არა!

ღამე...

წვიმა...

კოღოები და მათი საქმენი-საგმირონი...

ფანჯრიდან ვიხედები - სკვერი ლამპიონთა ყვითელი შუქით და წყლითაა სავსე. დარაბები ღიაა და შუქი შპალერივით აკვრია ჭერის და კედლების ნაწილს, ანუ ხელისცეცება სულაც არაა საჭირო ოთახში გადასაადგილად...

რა ვაკეთო?

"ერთი სანთელი სულ უნდა გეგდოს ჩანთაში!"

"კაი, კაცო! რამდენი რამ უნდა მეგდოს ამ ჩანთაში! ვითომ არ იცი, რა სიხშირით მიწევს "მიგრაცია" და დავათრევ ამ ჩემს მძიმე ჩემოდნებს... და საერთოდაც, ნუ მედავები სულ..."

დავავლე ხელი ჩემს ყავისფერ ბლოკნოტს (1991 წლის კალენდრიანს), ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯდე და საწერად მოვემზადე. მექანიკურად

სათვალეც კი გავიკეთე ...
"ხედავ რამეს?"
"სტრიქონებს.. მოკლედ, ხაზებს ვხედავ, რა.."
იეღვა ...და მერე ისე დაიგრუხუნა ცამ, რომ შიშისაგან შემკრთალს ბლოკნოტი გამიცურდა და იატაკზე მოადინა ზღართანი...
... არ მიყვარს ჭრელა-ჭრულა თეთრეული...
ეს ლეიბიც ისეთი ნესტიანი მეჩვენება...
გავისუსე, იქნებ დამეძინოს...
ორი დღეა ძვლებს მიხრავს ამინდი...
...
ამ დილით, სკაიპმა, მითხარი კავშირი თუ მოგეწონაო და ვარსკვლავებიანი "სარკმელი" ამაფარა ცხვირწინ.
კი - მეთქი.
ო, შენ გაიხარე, მადლობაო!
გაიზარდე დიდი გოგო-მეთქი!
"რა გაცინებს, რა..."
"რა ვქნა, აბა, ვიტირო?"
...
ლილაუთენია მოვიდნენ . დახსნეს ჭაღები და წაიღეს.
სახლი მალე უნდა დაიცალოს და მერე მეც "გამაცილებენ და ისევ ახალი გზა...და ისევ ახალი ხალხი და სტრესი და მრავალწერტილი...
...
ლაურამ კონჩეტასთან დამტოვა "პრანძო"-ზე და თითონ სამსახურში "გაიქცა".
ვისადილეთ.
ს-რ ბეპე, კონჩეტა, მათი ქალიშვილი - ლილიანა, ლილიანას სეტერი - ჯულიეტა და მე!
რა მივირთვით და, - პასტაშუტა ტონოთი და პიტნიანი კვერცხის ტაფამწვარი.
("პასტაშუტა ტონოთი" რა არის?- ჩვეულებრივი სპაგეტია მოხარშული და შიგ თევზის კონსერვია გარეული...)
ამინდის მიუხედავათ, ქოლგებით შეიარაღებულნი სასაფლაოზე წავედით...
ლილიანამ გზა და გზა გიდობაც გამიწია...

წვიმას თავისი ღრმა კვლები დაუტოვებია საფლავებზე და..
იტირა კონჩეტამ...
დედას და მამას ტიროდა და ვიტირე მეც... უნებურად...
- ვწუხვარ სამუშაო რომ დაკარგე, იშოვი რამესო..აი ბეპე ხომ დაგპირდაო...
ამათ ჰგონიათ მომვლელს ადამიანური, უანგარო თანაგრძნობა არ შეუძლია...
მეგონა მიცნობდა...
...
დავბრუნდით ჯოზეს დაცარიელებულ სახლში.
აივნიდან ყვავილების ქოთნები ჩავზიდეთ დაბლა ... მანქანის საბარგული სხვა ხარა-ხურებითაც ავავსეთ და წავიდნენ...
როგორ მწყინს , რომ უნდა წახვიდეო, რომ აწი, გზაში არავინ დაგვადევნებს "ბუონა სტრადაო" (მე როგორც შემეძლო , ისე ვუსურვებდი , ხოლმე, გზაზე დამდგარით ბედნიერ მგზავრობას..)
"მიდისპიაჩეო"...
მეც მენანება ამათთან დაშორება, - განა ბევრი მინახავს აქ ასეთი კარგი ოჯახი...
...ქოშინით ამოველი მაღლა და სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ ამ საღამოს (ყველაზე ცოტა ერთი ღამით მაინც) სიბნელეში ყოფნა მომიწევს - შუქი არ აინთო.
როგორ არ ვეცადე... არაოოოო...
ვააა, რომ მივდიოდი ნამდვილად იყო.
დავბრუნდი და არაა...
...
ასეთი გაცეცხლებული არასოდეს მენახა ბ-ნი კუკური!
- შეკრიბე ეს ცხვრები ჩემს კაბინეტში, ახლავეო!
შევგროვდით "ცხვრები" ...
კაბინეტის კარიც ჯახუნით მიხურეს და ვზივართ გასუსულები, ვაფახულებთ თვალებს. რას გვიპირებენ, ნეტა?
ამხელა ხარაჩოები დაუხსნიათო!
კაციშვილმა როგორ ვერ შეამჩნიეთო!
ახლავე წერილობითი ახსნა-განმარტებები გააკეთეთო და აქ დამიდეთ მაგიდაზეო!

(თან სულ ძახილის ნიშნებით აივსო კაბინეტიიი)
"ვაი თქვე საცოდავებოო" - ასეთი თვალებით გადმოგვხედა და გავარდა!
....
შევაგროვეთ ფურცლები და ველოდებით..
შემოვარდა!
თვალებში უხეში ხარაჩოები მიტრიალებს და მართლა ვწუხვარ... მეც ამ დილით გავიგე... უკითხავად დაუხსნიათ და...
ჰაიტ!- ფიქრებში წასულს მოულოდნელობისაგან გული შემიქანდა!
ატრიალებს ერთ ფურცელს ბ-ნი კუკური და ისედაც წითური, ისეა გაპილპილებული, გეგონება გავარვარდაო...
მიყრის ამ ფურცლებს, მერე შეაგროვებს... გვიყურებს...ისევ მიყრის ...
ბოლოს, აიღო იგივე ფურცელი, ზედ რაღაც წააწერა გააკეთა გაკრული ხელით და გავარდა!
"კვარამ" გამოგვაფხიზლა. გაბედა და ხელი გადააწვდინა...
მისი ახსნა-განმარტება ყოფილა...
ამანაც დაუფიქრებლად ხმამაღლა წაიკითხა და რეზოლუციაც ხმამაღლა მიაყოლა:
" სახლში წასვლის წინ ვნახე, ბ-ნო კუკური, კ ა ზ ი ო ლ ე ბ ი იყვნენ (იყვნენ!) და ამ დილით არ იყვნენ კ ა ზ ი ო ლ ე ბ ი და რა ჩემი ბრალია და რა ვქნა ბ-ნო კუკურიიიიი! ოჰ!"
რეზოლუცია:
"ამის დამწერი ა ბ დ ა ლ ი ა!!!!!!!!"

***

წლებს
ჩიტებივით ფრთები აქვთ...
ყავარჯნებითაც დადიან -
მძიმე ტვირთს ეზიდებიან...
ხან ანათებენ მზეებად,
ხან ყინულივით დნებიან...
ერთ წუთისოფელს ითვლიან -
იხარჯებიან.. ცვდებიან...
გზად მოგონებებს ტოვებენ -
ახალგაზრდულად ვნებიანს...
მაჭრობას გადაივლიან...
ვით ღვინო - დადინჯდებიან...
ერთ დროს ნათელში ელვარე
წყვდიადს უჩინარდებიან...
წლებს
მოკლე ბილიკები აქვთ -
იბადებიან - კვდებიან...

***

რა დრო გასულა - სიცოცხლე მთელი...
შენი თითების სიღბო აქვს ღამეს...
ამაოდ ველი რომ დამიძახებ,
ამაოდ ველი...
უკვე აღარც მწყინს,
ჩემი გული რომ
გიჭირავს ხელით
და ისე უჭერ, გახეთქო ლამის...
...
შენი თითების სიღბო აქვს ღამეს...
ნანინა

***

იცით, რამდენი ამგვარი აბდა-უბდა (ახლა რომ მოგიყვებით) იბადება უძილო ღამეებში? უუუ... - ბევრი.
ხან -და -ხან, ისინი მხილველ-დამბადებლის თვალის გასახელადაც იბადებიან... (ან - ა ს ა ხ ე ლ ა დ)...
რომ თვლემ და დახუჭული თვალების წინ ქარ-ბორბალასავით ტრიალებენ კადრები, - იფლითებიან, ერთდებიან, ხან ზევით მიქრიან , ხან უფსკრულში ეშვებიან, ხან გალუმპულ მინას მიეკვრებიან და სხვის ფანჯრებში იჭყიტებიან... ხან საკუთარ ჯოჯოხეთში იწვიან და იბუგებიან...
შენ მისდევ...
და ვერ ჩერდები...
და არც იცი რატომ მისდევ...
- დაანებე თავი...
თან, რომ ვერც ეწევი?
ვერ ეწევი და ამასობაში კიდევ ახალი სცენა...
მერე ისევ თვლემა გაირინდება წამწამებზე...
მძიმეა ის თვლემა, დაღლილ გონებას მაინც ვერ ერევა და ისევ დატრიალდება ქარი ქვიშაში...
და არღვევენ ღამეს აბდა-უბდები...
პიესა ნამდვილად გენიალურია - ვერაფერს იტყვი...
აბდა-უბდა თავისთავად აბდა-უბდაა და ამიტომ, გამოეკიდე თუ ბიჭი ხარ.
ჰოდა იქ ედემიც არის, ჯოჯოხეთიც, თავისი ცეცხლით და წვით...
....მაგიდაზე, მოწნულ კალათში, ვაშლის და ლეღვის ბუტაფორიაც თვალს იტაცებს...
(იქნებოდა დამრგველი.. გამზრდელი.. დამკრეფი.. გამყოფიც და მჭამელიც - რა, თქმა უნდა! ის რომ ბუტაფორია არ ყოფილიყო...)
აბდა-უბდას თვლემის დროს, ქერუბიმები ქუთუთოებს უნანავებენ, რომ წამწამებზე ჩამომსხდარი ძილის ანგელოზები არ დაფრთხნენ...
ამასობაში, ქარი დაღლილ ფრთებს შემოიკეცავს და სცენიდან კულისებში შეისვენებს...
განა კულისებში ისეთი განათებაა, როგორც სცენაზე...

რეკვიზიტებსაც არ უნდა გამოედო, ხელიცეცებით უნდა გაიარო დერეფნებში, მით უმეტეს, თუ თეატრი კარგად არ იცი...
და მსახიობიც ცუდი ხარ...
თუმცა, ქარს ეს საშიშროება არ ემუქრება, იმიტომ რომ ქარია და ხან ასე წამოუბერავს, ხან ისე ...
და გარეთაც გაიჭრება ...
და ცაშიც აიჭრება...
და მტკვარზეც აღელდება...
და თუ უნდა, ბერმუხებსაც წამოაქცევს...
დაატრიალებს ამ „ცელოფნის" პარკებსაც აღმა-დაღმა
და არც იმის მოერიდება, რომ ჭადრების შიშველ ტოტებს შეატოვოს...
და აი, კიდე დარდიო - წაისისინებს ...
ღმერთო, ჩემო, მთლად გაუტია, ხო იცი...
მერე უყურებ ამ ჩამოწუწულ-დაფლეთილ-ჭუჭყიან პარკებს და ფიქრობ :
-ნეტა აფრენა შემეძლოს, რომ ეს ყველაფერი ავკრიფო, თავი მოვუყარო და გავაუვნებელყო...
...თოკზე ჩითის კაბა ფრიალებს...
რატომღაც, დედასია-მეთქი გავიფიქრე...
ეს როდის ვნახე, ახლა?
ანუ ვთვლემდი?
ძველი და ახალი ისე ირევა, რომ თავად აბდა-უბდაც ვერ დაადგამს თავს..
ყველაფერი გაწუწული იყო და ერთი ხიდიღა დარჩენილიყო მშრალი ...
და იყიდებოდა ყველაფერი...
წინაპრების გაყვითლებული,ნაპირებშემოხეული ფოტოსურათების ჩათვლით...
არა და, თითოეულ მათგანზე, გაკრული ხელით წაწერილი იქნებოდა რაღაც, მხოლოდ იმ ერთისთვის მიძღვნილი და განკუთვნილი...
"უნიკალური ნაწყვეტები ადამიანთა ცხოვრებიდან"...
უსიყვარულო ქარი ქროდა და... თვალებიც ნელ-ნელა ხდებოდნენ მინის...
და უკვე ველარ არჩევდნენ ნამდვილი იყო ვაშლი, თუ ბუტაფორია...
და სიყვარულზეც კრინტის დაძვრაც სჭირდა...
რატომ?- არ ვიცი...იქნებ არც სხვებმა იცოდნენ ...
გზა...
ნისლი...

მერე ისევ გზა - გასაკვლევი თავიდან...
და ხვალ...
მერე, ისევ ძველი პიესა...ან, ახალი - "მოდერნიზებული"...
გაუგებარი შემოხიზნული სიტყვებით სავსე ...
და ბევრმა არც იცის რა ლამაზია სიტყვა
დ ა ფ ი ო ნ ი...
რა ვარდისფერია, რა ცინცხალი და ცვრიანი...
....ნაწილი ჯიბეშიო...
ნაწილით რემონტიო და ახალი სცენა და ახალი ფარდაც კი... ახლა მთავარია ქარი რომელი მხრიდან შემოუბერავს...
ისევ საშიშია ორპირი ...
ჰო, ბრმათათვის კულისებშიც მეტი სინათლეოოო...
ასე ყოფილაო უფრო კარგ ადგილებშიო...
რას იტყვისო სტუმარიო...
კიბეზე მათხოვარი რომ ზისოო?..
იმასო, სხვა ადგილას გადასვლას ვ თ ხ ო ვ თ ო ო ო...
... თოკზე რომ ჩითის კაბა ეკიდა...უბრალო...სადა... იმ ვაჟკაცის დედისაც იქნებოდა, ქალი რომ დაიცვა წოწიალისაგან...
ან იმ კაცური კაცისა, დედაზე ავი სიტყვის თქმა რომ არ გააბედინა დაუნახავ ცოლს...
ან ის ლამაზი, ჩითის კაბა, იქნებ იმ ქალისა იყო, ვაჟკაცი რომ არასოდეს დაამცირა და უყვარდა უბრალოდ...
შვილები რომ დაუჩინა და ერთი წუთით არ დააკარგვინა ქმარს რწმენა საკუთარი ვაჟკაცობისა და ადამიანობისა...
აბდა-უბდა...
და ყველა შვილი იყო ვიღაცის... და ვიღაცის დედა...
განსხვავება მხოლოდ დედაში იყო...
ერთმა, წაქცეულს ხელი რომ შეახიდა და ბოლომდე მის გვერდით დარჩა მოსიყვარულე, მზრუნველი...
ფანჯრიდან მთებს რომ დაანახებდა და ეს შენი მთებიაო... შენი მამულიო...
მეორემ, - ეს რა გამიკეთეო, ერთ წამცდარ ნაბიჯს რომ გადააყოლა წყევლა-კრულვით და გააგდო მოუსავლეთში ...თუმცა არც ჭამა დააკლო, კიდეც ასვა და "არმანებშიც " ატარა, მაგრამ ერთხელ რომ არ უმღერა

იავნანა? ნაგავი მანქანის ფანჯრიდან რომ მოასროლინა?!
მხოლოდ ეს...
მხოლოდ ეს, თორემ ყველა ვიღაცის შვილია და ვიღაცის დედა...
ნეტა იმ შვილს, დედის გადაწერილი პირჯვარი რომ გადააცილებს კარის ზღურბლს...
"უფალი იყოს შენი შემწე"... "სი ქოგალე"...
ჰოდა... ამ ყველაფრის გარეშე, ადამიანებს თვალები ნელ-ნელა მინისა გაუხდათ... ჰო, ადამიანთა ნაწილს მინდოდა-მეთქვა.
...და ბევრი სასიყვარულო სიტყვებითაც ღიზიანდება დღეს, რადგან თავადაა უსიყვარულო...
....იქნებოდა ადრეც და ახლაც არის გოლეულიც სიმწარის ახლოში...
ყოველ უძილო ღამეს იბადებოდნენ, ალბათ, გენიალური აზრებიც და დიდიდი აბდა-უბდებიც...
ყოველ ღამეს მოჰყვებოდა დილა...
და დილას - იმედი.

***

ამ საღამოს ისევ ვიპოვე ორიონი და მანამ ვუყურე, სანამ კისერი არ მომელრიცა...
ქვემოთ კი ხელოვნური ნათებაა - გალაჟღაჟებულია სკვერიც, ქუჩებიც სახლებიც... ნათურებს ქვეშ ცარიელი მერხები იყინებიან და ხან და ხან ხეებს შეყუჟულ ფრინველთა ფრთების ფათქუნი თუ არღვევს ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს...

* * *

.... წყნეთისკენ მიმავალი მანქანების ფარებილა მიდასტურებენ, რომ სიცოცხლე გრძელდება და ეს წკვარამი დროებითია...
ზამთარი...
ყინვა..
ქარი...
წყვდიადი და

ჩემი ლოჯი....
ხშირ-ხშირად გამირბის მზერა მაღლივისკენ - თუ შუქს მოგვცემენ, პირველად იქ აინთება...
გადაირია ქარი! - სისინებს და სიცივე ფანჯრებს აქეთაც ძვალ-რბილში ატანს...
ამ მორყეულ ფანჯრებს არ შემომიმტვრევდნენ ეს აღვები...
ყინვა და ღამე ძალაში შევიდა...
აი, ახლა გავიგებ ფეხის ხმას...აი ახლა...
ისაა! - ოოოოჰჰჰ... მადლობა ღმერთო, ახლა შემიძლია მოვდუნდე...
შიშიანი მოლოდინის შემდეგ, ოჯახის ყველა წევრი სახლშია და ვგრძნობ გაყინულ თითებში როგორ იღვიძებს სისხლი... ვხვდები რა არის ცხოვრებაში მთავარი და რომ სანთელიც კი არ იწვის უსიყვარულოდ საქართველოში... ჰო! თითოეული ოჯახი პატარა საქართველოა...
შუქს დევები ხან მოგვცემენ, ხან წაგვგვრიან... მთავარია ის პატარა, ხორბლიან ჭიქაში ჩარჭობილი სანთელი იწოდეს სიყვარულით...
მახსოვს როგორ ვიწროვდებოდა ოთხკუთხედი მაგიდის ირგვლივ წრე... სახეები განათებული...
და ... თვალების ერთნაირი რამდენიმე ჭრილი, შიგ მოლიცლიცე სანთლის ანარეკლით... კიდევ, თითოეული ჩვენთაგანის უკან, კედელზე ლანდების იდუმალი ლაცილი წყვდიადში...
"არა მხოლოდ პურით ცოცხლობს ადამიანი, არამედ ღმერთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით"...
და შუქიც ყოველ ჩვენთაგანშია ...
და ვიწყებდით კითხვას...
ვიწროვდებოდა წრე და სხვა სამყაროში გადავდიოდით...
არც ტელევიზორი, არც მაგნიტოფონი და ემინემი გვიშლიდა ხელს...აღარც უშუქობა გვახსოვდა იმ საათს, აღარც ნისია და არც ჯიბეები რომ უნდა გადმოგვეტრიალებინა, ხურდა მაგიდაზე დაგვეყარა და მეორე დღისთვის , გზის ფულად თანაბრად დაგვენაწილებინა...
შუქი მოვიდააა!! - იხუვლებდა საბურთალო, გამოგვაფხიზლებდა, და ფანჯარაში უნივერსიტეტის მაღლივიც გალაჟღაჟდებოდა...

****

იმ წელს, თებერვალმა თოვლიბალ ჩამოთოვა ...
ზღვა ისე ღელავდა, ისე ეხეთქებოდა ნაპირებს,მეგონა ამ უზარმაზარ, მჭყავანა ფანტელებსაც გადარეცხდა ლოდებიდან.
...მდუმარედ მივუყვებოდით მე და მამა გაყინულ სანაპიროს...
მივაბოტებდით თოვლ-ჭყაპში გარინდულნი და არას ვაგდებდით ქარის მოტანილ, დამსხვრეული ტალღის შხეფებს, გვერდულად რომ გვცემდა...
მარცხნივ, გამდნარი თოვლით ჩამოხუნძლული და საკუთარი ფიქრებით დამძიმებული ხეები მოგვაცილებდნენ...
მარჯვნივ ზღვა ღმუოდა...
ჩვენ - უსახლკაროებივით, თუ უპატრონოებივით - მათ შუა ...
...და არაფერშუაში...
გულნატკენები და დაკარგული ხელთათმანებივით ცარიელნი...
მივდევდით გზას...
ჩუმად ვაპარებდი მშობლისკენ თვალს ...
მარჯვენა მხარით ვგრძნობდი მისი ნაბიჯების სიმძიმეს, ჩემსას რომ ჰგავდა ასე ძალიან...
საშინელი თერთმეტი თვე გავიარეთ...
წინ ჩამქრალი, ცაში აზიდული, ზოლიანი შუქურა და "ნახუტრუს" სასაფლაოს ყრუ კედლები მოჩანდა, ჟანგისგან გამოჭმული რკინის ჭრიალა კარით...
"ყვავილები არ მოგვაქვს, დე..."
მამას , სიბერისგან თუ დიდი სულიერი ტკივილისგან, ცრემლით ჰქონდა თვალები სავსე.
ხელკავი დავუმძიმე ყურადღების მისაქცევად ..
გამომხედა.
-გცივა? -გამიღმასავით. - ჩამიყავი ჯიბეში ხელი...
გადავაჭდეთ თითები.
მოულოდნელად დავინახეთ ისინი...
ორნი... ერთმანეთს შებერებულნი... სიცივისგან თუ სევდისგან მობუზულნი...
ხელკავით გადაჭდობილნი...
მოდიოდნენ ნელა, ფრთხილი ნაბიჯებით...

ცოლ-ქმარი იყვნენ, აღბათ...
ორი ნაწილი და ერთი მთელი...
"მეც ასე მინდოდა"...
ერთდროულად წამოგვცდა...
ერთი და იგივე დროს , ერთი და იგივე სიტყვები...
ცივი, გაყინული თებერვალი იდგა...
იმ დილას თოლიებად ჩამოთოვა ...

***

ვუყვარვარ...
არ ვუყვარვარ.
ვუყვარვარ...
არ ვუყვარვარ...
მე რომ მიყვარს? - აღბათ სულელი ვარ, ან ცოოოტათი მაინც სულელს ვგავარ....
აი, დარდი! -
მე მიყვარხართ!

***

ჯერ ერთი კვერცხი დავაწკაპუნე ნიჟარის კიდეს, ცილა ფრთხილად და პირწმინდად მოვაცილე და სახელურიან , ბავარიული ლუდის სარეკლამო ჭიქაში ჩავუშვი (ეს დატოვეს-არავის მოუნდა )... მერე მეორე... ხო! პატარაობიდანვე მიყვარს გოგლი -მოგლი... გუშინ, დორიმ სოფლიდან ექვსი კვერცხი ამომიტანა-
ნ ა ტ უ რა ლ უ რ ი ა ო და ჩემი ქათმებისო... "პანორამაში" გადავალ და ახლავე ყველაფერს ამოგიტან, რაც გჭირდებაო...
ხუთი დედმამიშვილიდან, მხოლოდ ვაჟი - ანტონიო და მისი დორი ცხოვრობენ სოფელში... მშრომელი, ნათელი სულის ხალხი ჩანან...
იუარე, რამდენიც გინდა, მაინც არ დაგიჯერებენ - იმდენ რამეს

ამოგიტანენ, რომ უმუშვარ ქართველთა ჯარს დააპურებს.
თითქმის გამოცარიელებული სამზარეულოს უფარდებო, შემინულ კართან ვდგავარ და ვთქვეფ...
აივანი სავსეა ყვავილებით...
მიწაც გამოვუცვალე ( ოოო, როდინდელი მიწა... ბებიასთვის უყიდიათ ყვავილების მაღაზიაში და ესეც აივანზე ვიპოვე... ბოლო დროს, გონებაარეული "მზად იყო" საგაზაფხულო სამუშაოები დაეწყო )
ლუდის ჭიქა ღამის აივსო... შაქრის ნაწილაკებიც აღარ ეტყობა და მე უკვე ვსუსნაობ..
დედა ბეზეში ალუბლებს ჩაყრიდა და უუგემრიელეს მუსს გვიკეთებდა...
კიდე ვარდების ფურცლებს შაქარს აყრიდა და ყოველ დილით გამოჰქონდა მზეში, კიბის საფეხურებზე...
კიდე...
კიდევ ბევრი რამ ამოტივტივდება ხოლმე თავში...
გარეთ კი აპრილია ძალაში შესული!
ამ დილით ერთი ფოთოლიც არ ირხევა...
მზეა ტახტზე და
სადღაც მაააღლა, მაააღლა, მაგრამ მზეზე დაბლა, თვითმფრინავი ცას თეთრ ხაზსავლებს....
ქვემოთ კი, სკვერში წყვილი ალვა ისეა გახარებული და ნორჩად შეფოთლილი, რომ ცხადად ვგრძნობ როგორ მაწევს მხრებზე წელთა სიმრავლე...
ოჰ! - აივნის მოაჯირზე ჩიტუნა შემოჯდა, თავი მარიონეტივით მკვეთრად შეაბრუნ-შემოაბრუნა, გოგლი-მოგლით ხელში დამინახა და დაფრთხა...
დავდივარ ცარიელ სახლში და საკუთარი ფეხის ხმაც სხვანაირად მესმის...
კუთხეში კარგად შეფუთული და დახარისხებული "ნაგავი" ელოდება თავის ჯერს... გუშინ მაკულატურის გატანის დღე იყო, დღეს - პლასტიკატის, ხვალ - შერეული ნარჩენების...
...
სიცილიიდან ჩამოვიდნენ პატარა შვილებით - სიღარიბეს და უმუშევრობას გამოერიდნენ იმედიანები...
ახალგაზრდები იყვნენ და აქ დასახლდნენ...

ხარობდნენ... იშრომეს... იწვალეს ... დააფრთიანეს ბარტყები... ემატებოდა ოჯახს ხვავი და სამახსოვრო ფოტოსურათები კედლებზე და ძველებურ თაროებზე...
უყვარდათ...
ერთგულობდნენ...
ბევრი რამ იყო...
- არ მოგერიდოს, თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში... მე ვიცი, რა ძნელია სხვის კარზე იდგე...- მითხრა მოხუცმა აქ მოსვლისთანავე...
- მეც შენსავით ვიმუშავე 32 წელი... მაშინ თეთრეული უხეში მიტკლისა იყო და ვხარშავდით. მერე ხელით ვჭიჭყნიდით და ვწურავდით... ეზოში...სიცხესა და სიცივეში... ის ზემოდან ჩამოყრიდა ფარდაგებს... თან თხუთმეტივეს ერთ დღეს და მე დაფერთხილ დასუფთავებულს, ძლივას ავათრევდი მესამეზე... თმები გახამებული მქონდა მტვრისაგან... თავად არ ვიცი როგორ ვბრუნდებოდი შინ...
აივნიდან ვიხედები ისევ...
გოგლი-მოგლი ამომითავებია...
წინა სახლში, სადარბაზოს დამლაგებელი იტალიელი ქალი მოსულა. ახლა აქ მორჩება, "შემოახტება" თავის "ფიატს" "ფიატოგახშირებული" და სხვაგან იმუშავებს.. მერე კიდევ სხვაგან... განსხვავება მხოლოდ ტრანსპორტშია. სამუშაო - ძნელი და ანაზღაურება -მინიმალური... შემცივდა.
გარედან ბავშვების ჟრიამული შემოიჭრა.
აივანზე გაველი.
ამ მხარეს მზე მხოლოდ ალიონზე ადგება...
საღ გაქრნენ...
აივნის ბოლოში ძველი მაგიდა დგას და ზედ ახალდარეცხილი ხელოვნური ვარდები შრებიან. არ გადავაყრევინე - ჟოზე უფრთხილდებოდა და სასაფლაოზე ხომ არ წაიღებდით-მეთქი.
ჭკუაში დაუჯდათ.
ყველაფერი გადაყარეს, რასაც მოხუცმა მთელი ცხოვრება შეალია.
რა წყლის ნაყვა ყოფილა ყოველივე...
რამდენი წვალება...
რა რუდუნება...

რამდენი უსარგებლო ნივთიც...
გუშინ დაურამ ამოირბინა.
ვერ ჩერდება ცარიელ სახლში დიდხანს.
ვწუხვართო ასეთ გარემოში რომ ხარო. იქნებ ჩვენთან წამოსულიყავიო დროებით, სამუშაოს შოვნამდეო...
რა იციან იმათ, რას ნიშნავს იყო თავისუფალი და თავისუფლად, თუნდაც ცოტა ხანი და ასეთ გამოცარიელებულ სახლშიც...
არაფერი მჭირდება-მეთქი. მადლობელი ვარ-მეთქი ცხელი წყალი, გაზი და კომპიუტერი მაქვს-მეთქი.. ცოტა ხანს ვისვენებ ასე-მეთქი და კიდევ ბევრი "მეთქი"....
....
სამი დღით ადრე, ჯოზემ ჩემი სახელი ვერ გაიხსენა და ასე მომმართა:
- მე უკვე ჩემს სახლში მივდივარ სენიორა...
გონებაარეული ჰქონდა.
ეგონა ვიღაცამ საკუთარ სახლს მოაშორა და საღლაც დატოვა. ეგონა აი, ახლა უკვე ტოვებს იმ საზარელ ადგილს და საკუთარ ბუდეს უნდა დაუბრუნდეს...
მადლიერებით სავსე იყო ჯოზე... იცოდა, რომ მადლობა არ უნდა დავიწყნოდა...
- მე უკვე ჩემს სახლში მივდივარ, სენიორა და მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ...

მერე,
სიჩუმეში,
გრძელ სამდღიან სიჩუმეში
ვინ იცის
რას ფიქრობდა
უცხო და უკიდეგანო გზაზე გასვლის წინ...

***

ქშენით ამოვათავე ექვსი რვასაფეხურიანი მარში.
არა და, რა ადვილად ჩავიარე იგივე გზა ამ დილით.
ცოტა ადრე ჩაველი , არ ვალოდინო-მეთქი მარია-როზა..
არაჩვეულებრივი დილაა - თბილი, მზიანი...
ნაცრისფერ ასფალტზე ჩიტუნამ ფრთები შეიფერთხა და ხტუნვა-ხტუნვით შემოუარა ჩვენი მაროკინელი ფატიას მანქანას. (გუშინ, სხვათაშორის, სახლში გამომცხვარი თბილი პური ამომიტანა -გასინჯე ჩვენებურიაო...)
ფატიასავით თბილი, საამო შესახედავი და გემრიელი იყო პური...
- ნეტა რას ეძებს? - თვალი ისევ მოხტუნავე ჩიტისკენ გამექცა, თავის ჩრდილთან ტანდემში რომ დახტოდა ჩემს ახლოში...
ის იყო ჩანთა და საბუთების მძიმე , ნარინჯისფერი საქაღალდე იტალიური ფიჭვის ქვეშ მერხზე ჩამოვდე, რძისფერმა "მინიმაც" შემოუხვია, ჩემი "პაპკისფერი" "ორსული" ფარებით...
მარია-როზა...
"შეხვედრა-აპუნტამენტო" ერთი საათის შემდეგ გვაქვსო და საკუთარ სახლში წამიყვანა, ყავა დავლიოთო.
ულამაზეს, მყუდრო ბინაში ამოვყავი თავი და უცებ, ისე მომინდა ჩემს ღარიბულ სახლშიიი...
კარგად ვიყავითო... ახლა ბანკი გვემუქრებაო...
...რა ძნელად ამოვიარე საფეხურები, - ახლაც ვქოშინებ. არა და რა სხარტად ჩავიარე იგივე კიბე ამ დილით...
" მიზარიკორდიაში" ქალბატონ მარიასთან წარმადგინა მარიმ და დამტოვა.
საქაღალდის პირველ გვერდზე ღვთისმშობლის ხატი მქონდა ჩაკრული.
მოხუცი დაინტერესდა და ასლის გადაღების უფლება ითხოვა.
რამე თუ გამოჩნდება დაგიკავშირდებითო.
მე, რა თქმა უნდა, მარტო მაგათი იმედით როდი ვარ.
არაჩვეულებრივი დღეა გარეთ.
"დურჯი აპრილიიიი"...
"ტოტოს პიცერიაში" "მარგარიტა" შევუკვეთე და საქაღალდის "დადაგებაც" მოვასწარი... გემრიელ პიცას აკეთებენ აქ - მე მომწონს... თან მცნობენ და თავს მარტოც მშვენივრად ვგრძნობ..

უფასო ავტობუსით ვიმგზავრე - "ნავეტა" ჰქვია.
ტრასაც გადმოვჭერი და მზით გაღაჟღაჟებულ ხეივანს ავუყევი..
აკაცია და მისი ჩრდილი...
მზით გადაღებილი ასფალტი...
ცაცხვი და მისი ჩრდილი...
მზე და ასფალტი...
აკაცია...
მზე...
ცაცხვი...
ასფალტი..
აკაცია...
გზა..
გადასასვლელი...
"არაფერი თავისით არ კეთდება და იცვლება, სანამ შენ არ გააკეთებ და შეცვლი"..
ჰოდა,
მეც,
კიდევ ერთხელ,
ავიარე და ჩავიარე აღმართ-დაღმართი...
დანარჩენს ხვალე იკითხავს და მე მივიღებ გამოწვევას, სხვა რა გზა მაქვს...

***

გრძელი აგონიაც არსებობს, თურმე...
ხარბად ისუნთქავს ჰაერის ბოლო ულუფებს...
ღამის სამის ნახევარია...
ვდარაჯობ...
ყელში სევდაგაჩხერილი ვდარაჯობ...
ახლა, ბინაში მე და სიკვდილი ველით რაღაც მნიშვნელოვანს და გარდუვალს, ოღონდ სხვადასხვაგვარად...
სასთუმალთან უზის , თუ ფერხთით - არავინ იცის... ან, რა მნიშვნელობა აქვს...

სუნთქვის ხმას ვაყურადებ...
მრავალწერტილები...
კითხვის ნიშნები...
სევდა, ასე რომ არ უხდება აპრილს,
მე
და...
ის, ვისი შიშიც დედის მუცლიდანვე დაგვყვება.
წკაპ... წკაპ...
არა, კი არ ისმის წვეთბის ხმა, უბრალოდ..
ჩუმად იღევა ფიზიოლოგიური სითხე ბოთლში... სიცოცხლესავით იღევა...
"დამლალა ზეცამ, იმდენს ვფიქრობ...........................
მივაწყდი სარკმელს, წავიკითხე ვარსკვლავთა ქვები
გარდაცვლილ მზეთა სასაფლაოს მოჰგავდა ზეცა
და გამითეთრდა ერთ ღამეში შიშისგან თმები
და იმ წამივით კვლავ სარკეში ჩახედვის შემრცხვა".

(გ.ზანგური)
გარედან არ-უცნაური ჭრიჭინი შემოჰყვა ჰაერს...
ამეკვიატა "ღამის ოთხი"..."ღამის ოთხი"...
ადამიანები ერთმანეთს არ ვინდობთ, ვექიშპებით, ღამისაა ყელი გამოვღადროთ შურით დაავადებულებმა, პირველობის სენით შეპყრობილებმა...
წკაპ...წკაპ...
წკაპ...წკაპ...

***

გეგონება საღათას ძილით ჩაიძინა გუშინ...
სძინავს.
სახლი სევდიანი სიჩუმითაა სავსე.
გაზაფხულიდან მხოლოდ დამთბარი ჰაერი ერგო მოხუცს, ისიც დღეში რამდენჯერმე, სარკმლიდან დოზებად შემოშვებული მარტი...
აივნის ქვემოთ კი მოლიანი გაზონები "მარგარიტკებით" აივსო.
ზამთარში გამოდგმულ, დიდ კერამიკულ ქოთნებში უკვე ზამბახები ამობიბინდნენ და ლურჯი თვალები გაახილეს.
ალვის ხეთა წყვილებმაც გაიღვიძეს...
სახლის მეორე მხარეს მზე მხოლოდ დილით ადრე ადგება, თან ისე აღმაცერად დაჰყურებს სახლს, რომ აივანს მთელი მარტის თვე აჟრიალებს, ხოლმე ...
სუსტი ქარი ქრის და ღრუბლებით ცას ათას რამეს ახატავს...
ჩიტები ჟღურტულებენ ...
ფილტვები ხარბად ისრუტავენ ჟანგბადს...
პეპელა შემომაფრინდა და წაფარფატდა.
უსუსური იყო.
დამეკარგა.
ვდგავარ და ვეძებ კოხტად გაკრეჭილ ფიჭვთა ფონზე...
ისევ მომეპარა , ლამისაა ლოყაზე შემეხო და გაფრიალდა...
"ადამიანებს რომ სასწაულის სწამთ, ეს არის დიდი და შეურყეველი სასწაული."

( პოლი ჯან)
იქნებ ვინმეს სულია?
ამ გაზაფხულიდან, მოხუცს, ცოტა ჰაერიღა ერგო (შემთბარი) და დედის დღეზე მოტანილი ენძელები...

***

ნიჭი რომ მოეცა უფალს...
- რისი ნიჭი?
დანახვის...
მოსმენის...
შესმენის...
შეგრძნობის...
დაკონურად გადმოცემის, აი ისე, რომ ყველაზე ბრმას, ყველაზე ყრუს და უგულოს მიეტანა საგულესთან, გულისყურთან და ქუთუთოებზეც ეგრძნოთ...
- რას იტყოდი?
- არაფერს...

***

მშვიდობა! - ჩემი შვილების გულებში.
მშვიდობა! - ჩემი დების გულებში.
მშვიდობა! - ჩემი მეგობრების გულებში.
მშვიდობა! - ჩემი მტრების, შურიანების და ღვარძლიანთა გულებშიც
(ღმერთმა უშველოთ მათ პატარა სულებს...)
მშვიდობა ჩემს საქართველოში და ყველგაააან...

***

ბუმბული ქარს გადაეკიდა:
შენზე მსუბუქი მე ვარო!
ვერა ხედავო, შენს მხრებზე
რა არხეინად ვწევარო?!
ქარს გულში ჩაეცინა და
მდინარის ტალღებს მივარდა,
ზედ შეატოვა ბუმბული -
გადაუარა გუგუნით!
ბუმბულს არ ჰყავდა უფალი და..
დაიხრჩო "თავისუფალი".
ნანინა

***

ზღვას არც ამჯერად არ ეძინება...
ღობს
შემსხვრეული ზვირთების ქაფი დაედინება...
რას გადაწყვეტენ მაღლა, იმ ციურ სათათბიროზე...
უცნობი ჩრდილი გაწოლილა სანაპიროზე...
დიდი ხანია ყავლი გავარდა ლოდინს...მოლოდინს...
დრო არ გაჩერდა - ბედს ეთამაშა, კარგად გაერთო.
არა და, კარგი მასალა ჰქონდა თითებში როდენს...
ლოდი კი ისევ ლოდად დარჩა -
არ შეხებია ნიჭი მაესტროს...
უცნობი ჩრდილი გაწოლილა სანაპიროზე...
რას გადაწყვეტენ მაღლა... იქ, ციურ სათათბიროზე.
ნანინა.

***

... ბეტონის ლოდებიდან ამოშვერილ რკინებს ფრთხლად ავუვლიდით და ბოლოში გავდიოდით ...
გაზაფხული თქრიალებდა ძარღვებში...
მოდი...
შატალო...
იქ "სხვა" ზღვა გვხვდებოდა,- უფრო წყნარი, ვიდრე სანაპიროზე..
მხრებში გაშლილი, მზეში ათქვეფილი ჰორიზონტით...
გემები...
"კომეტები" წყალქვეშა ფრთებით...
ფერი იმ ზღვის, იმ ცის, დაბადებიდან რომ შეგვისისხლხორცდა და დღემდე დაგვაქვს დასავლთეებს...
თოლიები...
თოლიები...
ძველი, დაჟანგული "ბარკები"...

ჯიბეში ჩაკუჭული ყელსახვევები და ბაფთები...
ზღვისა და მზის სუნში არეული გაოფლილ-გადახრუკული მხრების აღმური და...
მეთევზეები -
ანკესიანი, პირში "პრიმა" გაჩრილები...
დაზაგრული, კაფანდარა, ან ჩასუქებული მხრებით და ზურგებით...
ირიბად, ოდნავშესამჩნევი ღიმილით რომ გამოგვხედავდნენ და:
ჩუ!- თევზები არ დაგვიფრთხოთო!
სკოლაში რად არ ხართო ამ დროს...
...მაშინ სისხლში ზეიმობდა გაზაფხული!

***

გივიწყებ შეგნებულად...
გივიწყებ ყოველ დღე და ყოველ ღამე...
გივიწყებ მანამ, სანამ მარტის თექვსმეტი  ყელში მომებჯინება...
უნდა გადავრჩე... ჩემი ტვირთი ბოლომდე უნდა ვზიდო...
შენ იმ სოფლიდან დამაკვირდი... და..როცა მეტს ვეღარ შევძლებ,
ჩამკიდე ხელი...
მიყვარხარ!

***

ზიხარ...
ფიქრობ და არ იცი რაზე....
ჩემოდანი კუთხეში დგას...
და
თოლიები, სადღაც შოორს,
შოოორს,
ზღვის ნაპირზე
სხედან ქვაზე...

ხავსიან ღოჯს ტაღღა ერჩის...
მზე ციმციმებს ცისფერ ცაზე...
ზიხარ...
ფიქრობ..
და არ იცი რაზე
და ეს გაბრაზებს და...
დგები.

***

მთელი ღამეა ვდარაჯობ. საბანს იხდის და მერე სცივა, საწყალს...
მოხუცს ისევ არ სძინავს და ახლა საკუთარ თავს ეძახის: -
ჯოზეფინაააა... ჯოზეფინააააა...
გუშინ საკუთარ შვილს შეეკითხა:
- დედათქვენი როგორ არის?
შეგეშინდება ამის შემყურეს, აბა, რა...
... რა ძნელია უყურო ადამიანის ტვინის ამ უნიჭო "შემოქმედებას"...
მალე აქაც ინათებს.
გარედან შაშვის ხმა შემოდის და მე ...დიდი ეგოისტი ვარ.

## მოგუგუნებს გაზაფხული!

ოქროსფერი დალალებით
მზე ბუდიდან რომ გადმოვა...
მთაში როცა დაიწყება
ალუბლების ფიფქით თოვა...
ჩიტივით რომ ჩამოუვლის ბაღებს სიო,
ვარდებს დაეტყობათ თითოლვა..
ბარტყი ბუდეს მოშორდება
ძალამოკრებილი ფრთებით...
ნუშით შეიმოსებიან
„მონტე სერას“ რუხი მთები...

რა დაფარავს სევდიან მთის
ისეც დაუფარავ სურვილს -
გამო-გამოზაფხულების...
გაიღვიძებს მთაში წყარო,
ღურჯი ფრთებით,
ღურჯი ხმებით...
მიწა ფეთქავს...
ზღვას მიელტვის ნაკადული ...
რამ - დი - დარო...
რამ - დი - დარო...
რამ - დი - დაროო...
ტყეებს ბაგე დასკდომიათ
- თებერვლის თვეს დაუქარავს...
ებრძვის ქარი ცაზე ღრუბლებს
- მარტს ზამთარი მოუპარავს...
ზურმუხტისფრად ფერადდება
კუნჭულ-კუნჭულ კალთა მთისა...
მზე გვირგვინით რომ გადმოვა,
იების და კესანების დასცემს კარავს...
რა დაფარავს სევდიან მთის
ისეც დაუფარავ სურვილს -
გამო-გამოზაფხულების....
მიწა ფეთქავს...
მღერის წყარო...
აკაკუნებს გაზაფხული -
დამინახე -აგერ ვარო!
გულში ვარო!
სულში ვარო!
რამ - დი - დარო...
რამ - დი - დაროოო...
რამ - დი - დაროოო....

***

„ერთი ფშაველი ქალი მიყვებოდა: მამა ავადმყოფი მყავდა, შეშის მოტანა რომ დაგვჭირდებოდა, დედა ურმის კოფოზე მამას დასვამდა, სახრეს იმას დააჭერინებდა და ისე გავიდოდნენ სოფლიდან. ტყეში დედა სჭრიდა შეშას, ის უდებდა ურემზეც. მამა ცოტაზე თუ წააშველებდა ხელს. რომ გამობრუნდებოდნენ და სოფელს მოუახლოვდებოდნენ, დედა სახრეს ისევ მამას მისცემდა, თვითონ დიდ მანძილზე ჩამორჩებოდა, ვითომდა მამას მოჰქონდა მარტო ოჯახისთვის შეშა“.

(რევაზ ინანიშვილი)

სწორედ ეს არის ძალა ნამდვილი ოჯახისა...
სწორედ ამას ნიშნავს მ ე უ ღ ლ ე ო ბ ა...
ორი ნაწილი და ერთი მთელი...
ღარიბულ ქოხში დაბუდებული მზე - დილას რომ წავა და საღამოს ისევ თავის ბუდეში შემოიტანს სითბოს და იმედს...
მკვეთრი ხაზებიც, რომლებიც მუდამ სადღაც იკვეთებიან... და არამც და არამც პარალელები...
მუსიკა ყოველ ცისმარე დილას...
ცხელი საუზმე...
კამათიც, სიჩქარეც, ცრემლიც და დიდი ბრდღვიალა მზეც , ისევ და ისევ...
"არ არსებობს წრეზე უკეთესი სისრულე, წრე კი ორივეს შეიცავს, როგორც აღმავალ, ისე დაღმავალ ხაზებსაც." (რევაზ ინანიშვილი)
ოჯახიც ერთი პატარა წრეა... და საკმარისია გამოაკლდეს ეერთი პაწაწუნა სეგმენტიც,-ირღვევა... ყველაფერი თავდაყირა დგება გაურკვეველი დროით... ცხოვრება ცუნამივით გადაუვლის მაშინ და არავინ იცის, რა დარჩება მისგან, დიიიდი სიყვარული რომ არა... ხსოვნა, რომ არა...
.....
" მოლაღურები კვლავ წყნარი კურკურით ფაჩუნობენ კაკლის ხშირ ფოთლებში. არ გიკვირთ, კიდევ რომ არსებობენ მოლაღურები ქვეყანაზე - ეს ტკბილი ზღაპრები ჩვენი ბავშვობისა?!"
.....
მენატრები დედა...
იქ, ზღვის სანაპიროზე მელოდები, ვიცი... მელოდები მზიანში...

ღრუბლიანში...წვიმის თქეშში... თოვლის საფარქვეშ...
დამაზთვადებავ ჩემო...
ნაპირჩამოტეხილ დარნაკში ჩამჭკნარი ყვავილებიც არ გწყინს...
რომ ვაგვიანებთ არ გწყინს...
გაზაფხულზე, შენი საფლავის ბორცვი ახალამობიბინებულ-გაშლილ-გადაყვითლებული ენძელებით რომ დაიფარება და უცხო-მავანი ბოლო ყვავილის ჩათვლით გადაკრეჭს, რომ გაყიდოს და თავის ბავშვებს პური მიუტანოს, რა თქმა უნდა არც ეს არ გწყინს...
მადლობა, ჩემო თბილო...
მაპატიე, რაც შენეულად არ გამომივიდა, დე...
როოოგორ მენატრები...

***

ყველა დილა ვერ იქნება მშვიდობიანი ყველასთვის, მაგრამ...
რა მოხდა?- ისეთი არაფერი...
"ბურუსი იდგა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ, ცივად აორთქლებულ რძეში ჩაძირულიყო დამაზ-ქალაქი, აღარაფერი ჩანდა. ....ვეღარ ხედავდნენ ერთმანეთს, ერთმანეთს კი არა, საკუთარ სხეულსაც ვეღარ არჩევდნენ იმ უცნაურ სინათლეში.. გაოცებულნი აკვირდებოდნენ ერთურთს, მკრთალ და ბუნდოვან ჩრდილებად ქცეულთ,და, შემცბარებმა, მხარსა და შუბლზე მოისვეს ხელი, და ასე
იდგნენ..........................................................
"დილის რვა საათზე მეტია და ყველაფერი რიგზეაააა...." "
(სამოსელი პირველი)
მშვიდობა არ მოგვიშალოს, ჩემო მეგობრებო...
არც თქვენ, ჩემო მტრებო...
თქვენ რომ არა, ვიქნებოდი ისევ ვარდისფერ ბურუსში...
თქვენ რომ არა, ისევ ბევრი რამ შემეშლებოდა და ნამდვილ მეგობრებს ვერ შევამჩნევდი... სიყვარულს და ფარისევლობას ვერ გავარჩევდი ერთმანეთისგან...
ასე, რომ ბედნიერ დღეს გისურვებთ! (იქნება და ოდნავ სიკეთე მაინც ჩაიღვაროს ამ დღეს თქვენში)...
მე კი...

***

მე გაკვირდები...
შენ მაკვირდები...
ჩვენ გვაკვირდებიან...
ხან სიყვარულით...
ხან აღშფოთებულნი...
ხან შურით ...
ხან სინანულით
და ხანაც ზიზღით...
მე-ჩემი ფანჯრიდან გხედავ...
შენ შენი ფანჯრიდან მხედავ...
ისინი - თავიანთი ფანჯრებიდან გვხედავენ...
მე მაქვს ფერადი საღებავები და ფუნჯები...
შენც გაქვს, ხო?- ვგრძნობ - გაქვს...
მათაც ექნებათ...
მე ვიტყუები და გეუბნები, რომ მხოლოდ ცისარტყელის ფერები მაქვს...
რომ არ შეგაშფოთო... რომ არ დაგანაღვლიანო და თავს არ მოგახვიო რუხი...
ვიღებ ჩემს მუნჯ ფუნჯს და ისე ავამეტყველებ, რომ გაზაფხულის ხასიათზე დადგე...
შენ შენი გადამალული ფერებიც გეყოფა...
რად მიჯერებ?
ჰო, რად მიჯერებ...
იმად, რომ თავადაც კარგად იცნობ ცოდვის, ცრემლის და მონანიების ფერს...
და კიდევ შიშისფერს...
ჩვენთვის, ორივესთვის ცა ისეთი ხადასია... ზღვა ისეთი ღრმა...
ცრემლი ისეთი მლაშე და ღამე ისეთი გრძელი...
ისინი? ................ ?
როგორ ხედავენ ისინი, ყოველივე ამას...
აკი ორივემ ვიცით , რომ გვაკვირდებიან...
და ასე ხშირად ...და ასე მრავალთ რა აღიზიანებთ?
იმად, რომ ... ოდესღაც თავადაც გადამალეს რუხი საღებავები და ჩვენ შევახსენეთ...
ამ დიდით ღრუბლებს გაეცინათ და ცა გამოუჩნდათ...
იქ, სადღაც სიღრმეში, ზეცასაც ისეთივე ფერი ჰქონდა, მე და შენ რომ გვაქვს საღებავებში...

***

ამ დილით, ჩვეულებრივი დილა გათენდა.
ხუთის ნახევრიდან ისე ჭიკჭიკებდნენ ნაძვებში ჩიტები, რომ მივხვდი გაზაფხული აგერაა, ა, ღამის ფანჯრებთან...
სამის შემდეგ არ მიძინია. დილით არ ჩამეძინოს-მეთქი და ...
მოკლედ, ადრე ავდექი და მოხუცს დავადექი თავს.
რა გვიან ადექიო, იმას საღამო ეგონა.
ძალიან კარგი ადამიანია ჩემი ჯოზეფინა. ვერ გაუბრაზდები.. კი არა და სულ მინდა რომ ვეფერო.
მოვაწესრიგე, საუზმეც საწოლში მივართვი, ნემსებიც და წამლებიც მოვილიე და...
- შენ, როგორც დედა მივლიდა პატარაობას, ისე მივლიო..
(ოხ, გაუხარდა ნანას და ახლა სახეზე მკვებავი მალამოც წაუსვა, სუნამოც მოაპკურა.. )
ხუთი შვილი ჰყავს ჯოზეს. ოთხი ქალი და ერთი ვაჟი. ხუთივე იწყებს რეკვას 9-ის ნახევრიდან და და ხშირად ხელსაც მიშლიან, მაგრამ რაც დედა, ის შვილები - ყველანი ძალიან მესიმპათიურებიან და მეც დილაობით ანგარიშს ვაბარებ ეძინა, თუ არ ეძინა... ჩამოვუთვლი ყველა პროცედურას, რომ მშვიდად იყვნენ და... ალბათ, თავიც მომაქვს - ეს რა კარგი გოგო გყავართ-მეთქი... ))))
ტელეფონს მიღმა ლაურას კი ჩაეცინა რაღაცნაირად, მაგრამ ცუდი არაფერი მიფიქრია.
სადილობის შემდეგ და-ძმამ მოგეხმარებითო და დედა თავად გადაიყვანეს სავარძლიდან საწოლში. მერე უცებ აუტყდათ სიცილი...
ვიფიქრე, რაღაც პირადულზე იცინიან და უხერხულია ჩარევა-თქო...
ისევ ლაურამ "იმარჯვა":
- ნანა, რა უქენი დედას ამ დილით?- თვალები არ უჩანს , ისე იცინის..
- რა ვუქენი... ცოტა დავიბენი..
- ჰო, მოყევი ...
თურმე, "მალამოც წავუსვი"-ს ნაცვლად მითქვამს... კრემაცია გავუკეთე-მეთქი...
მეც არ გამიკვირდა, რას მოცვივდნენ -მეთქიიიი...

***

2016 წლის 3 თებერვალი · Pisa, Tuscany, Italy ·
ფორთოხლისფერ უუშველებელ ხალათში შემტენეს.
სანთელივით ჩავდნი შიგ, ჩავიღვენთე და მეგონა სული გამეყარა.
მერე გავქრი.
დარჩა ხალათი და იტალიური საბურავების შიშხინით შეზავებული
სიჩუმე - ბლანტი... თუ.. ლაბისებური...
აღარც ეკლესია ჩანს ფანჯარაში...
აღარც სიცივეა...
მხოლოდ ხალათი და შიგ ტკივილი ...
სახლის ქვემოთ, ტროტუარზე, ქუსლებმა ჩაიარეს ბაკა-ბუკით.
ვიღაც უხილავმა თავში ურო ჩამკრა... მერე გულის კოვზთან ჰაერი
ჩამიტუმბა, ამომიტუმბა და ისევ ჩამიტუმბა...
უუგრძესი წამიც გავიარე...
მტკივა, ანუ ...
ხუმრობის გუნებაზეც კი დავდექი...
"ცოცხალი ვარ, ცოცხალიიიიიიიი"...
რა საამოდ ფშვინავენ გოგოები...
დაღლილები...
ფიქრისა და მონატრებისგან გადაქანცულები...
"მაგუ, ხომ არ ახვალ ხურმის ხეზე? დამპირდი, რომ არ ახვალ! რა
გაცინებს!? ამხელა გზაზე წამოსულხარ ამხელა ქალი, რა გეხურმება!"
დაფანტული მეჩვენებიო, ნინომ...
"ასკილის ყვავილი"-ც მომაგონა...
- ეეეხ, ჩემო ნინუც, შენ არ გინახავს ჩემი ფორთოხლისფერი ხალათი,
რა დიდია ჩემთან შედარებით...

# ხათუნა შავგულიძე



ხათუნა შავგულიძე დაიბადა 1962 წლის 25 ივლისს, ქ. თბილისში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის განხრით. ლექსებს წერს 2008 წლიდან. ცხოვრობს ქ. ლონდონში ოჯახთან ერთად.

ეს ლექსი ჩვენს ხათუნას ეძღვნება ❤️

(ბათუმური მოგონება..)

ამ ღვთაებრივი შემოდგომის გამოცხადებას,
მზის ათინათებს მიმობნეულთ ბათუმ ქალაქში,
ეხმიანება სიყვარულის ძარძლვებში მჩქეფი,
ლონდონის ქუჩად მიმავალი ჩვენი ხათუნა.
მშობლიურია,მისანდობი,მხარმისაყრდნობი,
გზას ანგელოზნი უნათებენ ცხოვრების დავთრებს,
ხან უნაზესი, ხან უმკაცრესი, ხან მწყალობელი,
ლილის რითმებით ახმიანებს ჩვენს უბნის ჰანგებს.
შენს გამჭირვალე, უსათნოეს ქსელში გავები,
ჯერაც არ მითქვამს სამადლობელი ლამაზი სიტყვის,
დღეს შენს წილ მამულს შორეული ქვეყნის ფარდაგზე,
სამკაულებლად აკინძული რითმები შვენის.

ღექსთა მარხილის მელოდია ისევ ხმიანებს,
მზის ათინათებს მიმოზნეულთ ბათუმ ქალაქში,
ეხმიანება სიყვარულის ძარღვებით მჩქეფი,
ლონდონის ქუჩად მიმავალი ჩვენი ხათუნა.

(მ.დავლაძე)

## ამ ქუჩის გადაღმა
## (ემიგრანტული)

ამ ქუჩის გადაღმა ისეთი ბაღია
ფოთლები კრთებიან ნიმფების სინაზით...
აქ, შეყვარებულთა ხეივნის თაღია
სევდისფრად ნაფერი სიზმრებით სეზანის.
კენკავდნენ მტრედები ნამს, ცრემლთან ნაზავებს
და მარტოსულობდა გვიანი მაისი,
აქ, ალბათ, ებრძოდნენ ღამეებს ნამთვრალევს
და შლიდნენ მოლბერტებს მონე და მატისი.
და განა, ეს ბაღი მართლაც ჰგავს ერმიტაჟს?
სად მომცრო სკვერი და სად დიდი მატისი...
უბრალოდ, ყოველდღე, აქ, ვინმე ემიგრანტს
ფურცლებით დაჰქონდა ოცნება თავისი...

## ერთი ვინმე ემიგრანტი

არც იქით ვარ და არც აქეთ
და როგორც ძველი ბორანი
ამ ფიქრებს მძიმედ დავათრევ-
ტვირთია გაუგონარი.
გული დღედაღამ იქ დაფრენს,
სად მტკვარი ერთვის არაგვსა,
სად ფიქრის გორა ჩრდილს აფენს
იმ დაუვიწყარ ალაგსა.
გონება სულ სხვას ქადაგებს,
სული კი, შეჭირვებული,

ორ ნაპირს შორის ხიდს აგებს
ძნელ საქმეს შეჭიდებული...
ბინდი კი იწყებს მატებას,
ლოცვა იღვრება სანთლებში,
სამშობლოვ, მაგ შენს ხატებას
ვეღარ ვუყურებ თვალებში.
და ასე მიდის ცხოვრება
ფიქრისგან დამძიმებული-
გული, სული და გონება
ერთმანეთს დამდურებული.
სამშობლოვ, ნუ განმიკითხავ,
გულისფიცარზე შენ მყავხარ...
აგრე ადვილად ნუ მკითხავ:
,,სადა ხარ, თუკი გიყვარვარ?!"
მე გაბნეული ფიქრი ვარ...
მოხეტიალე ვარ სული...
შენი ვარ, შენი შვილი ვარ-
გაშვილებული ასული.
ეს სევდა განუკურნელი
სანამდე ზიანს მომიტანს
მოვალ, მე შენი სურნელი
და დედის ლოცვა მომიყვანს!
აქ მოვკვდე? მანდ ხეც ვერ დავრგო?
მაშ, შენსკენ ნურც გამაცილონ...
ცოცხალმა თუ ვერა გარგო,
მაშ, მკვდარმა რად დაგამძიმო?..
მაგრამ დღეს გულს გადაგიშლი,
ხედავ? სათუთად იქ მყავხარ...
გთხოვ, ნურასოდეს დამიშლი
ლექსით ვთქვა: ,,ჩემო, მიყვარხარ."

***

ცაზე დაცურავს ორი თოლია,
მიწა მოურთავს ზურმუხტს და ქარვას,
გული-ქართული მთების ტოლია,
სიტყვა-ქართული ქარაგმის ქარგა.
მზეო, დაუშვი ოქროს დალალი
და დაგიწნიან ძეწნები ნაწნავს,
შეგიკონიან მწვანე კუნწულით
ჭადრები სხივთა ნართაულ-ნარვალს.
მიწის წიაღში ვით დედის მკერდქვეშ
ფეთქავს სიცოცხლე, მადლით ნაფერი,
სად ხართ ოსტატნო-ბექა და ბეშქენ
ფრესკად მოქარგეთ იმერ-ამერი.
კრიხულას წყალში სიპ ქვებს სდარაჯობს
კალმახთა სხარტი ლეგიონები,
შემოსხდომიან სამშვენად ამ მთებს
ჟღალი და ლეგა მიმინოები.
ბარში დაგოგავს გნოლი ქალივით,
მთას ჯიღად ადგას ნამგალა მთვარე
და ასე ბრწყინავს ნატვრისთვალივით
ქართა ველი და ქართველთა მხარე.
მშვიდად იდინე, ღვთისგან ნაკურთხო,
კლდეთგან ნაჟურო წყაროვ, მცინარევ,
ამ მიწის საზრდოდ მიწას განრთხმულო,
მარადიული ყოფის მდინარევ.
რად გაწოლილან ფიქრები ზვრებზე?
საიდან რეკენ მირქმის ზარები?
ან, პიკადილის წრედმავალ გზებზე
რამ მომალანდა ოპიზარები?
ცაზე დაცურავს ორი თოლია,
მიწა მოურთავს ზურმუხტსა და ქარვას...
რა ვქნა, ეს გული მთების ტოლია,
სიტყვა კი-ქართულ ქარაგმას ქარგავს.

## პირისპირ...

არა, სულო, ჯერ არ აჰყვე ტკივილს...
არა, გულო, ჯერ არ იწყო კვნესა...
ერთი თვის წინ დავეთხოვე თბილისს,
ნოსტალგიავ, უკვე მახვილს ლესავ?..
ოჰ, ვერაგო, ისევ იწყებ ბრძოლას,
ისევ უხმობ კარგად ნაცად ხერხებს-
დილიდანვე შემომასევ ძრწოლას,
დილიდანვე გამითოშავ ხელებს...
მოდი, ცხადშიც მომაღანდე დედა,
მოდი, მითხარ, რომ ჩემს თბილისს აწვიმს...
ნიშანს მიგებ და შენს ღიმილსაც ვხედავ
და მაინც ვსვამ შენს გამოწვდილ სასმისს...
ჰო, ბოლომდე გამოგიცლი მაგ თასს,
ეგ მახვილიც, მოდი, მკერდქვეშ დამეც.
კვლავ ავყვები შენს დაწყებულ ,,თამაშს"-
გამარჯვება ხელს არ გვაძლევს არცერთს--
შენ, უჩემოდ მოგაკლდება ჟინი
და დახურავ ,,საჭადრაკო დაფას..."
მე, უშენოდ გამიწყდება სიმი,
ამ ფიქრებსაც რა აუშლის ფაფარს?
ღამით თვალს არ მომაკარე რული,
თენდება და ქარი სარკმელს მიღებს...
და რაც მეტად დაიკვნესებს სული,
იცოდე, რომ უფრო გრძნობით ვიმღერ!
მაშ, რას იტყვი...კვლავ გაშალე ,,დაფა?"
შავ ფიგურებს კვლავ საომრად გეშავ?..
დღეს თუ ისევ შენ მომიგებ დავას
იცოდე, რომ ხვალ მე ვიღებ რევანშს!

***

და განა, მინდა მტკიოდეს
ჩემი სამშობლოს მთა-ბარი?..
ანდა, ცრემლივით მდიოდეს
სტროფი ამ სისხლით გამთბარი?
ტკივილი, ისეც ბევრია
დღეთა და წელთა წარსულთა...
სულს ნისლად შემორჩენია
ჩრდილნი, იმ ქვეყნად წასულთა...
მინდა, სიყვარულს ვუმღერო,
მის სითბოსა და ათინათს,
ყელი გაზაფხულს ვუღერო
ზამთრის გამდღვობს და გამთიბავს...
მაგრამ აბა, რა ვუბრძანო
გულს-უგვირგვინო მბრძანებელს?
აბა, როგორ არ ვუძრახო
ყველას, ნამუსის მძაგებელს?
სიტყვა, სიმღერად მოსული
ყელში ბურთივით იჩრება,
მტერი, ნიღბებით მოსული
მოყვრისგან ძლივსღა ირჩევა...
როგორ არ უნდა მტკიოდეს
ეს დაღოცვილი მთა-ბარი?..
სისხლი ძარღვიდან კიოდეს-
,,სხვა საქართველო სად არი?"
...არსად გამიქრე უკვალოდ,
სანამ ვარ შენთვის ვილოცებ...
შენ გევედრები უფალო,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე.

***

წუხელ დილხანს წვიმდა და
ქარს აეხსნა აღვირი...
მინდა დაგივიწყო და
რომ არ არის ადვილი?
ქარი, წვიმა, ღამე და
ფიქრმა სად არ იარა...
თითქოს გამიღიმე და
გულს გაეხსნა იარა.
მინდა ვიხმო ქარი და
მივცე ფუჭი სიზმრები...
თორემ მოვა მარტი და
მომკლავს შენზე ფიქრები!..

***

მომენატრე, ჰო, ცრემლებით მომენატრე,
შენს წინაშე ფარხმალდაყრილ მებრძოლს ვგავარ...
დავიღალე...შენზე ფიქრით დავიღალე...
უშენობით ფესვმოწყვეტილ იას ვგავარ.
წვიმს და წვიმა გულს ცრემლებით ალბობს, ავსებს,
თოვს და თოვლი თმაზე თეთრად მეფინება...
შემოდგომით, ქარი ფოთლებს გაიტაცებს
და ეს ფიქრიც, ფოთოლივით გაფრინდება...
გაზაფხულზე, იმღერებენ ჩიტუნები,
მაგრამ გული იმ სიმღერას დაიწუნებს...
ჩვენში, უფრო ლაღად მღერენ ტოროლები,
ნუშის ტოტი თავს ბაფთებით მოიწონებს...
ივნისის თვეს, დრო ზმორებით, ზანტად გადის...
ივლისში კი, გული მძლავრად აძგერდება-
მოვალ, მოვალ! ჩაგეკვრები, ავმღერდები
და დღეებიც მერცხლებივით გაფრინდება...
მერე?.. მერე...გულს ხელებით გამოგიწვდი,
დაგტოვებ და...მონატრებაც დაიწყება...

## მთიულური სატრფიალო

რაი ვქნა, ვაჟავ, რა ვქნა?
რად დამამდურე ბედზედა?
ნეტა, მაგ ვერცხლის ქამრად მქნა
შამაგერტყმოდი წელზედა.
თოლს ცრემლი აღარა შრება
გულს შარჩენილო ჯავრადა...
განა და ბევრი რა მინდა-
გზად შაგეყარო ვარდადა...
მახვიდე, ხელი შამავლო,
დაღიო ჩემი სურნელი
და თუ სიმორცხვე შამატყო
კოცნა მაჩუქო ულევი!
იქნებ, ერთხელაც შამამხვდე,
თოლი შამავლო თმაზედა,
სურვილი ველარ დამალო
გადამიწვინო მკლავზედა...
რაი ვქნა, ვაჟავ, რაი ვქნა?..
მანიშნე შენკე სავალი,
შენი ნანდაურ შავიქნა,
შენი ბედი და წაწალი...

## ცრემლები

,,არ იცი, რომ შენ პატარა აღარა ხარ?
არ ტირიან, არა, დიდი გოგონები!"
მაშინ ასე მაფრთხილებდა დედა, ახლა,
ახლა ჩემს თავს სულ სხვაგვარად ვუფრთხილდები.
ჰოდა, იცით? არვის ქვეყნად არ დავუთმობ
ღვთის ნაჩუქარ პაწაწინა მარგალიტებს,
არაფრისთვის სულს სიცოცხლეს არ ჩავუქრობ
და ვიტირებ, როცა გრძნობა ამატირებს!

არ მოვირგებ გაქვავებულ ცვილის ნიღაბს,
არ ვიფარებ შავ სათვალეს, როგორც ჯავშანს
და თუ ცრემლი გაშიშვლებულ გრძნობებს ნიშნავს
მაშ, თითეულს ჩემი გულის ნაწილს ვატან!
ან, რომელი მარგალიტი შეედრება
სულს მოწყვეტილ ჩვილი ნამის ელვარებას?
ხან შვებაა -ვარდისფერი, ხან-ვედრება
და მის ფერებს ვერაფერი ვერ ედრება...
არ შევიმკობ ყელს ძვირფასი მარგალიტით
და როს გრძნობა გულს და თვალებს აატირებს-
დავიმშვენებ უძვირფასეს აღმასივით
ღვთის ნაჩუქარ პაწაწინა მარგალიტებს.

***

გული შენთან სიახლოვეს მიგრძნობს,
თუნდ მანძილი ისევ შორზე-შორი...
წუხელ, სიზმრად დამიძახე თითქოს
და ეს გულიც სიყვარულით მოჰქრის...
ვიცი, მალე დასრულდება ერა
ემიგრანტის უჩვეულო ბედის...
დამიხვდება ჩაუმქრალი კერა,
სიხარული ძილგამკრთალი დედის...
აღარც ძალა, არც სურვილი მოცდის,
თვალსაწიერს შენ მინთიხარ სანთლად,
ფიქრს მოვყვები და შენს ქუჩებს ვკოცნი...
ყველა ფიქრს ხომ შენზე ფიქრი ახლავს...
მალე...მალე დასრულდება ერა
ემიგრანტის უსასრულო სევდის...
ღმერთო, დამხვდეს ჩაუმქრალი კერა...
სიხარული ძილგამკრთალი დედის...

## გაზაფხულის ,,ბლუზი''

მერე რა, რომ გაზაფხული, კარგო,
გააღვიძებს ენძელებს და იებს.
მერე რა, რომ ნუში თეთრად დათოვს,
მიმოაბნევს იმ ფარფატა ფთილებს...
მერე რა, რომ იმაისებს გული,
თვალს შევავლებ შეყვარებულ წყვილებს,
თუნდაც ტრფობით დამელიოს სული
შენ არ მოხვალ, არ მაჩუქებ იებს...
მერე რა, რომ ჩიტუნები ისევ
იმღერებენ მივიწყებულ ჰანგებს
და დარცხვენილ ყაყაჩოებს ველად
ანცი სიო დაუკოცნის თვალებს.
შენ არ მოხვალ, აღარ მოხვალ, არა!
განა გელი? გული მხოლოდ გნატრობს...
გაზაფხულმა მომიტანა სევდა,
გაზაფხულზე გული ვერ ძლებს მარტო...

## შენ მიწავ ჩემო

მინდა, ღვთისმშობლის ხელით ნაქარგი,
თეთრი მანდილი წმინდაზე-წმინდა
გეფარებოდეს კიდით-კიდემდის,
განრიდებოდე განსაცდელს, მინდა.
მინდა, შენს ზეცას ფარად ეფაროს
წმინდა გიორგის ფარი-ჯვრიანი,
რომ დასეტყვილი შენი ქედები
აღარ მეხილოს მკერდსისხლიანი.
ავი თვალისგან ჯვარი გფარავდეს,
ავი სიტყვისგან სიტყვა ღვთიანი,
სიძულვილისგან-ეს სიყვარული,
შენგან ნაშობი, შენით სვიანი.
თავს იწონებდეს გნოლებით ჭალა,
ჭიუხებს ხტოდნენ ჯიხვნი-რქიანნი,

ფარავნის ტბის წყლით ინათლებოდნენ
ტურფა ქალ-ვაჟნი, გიშრისთმიანნი.
ზვიადი მთები ექოს ეტყოდნენ,
სჭექდეს ,,ჩაკრულო" ომახიანი,
,,ოროველა" და ,,მრავალჟამიერ,"
,,ლილეო" ჩვენი, ფიცვერცხლიანი!
უხვად ეფინოს მიწას მადლიანს
ვაზის ცრემლები შარბათიანი
და აცილებდეს მზის სხივს, ჩამავალს,
,,შენ ხარ ვენახი" მრავალხმიანი.
შენ, მიწავ ჩემო, წმინდაზე-წმინდავ,
ეს მწირი გულიც შენთვის მიძღვნია,
ეს ყველა ლექსიც, სულის ცრემლებად,
შენთვის მითქვამს და შენთვის მიღვრია.

## ერთხელ, ბოდბეში...

ერთხელ, ბოდბეში ვნახე მერცხალი,
ნინოს ტაძარში შემოფრთხიალდა
და გულისპირი მისი, ფერმკრთალი,
ტაძარში უფრო ფერმკრთალი სჩანდა...
იყო აგვისტო, უკვე გვიანი...
გულს განშორების ფიქრები ღლიდა
და წმინდა ნინოს სახე ღვთიანი,
განსაცვიფრებელ სიმშვიდეს მგვრიდა.
ტაძრად სანთლების ნათება თოვდა,
სარკმელთან იჯდა შავი მერცხალი,
პატარა მხრები, მეჩვენა თრთოდა
და გულისპირიც ჰქონდა ფერმკრთალი...
უცებ, შხუილით გაკრთა ფრთიანი,
მოძებნა კარი, შემდეგ-ცისკიდე,
თან გაიყოლა მადლი ღვთიანი
და წმინდა ნინოს მზერის სიმშვიდე.
მას მთები ჰქონდა გადასავლელი,

მკრთალ გულისპირზე ღარღმა ითოვა...
აღბათ, ტაძრიდან, როგორც საგზალი
პატარა ფრთებით მაღლი ითხოვა...

## ᲓᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲑᲐ

როგორც შვიდი წლის გოგონა ანცი
მიეახლება დედის კარადას,
ცნობისწადილით-შეაღოს კარი,
ხელით შეეხოს იქ ყველა კაბას,
ო, სწორედ ისე, იმგვარი განცდით
ვეახლე დედის ,,გრძნეულ" კარადას...
შევაღე კარი და გავყევ ფიქრით
ბავშვურ ხილვათა ფერმკრთალ ნაკვალევს-
...დედა ანათებს უცხო რამ სხივით
და ღიმით უმზერს სარკის ანარეკლს.
თეთრი, ნაქსოვი ფრანგული კაბა
ამკობს მის სხეულს ვით ხელს თათმანი,
მის სახეს, ღვთიურ ნათებით ნაბანს
გასჯიბრებია კაბის ქათქათი...
ვეღარ გავუძლე ცთუნებას ქალურს,
მყის გავეხვიე ნაცნობ ქსოვილში
და ცნობისწადილს მაშინდელს, ბავშვურს,
თვალი შევავლე სარკის ოვალში-
ანარეკლს სდევდა ნაცნობი ღიმი,
მამკობდა კაბა ვით ხელს თათმანი,
მაგრამ დრო-ჟამის ჯიუტი ჟინით
მინავლულიყო მისი ქათქათი...
დედა აღსავსე ჩვეული კდემით
მიმზერდა უხმოდ, დაღლილი სხივით...
წელთა მრავალთა შარავანდედი
მის ირგვლივ ჟღერდა სხვაგვარი სიმით-

და მე ავტირდი, როგორც გოგონა
ვისაც შეჰკვეცეს ნაწნავთ ღვედები...
როგორც გოგონა, ვისაც ეგონა
არ ბერდებიან ქვეყნად დედები...
ცრემლი მივანდე დედის თბილ კალთას,
ფრთხილად მივხურე დროის დარაბა
და მივაბარე ისევ კარადას
თეთრი, ნაქსოვი ფრანგული კაბა.

***

როგორ შეგიყვარებ, იცი?
მართლაც რას არ შევძლებ შენთვის,
იცი, როგორ შეგიყვარებ?
შენთვის მთელ სამყაროს შევცვლი,
ციდან ჩამოგიხსნი მთვარეს.
დილას, გაზაფხულის დილას
კოკით შეგიგროვებ ცვარ-ნამს,
ღრუბელს ჩამოვაცლი ფთილას
და პირს ციურ ნამით დაგბან...
თმებით შეგიმშრალებ წვეთებს
და თუ სევდა მაინც დაგთოვს,
დავგმობ ღვინის ყველა ღმერთებს,
მხოლოდ ჩემი ტრფობით გათრობ.
როცა ვარსკვლავები ღამით
ცაზე აგვინთებენ სანთლებს
შველს რომ გამოვთხოვე თასით
ვახშმად სწორედ იმ რძეს გასვამ.
შემდეგ, გაგრძელებად ღამის
ბულბულს გავუგზავნი მაცნეს,
ვიდრე ტრფიალება დაგვღლის
გვიმღერს საოცნებო ჰანგებს.
ოღონდ, ნუ დასცინებ ისევ
გრძნობას, ზღაპარივით ალალს,
ისე შეგიყვარებ, ისე-
შენთვის რას არ შევძლებ, მართლაც!

# რუსთაველს

ღმერთმა გიბოძა ეგ კალამი სიტყვის საჭრეთლად
და მოგინიშნა ხელდადებით ფიქრთა საბადო,
შენ, სულიწმინდა გზმანებია ღია სარკმელთან
და უფალს უთქვამს: ,,უკვდავება უნდა დაბადო!"
ფრთაშესხმულია ღმერთთა ენა ყველა სტრიქონში
და მხარგაშლილი მიმოიფრენს საოცარ ტაეპს...
არცა შენამდე, არც შენს შემდეგ, ქორონიკონით,
ძე-ხორციელი ვერ სწვევია შენს აზრთა ტრაპეზს.
იქმნა გრძნეული ფიქრისა და გრძნობის კვეთება
და ამოევლო გულისცრემლში შენი კალამი...
ბაგეს დასდინდა მოკამკამე წყაროს წვეთებად
ტკბილხმოვანებით ნაზავები სიტყვის ბალზამი.
მუზის ქალღმერთად შენს წინაშე იდგა თამარი!
რაინდთა ქედნი იხრებოდნენ წინაშე მისდა
და იყო მოძმე-მოძმისათვის მბრძოლი თამამი
და სიყვარული იგებოდა გზადა და ხიდად.
შენ იყავ უფლის მცნებისა და სიბრძნის გამტარი
და ნება მისი წარმოდინდა აიაზმებად,
ეჰე, მგოსანო, ერი შენი კვლავ ყრუ რად არი?
რად ვერ აღმოფხვრეს კაცთ სიურჩე აფორიზმებმა?
დამარხული არს საიდუმლო ქართველთ ანბანში...
შენ კი, ხელთ გეპყრა, უფლისაგან, სიტყვის სადავე...
შენ მიიძინე ერთი ღამით სიბრძნის ტაძარში,
როს გაიღვიძე, უკვდავება ქვეყნად დაბადე!

# (ბოლოთქმა)

ფურცელ - ფურცელ გადაშლილა თვითოეული ავტორის ცხოვრება ჩვენს თვალწინ, გაგიკვირდება კაცს, ამდენი განცდის და ნოსტალგიის შემდგ უნარი რომ შეგრჩება ლექსი დაწერო, ესეცაა პოეზია სევდის თანაზიარიაო ნათქვამია, მაგრამ არა ასეთის. ბევრი ემიგრანტი წერს ზოგი ლექსს, ზოგი მოგონებებს, ზოგიც მოთხრობებს და მონატრებას ცრემლად "ჩაწურავენ" ხოლმე მოთმინების უძირო ფიალაში "ტკბილი მოგონებების" სადღეგრძელოს ღვინოდ რომ შესვამენ შემდგომ. მხოლოდ ეგ არის მირონის ფერია ის და საბარძიმე ღვინის სურნელიც დათარეშობს ამ ფიალაში. ვკითხულობ ჩემო უცნობო მეგობრებო თქვენს ლექსებს, ჩანახატებს, მოთხრობებს და როგორი განცდა დაეუფლება მკითხველს . . . „დე, ვიცი არ გძინავს, ან ძილშიც ვერ ისვენებ! ჩემი დაბადების დღეს გილოცავ დე!!!“ ამ სიტყვების წამკითხველს, მრავალ ასეული კილომეტრი რომ აშორებს ნატრულს და სანატრელს?
ეხლა კიდევ ერთ ლექსს ვკითხულობ:

„ . . . . ეხლა თურქეთის ტრამალებს,
მივუყვებით ჩვენი ნებით,
როცა ამ გზით ქართველები,
მიჰყავდათ ძალდატანებით.
რა მექნა მე გაჭირვებულს,
მეც ეს გზა ამოვირჩიე,
ჩემი შვილები შიმშილსა,
ამგვარად გადავარჩინე. . . .“

მამაკაცის ტვირთი ზიდეს ჩვენმა ქალბატონებმა. არ მინდა ძალ მორეული აზრები გონებას მივაკარო, ჩვენი ოჯახის სიწმინდე სხვისთვის მორჩილებას რომ გადაგვაყოლებინეს და ეხლა უცრემლო თვალებით რომ „გოდავენ“ მავანნი.

ჯერ კი გულდაჭრილს მინდა გეფერო,
„არასდროს დაგთმობ, შენს ცას ვფიცავარ,
დავალ უცხოეთს,ფიქრით დაღლილი,
მე ერთი მუჭა შენი მიწა ვარ!“

ამ წიგნში ემიგრანტების ფრთაშეკვეცილი ირაო ნატვრის კამარას ჰკრავს მათ შემოქმედებაში.

თქვენ არსად არ გადახვეწილხართ და არც მოშორებულხართ მშობლიურ სანახებს, უბრალოდ აქ არა ხართ ამჟამად . . .

გიორგი აღნიაშვილი-პროზაიკოსი

# ქართული წესი !

სულში მასხამ ნაღმად ნაღველს, მოჩვენებავ მტრულო,
შავო ხაზო გათავდები?!. თუ მე დაგასრულო?!!
არ მეღირსა, კვლავ შენს ცის ქვეშ, ვერ ვთესე და ვხანი,
რადგან უფალს ზურგით ვედექ, უმეტესი ხანი!
ვიხდი ახლა მე ამ სასჯელს, გატრუნული ერთობ,
მწამს დროებით, რომ მოგშორდი, სამუდამოდ ვერ გთმობ.
ჩემს ცარიელ სულ-გულს ახლად, ღვთისგან მადლით ვივსებ
მოგეკედლო ისევ ღირსად, შევუერთდე ღირსებს.
თუმც ნაღმებმა გამომდევნეს, ბოღმითა და ვიშით,
სულში მაინც არ ჩასახლდა, უნდობლობის შიში!
მტერს ის უნდა, ვიცით ყველამ: "დაყავი და მართე"!..
მაგრამ ყველგან ვაქართველოთ, ჩვენ, ქართული მართვე!
კვლავ შევიკრათ ძმებო ერთად, დავემსგავსოთ მნათობს
და მივმართოთ სხივი ჩვენი, საქართველოს ტატნობს!
თუმცა შორს ვარ, თუ კი მიხმობთ, მოვფრინდები წამსვე,
ღმერთი მომცემს, ერთხელ მაინც, თავგანწირვის შანსებს!
შორით მე ვარ მხოლოდ ხორცით, სული სახლში დაჰქრის,
არ ეშინის მაგას სულაც, მტრის უსასო ხახის!
მტერს არასდროს არ ვაჩვენებთ, ჩვენ, უსახო სახეს,
არც ადვილად გავებმებით, მისგან დართხმულ მახეს!
"გიყვარდესო მტერი შენი", ესეც ვიცით კარგად,
ვსცადოთ, მათშიც მოვახერხოთ, ზე სიკეთის ჩარგვა!
სიყვარულით ვცეწოთ, მუდამ, სიძულვილის მთესი,
და მსოფლიოს მით გავაცნოთ, ჩვენ, ქართული წესი!!

ამირან თოდუა

# სარჩევი


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა-მაყვალა დავლაძე | 3 |
| ანნა გელაშვილი | 8 |
| ნატალი გალიანო პაპაშვილი | 9 |
| ქეთი გეგუჩაძე | 21 |
| ინგა გოგიბერიძე | 36 |
| ნინო გოგუაძე კოპლატაძე | 41 |
| თამთა დემეტრაშვილი | 44 |
| მელი თურმანიძე | 87 |
| ზაირა კელოშვილი | 102 |
| ეკა კელოშვილი | 110 |
| ლელუკა დადა ლაშხი | 113 |
| გული მიქანაძე | 117 |
| მზალო ოსიშვილი | 119 |
| ნანა მეტრეველი | 134 |
| ცისნამი საყვარლიშვილი | 139 |
| ნანა ჭითანავა | 163 |
| ხათუნა შავგულიძე | 202 |
| ბოლოთქმა- გიორგი ალნიაშვილი | 216 |
| ამირან თოდუა | 217 |





9 789941 099656